# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 49 (409) ◆ 9 – 15 დეკემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ასეთი ჯიჰადი ჩვენ პანკისის ხეობაში ცხრაასი გამოგვიცხადეს




### არავის განცხადებებს არ ვუგდებ ყურს

– იანვრის თვეში, პანკისში რომ ჩავედი შემომითვალეს, აბა, ცხვირი შემოყავი, თუ ბიჭი ხარო... ცხვირიც შევყავით და უფრო ღრმადაც შევედით.

– ვინ მოიგონა, რომ ჩეჩნებს ცუდი განწყობილება აქვთ ქართველების მიმართ? მათი განწყობილების შესახებ ჩემზე უკეთ იცის ვინმემ? ასეთი განცხადებები კი არა, ჩეჩნები აფხაზეთში გვეომებოდნენ. ვინც ნორმალური კავკასიელია, იცის, რომ მათთან მართალნი ვართ. ვერ გავიგე, როგორ მოვიქცეთ, სხვისი კრიმინალი არ შევაწუხო? ჩვენი არ გვეყოფა? როდესაც ვხედავთ, რომ რაღაცის გაკეთების ძალა გვაქვს, ვაკეთებთ კიდეც. არაკანონიერად თუ ვინმეს მოვექცევით, გვითხრან.

გვ.3

**გამოცხადდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა?!**

**ახალი და საინტერესო ინფორმაციები უშიშროების მინისტრისგან**

## „ყველა ღორის უკან დიდი ხალხი დგას“

– ვიცი, მკვდარი გოჭები გქონიათ, ძაღლისთვის მინდა.

– ერთიღა დაგვრჩა. ოღონდ კარგად უნდა მოხარშო. ეგ კი არა, „საკალბასეშიც“ მიაქვთ...




ვინ კურირებს თბილისის ნაგავსაყრელებზე გაზრდილი ღორების ბიზნესს?! გვ.6

**სად საღდება მოწამლული ღორის ხორცი?!**



გვ.5

## „კიტოვანი ბერეზოვსკისკენ იქნევს მათრახს...“

– კიტოვანი დამპირდა, რომ მოსკოვში შემხვდება და რაღაც დოკუმენტებს გადმომცემს ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით... ამბობს, ეს მკვლელობა ჩეჩნების ხელით არის ჩადენილიო...

...12 დეკემბერს, კახი ასათიანის დაბადების დღეს გავმართავთ დიდ შეკრებას.

*ელენე თევდორაძე*



## ვერასოდეს დავივიწყებ შევარდნაძე-სააკაშვილი-ქვანიას დამანგრეველ საქმიანობას

გვ.7

## „ჯვაროსნული დროშა როგორ გახდა ქართული?“

გვ.7



## პოლიციის ბადეში „დიდი ღლავი“ გაება...

ქართველების ზანგი სიძე ქენთი აბუჯე სამართალდამცავებმა საქართველოში უკანონოდ ცხოვრების გამო შეიპყრეს... ნიგერიელი ზანგი ხომ ჩვენი შოუბიზნესის ვარსკვლავების წყალობით გაიცნო ხალხმა...



გვ.13

**ზარი რედაქციაში** *თქვენთვის, ქალბატონებო!*

მე ის „ქეთი“ ვარ, „გიოს“ რომ უყვარდა – „ქეთის“ აღსარება... გვ.21


## „კვირის პალიტრის“

კედლის მოსახევი კალენდარი




## საჩუქრად!

მას, ვინც ... გვ.12


„პირველად რომ მკითხეს, ვიზაჟისტი თუ გყავსო, არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა, ჰომოსექსუალისტი მეგონა“. გვ.14



## თვალსაზრისი

თუ ნავთობსადენმა მაინცდამაინც ბორჯომზე უნდა გაიაროს, არსებობს გამოსავალი – ჩემი ვარიანტი ერთადერთია და სხვა ალტერნატივა არ გააჩნია...

მისმინეთ, მაქვს სიტყვის თქმის უფლება. გვ.12

*სპორტი:* გვ.34

## ულტიმატუმი ასანიძის მწვრთნელს

– ან გიორგის ავარჯიშებ და პოლონეთს დატოვებ, ან ძველებურად ავარჯიშებ ჩვენიანებს!..

**ბრიქუროვი საქართველოში ბრუნდება**

ვერსია გვ.10

## *მაღალი კლასის აფერისტი და არა ქური*

ხან სუპერმენი იყო, ხან საკავშირო სამინისტროს „ზესაიდუმლო“ სამმართველოს წარმომადგენელი, ქალების გულთამპყრობელი და ურიცხვი განძის „მფლობელი“, მაღალი რანგის ქირურგობაც მოიხდინა, 200-კაციან ქორწილებს „იხდიდა“, მაღალმთიან ქართულ სოფლებში წყალიც „გაიყვანა“ და ბოლოს, ბომჟს დაემსგავსა...

## მშვიდობიან ზამთარს გისურვებთ!

## ალდამოვი საავადმყოფოში მოხვდა

6-7 დეკემბერს ქართველი ძალოვნების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის მსვლელობისას ისანი-სამგორის პოლიციამ იჩქერიის არაოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი აიყვანა. ნერვიულობის ნიადაგზე ალდამოვს გულის სტენოკარდიული შეტევა განუვითარდა და იგი ქალაქის მე-9 საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს. ხიზრი ალდამოვის თქმით, დილით მის ოჯახს თავს ძალოვანი სტრუქტურის რამდენიმე შეიარაღებული თანამშრომელი დაესხა, ოჯახის წევრები სახლიდან „გამორეკეს" და ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს. საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლის, მექა ხანგოშვილის თქმით, პოლიციის თანამშრომლებმა ასევე დააკავეს იჩქერიის ვიცე-პრემიერის, ახმედ ზაკაევის ოჯახის წევრები.

## უდუგოვმა ინფორმაცია უარყო

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ინფორმაციის ყოფილმა მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა კატეგორიულად უარყო რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჩეჩნების რუსეთში ექსტრადიციის გამო საქართველოს მიმართ აგრესიის განხორციელების თაობაზე და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, არ აჰყვეს რუსეთის პროვოკაციას.

„ამგვარი განცხადება არასოდეს გამიკეთებია", — განაცხადა უდუგოვმა კომპანია „რუსთავი-2"-თან სატელეფონო საუბარში. ქართველი ძალოვნების მიერ ჩატარებული ოპერაცია კი უდუგოვმა ჩეჩნების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად შეაფასა, რომელიც „რუსეთის ინტერესებს ემსახურება".

## სპეცოპერაცია კაბალთან

6 დეკემბერს, საღამოს, უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმს ლაგოდეხის რაიონის აზერბაიჯანულ სოფელ კაბალთან, რომელიც პანკისის ხეობის აღმოსავლეთით დაახლოებით 70 კილომეტრში მდებარეობს, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია სამმა ყარაჩაელმა და ორმა ქისტმა. სპეცოპერაციისას უშიშროების ერთი თანამშრომელი დაიჭრა. უშიშროების მინისტრის თქმით, როდესაც ბანდიტურ ჯგუფს ალყა შემოარტყეს, ყარაჩაელებმა ცეცხლი გახსნეს, ხოლო შემდეგ ყუმბარა ააფეთქეს. მინისტრის განცხადებით, შეიარაღებული დაჯგუფება საქართველოს ტერიტორიიდან გასვლას და თან მძევლის აყვანას აპირებდა. შეტაკებისას დაიღუპა ოთხი დამნაშავე, ერთი კი მძიმედ დაიჭრა. იგი მოგვიანებით გარდაიცვალა. ვალერი ხაბურძანიას თქმით, გადამოწმდება ვერსია ბრიტანელი ბანკირის, პიტერ შოუს გატაცებაში ამ ჯგუფის შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

## საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდა

10 დღის წინ, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტზე, ვაჟა გავაშელზე განხორციელებული თავდასხმის საგამოძიებო საქმე ჭიანურდება. ცნობილია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურიდან აღნიშნული საქმე საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელს, ზაზა მესხს გადაეცა. მისი თქმით კი ჯერ ზემოხსენებული საქმე მასთან არ მისულა და აქედან გამომდინარე, არც გასცნობია.

ვაჟა გავაშელზე თავდამსხმელთა ვინაობა ცნობილია. საქმეში მათი გვარ-სახელებიც ფიგურირებს, არიან მოწმეებიც. ასე რომ, საქმეს მოკვლევა და ბოლომდე მიყვანა სჭირდება. იმედია, სამართალდამცველები უკვე გამოვლენილი დამნაშავეების საქმის სასამართლომდე მიტანას არ გააჭიანურებენ.

## „იტერას" შუამავალი აღარ სჭირდება

კომპანია „თბილგაზი" საერთაშორისო კომპანია „იტერასგან" ბუნებრივ აირს პირდაპირი წესით, შუამავლის — „საქგაზის" გარეშე მიიღებს. ამის შესახებ შეთანხმდნენ თბილისში ხანმოკლე ვიზიტით ჩამოსული „იტერას" პრეზიდენტი იგორ მაკაროვი და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. რაც შეეხება საქართველოში გაზის მომხმარებლის მიერ „იტერას-ადმი" დაგროვილი ვალის — 100 მილიონამდე აშშ დოლარის რესტრუქტურიზაციის საკითხს, იგი მომავალი წლის მარტში განიხილება, როდესაც ვადა გაუვა წინასწარი გადახდის გარეშე „იტერას" მიერ თბილისისთვის გაზის მიწოდების თაობაზე ადრე შეთანხმებულ რეჟიმს.

## „ზოდელავას მერია ოკუპირებული აქვს"...

4 დეკემბერს თბილისის მერის, ვანო ზოდელავას გადაყენების მოთხოვნით მერიის შენობის წინ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ლეიბორისტული პარტიის ისანი-სამგორის რაიონის კოორდინატორის მალხაზ ვარდიძის განცხადებით, ზოდელავას მთელი მერია ოკუპირებული აქვს (ვრცლად იხ. გვ. 7).

## კოჩიევი მოგვიწოდებს, რჩეულიშვილი — მზადაა

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა თბილისელ კოლეგებს 1989-1992 წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების დასარეგულირებლად ორმხრივი კავშირის გააქტიურებისკენ მოუწოდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარის, სტანისლავ კოჩიევის აზრით, „საქართველოს პარლამენტში გარკვეულ ძალებს ეს არ სურთ". კოჩიევი მზადაა, მოლაპარაკებები გამართოს ვახტანგ რჩეულიშვილთან, რომელსაც ბოლო დროს არაერთხელ გამოუთქვამს მზადყოფნა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მოლაპარაკებათა პროცესში ჩასართავად.

## რვა პროკურორი ჩაიჭრა

პროკურორების საკვალიფიკაციო გამოცდების პირველ ეტაპზე გასული 244 პროკურორიდან გამოცდა რვამ ვერ ჩააბარა. მონაწილეთაგან 21 აფხაზეთის პროკურატურის თანამშრომელია, რომელთაგან ხუთის ცოდნა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. „ჩაჭრილი პროკურორების" ვინაობა არ სახელდება. საკვალიფიკაციო გამოცდების პირველ ეტაპში მონაწილეობა არ მიუღიათ გენერალური პროკურორის მოადგილეებს. ამასთან, ამ ეტაპზე გამოცდა ბევრი რაიონის პროკურორმა უკვე წარმატებით გაიარა. გამოცდების დასრულება 9 თებერვალს არის დაგეგმილი. როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ დაიწყება პროკურატურის სისტემის რეფორმირება, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების კონცეფციის შესაბამისად.

## აფხაზეთში კაზაკებს ასახლებენ

პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა ჯემალ გამახარიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდალ ტოცკის მეგობარმა, ჩელიაბინსკელმა გენერალმა შიშკინმა ანტიქართული კამპანია წამოიწყო. მან 5000 კაზაკს აფხაზეთში ჩასახლება შესთავაზა და შესაბამის დახმარებასაც დაჰპირდა. ეს კამპანია არა მარტო ურალის კაზაკობის ჩამოსახლებას გულისხმობს, არამედ სხვა კაზაკებისასაც, რაც მორიგი საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს. სეპარატისტული სოხუმის შს მინისტრი ქჩოჩი ამ ფაქტს კატეგორიულად გამორიცხავს. „რა უნდა 5000 კაზაკს დანგრეულ აფხაზეთში?" — გაკვირვებით კითხულობს მინისტრი.

## ნადარეიშვილი კვლავ პოზიციას აფიქსირებს

სტრასბურგში ჩასული აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერი თამაზ ნადარეიშვილი ევროსაბჭოს სხდომაზე აფხაზეთის სტატუსზე ლეგიტიმური ხელისუფლების პოზიციას დააფიქსირებს. ნადარეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ევროსაბჭოში მათ წინადადებებს შეისწავლიან. ქვეყნის ნატო-ში გაწევრების განზრახვა კი კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე დადებით გავლენას იქონიებს.

## გაგულია რუსეთთან საზღვრების გახსნის?

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ახალდანიშნულმა გენადი გაგულიამ გაზეთ „იზვესტიასთან" ინტერვიუში განაცხადა: „აფხაზების 70%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს. საქართველო თავისთვისაა, აფხაზეთი კი თავისთვის. ჩვენი დაახლოების რაიმე წინა პირობას ვერ ვხედავ"-ო და დასძინა, რომ რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად საზღვრების გახსნაა საჭირო.

## სამუშია „წმენდას" განაგრძობს

„თეთრი ლეგიონის" მეთაური ზურაბ სამუშია მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი მართებული გზა აფხაზეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაა, თუმცა ამისთვის „საქართველოს ხელისუფლებამ მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინოს და წარსულის შეცდომები გაითვალისწინოს". ზურაბ სამუშიას თქმით, გალი-ოჩამჩირის მონაკვეთზე აფხაზური ბანდები საგრძნობლად გააქტიურდნენ. პარტიზანების განცხადებით, „თეთრმა ლეგიონმა" რამდენიმე დღის წინ აჩიგვარას ტერიტორიაზე აფხაზთა 4-კაციანი ბანდის ლიკვიდირება მოახდინა და კვლავაც გააგრძელებს წმენდას. ხსენებულ ჯგუფს არაერთგზის გაუტაცია ხალხი.

## ზუგდიდში ფული გაიტაცეს...

ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ჩხოროწყუს რაიონის საპენსიო და საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელთა კუთვნილი 106.000 ლარი გაიტაცეს. თანხა „აგრობანკის" ზუგდიდის ფილიალიდან დღის 14 საათზე გაიტანეს. ზუგდიდის რაიონის სოფელ ბაშთან ავტომანქანას შვიდი შეიარაღებული პირი დახვდა. ურთიერთსროლის შედეგად დაიჭრნენ ბანკის თანამშრომელი და პოლიციელი. გამტაცებლები გაიქცნენ, მიტოვებული მანქანა ენგურის სანაპიროსთან იპოვეს. ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაჭრილების მდგომარეობა სტაბილურია.

## ბაქო-ჯეიჰანს უკრაინაც შეუერთდება

19 დეკემბერს თბილისში ვიზიტით ჩამოვა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ ამ ვიზიტს ისტორიული უწოდა და აღნიშნა, რომ უკრაინის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის დროს უნდა გადაწყდეს საქართველო-უკრაინა-აზერბაიჯანის სამხედრო დანაყოფების ერთობლივი რგოლის შექმნა ნავთობსადენის დასაცავად. მისივე თქმით, უკრაინის დელეგაციაში იქნება უკრაინის ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ქართველ კოლეგებთან მოლაპარაკებებს გამართავს საუკუნის პროექტში ჩართვის დეტალებზე.

## ნემცოვის მეგობარი აფხაზის დედა გაიტაცეს

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი ადასტურებს, რომ ქალაქ ტყვარჩელიდან კომპანია „სლავნეფტის" ვიცე-პრეზიდენტის, ჯუმბერ ტყებუჩავას დედა გაიტაცეს. აფხაზი სამართალდამცველების ვარაუდით, გამტაცებლები შეიძლება იყვნენ როგორც აფხაზები, ისე ქართველები. გარდა ამისა, ისინი არ გამორიცხავენ, რომ გამტაცებლებს ტყებუჩავას დედა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი ზუგდიდში ჰყავდეთ გადამალული.

ჯუმბერ ტყებუჩავა აფხაზეთის მკვიდრია და დიდი ხანია მოსკოვში საქმიანობს. მან ერთი თვის წინ სოხუმს უსასყიდლოდ ტაქსები გამოუგზავნა. ახლო ურთიერთობა აქვს რუსეთის მემარჯვენე ძალთა კავშირის ლიდერთან, ბორის ნემცოვთან.

## სიწმინდეები ტაძარს დაუბრუნდა

ცხრა წლის წინ მოპარული მთავარანგელოზისა და მაცხოვრის ხატები ეკლესიას დაუბრუნდა. მესტიის ეკლესიის კუთვნილი ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი ხატები შესაძლოა თბილისში მშენებარე სამების საკათედრო ტაძარში დააბრძანონ.

პოლიციის ცნობით, ბოროტმოქმედები ცხრა წლის მანძილზე მოპარულ ხატებს მესტიის რაიონში ინახავდნენ. როგორც გაირკვა, ამ ხნის მანძილზე მათ საიმედო მეკავშირე ვერ იპოვეს, რათა ქართული სიწმინდეები ევროპაში გაეტანათ.

## ენერგობლოკი მალე ამოქმედდება

ამერიკული თბოსადგურის „ეი-ი-ეს მტკვარის" მე-9 ენერგობლოკის ასამუშავებლად საჭირო ბუნებრივი აირის შესაძენად თბილისის ენერგოგამანაწილებელმა ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ეს თელასმა" საბანკო აკრედიტივი გახსნა და „იტერას" ანგარიშზე 500 ათასი ლარის ეკვივალენტი თანხის პირველი გადარიცხვა განახორციელა.

როგორც „ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა მენეჯერმა იგნასიო ირიბარენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, 300 მეგავატი სიმძლავრის მე-9 ენერგობლოკი, სავარაუდოდ, 3-4 დღეში ამოქმედდება სათანადო ტესტირების შემდეგ.

მისივე ინფორმაციით, „იტერას" ანგარიშზე თანხები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმაც გადარიცხა. ირიბარენის თქმით, პირველ ეტაპზე მე-9 ენერგობლოკი დაახლოებით ერთი თვის მანძილზე იქნება უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით, რისთვისაც დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი იქნება საჭირო.

## რუსები ბეგარას არ გადაიხდიან

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა კოლმინცევმა განაცხადა, რომ რუსულ სამხედრო უწყებას არ გააჩნია ფული საქართველოში თავისი სამხედრო ბაზების ბეგარის გადასახდელად. კოლმინცევი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრის შესახებ, ქვეყნის ხელმძღვანელობა გადახედავს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, რუსული მხარის დავალიანებამ 1992 წლიდან მიწითა და უძრავი ქონებით სარგებლობისთვის შეიძლება 704 მლნ დოლარი შეადგინოს. 6,5 მლნ დოლარით განისაზღვრება საკომუნიკაციო ხარჯები, გარდა ამისა ქართული მხარე 10-15 მლრდ დოლარით აფასებს რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოსთვის მიყენებულ ეკოლოგიურ ზარალს.

## გრძელდება ხეტყის უკანონო ჭრა

**(ინტერ-პრესი)** სამცხე-ჯავახეთის ეკოპოლიციამ 800 ძირი უკანონოდ მოჭრილი სოჭისა და ნაძვის ხეებით დატვირთული ავტომობილი დააკავა სოფელ ზიკილიასთან.

რაიონის მოსახლეობის აზრით, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განკარგულების შემდეგ, ამ ნაბიჯის გადადგმა სოციალურად დაუცველ ფენებს არ შეეძლოთ და ყოველივე ხეტყის უკანონო ბიზნესში ჩართული მაღალჩინოსნების ჩადენილია. ამასთან, რაიონის ეკოპოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების აზრით, სატყეო მეურნეობის ჩარევის გარეშე ხეტყის მოჭრა არავის შეეძლო.

დღეისათვის სამცხე-ჯავახეთში სამასორმოცდაათამდე სახერხი საამქრო ფუნქციონირებს. აქედან ახალციხის რაიონში მხოლოდ ოთხს აქვს მუშაობის ნებართვა. საკრებულოს თავმჯდომარის, ვალიკო ბალიაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის განკარგულების მიუხედავად, რეგიონში ვითარება არ გამოსწორებულა. ახალციხის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობამ კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

## კრიმინალური ქრონიკა

პანკისის ხეობაში შეძენილი ნარკოტიკების თბილისში რეალიზაციის ფაქტზე პოლიციამ პანკისელი ქისტი, სოფელ ჯოყოლოში მცხოვრები ნოდარ გუმაშვილი დააკავა. სამართალდამცველებმა გუმაშვილის ნაქირავებ ბინაში ჩხრეკისას აღმოაჩინეს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის — 41,7 გრამი ჰეროინი. დაკავებისას მან აღიარა, რომ ნარკოტიკი პანკისის ხეობაში შეიძინა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს თბილისის საგამოძიებო დეპარტამენტი.

* * *

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რიგითი ზაზა ანდრიაძე, ზემდეგი ზურაბ გორგოზია, უშიშროების სამინისტროს პენსიონერი, კაპიტანი მალხაზ აბულაძე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის „კაზაკთა კავშირის" წევრი, უფროსი ლეიტენანტი სიმონ ოჩიგავა დააკავეს. დაკავებულებს აღმოაჩნდათ ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა. როგორც თავად განაცხადეს, ნარკოტიკი გასაყიდად კი არა, პირადი მოხმარებისთვის ჰქონდათ. იმყოფებოდნენ თუ არა აღნიშნული პირები დაკავებისას ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ, ექსპერტიზა დაადგენს. გარდა ამისა, პირველ ორ პირს აღმოაჩნდა „ტტ"-ს სისტემის იარაღი და სამი ხელყუმბარა.

## პასუხისმგებლობა მინისტრებს აკისრებათ

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, პოლიციის განყოფილებაში უცხოელების, ძირითადად, ჩეჩნების დაკითხვით, სამართალდამცველებმა კანონი დაარღვიეს. ნანა დევდარიანი მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას აკისრებს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებს და აღნიშნულის თაობაზე აპირებს საგანგებოდ მიმართოს საქართველოს პარლამენტს. სამართალდამცავი ორგანიზაციებიც გამოთქვამენ პროტესტს თბილისში მცხოვრები ჩეჩნების დაკავების გამო. მათი თქმით, პოლიციის განყოფილებებში მათი დაკითხვა ადამიანთა უფლებების დარღვევით განხორციელდა.




## აშშ-ის ფინანსთა მინისტრი გადადგა

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი პოლ ო'ნილი თანამდებობიდან გადადგა. იგი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პირველი წევრია, რომელმაც თავისი პოსტი დატოვა. თეთრი სახლი ო'ნილის გადადგომას ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებს და არც მის შესაძლო შემცვლელზე ლაპარაკობს. ფინანსთა მინისტრის პოსტზე ორწლიანი მუშაობის პერიოდში ო'ნილს უკომპრომისო სტილის გამო აკრიტიკებდნენ, როგორც პრეზიდენტ ბუშის მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეებიც.

## „ფიატი" წარმოების შემცირებას გეგმავს

იტალიის საავტომობილო კონცერნმა „ფიატმა" სამსახურიდან დაითხოვა ათასობით თანამშრომელი. გათავისუფლებები მას შემდეგ დაიწყო, რაც პროფკავშირებმა იტალიის ხელისუფლების კომპრომისულ წინადადებაზე უარი თქვეს და განაცხადეს, რომ მზად არიან გაფიცვა გამოაცხადონ. სამთავრობო გეგმა გათავისუფლებული თანამშრომლებისთვის კომპენსაციის გადახდას გულისხმობდა. გათავისუფლებულთა საერთო რიცხვი 5000-ს აღწევს. ეს არის „ფიატში" მომუშავეთა 20%. კომპანია მნიშვნელოვან ზარალს განიცდის, რომელმაც მილიარდს გადააჭარბა და „ფიატის" ხელმძღვანელობა ამის გამო წარმოების შემცირებას გეგმავს.

## პრინცს მაღალი კი არა, ლამაზი ქალები მოსწონს

ევროპაში ყველაზე სასურველი სასიძო, მონაკოს პრინცი ალბერტი ცოლს ირთავს. ტახტის მემკვიდრე თავის 45 წლის იუბილეზე აპირებს განცხადების გაკეთებას იმის შესახებ, რომ მონაკოს დედოფალი გახდება ქერათმიანი ამერიკელი სპორტსმენი ალისია უორლიკი. მომავალი დედოფალი 25 წლისაა. მისი სიმაღლე 167 სმ-ია, წონა კი 65 კგ. მონაკოს პრინცის ყოფილი სატრფოების: კლაუდია შიფერის, ტაშა ვასკონსელოსის, შერონ სთოუნის, გვინეტ პალტროუს შემდეგ ალისიას მეტოქეები „დაკუნთულ დედაკაცს" უწოდებენ. პრინცი კი მათ ყურადღებას არ აქცევს და ნიშნისმოგებით აცხადებს: „მე მომწონს ლამაზი და არა მაღალი ქალები".

# „ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲕᲣᲒᲓᲔᲑ ᲧᲣᲠᲡ!“

## გამოცხადდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა?..



საქართველოში ბოლო ორი კვირის მანძილზე განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველ სამართალდამცავებს დღემდე მიფუჩეჩებული პრობლემები გაახსენდათ და ნებსით თუ უნებლიეთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დღემდე ჩვენ გვერდით ჩეჩნების უპრობლემოდ ცხოვრება კანონდარღვევა ყოფილა. ამას დაემატა ისიც, რომ ჩვენდა გასაკვირად, რუსების მიერ საგულდაგულოდ ძებნილი ტერორისტები ლაგოდეხის ტერიტორიაზეც აღმოჩნდნენ, თუმცა ქართველი სამართალდამცავების მიერ „დაუპატიჟებელი სტუმრობა“ დროულად აღიკვეთა და ქვეყნის უშიშროების დამცველებმა ტერორისტებს „ჭკუა ასწავლეს“. ამის შემდეგ სპეცოპერაციაზე კავკასიელი კრიმინალების ლიკვიდაციამ და „კავკასიელი ძმების“ „ღალატმა“ ხიზრი ალდამოვს გული ისე ატკინა, რომ საავადმყოფოშიც მოხვდა. იჩქერიის პრეზიდენტი მასხადოვი და საველე მეთაური უმაროვი კი საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებენ, თუ რუსეთთან ჩეჩენი მებრძოლებით ვაჭრობას გააგრძელებთ, ინანებთო. პოლიტიკოსები ოსეთში გამწვავებულ სიტუაციაზე და ახალ „პანკისზე“ ალაპარაკდნენ. რუსეთის მხარე დიდი ხანია „თავგამოდებით“ გვაფრთხილებს, რომ ჩეჩნები თბილისში ტერაქტების სერიალს გეგმავენ...

ამ რთულ ორ კვირას წინ ქვეყნის უშიშროების მინისტრის ავისმომასწავებელი პროგნოზი უსწრებდა. ვალერი ხაბურძანია აცხადებდა, რომ საქართველოში უახლოეს მომავალში სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბებოდა.

რა კონკრეტული საფუძველი ჰქონდა უშიშროების მინისტრის განცხადებას? ამის გასარკვევად თვითონ **ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲮᲐᲑᲣᲠᲫᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ** ინტერვიუს გთავაზობთ:

**— გასული კვირა საკმაოდ რთული გქონდათ. თქვენ მოვლენებს დაასწარით და განაცხადეთ, — ქვეყანაში შეიძლება სიტუაცია დაიძაბოს და საგანგებო მდგომარეობაც გამოცხადდესო. როგორ გავიგოთ ყოველივე ეს?**

— დასკვნები არსებული სიტუაციის ანალიზის მიხედვით გავაკეთე. რაც ხდება, რეალურად შევაფასე... რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობას, ეს პროცედურული მომენტია. თუ ამის აუცილებლობა იქნება, მე საკითხს დავსვამ, ხოლო პროცედურული განხილვის შემდეგ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფლება მიიღებს. მაგრამ ვფიქრობ, ეს არ დაგვჭირდება. უნდა გავიჭირვოთ და არსებული კანონმდებლობის საზღვრებში არასაგანგებო სიტუაციის ფორმატში შედეგიანად ვიმოქმედოთ.

ვინ მოიგონა, რომ ჩეჩნებს ცუდი განწყობილება აქვთ ქართველების მიმართ? მათი განწყობილების შესახებ ჩემზე უკეთ იცის ვინმემ? ასეთი განცხადებები კი არა, ჩეჩნები აფხაზეთში გვეომებოდნენ. ვინც ნორმალური კავკასიელია, იცის, რომ მათთან მართალნი ვართ. ვერ გავიგე, როგორ მოვიქცეთ, სხვისი კრიმინალი არ შევაწუხო? ჩვენი არ გვეყოფა?

**— მაგრამ ფაქტია, რომ გაგიჭირდებათ...**

— ცხადია, გაგვიჭირდება, რადგან უკვე ბრძოლა გვიწევს არა მარტო ადგილობრივ ან კავკასიელ დამნაშავეებთან... ქვეყანაში უამრავი პაკისტანელი გამოჩნდა. „მერიოტის“ მშენებლობაზე პარკეტის დამგებად ინდუსები ჩამოიყვანეს. საზოგადოებამ ჯერ არ იცის, ეს რას ნიშნავს. მსოფლიოში ინდუსების და სხვების კრიმინალური ანკლავები საკმაოდ ცნობილია და არასასურველი, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის. ანტიტერორისტული ოპერაციებით ამ ხალხს ალბათ ცოტათი მაინც შევაშინებთ. ქვეყანაში ისეთი გართულებული ვითარებაა, რომ ზომები დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ.

**— დღემდე საქართველოში ჩეჩნები დაუბრკოლებლად ცხოვრობდნენ, ახლა კი მათ წინააღმდეგ გალაშქრებამ, კერძოდ, ჩეჩენი ქალბატონების დაკავებამ რეპრესიების კვალიფიკაციაც კი მიიღო...**

— მიკვირს, სპეცოპერაციებს ვინ და რატომ ანიჭებს რეპრესიების კვალიფიკაციას. დააკავეს ჩეჩენი ქალბატონები, რომელთაც არ ჰქონდათ ვიზები. თუ სავიზო რეჟიმია, ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს და თუ რომელიმე უცხოელს, ჩვენ მიერ დაკავებული რუსი მილიციელების მსგავსად, ხაჭაპური მოენატრება, აიღოს ვიზა, ჩამოვიდეს და მიირთვას. ხიზრი ალდამოვისა და მისი ნათესავებისთვისაც კანონი ერთი უნდა იყოს. ხიზრის მიმართ აგრესია არავის არა აქვს, ის ჩვენი მოქალაქეა.

**— ხომ შეიძლებოდა საქართველოს ჩეჩნებთან მიმართებაში გადამჭრელი ზომები თავიდანვე მიეღო?**

— რასაკვირველია... ყველაფერი თავის დროზე რომ გაკეთებულიყო, აქამდე არ მივიდოდით. არც ჩვენივე გაფუჭებული საქმეები გვაკლია, მაგრამ არის გარკვეული გარე ფაქტორებიც, რომელთაც იოლად ვერ გავუმკლავდებოდით.

კონკრეტული არგუმენტების საფუძველზე ჩატარდა თბილისში მცხოვრები ჩეჩნების მასობრივი შემოვლა-დაკითხვა. ვიღაცას, ვინც სახლიდან გამოიყვანეს, ეს, მართალია, არ მოეწონებოდა, მაგრამ რომ გამოიყვანეს, გააფრთხილეს, — კანონს თუ კვლავ დაარღვევ, ზომებს ნამდვილად მივიღებთო. რა მოხდა, ვინმე დაიჭირეს, დახვრიტეს თუ რა? ყველაფერზე განცხადება ხომ არ უნდა გააკეთო?

**— საველე მეთაურების ანტიქართულ განცხადებებს გულისხმობთ?**

— დიახ. მაგრამ უდუგოვი გამოვიდა და თქვა, მე მსგავსი განცხადებები არ გამიკეთებიაო.

**— ფაქტობრივად, მკაცრი განცხადებები უდუგოვმა კი არა, დოკუ უმაროვმა გააკეთა, ასევე ულტიმატუმის ხასიათი ჰქონდა მასხადოვის განცხადებასაც, სადაც ის ქართულ მხარეს ურჩევს, ჩეჩენი პატიმრები რუსეთს არ გადასცეს...**

— ასეთი ჯიჰადი ჩვენ პანკისის ხეობაში ცხრაასი გამოგვიცხადეს, ვინც რას იტყვის, ყველასი თუ შეგვეშინდება... ვინ მოიგონა, რომ ჩეჩნებს ცუდი განწყობილება აქვთ ქართველების მიმართ? მათი განწყობილების შესახებ ჩემზე უკეთ იცის ვინმემ? ასეთი განცხადებები კი არა, ჩეჩნები აფხაზეთში გვეომებოდნენ. ვინც ნორმალური კავკასიელია, იცის, რომ მათთან მართალნი ვართ. ვერ გავიგე, როგორ მოვიქცეთ, სხვისი კრიმინალი არ შევაწუხო? ჩვენი არ გვეყოფა? როდესაც ვხედავთ, რომ რაღაცის გაკეთების ძალა გვაქვს, ვაკეთებთ კიდეც. არაკანონიერად თუ ვინმეს მოვექცევით, გვითხრან.

**— აღნიშნეთ, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა ადრეც გაგეკეთებინათ. დღეს კი თქვენი გააქტიურება და გამბედაობა რუსეთის მხრიდან ზეწოლას და მკაცრ განცხადებებს მოჰყვა.**

— არავის განცხადებებს არ ვუგდებ ყურს. იანვრის თვეში, პანკისში რომ ჩავედი შემომითვალეს, აბა, ცხვირი შემოყავი, თუ ბიჭი ხარო... ცხვირიც შევყავით და უფრო ღრმადაც შევედით. ფაქტია, რომ იანვრიდან რაღაცას ვაკეთებთ... ჩვენ გვქონდა სამხედრო პრობლემა ანუ პანკისში იმყოფებოდა 800 შეიარაღებული ადამიანი. როდესაც ისინი გავიყვანეთ იქიდან, გავააქტიურეთ მოქმედება ცალკეულ კრიმინალურ ჯგუფებთან. იქ ადრე რომ შევვარდნილიყავით, გიჟები უნდა ვყოფილიყავით. ამას ხომ ომი მოჰყვებოდა. იცით, ჩვენ „ჭრელი პეპლის“ სიტუაციაში ვართ. თუ ვაკეთებთ, რატომ აკეთებთო, თუ არ ვაკეთებთ, რატომ არ აკეთებთო. ადამიანები ვართ და ზოგჯერ ეს მოქმედებს კიდეც. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა და მას მივყვებით.

**— რამდენი დარჩა პანკისში იმ 800 კაციდან?**

— შეიძლება ითქვას, რომ 800-თან შედარებით აღარ არიან.

**— ოსეთსა და აფხაზეთში ხომ არ ელოდებით გართულებებს ამ მხრივ, ან ხომ არ არის მოსალოდნელი ამ უკონტროლო ტერიტორიებზე ახალი „ტერორიზმის ბუდეების“ გაჩენა?**

— ვფიქრობ, რომ ამ კუთხით უნდა გავააქტიუროთ ჩვენი პოლიტიკა. ცხინვალში შესვლასა და თოფის სროლაზე არ არის ლაპარაკი. კრიმინალები ცხინვალში არიან თავმოყრილნი, მათ შორის ბევრია სხვა კავკასიელიც. იტაცებენ მანქანებს, ადამიანებს. მართალია, პანკისის პრობლემა გარკვეულწილად მოიხსნა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა ცხინვალი... არ არის გამორიცხული, რომ იქ სხვა რანგის ტერორისტებიც იმყოფებოდნენ. ვიცით, რომ ნამდვილად არიან ადამიანების გამტაცებლები, რაც უკვე იგივე ტერორიზმია. რაც შეეხება უკონტროლო ტერიტორიებზე ტერორისტების ბუდეებს, ისინი უკვე არსებობს.

**— კონკრეტულად რა მასალების საფუძველზე ჩაატარეთ „ლაგოდეხის“ ოპერაცია, რუსულ მასალებზე დაყრდნობით თუ თავად მოიპოვეთ?**

— მასალები რუსულმა მხარემ მოგვაწოდა, ჩვენ თავის დროზე მათ გადავეცით დეკუშევი. დანარჩენებზე იყო გამოცხადებული ძებნა. ფაქტობრივად, ამ ჯგუფმა წინააღმდეგობა გაგვიწია... ჯგუფში მთავარი ფიგურა იყო ბაჩაევი, რომელიც მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების აქტიური მონაწილე იყო. ეს ხალხი საქართველოს პრობლემებს უქმნიდა.

**— როგორც ვიცით, თქვენ ეს ხალხი, მხოლოდ მას შემდეგ ნახეთ, რაც ისინი აფეთქდნენ. დარწმუნებული ხართ, რომ მანქანაში ნამდვილად ძებნილები იყვნენ, ან ყველა მათგანი ტერორისტი იყო?**

— სამწუხაროდ, მათ ორი ქისტი მხოლოდ ეხმარებოდა. ისინიც ტერორისტებთან ერთად დაიღუპნენ. როდესაც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევ სამართალდამცავს, უკვე დამნაშავე ხარ.

**— ჰქონდათ თუ არა ამ ხალხს საერთო საქართველოში ჩატარებულ ტერაქტებთან ან მძევლების გატაცებასთან?**

— გატაცებებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ შოუს ინციდენტთან მათ კავშირი აქვთ, თუმცა, რამდენად პირდაპირ იყვნენ დაკავშირებული ჯერ ვერ გეტყვით. არსებობს ვარაუდიც, რომ სწორედ ეს ჯგუფი შეეჩხა მაშინ გამტაცებელთა ჯგუფს შოუსთან ერთად *(ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა უშიშროების თანამშრომელ ოტიაშვილთან ინტერვიუში, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ „ტაშკენტა“, იგივე მექუდიშვილი თავისი მხლებლებით გადააწყდა შოუს გამტაცებლებს, რასაც მოჰყვა სროლა და „ტაშკენტას“ დაღუპვა. — რ.ხ.).* ალბათ ეს კავშირი მაინც შემთხვევითი იყო. ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო მოქალაქე რომ იარაღით მოძრაობს, მის მიმართ ცხადია, ზომები უნდა გამოიყენო. უამრავი იარაღი ჰქონდათ. ვიღაც იტყვის, ამათ ახლა თქვენ დაუყრიდითო. ასეთი რამის ინსცენირება არ ხდება.

**— რამდენადაც ცნობილია, ამ ხალხთან კავშირი ჰქონდა უშიშროების თანამშრომელ ოტიაშვილს, რომელიც შოუს საქმეში ფიგურირებდა.**

— ბუნებრივია, რომ თანამშრომლებს აქვთ ურთიერთობა კრიმინალებთან და კანონის დამრღვევებთან. თუ ამ სამყაროსთან არ გვექნა კონტაქტი, სხვანაირად ვერ ვიმუშავებთ. მთავარია თანამშრომელიც არ იყოს გარეული კრიმინალურ საქმიანობაში. შეიძლება რაღაცის პროვოცირება თანამშრომელს დასჭირდეს და ამისათვის პროკურატურა უნდა ჩააყენოს საქმის კურსში. ეს არის ჩვეულებრივი ოპერატიული ღონისძიება, გნებავთ თამაში. აბა თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მივალთ კრიმინალებთან, ვეტყვით, დაპატიმრებული ხართო, ხელბორკილს ეგრევე დავადებთ და წამოვიყვანთ?

**— ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამ ოპერაციამ გაამართლა და დამნაშავეთა ერთი ჯგუფი ლიკვიდირებულია? მაგრამ პიტერ შოუს გამტაცებლების პოვნის საქმე როგორ არის?**

— ლონდონში წავიდა ჯგუფი, ერთი კაცი პროკურატურიდან, ერთი შსს-დან და ერთიც — ჩვენგან.

ლონდონში 7000 გატაცებაა წელიწადში და იმავე ლონდონში პოლიციას შესანიშნავი სამუშაო შესაძლებლობები აქვს. ტერიტორიები არ აქვს დაკარგული, მაგრამ რაც მაგას სჭირს ირლანდიაში, ცოტას ნიშნავს? ღმერთმა ნუ ქნას და, აქ თუ უფრო გართულდა სიტუაცია, არ არის გამორიცხული, ჩვენ მაინც დავაყენოთ საკითხი საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ.

**— რამდენად სერიოზულად თვლით, რომ შოუ აქ იყო და დასაკითხად იქით უნდა ვესტუმროთ?**

— არ მოისურვა ამ კაცმა აქ გაჩერება, წავიდა და როგორ უნდა დამეკავებინა. სკანდალი ატყდებოდა. ინგლისის საელჩომ საკმაოდ მკაცრად გამომიცხადა, უნდა წავიდეს შოუ ინგლისშიო.

**— არსებობს ვერსია, რომ ახლა ლიკვიდირებული პიროვნებები პიტერ შოუს ნამდვილ გამტაცებლებთან კავშირში იყვნენ და ისინი, როგორც მოწმეები, უკვე ჩამოშორებულნი არიან...**

— ამაზე მაშინ გიპასუხებთ, როცა დავიჭერთ პიტერ შოუს გამტაცებლებს... ღმერთმა ქნას, იმდენი მოვახერხოთ, რომ სასამართლომდე მივიყვანოთ ეს საქმე, იმიტომ რომ ვფიქრობთ, ცოტა ძნელი იქნება ამის გაკეთება. მერე ვილაპარაკოთ საერთოდ შოუს საქმეზე.

**— ე.ი. გამტაცებელთა დაკავება უფრო იოლია, ვიდრე მათი სასამართლომდე მიყვანა?**

— ძალიან ძნელი იქნება ეს, თუ მოწმე არ გვეყოლა. ჩვენთან საშინელი სიტუაციაა, მოწმედ არავინ გვიდგება. სხვათა შორის, კანონში გვიწერია ერთი აბსურდი — თურმე თუ მტკიცებულება კანონდარღვევით არის გაკეთებული, ის მტკიცებულება არ არის. მაგრამ ბუნებაში მტკიცებულება ხომ არ ქრება, ამიტომ ხომ არ შეიძლება, რომ ჩვენი ფორმალიზებული პროცესის გამო დაშალო ნებისმიერი საქმე. ჩვენებმა 69 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი დააკავეს. როდესაც დალუქეს, დამსწრეები ის ხალხი იყო, ვინც გახსნის დროსაც დაესწრო. კანონის მიხედვით — ეს პროცესუალური დარღვევაა. სასამართლომაც განაცხადა, მტკიცებულება კანონის დარღვევით არის მოპოვებულიო და გამოუშვა ის ხალხი. ისინი მართალნი არიან იმიტომ, რომ კანონის ფორმალურ მოთხოვნებს იცავენ, მაგრამ საქმე რომ ფუჭდება? ჩეჩნები რომ დააკავეს გირევთან, იქაც, წესით, ფორმალურად იარაღის ამოღება უნდა ჩატარებულიყო, რასაც დამსწრეები უნდა ჰყოლოდა. გირევის სასაზღვრო პოსტზე სად უნდა მოეძებნათ ნეიტრალური დამსწრეები? ისინი შეიარაღებულნი იყვნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ, ანგელოზებივით კი არ გადმოცვენილან ჩვენს საზღვარზე. სად უნდა ეძებნათ მაშინ ლამის საომარ სიტუაციაში ნეიტრალური დამსწრეები? სასამართლომ შეიძლება ამის შემდეგ თქვას, პროცესუალური დარღვევით არის ამოღებული ეს იარაღიო, ე.ი. მათ იარაღი არ ჰქონდათ. ასე შეიძლება მაგ ჩეჩნების დამკავებლები გაგვიხდნენ დასასჯელნი, თუ ამ საკითხს ფორმალურად მივუდგებით. ნატახტართან მომხდარი ინციდენტიც გემახსოვრებათ (ლაპარაკია ნატახტართან დაკავებულ იარაღზე, რომელზეც შემდეგ დავით შენგელიამ განაცხადა პრეტენზიები). თუმცა, ინფორმაცია მაქვს, რომ დაკავებულები შეიძლება გამოუშვან. რამდენადაც ვიცი, ექსპერტიზამ უვარგისად ცნო ის იარაღი. სად უნდა ეძებნათ მაშინ ნეიტრალური დამსწრეები?

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, გამოცხადდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა?**

— ვფიქრობ, ეს არ მოხდება იმის გამო, რომ ამის პოლიტიზირება არ მოხდეს. აი, უკვე ჩემს ნათქვამს კუდებს აბამენ. ვიმეორებ, საგანგებო მდგომარეობა ეს არის სიტუაცია, რომლის დროსაც აქტიური მუშაობის საშუალება იქმნება ჩვენთვის, თუმცა, ადამიანის უფლებები უფრო იზღუდება. ამიტომ როგორმე უნდა გავიჭირვოთ და არსებული კანონმდებლობის საზღვრებში არასაგანგებო სიტუაციის ფორმატში უნდა ვიმოქმედოთ.

**— თუ ამ კვირას უარესი კვირები მოჰყვა, რა მოხდება?**

— რითი იყო ეს კვირა ცუდი?

**— გატაცებების მთელი სერიალი იყო.**

— ლონდონში 7000 გატაცებაა წელიწადში და იმავე ლონდონში პოლიციას შესანიშნავი სამუშაო შესაძლებლობები აქვს. ტერიტორიები არ აქვს დაკარგული, მაგრამ რაც მაგას სჭირს ირლანდიაში, ცოტას ნიშნავს? ღმერთმა ნუ ქნას და, აქ თუ უფრო გართულდა სიტუაცია, არ არის გამორიცხული, ჩვენ მაინც დავაყენოთ საკითხი საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ.

**— როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის სიტუაციის გართულება დაკავშირებული წინა კვირის მოვლენებთან — ნავთობსადენთან, ევროსაბჭოსა თუ ნატოში გაერთიანებასთან?**

— ყველა საბაბი, საფუძველი თუ ნიადაგი გამოყენებადია და იყენებენ ძალები გარედან თუ შიგნიდან, ვისაც დესტაბილიზაცია სურს. ოპოზიციური ლოზუნგი, — რაც უფრო ცუდად იქნება საქმე, მით უკეთესად ვიმოქმედებთ ხელისუფლების წინააღმდეგო — გაუმართლებელია. ეს ქვეყანა თუ აირია, მისი დამლაგებელი აღარავინ არის და ვინც დღეს ურევს და ჰგონია, რომ ამ ხელისუფლების გადაგდების შემდეგ მოვა და რამეს გააკეთებს, არა მგონია, სწორი იყოს. ვნახეთ, ოპოზიცია, ვინ რისი გამკეთებელია, ვინ არის ახლა ისეთი ძალა, ვისზეც იტყვი, ესენი არ ყოფილან და მოვსინჯოთო. ყველა იყო ხელისუფლებაში.

**— გამოსავალს რაში ხედავთ? რაშიც ვერ ხედავთ, ეს უკვე გასაგებია.**

— საქმის კეთებაში ვხედავ გამოსავალს. ანუ რეალურად უნდა ვაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია. ამ ბოლო პერიოდში პანკისი კი ამოუვიდა ზოგს ყელში, მაგრამ რაღაც ხომ გავაკეთეთ? რუსეთი ხომ აღარ უსვამს მკვეთრად ხაზს პანკისის და ტერორისტების თემას.

**— სამაგიეროდ, ახალ თემას მოამზადებს.**

— ჰოდა, სანამ ის მაგ თემას მოამზადებს, მანამ ჩვენ იმ თემის ჩასაგდებად უნდა მოვემზადოთ. მოდით, „ზოგი ჭირი მარგებელიას“ მიხედვით გამოვიყენოთ რუსეთის „მითითებანი“, რომ პრობლემები აღარ გვქონდეს.

**— თქვენ, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, თითქმის სიტუაციების ამრევად მოიაზრეთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ისინი ეწევიან თავად მანიპულირებას მომგებიანი თემებით, იგივე ბორჯომის და ნავთობსადენის და ა.შ.**

— ვფიქრობ, მათი ნაწილი ამას აკეთებს თავისი აზრით, წრფელი გულით, მეორე ნაწილი ამას აკეთებს ხელის შეშლის მიზნით და მესამე ნაწილი პირდაპირ იმართება უცხო ქვეყნებიდან. თვითონ ხომ უყვარეს კენჭი, ხომ მიიღეს, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველამ დაიწყო თავისთვის მომგებიანად ვაჭრობა. ამას, იცით, რად აკეთებენ? პრობლემა რომ შეიქმნას და სალაპარაკო ჰქონდეთ. არავინ ფიქრობს იმაზე, იქ პროექტის განხორციელებისას რამდენი რისკია გასათვალელი.

***(გაგრძელება იხ. გვ. 4)***

# „არავის განცხადებებს არ ვუგდებ ყურს!“

## გამოცხადდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა?..

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

ჯერ ერთი, იქ სამი ქვეყნის სასაზღვრო მონაკვეთი ერთდება, თურქი მესხების პრობლემაა, ეთნიკური მომენტებიც არის, ბაზის საკითხიც დგას, ამერიკელებმა ამ რისკების განხილვისას თქვეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქ გზა მოკლეა, გვირჩევნია მეტი გადავიხადოთ და მშვიდობიან გზაზე ვიაროთო. ახლა რაც გაკეთდა, ის ამერიკელებისთვისაც მისაღებია და ჩვენთვისაც; თუმცა, ორივე შემთხვევაში რისკია.

**— ბატონო ვალერი, ჩვენ ურთიერთობები გვაქვს კავკასიელ ხალხთან, სადაც დღემდე წესად არის სისხლის აღება, ჩეჩნებთან ურთიერთობაში ალბათ ამიტომაც გვმართებს განსაკუთრებული მიდგომა. არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი, რითაც ამ საკითხს დავარეგულირებთ?**

— სწორედ ამ საკითხის გათვალისწინებით ვცდილობდით, რომ პანკისში უსისხლო ოპერაციები ჩაგვეტარებინა. იქაც და აქ ჩამოსულებსაც კი ზოგიერთი გვეუბნებოდა, ეგ რა ოპერაციაა, კაცი არ მოგიკლავთ და არ დაგიჭრიათო. არ მოვკალით იმიტომ, რომ გართულებებს მოვერიდეთ და ომის დაწყების საშუალება არავის მივეცით, ახლა კი კრიმინალს და ტერორისტს, ყარაჩაელი იქნება თუ ქართველი, ცხადია, თუ სასროლია, ვესვრით და დავიჭერთ და საზოგადოებაც მხარს დაგვიჭერს. მართლაც არსებობს რაღაც საფრთხეები, მაგრამ წინასწარ კარგად დაგეგმილი ოპერაციებით მათი აცილება შეიძლება და საქმეში საფრთხის გამო შიში არ შეიძლება. ძალიან კარგად იცოდნენ საფრთხის შესახებ ნიუ-იორკშიც, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა. ჩეჩენი ხალხი არა მგონია, უკმაყოფილო ან უმადური იყოს იმის გამო, რაც ქართველებმა გაუკეთეს. ოპერატიულად ვმუშაობთ, უმაროვის განცხადების შესახებ რომ გავიგეთ, გადავამოწმეთ და მან ჩვენთან უარყო ინფორმაცია. ჩეჩნებთან გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რითაც მდგომარეობა არ რთულდება და თითო ტვინგაყინული ყველას ჰყავს. ამნაირებთან გამოსავალი კი ის არის, რომ ბოლომდე უნდა გაეყინოთ ტვინი. „მგელის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია“.

**— პატიაშვილის მიერ აფრიალებულ (გრიფით — „საიდუმლო“) დოკუმენტზე რას იტყვით?**

— იცით რა, იმ დოკუმენტს ისეთი ფორმა ჰქონდა, რომლის ამოღებაც ნებისმიერი კომპიუტერიდან შეიძლება და შემეძლო მეთქვა, ამას არ ვცნობ-მეთქი. მაგრამ ვთქვი, რომ ასეთი დოკუმენტაციის მომზადება სულაც არ იყო დანაშაული. როცა ის ჩემთან ხელმოსაწერად მოიტანეს, მაშინვე მოვითხოვე იქიდან რიგი წინადადებების ამოღება. არ გვინდა ეს, სხვა რამეს მივხედოთ-მეთქი. მაშინ სხვა უამრავი პრობლემა იყო. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ასე, გვერდზე გადადებული დოკუმენტები... და საერთოდ, ოპერატიული სამძებრო საქმიანობის კანონში არის უზარმაზარი სისულელეები, მის ავტორს გია მეფარიშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ეს კანონი აბსურდულია. მასში უამრავი ნიუანსია არასწორი.

ისე, ეს საიდუმლო დოკუმენტი არ არის. თუმცა დაახლოებით ვიცი, ვინც არის მისი გამტანი და მოკვლევის შემდეგ დამნაშავეს აუცილებლად დავსჯით.

**— სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა პრობლემაა?**

— დიახ. ეს ძალიან ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რაზეც დიდი თანხები იხარჯება. ელემენტარულ რამეს გეტყვით, სახელმწიფოს უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოებში ნახავთ ბლანკებს, უბრალო ქაღალდებს, რომელთა გაყალბებაც თავისუფლად შეიძლება. ამ მხრივ საქმე აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ისევ ოპერატიული სამსახურების შესახებ კანონს დავუბრუნდები. იქ წერია: სასამართლოში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში არ შეიძლება გყავდეს აგენტურა. აბა, დეზერტირების ბაზარში ვის რაში სჭირდება აგენტურა? პროკურატურაშიც არ შეიძლება? ხვალვე შექმნის დაინტერესებული სპეცსამსახური პოლიტიკურ პარტიას, თავისი ხალხი ეყოლება შიგნით. მე უფლება არ მექნება მუშაობის და რაც უნდათ, იმას გააკეთებენ. ჩემი ფუნქციაა კანონის ფარგლებში ვიმუშაო. კანონები უნდა იქნეს წესიერად შედგენილი და მერე, ვისაც რა უნდა, ის აფრიალოს.

***დაჩი გრძელიშვილი***
***რუსუდან ხუბულავა***


# უკვე გამოვიდა!





## ჩვენ გვწერენ — გამოხმაურება

**გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (2002წ. №45)** გამოქვეყნებულმა ნანა ქიბიშაურის წერილმა, რომელიც ზუგდიდში სამთავრო სასახლის გვერდით მიმდებარე მშენებლობას შეეხება და სადაც საუბარი ჩვენი ქვეყნის უწარჩინებულეს და ჩვენი კუთხის უდიდებულეს დადიანების გვარს შეეხო, ამ გვარის წარმომადგენლების არცთუ უსაფუძვლო უკმაყოფილება გამოიწვია. არადა მერწმუნეთ, მათი წყენინება აზრადაც არ მომსვლია.

სინამდვილეში იმ სიტყვებში, რამაც დადიანების აღშფოთება გამოიწვია, ვგულისხმობდი შემდეგს: ამას წინათ დაიბეჭდა მეცნიერის, აბესალომ ტუღუშის გამოკვლევის — „მეგრული გვარების ისტორიის“ შესავალი, სადაც შესაშური მეცნიერული საბუთიანობითაა ახსნილი თავადური გვარების გააზნაურება-გაგლეხების მიზეზები, დადგენილია, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ მავანნი გვარისანი, თავადებიც იყვნენ, აზნაურებიც და გლეხებიც.

მე, სამეგრელოს შვილი ვარ, ჩემს კუთხეზე და სრულიად საქართველოზე უზომოდ შეყვარებული კაცი და დადიანებისადმი მეც, როგორც ნებისმიერ მეგრელ კაცს, ქვეშევრდომული მოწიწება დღემდე თან მსდევს. საკუთარი სამეფო და სამთავრო გვარის შეურაცხყოფა საკუთარი ერის, ქვეყნისა და ოჯახის შეურაცხყოფაა, რაც, ბუნებრივია, არც მიფიქრია, შესაძლებელია სიტყვა უნებურად გამექცა.

იმედია დიდი ცოტნეს, დიდი ლევან II-ის, დიდი ნიკოს და სულკურთხეული დავით დადიანის სულები მომიტევებენ ამ გაუგებრობის გამო. ჩვენს თანამედროვე დადიანებს კი, მცხოვრებთ საქართველოში, ამერიკაში, ავსტრიაში, საფრანგეთსა და სხვაგან, ბოდიში მინდა მოვუხადო იმისთვის, რამაც მათი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

***ზუგდიდის ქალაქის გამგებელი***
***ტარიელ ქანთარია***



# შემთხვევა სამარშრუტო ტაქსიში, ანუ რამ შეიძლება გაახალისოს სევდიანი მგზავრები...

გაყინულ ქალაქში ყველას სადღაც ეჩქარება. დადიან აბუზულები, სევდიანი სახეებით — სცივათ და დროზე უნდათ თავი შეაფარონ ჩაბნელებულ სახლებს, იქნებ სულ ცოტა სიმყუდროვე მაინც იპოვონ, დამშვიდდნენ, სული მოითქვან. უკვე მეთორმეტე თუ მეცამეტე წელია გრძელდება ზამთრის დეპრესიის სინდრომი და ზაფხულის განმავლობაში დაგროვილი ენერგია დეკემბრის პირველსავე დღეებში ილევა... რა გაძლებს კიდევ სამ გათოშილ თვეს...

სამარშრუტო ტაქსიში ყველა თავისას ფიქრობს. სხედან ჩუმად და სევდიანად გაჰყურებენ ჩაბნელებულ სივრცეს — მხოლოდ ფარების შუქი რომ ანათებს მოძრავი ლამპიონებივით.

— დედა, დღეს აღარ მამეცადინო, რა! — უცებ ხმამაღლა აპროტესტებს ერთი ციდა გოგო და ყველას ყურადღებას იქცევს...

— ცოტას დაისვენებ და იმეცადინებ! — ხმადაბლა ეუბნება დედა და ანიშნებს, ნუ ხმაურობ, უხერხულიაო...

— ოო! — თავისას არ იშლის გოგონა — ხვალ სკოლაში მაინც არ მივდივარ, თოჯინების თეატრის დღე მაქვს... ერთხელ ხომ მაინც შეიძლება დროზე დავიძინო!

— აბა რა! არაფერიც არ იმეცადინო! — საუბარში ერევა სიმპათიური, ხანში შესული მანდილოსანი... რა საზიზღრები არიან ეს მასწავლებლები, როგორ შეიძლება ამდენი დავალების მიცემა ყოველდღე. ჯერ ხომ დიდი არ ხარ, არც კი მეგონა სკოლაში თუ დადიოდი...

— მართლა საზიზღრები არიან... ლექსი მაქვს სასწავლი, ცხრიანები უნდა გამოვწერო, ხვალ კიდევ რუსულიც მაქვს... არც რუსულზე წავალ, რა დედა!.. — ისევ დედას მიუბრუნდა პატარა...

— ანი, უხერხულია! — გაუმეორა დედამ წყნარად...

— დედა, როგორ მიყვარს ეს სახელი, ძალიან გიხდება! — ისევ გააგრძელა ხანში შესულმა ქალბატონმა. — არც რუსული იმეცადინო. მე ვთხოვ და დღეს დედა დაგასვენებს.

— რა კარგი ბებია ხარ, წამოდი, ჩვენთან იცხოვრე... — სიხარულით აენთო თვალები პატარას...

მგზავრები გამოცოცხლდნენ — აქაიქ სიცილიც გაისმა...

— დიდი სიამოვნებით წამოვიდოდი, ანი, მაგრამ გივი ბაბუ ვისთან დავტოვო, ცოდოა, მარტო ხომ არ იცხოვრებს?! — გაეცინა ქალს და გვერდით მჯდომ მამაკაცზე, როგორც ყველა მივხვდით — თავის მეუღლეზე, მიუთითა. კაცსაც გაეცინა...

— ჰო, მარტო ცოდოა, — თავიდანვე არ მიიპატიჟა ანიმ უცხო კაცი... — ზეგ ინგლისურიც მაქვს...

— დედა, თურმე როგორ გაწამებენ, რა დროს შენი ინგლისურია! — არ ცხრებოდა ქალი...

— აბა, მეც მაგას არ ვამბობ? — მთელი ხმით იყვირა ანიმ, — მაგრამ ვერაფერი გავაგებინე ჩემს მშობლებს!..

უკვე ყველა გულიანად ხარხარებდა. ყველაზე პირქუშმა მგზავრმაც კი, რომელიც ყოველ დამუხრუჭებაზე ბუზღუნებდა, შუბლის გახსნა ინება... ანის დედასაც გაეცინა.

— სკოლა, ინგლისური, რუსული! — რა ამბავია?

— მე კიდევ ცურვაზე და ხატვაზეც დავდივარ!

— რას მელაპარაკები...

— მარტო ხატვა მიყვარს, დანარჩენი კი არა!..

— არა ბებო, ასეც არ შეიძლება, რომ გაიზრდები, ყველაფერი უნდა ისწავლო, მაგრამ ახლა პატარა ხარ, ცოდო ხარ...

— ეჰ, ნეტა ჩემი ბებია იყო!

— რას ხატავ ხოლმე?..

— ყვავილებს, თოჯინებს, სახლებს, მიკი მაუსის დახატვაც ვიცი, იმ დღეს მამამ „ნუკაბაძის“ მგელი დამიხატა...

— მოდი, ანი, ერთ დღეს ჩემთან დაგპატიჟებ და გივი ბაბუს ნახატებს



გაჩვენებ...

— გივი ბაბუც ხატვაზე დადის? — გაკვირვებისგან თვალები გადმოუცვივდა ანის...

— არა, გივი ბაბუ უკვე მხატვარია, — ხარხარში ჩაიკარგა ქალბატონის სიტყვები.

— რას ხატავს?

— ხან რას, ხან რას... მოდი და შენც დაგხატავს...

— წამოდით, ჩვენთან იცხოვრე და გივი ბაბუც წამოიყვანეთ — ერთიორად ამაღლდა გივი ბაბუ ანის თვალში.

— ცხოვრებით ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ ჯერ შენ გვესტუმრე, მერე ჩვენ გესტუმრებით და ასე... ვიმეგობროთ...

— კარგი, მაშინ ტელეფონს მოგცემთ და ჩაიწერეთ!

— ჩავიწერ, აბა რას ვიზამ! — თქვა ქალმა და ჩანთიდან კალამი და ბლოკნოტი ამოიღო...

— გივი ბაბუ, იცით, რა კარგი ნახატები მაქვს! ყველაფერს გაჩვენებთ...

— აბა რა... უნდა აჩვენო! თუ ღმერთმა ინება და იქამდე ვიცოცხლეთ, შენ რომ დიდი გოგო გაიზრდები, სამხატვრო აკადემიაში თუ გადაწყვეტ ჩაბარებას, მაშინაც მოგეხმარება გივი ბაბუ...

— რა არის აკადემია? — იკითხა გაოგნებულმა ანიმ. პასუხი რომ ვერ მიიღო, ხმამაღლა დაიწყო ტელეფონის ნომრის კარნახი — ცხრა, ხუთი, სამი...

— აქ გამიჩერეთ... — მიმართა მძღოლს ხანში შესულმა ქალბატონმა...

— მიდიხართ? — გული დასწყდა ანის...

— აუცილებლად დაგირეკავ და დაგპატიჟებთ...

— ერთი წუთით, არ წაიყვანოთ მანქანა რა! — წამოიძახა პატარამ და ჯერ გივი ბაბუს ჩამოეკიდა კისერზე, მერე მის მეუღლეს...

— თქვენი გადახდილია — მიმართა გივი ბაბუმ ანის დედას...

— თქვენი გვარი მაინც მითხარით — ესღა მოახერხა ანის დედამ.

— გივი ბარბაქაძე, — უპასუხა ხალისიანმა ქალბატონმა, ანის კიდევ ერთხელ აკოცა და სიბნელეში გაუჩინარდა...

— დედა, დამირეკავს? — სევდიანად ჩაილაპარაკა ანიმ...

მგზავრები მიყუჩდნენ... ისევ საკუთარ საფიქრალს მიუბრუნდნენ, მაგრამ სიბნელე და სიცივე ისე აღარ აწუხებდათ...

***ეკა მახარაშვილი***




## გამომცემლობა «ფავორიტი»

გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა, სასკოლო მელნით დაბეჭდილ რვეულებს, შეღავათიან ფასად

რვეულები შეგიძლიათ შეიძინოთ სავაჭრო ქსელში. ბითუმად შემძენის მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქიზიყის ქ. №20.

ტ: 26-10-13; 899 58-96-91

# „კიტოვანი ბერეზოვსკისკენ იქნევს მათრახს...“

## ელენე თევდორაძე თენგიზ კიტოვანს მოსკოვში შეხვდება...





ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი სკანდალურ განცხადებებს აკეთებს და ჟურნალისტებთან შეხვედრებს მართავს. კახი ასათიანის მკვლელობის მეორე თუ მესამე დღეს, მან ელენე თევდორაძეს დაურეკა და მკვლელობის შემკვეთისა და შემსრულებლის ვინაობა შეატყობინა. სხვათა შორის, დეკემბრის შუა რიცხვებში კიტოვანი ამ მკვლელობასთან დაკავშირებით თევდორაძისთვის რაღაც დოკუმენტაციის გადაცემას აპირებს. ვის დაკვეთას ასრულებს თენგიზ კიტოვანი, ან ასრულებს თუ არა, ამას დრო გაარკვევს. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „კვირის პალიტრა“ **ელენე თევდორაძეს** ესაუბრა.

— **ქალბატონო ელენე, გასულ კვირას, „აირზენას“ ოფისში, შეიძლება ითქვას, საიდუმლო შეხვედრა გქონდათ კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. რაზე ილაპარაკეთ და რა დეტალებმა წამოიწია წინ?**

— „აირზენას“ ოფისში ჩვენ ორი შეხვედრა გვქონდა. თამაზ გაიაშვილმა მიგვიწვია. იქ იყვნენ ასათიანის ოჯახის წევრები და ის პოლიტიკოსები, ვისი მიწვევაც საჭიროდ მიიჩნიეს. კერძოდ: გოგი თოფაძე, რომან რურუა, ზურაბ ტყემალაძე, აკაკი ასათიანი, ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე და ირაკლი ჩუბინიშვილი. ოჯახი შეშინებულია — არ გაგრძელდეს მათი შევიწროება ან ღმერთმა ნუ ქნას, მკვლელობის სერიალი. წუხან, რადგან ცხელ კვალზე არ გაიხსნა საქმე, ის თანდათან მივიწყებას მიეცემა და რჩევას გვთხოვდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევიკრიბეთ. მეორე შეკრებას უკვე სპორტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საბოლოოდ, მივედით დასკვნამდე, რომ კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება პოლიტიზებული არ უნდა გახდეს. გადაწყდა, რომ 12 დეკემბერს, კახი ასათიანის დაბადების დღეს, საზოგადოების საინიციატივო ჯგუფი გამართავს შეკრებას, სადაც პირველი მოთხოვნა იქნება საქმის გახსნა, დამნაშავეთა დაკავება და დასჯა.

— **ვიცი, რომ შეხვედრას არ ესწრებოდა „აირზენას“ პრეზიდენტი თამაზ გაიაშვილი, რატომ?**

— მან გაგვაფრთხილა, რომ ერთი თვე საქართველოში არ იქნებოდა, ისე, პირველად მისი თაოსნობით შევიკრიბეთ.

— **ამ მკვლელობასთან დაკავშირებით თენგიზ კიტოვანმა დაგირეკათ. იქნებ დღეს მაინც გვითხრათ, რა ვერსიებზე გელაპარაკათ?**

— სხვათა შორის, პირველად რა ვერსიაც წამოაყენა, იმაზე გუშინწინაც დამირეკა. მითხრა, რომ მოსკოვში ჩაატარა პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ავტორიტეტული გაზეთების ჟურნალისტები, ვერსია გაავრცელა ინტერნეტით, სადაც გვარებს ასახელებს. არ მინდა, რომელიმე გვარის გამეორება. ამბობს, ეს მკვლელობა ჩეჩნების ხელით არის ჩადენილიო. რა საბუთს ეყრდნობა, ვერ გეტყვით. 17 დეკემბერს მოსკოვში პარტია „ერთიანი რუსეთი“ ატარებს საერთაშორისო კონფერენციას — „საით მიდის საქართველო“, სადაც მიწვეული ვარ. კიტოვანი დამპირდა, რომ მოსკოვში შემხვდება და რაღაც დოკუმენტებს გადმომცემს ამ მკვლელობასთან დაკავშირებით.

— **ვიცი, რომ ის მკვლელობის დამკვეთებად პატარკაციშვილსა და ვანო ჩხარტიშვილს ასახელებს. აქვს რაიმე დამამტკიცებელი ან ხელჩასაჭიდი საბუთი?**

— ამაზე არ გვისაუბრია... ისე, ჩეჩნების ხელით მოკლესო, რომ მითხრა, ძალიან გამიკვირდა, ბევრიც ვიფიქრე ამ საკითხზე და გარკვეული დასკვნა გამოვიტანე. ამბობენ, ბერეზოვსკიმ, დუდაევის დროს, როდესაც ელცინის წარმომადგენელი იყო გროზნოში, ძალიან დიდი თანხა მიითვისა. გარდა ამისა, რუსული მედიის აზრით, ბერეზოვსკის კავშირი აქვს ჩეჩენ ბოევიკებთან და ტერორისტებთან. როცა ყველაფერი გავაანალიზე, მივხვდი, კიტოვანი ბერეზოვსკისკენ იქნევს მათრახს. ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი მოკავშირეები არიან. ჩნდება ეჭვი: ხომ არ თამაშობს კიტოვანი რუსეთის დაკრულზე და ეს სულაც რუსეთის შეკვეთილი ვერსიაა? ის ცხოვრობს რუსეთში და არ ვიცით, რა წრეში ტრიალებს...

— **ქალბატონო ელენე, კიტოვანის ვერსიას — ასათიანი ჩეჩნების ხელით მოკლეს, ხომ არ უკავშირდება გასული კვირის ბოლოს ჩეჩნების მასობრივი დაპატიმრება, ხიზრი ალდამოვის, ასევე სხვა ჩეჩნების ოჯახებში ავტომატის ძებნა?**

— არა მგონია. ამის გამო დავურეკე შს მინისტრის მოადგილეს ზურაბ ჩხაიძეს. მან ამიხსნა, — ეს არის შს და უშიშროების სამინისტროების ერთობლივი ოპერაცია და უკავშირდება საპასპორტო რეჟიმის გამკაცრებას. ჩემთვის ეს პროცესი გასაგებია, მაგრამ, როცა ასეთ დროს ხდება ადამიანის უფლებებისა და კანონის უხეში დარღვევა, ეს ყველაფერი ჩეჩნებისა და ქართველების დაპირისპირებას უფრო ემსახურება და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

— **სხვა თემასაც მინდა შევეხოთ. ეს ეხება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას. მოგეხსენებათ, ამ პოსტზე „აღორძინებამ“ ფირმა „ომეგას“ პრეზიდენტის მეუღლის, ნატო ჩხეიძის კანდიდატურა წამოაყენა, ანუ თუ პარლამენტმა მას მისცა ხმა, თქვენ აღარ იქნებით ამ პოსტზე.**

— ჩემი მხრიდან რაიმეს თქმა უხერხულია. ნატო ჩხეიძე ჩვენი კომიტეტის წევრია, თუმცა მისი დასახელება ჩემთვის მოულოდნელი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ქალბატონი ნატო კომიტეტში ინტენსიურად და აქტიურად არ მუშაობდა, სხდომებს ხშირად აცდენდა. მაგრამ, როდესაც „სიტყვის თავისუფლების“ კანონპროექტზე ვმუშაობდით, ბევრი საინტერესო მოსაზრება შემოგვთავაზა. კანდიდატად მეც წარვადგენ ჩემს თავს. სხდომაზე აუცილებლად მოვითხოვ თუნდაც სიტყვას და მოვახსენებ პარლამენტს — რა გაკეთდა კომიტეტის თავმჯდომარედ ჩემი ყოფნის დროს. გახსოვთ, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარეების გადადგომა მოითხოვეს, ჩემს კომიტეტთან არანაირი პრეტენზია არ ჰქონიათ. თუმცა ფრაქციების განწყობა ჩემი გადადგომის შემდეგ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური თამაშია. შემდეგ ზურაბ ჟვანიამ ახალი პარტია შექმნა და ისინი ცდილობენ, ჟვანიას წამოყენებული ნებისმიერი კანდიდატი დაბლოკონ. ორი სახელისუფლო ფრაქციის — „აღორძინებისა“ და ცენტრალური ხელისუფლების მხარდამჭერები ხმას მე არ მომცემენ. ეს გასაგებია, რადგან, როცა საქმე ადამიანის უფლებებს ეხებოდა, მე ხელისუფლების და ასევე „აჭარის“ ოპონირებით გამოვდიოდი; მაგრამ მე ვრჩები ამ კომიტეტში, ვრჩები დეპუტატად, ჩემს აზრს არასოდეს ვუღალატებ და მაინც დავაფიქსირებ. მით უფრო, რომ ჩემი იმიჯი ხალხში უკვე მაქვს. მახსოვს, ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელმა, როცა ვუთხარი, გაგიგებთ კი ხალხი, ელენე თევდორაძის კანდიდატურა რომ ჩააგდოთ-მეთქი, მიპასუხა: ამ ქვეყანაში ვინ უსმენს ხალხსო. მართლაც ხელისუფლება უკვე დიდი ხანია ხალხს არ უსმენს და ამიტომაც ვიყავი ყოველთვის ამ კრიმინალური ხელისუფლების ოპონენტი.

— **ქალბატონო ელენე, ჩვენი ინტერვიუს დროს გია ჭანტურია გესტუმრათ. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით მოსახლეობის რაიმე საჩივარი ხომ არ შემოსულა თქვენთან?**

— რამდენიმე ხნის წინ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის კავკასიის რეგიონული კოორდინატორი, მანანა ქოჩლაძე გვწერდა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა ადამიანის უფლებებს ლახავსო. ჩიოდა — ხალხი უკმაყოფილოა, პროექტის სპონსორები არასრულყოფილად ასახავენ მიწის კომპენსაციას, ელექტროენერგიით მომარაგებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და დასაქმებას. გია ჭანტურიას ვთხოვე კომენტარი. აღმოჩნდა, რომ ლაპარაკია სათეს-სახნავ მიწებზე, სადაც უნდა გაიაროს ნავთობსადენმა. სამი წლის განმავლობაში მოსახლეობა კომპენსაციას მიიღებს უცხოელებისგან და არა ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, შეთანხმებისამებრ, წალკის რაიონში გაიყვანენ წყალს. ყველაფერს დაიანგარიშებენ საბაზრო ევროპული ფასებით...

— **რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— ერთ კაცს 2 ათას ხუთასი დოლარი ერგება. არ ვგულისხმობ ოჯახს. ამიტომ დავმშვიდდი და შევთანხმდით, რომ კიდევ ერთხელ ჩავალთ წალკაში და შევხვდებით მოსახლეობას.

— **გასულ კვირას გეგუთის კოლონიაში ყოფილმა მეომრებმა გამოაცხადეს შიმშილობა. მეომრების შეწყალება უკვე განხორციელდა, მაგრამ გარკვეული ნაწილი ისევ ციხეში ზის. რატომ?**

— ეს იყო გია ყარყარაშვილის ინიციატივა. მან უდიდესი შრომა გასწია. ყველას შეხვდა. გაარკვია, — ვინ იყო ნამდვილი მეომარი, ვის ჰქონდა ყალბი საბუთი და ა.შ. საბოლოოდ, 173 კაცი აღმოჩნდა მეომარი პატიმარი. პრეზიდენტის სახელზე მომზადდა შუამდგომლობა, რაზეც ხელი მოვაწერეთ. ვისაც შედარებით მსუბუქი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, 59 კაცი შეიწყალეს. აქედან 19 გათავისუფლდა პირობითად, 25-ს დარჩენილი ვადა გაუნახევრდა და 15-ს ერთი ან ორი წელი დააკლეს. დანარჩენს უარი ეთქვა. ვინც უარი მიიღო, ისინი შიმშილობენ.

*მარინა მამისაშვილი*



# „ყველა ღორის უკან დიდი ხალხი დგას“



ვინ კურირებს თბილისის ნაგავსაყრელებზე გაზრდილი ღორების ბიზნესს?!

გულწრფელად მჯეროდა, სახელმწიფო ვეტერინარს, ინსპექტორ ვლადიმერ გვარჯალაძეს, რომელიც ამასთანავე ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეცაა, ჩემგან მიწოდებული ინფორმაცია გააკვირვებდა და აღაშფოთებდა კიდეც. გვარჯალაძეს კი ის ვაცნობე, რომ თბილისის ირგვლივ მდებარე ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე ასეულობით სული ღორი იკვებება (ამის შესახებ დაახლოებით წლინახევრის წინ, პირველად „კვირის პალიტრამ“ ამცნო საზოგადოებას, თუმცა მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. მეტიც, ნაგავსაყრელებზე ღორების რიცხვი ერთიათად გაიზარდა). ნაგავსაყრელებზე ნაკვები ღორები, გოჭებთან ერთად, ხშირად იწამლებიან. უმეტესად გოჭები იხოცებიან. დახოცილებს მეღორეები ძაღლების მეშვეობით მეორე-მესამე დღეს პოულობენ, მკვდარ ღორს ან გოჭს ადუღებულ წყალში აგდებენ რამდენიმე წუთით, ტრუსავენ და შემდეგ ბაზარში ყიდიან. ჩვენს ინფორმაციას ვლადიმერ გვარჯალაძე არც გაუკვირვებია და არც აღუშფოთებია, სამაგიეროდ, ჩვენ გაგვაკვირვა და აღგვაშფოთა, მაგრამ მოდით, ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ.

სანამ გვარჯალაძესთან საუბარს დავუბრუნდებით, თბილისელ ვეტერან ყასაბს, **მევლუდ ხალილოვს** მოვუსმინოთ: „თქვენმა გაზეთმა დაახლოებით წლინახევრის წინ ნაგავსაყრელების შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ქართული კითხვა კარგად არ ვიცი და შვილიშვილმა წამიკითხა, ძალიან აღვშფოთდი. გულმა არ მომითმინა და დაგირეკეთ. სამი წელიწადია პენსიაზე ვარ. ბავშვი ვიყავი, როცა საბურთალოს ბაზარზე ყასბის შეგირდად მიმიყვანა მამაჩემმა. იმ დროს რომელი ყასაბი იკადრებდა, ან რომელი გლეხი, ბაზარზე მკვდარი ან დაავადებული საქონლის ხორცი გაეყიდა. მით უმეტეს, ვინმეს ნაგავსაყრელზე ღორი გაეზარდა და მერე ბაზარში გამოეტანა. სამწუხაროდ, ჩვენს ამქარში უკეთური ხალხი გამოერია, ოღონდ ფული იშოვონ და სულერთია, რით ან სად გაზრდილ საქონლის ხორცს გაყიდიან. ადრე გლეხს რომ ბაზარში ღორი შემოჰყავდა, ვეკითხებოდით — წაბლზე იყო გაზრდილი თუ რკოზე. აბა, კაი შვილი იყო და მოვეტყუებინეთ, ერთს გავლეჭავდით უმ ხორცს და მივხვდებოდით, რით იყო გაზრდილი. ყველაზე იაფი სიმინდით გაზრდილი ღორის ხორცი ღირდა. ახლა კი ნაგავსაყრელებზე ზრდიან ღორებს. იქ ნაკვები ღორის ხორცი უვარგისია. მეტსაც გეტყვით, — აქამდე ეს არავინ იცოდა. საქართველოში, განსაკუთრებით თბილისთან ახლოს, უამრავი კერძო დიდი თუ პატარა მეფრინველეობის ფაბრიკაა. იმ ფაბრიკებთან მოსახლეების უმეტესობა ღორების მოშენებით არის დაკავებული. ახლა არ იკითხავთ, რითი კვებავენ ისინი თავიანთ ღორებს? — ქათმის სკორეთი. ამით გაზრდილი ღორის ხორცი შეწვისას ისეთ მყრალ სუნს აუშვებს, რომ სახლიდან გაიქცევი. ამიტომ, სანამ დაკლავენ, ორი თვე კარგად კვებავენ, რათა ხორცს მყრალი სუნი მოშორდეს, მაგრამ ასეთი ღორის ხორცის ხარისხი როგორიც იქნება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს“.

უხუცეს ყასაბთან საუბრის შემდეგ გლდანის ნაგავსაყრელს მივაკითხეთ. გაოცებულები შევცქეროდით ღორების კოლტს, თითქმის ორასამდე ღორი დავთვალეთ. როგორც მწყემსებმა გვითხრეს, გლდანის ნაგავსაყრელზე ორასი კი არა, გაცილებით მეტი ღორი „ბალახობს“.

— **ვისია ეს ღორები ან თქვენ ვინ ხართ?** — ვკითხე მწყემსებს, რომლებმაც ღორების მყიდველად მიმიღეს.

— მწყემსები ვართ. თიანეთის რაიონიდან, სოფელ ჯებუთიდან. ზოგი ღორი ჩვენია, ზოგი კი ხაზეინებისაა. ჩვენ გასაყიდი ღორები აღარ დაგვრჩა — თუ ყიდვა გინდათ, ხაზეინს უნდა დაელაპარაკოთ.

— **ვინ არის?**

— ასე, 11 საათზე მოვა. ოღონდ აქ კი არა, ნაგავსაყრელის შემოსასვლელში უფროსების ოთახები რომ არის, იქ დაელოდეთ. ოღონდ იცოდეთ, ცალობით არ ყიდის. პარტიებით ურჩევნია გაყიდვა. ხაზეინების ვინაობა რაში გაინტერესებს? ერთი კოლტი ნაგავსაყრელის უფროსისაა, დანარჩენი სხვა პატივსაცემი ხალხის საკუთრებაა. ერთი სიტყვით, ყველა ღორის უკან დიდი ხალხი დგას. ვინც პატარა კაცია და ისე ჰყავს ღორები, ნაგავსაყრელის დირექტორს ფულს უხდის, დირექტორს, თავის მხრივ, ნაგვის მომტანი მანქანის მძღოლები ჰყავს დიდ პატივში. განსაკუთრებით ისინი, ვისაც ვაკის და საბურთალოს რაიონებიდან გამოაქვთ ნაგავი. იქ შეძლებული ხალხი ცხოვრობს და ნარჩენებიც უკეთესი მოდის. თუ მძღოლს აწყენინა ნაგავსაყრელის დირექტორმა, ნაგავი აღარ შემოუვა და ღორებს ვინღა მიუყვანს? ნაგავსაც თავისი ფასი აქვს. აბა, რა გეგონათ, აქ მთელი ბიზნესია თავისი წესებით და კანონებით... — ლაპარაკის იშტაზე მოვიდნენ მეღორეები.

— **ამ სიბინძურეში გაზრდილი ღორის ხორცის ჭამა შეიძლება?**

— თუ არ მოიწამლა, რატომაც არ შეიძლება, ოღონდ სჯობს ჯიგარი გადაყარო...

როგორც მწყემსებისგან გავიგე, ნაგავსაყრელიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით, ტყეში სადგომები აქვთ გამართული. თურმე მხოლოდ ღამით მიჰყავთ ღორის კოლტი ნაგავსაყრელზე — არამკითხე მოამბემ არ უნდა დააფიქსიროს, რა ხდება აქ ღამით. ნახევარი საათის შემდეგ ღორების და პირდაპირ საქმეზე გადავედი:

— **ნაგავსაყრელიდან მწყემსებმა თქვენთან გამომაგზავნეს, ღორის ყიდვა მინდა.**

— დაიგვიანე, ადრე უნდა მოსულიყავი... ხვალამდე არაფერი იქნება. დაიცა, ღორების წასაყვანად თუ ხარ მოსული, უმანქანოდ რატომ ამოდი ან ხაზეინმა იცის?..

მეღორემ ძაღლების დაძახება გადაწყვიტა, ძლივს გადავაფიქრებინე და ეჭვიან მეღორეს თავი ძლივს დავაღწიე. მეორე დღეს, გამთენიისას, ისევ გლდანის ნაგავსაყრელს ვესტუმრე, ოღონდ ამჯერად მეორე ნაგავსაყრელთან მივედი, რომელიც პირველისგან ერთ-ორი კილომეტრითაა დაშორებული. იქაურ მწყემსებს გოჭი ვთხოვე.

— **ვიცი, მკვდარი გოჭები გქონიათ, ძაღლისთვის მინდა.**

— ერთიღა დაგვრჩა. ოღონდ კარგად უნდა მოხარშო. ეგ კი არა, „საკალბასეშიც“ მიაქვთ...

ნაგავსაყრელი ქარხნის დაუმთავრებელი, მიტოვებული შენობიდან ერთი გოჭი გამომიტანეს. აშკარად ეტყობოდა, რომ მისი ხორცის ჭამა ადამიანს კარგ დღეს არ დააყრიდა. არაფერი შევიმჩნიე და გოჭი 8 ლარად ვიყიდე. ის იყო, წამოსვლას ვაპირებდი, მწყემსებმა სტვენა-ყვირილი მორთეს. ღორების კოლტი სასწრაფოდ აყარეს და ხევისკენ გარეკეს. მოულოდნელად დაუმთავრებელი ნაგავსაყრელი ქარხნის ეზოში წითელი ახალი „მოსკვიჩი“ შემოვიდა და ჩემდა გასაოცრად, იქიდან თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ჯუგული ახვლედიანი და მისი თანამშრომლები გადმოვიდნენ. შემთხვევით ვისარგებლე და ახვლედიანს ინტერვიუ ვთხოვე. **ჯუგული ახვლედიანი:** — აი, ასეა, მეღორეებს თავიანთი მოთვალთვალეები ჰყავთ დაყენებული ნაგავსაყრელის მისადგომებთან და როგორც კი უცხო მანქანა მათკენ გადმოუხვევს, რამდენიმე წუთში აქ არც ღორები გვხვდება და არც მეღორეები. ამასთან, გლდანის ორივე ნაგავსაყრელი მცხეთას ეკუთვნის და თბილისის ინსპექციას მხოლოდ იმის შემოწმება შეუძლია, იმარხება და იწვება თუ არა თბილისიდან ამოტანილი ნაგავი. ჩვენც სწორედ ამის გამო მოვედით დღეს.

ტრაქტორი მიწას მანამ არ აყრის ნაგავს, სანამ ღორები არ დაძღებიან. სხვათა შორის, ქალაქის ტერიტორიაზე 11-12 არაოფიციალური ნაგავსაყრელი ღორების გასაზრდელად იყო მოწყობილი. ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ თბილისში ან თბილისის შემოგარენში თიანეთიდან ან მცხეთიდან ჩამოდის საწყალი გლეხი ნაგავსაყრელებზე ღორების გასაზრდელად. ამ ბიზნესის უკან სერიოზული ხალხი დგას. დიდ დაბრკოლებას წავაწყდით მათგან, როცა უკანონო ნაგავსაყრელები მოვშალეთ ქალაქში. ამ ნაგავსაყრელზე, ანუ გლდანში, ყოველდღიურად მინიმუმ 2 ათასი ღორი იკვებება.

— ვიცი, მკვდარი გოჭები გქონიათ, ძაღლისთვის მინდა.
— ერთიღა დაგვრჩა. ოღონდ კარგად უნდა მოხარშო. ეგ კი არა, „საკალბასეშიც“ მიაქვთ...

— **იქნებ დაგვისახელოთ ის „სერიოზული ხალხი“, რომლებიც ამ ბიზნესს მფარველობენ?**

— ისინი კარგად არიან შენიღბულები. კვალმა რამდენიმე მეტად პრესტიჟულ სახელმწიფო დაწესებულებამდე მიგვიყვანა. ჯერ დოკუმენტურად არაფრის დამტკიცება არ შეგვიძლია, ამიტომ კონკრეტულად ვერავის დავასახელებ.

— **რამდენად საშიშია ნაგავსაყრელზე ნაკვები ღორის ხორცის ჭამა?**

— ძალიან საშიშია. მით უმეტეს, ახლა, როცა კერძო კომერციული ქიმიური კომპანიები ნაგავსაყრელებზე ათასნაირ საწამლავს ყრიან, ამას დაუმატეთ საავადმყოფოების ნარჩენები. ღორი ყველაფერ ამას ჭამს, რაც შემდეგ მის ორგანიზმში ილექება, განსაკუთრებით შინაგან ორგანოებში, ჩვენ რომ ჯიგარს ვუწოდებთ. სწორედ ასეთი ჯიგარი იყიდება დღეს ზოგიერთ ადგილას...

ამასობაში გლდანის ნაგავსაყრელის დირექტორიც გამოჩნდა და მასთან გასაუბრება მოვახერხეთ. **გივი ჯორბენაძე:** — დილიდან საღამომდე აქ ვარ და ერთი ღორიც არ დამინახავს. ღამე რა ხდება, არ ვიცი. ერთი კაცი რას გავაწყობ, ყარაული მე არ მყავს და ტერიტორიაც შემოღობილი არ არის.

— **რა მნიშვნელობა აქვს, ღამე ნაკვები ღორის ხორცით მოიწამლება ადამიანი თუ დღისით?**

— ღორის ხორცით მკვდარი კაცი არ მინახავს.

— **თქვენ თუ მიგაქვთ აქედან ღორის ხორცი სახლში?**

— ეს ჩემი საქმეა. ქვეყნის გასწორება ჩემგან დაიწყეთ? იკითხეთ, სად მიდის ეს ღორის ხორცი, სად იყიდება და იმათ მოსთხოვეთ პასუხი!

— **თქვენი ნაგავსაყრელიდან აი, ეს გოჭი მომყიდეს.**

— მერე რატომ იყიდე, გეთქვა, ჟურნალისტი რომ ხარ და ასეთ რაღაცას არ გაგიბედავდნენ. ჯობია, ბაზარი შეამოწმოთ. მე კი, ვინც მხარში დამიდგება და მომეხმარება, რომ აქ ღორებმა არ იშლიგინონ, მადლობელი დავრჩები. მაგრამ იცოდეთ, არაფერი გამოგივათ. ამ ბიზნესს ვერც შენ და ვერც მე ვერ მოვერევით...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მეორე დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ვლადიმერ გვარჯალაძეს მივაწოდეთ ჩვენს ხელთ არსებული



„თქვენი ნაგავსაყრელიდან, აი, ეს გოჭი მომყიდეს...“

ინფორმაციები ნაგავსაყრელებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. **ვლადიმერ გვარჯალაძე:** — დაუშვებელია ნაგავსაყრელებზე ღორების გამოკვება. ძალ-ღონეს არ ვიშურებთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს მივაღწიეთ. როგორც კი ეკოპოლიციის, ჩვენი სამსახურის ინსპექტორებისა და ქალაქის ხელმძღვანელობისგან დაკომპლექტებული ჯგუფი ნაგავსაყრელების შესამოწმებლად გავლენ, მაშინვე გადამალავენ ღორებს, წამოვალთ და ისევ შემოიყვანენ. რაც შეეხება იქაურ ღორის ხორცს, მისი გამოყენება საკვებად დაუშვებელია.

— **რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორის ხორცი არ მოხვდეს ბაზარში ან სავაჭრო ქსელში?**

— ახალი წელი მოდის და დაიწყება ღორების მასობრივი დაკვლა. უკვე დავავალე ჩემს სამსახურს მიიღოს ზომები და არ დაუშვას ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე ვეტერინარული შემოწმების გარეშე ღორის თუ გოჭის ხორცის გაყიდვა. რაც შეეხება ბაზრებს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ასეთი საქონელი ბაზრის დახლებზე არ გაჭაჭანდება.

— **გლდანის ნაგავსაყრელზე თურმე დაახლოებით 2 ათასი ღორი იკვებება. მაშ, სად საღდება მათი ხორცი, მხოლოდ გარევაჭრობით ამდენის გასაღება შეუძლებელია.**

— ვერაფერს გეტყვით, ალბათ არსებობს მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ღორების მეპატრონეები ახერხებენ ხორცის გასაღებას...

მესამე დღეს, დილის ოთხ საათზე, კვლავ ნაგავსაყრელთან მივედი. იქ მომუშავე ერთ-ერთმა კაცმა საიდუმლოდ გამანდო (ნაგავსაყრელზე ათეულობით ადამიანი მუშაობს, ისინი ფერადი ლითონების, ბოთლების და სხვა ნივთების შეგროვებით არიან დაკავებულები), რომ ამ დროისთვის ნაგავსაყრელზე დაკლული ღორები სავაჭრო ქსელში უნდა გაეტანათ. ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია. მალე „უაზის“ მარკის დაკლული ღორებით დატვირთული მანქანა ტერიტორიიდან გამოვიდა და გეზი თბილისისკენ აიღო. ავტომობილმა თბილისის სატრანზიტო გზაზე განთავსებულ ავტოინსპექციის პოსტებს უპრობლემოდ აუარა გვერდი. უფრო სწორად, ყველა პოსტზე მძღოლი ინსპექტორებს რაღაცას აწვდიდა (ალბათ ფულს). სატვირთოს ლილოს დასახლებამდე ვდიეთ. გვაინტერესებდა, რომელ სავაჭრო ობიექტში მიჰქონდათ ტვირთი. ლილოს დასახლებაში, მორიგი ავტოინსპექციის მანქანასთან კვლავ გაჩერდა „უაზი“. მასთან მძღოლი ცოტა უფრო მეტხანს შეყოვნდა და ჩვენი ავტომობილის მიმართულებით რაღაც ანიშნა. ორიოდე წუთში ავტოინსპექციის მანქანა დაგვეწია და გაგვაჩერა. აშკარა იყო, გაგვშიფრეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მძღოლს საბუთებიც და მანქანაც წესრიგში ჰქონდა, ავტოინსპექტორებმა თითქმის ოცი წუთი გაგვაჩერეს. ჩვენ იმდენი მაინც მოვახერხეთ (კითხვა-კითხვით — ზ.ჩ.), რომ სავარაუდო მარშრუტი შევიტყვეთ — მას გეზი ნავთლუღისაკენ აუღია. ნავთლუღის ბაზრის ტერიტორიაზე, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღმოვაჩინეთ „უაზის“ მარკის მანქანა, სამწუხაროდ იგი უკვე ცარიელი იყო...

ჩვენ თბილისში უდიდესი, ე. წ. დეზერტირის ბაზრის ვეტლაბორატორიის გამგეს **რამაზ სეთურიძეს** დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ: — მე და ჩემი ლაბორატორიის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული ვართ ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორების შესახებ. სრულ გარანტიას ვაძლევთ თბილისელებს, რომ დეზერტირის ბაზრის დახლებზე ასეთი ღორის ან გოჭის ხორცი არ მოხვდება. არ მეგულება ჩემს კოლექტივში ისეთი ვეტექიმი, რომელმაც მკვდარი ან დაავადებული ხორცის შემოტანის ფაქტი მიჩქმალოს და განგაში არ ატეხოს“.

— **ხომ შეიძლება ღამით შემოაპარონ?**

— გამორიცხულია. ჩვენ ოცდაოთხსაათიან სამუშაო გრაფიკზე ვართ გადასულები — თითქმის ყოველ საათში ვაწყობთ ბაზარში რეიდებს. ხორცს აუცილებლად უნდა ახლდეს ფორმა №2, რომელიც ადასტურებს საქონლის წარმოშობას. ამასთანავე, ღორის და საქონლის ხორცი არ მიიღება, თუ მას არ მოჰყვება თავი. სწორედ თავით შეიძლება დადგენა, რა ბაქტერიებითა და მიკრობებით არის ხორცი დაავადებული.

— **როგორ უნდა გაარჩიოს მომხმარებელმა ერთი დანახვით არაკეთილსაიმედო ხორცი ხარისხიანისგან?**

— მკვდარი ცხოველის ხორცის კანი მომჩვარულია. აშკარად ეტყობა მოლურჯო ლაქები. ხორცი წითელი ფერისაა, როცა ვარდისფერი უნდა იყოს. ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორის თავს უამრავი ნაჭრილობევი ეტყობა. როცა ღორი ნაგავში იქექება, ხშირად დინგს და თავს უჭრის გადაყრილი თუნუქის და რკინის ნაჭრები.

— **მაშ, სად საღდება მსგავსი წარმოშობის ხორცი?**

— მხოლოდ დეზერტირის ბაზრის ტერიტორიაზე ათეულობით კერძო ხორცის გადამამუშავებელი საამქრო და ე. წ. ხორცის შემნახველი პუნქტია. შენახვასთან ერთად ვაჭრობენ კიდეც. სწორედ ისინი არიან დასნებოვნებული ხორცის გამსაღებლები.

P. S. ამ სტატიის მიზანი მხოლოდ საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა გახლავთ და გირჩიეთ კიდეც, როგორ უნდა განასხვაოთ უვარგისი ხორცი ხარისხიანისგან. ამ ეტაპზე სხვა არაფერი შეგვიძლია, რადგან თბილისის ყოფილ მთავრობას ეს საკითხი არ ადარდებდა და ჩვენს მამხილებელ სტატიებს რეაგირების გარეშე ტოვებდა. თუმცა შეიძლება მალე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს (თბილისის მთავრობის შეცვლას ვგულისხმობ). მანამდე კი გავფრთხილდეთ და ნუ ვიყიდით იაფ, საეჭვო ხორცს. იგი შეიძლება ნაგავსაყრელზე გაზრდილი ღორის იყოს.

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# ვერასოდეს დავივიწყებ შევარდნაძე-სააკაშვილი-ჟვანიას დამანგრეველ საქმიანობას

*„თბილისს ვანო არ სჭირდება“, — დაასკვნა შალვა ნათელაშვილმა და გასულ კვირას 2500 ლეიბორისტი „შეასია“ დედაქალაქის მერიას. როგორც ამბობენ, ზოდელავას წინააღმდეგ მთავარ ლეიბორისტს ხელი სახელმწიფო მინისტრმაც წააშველა — ლტოლვილები დაახმარა. ჯორბენაძე-ნათელაშვილს ორ ხმაში ნამღერი საკმაოდ რიხიანი გამოუვიდათ. ქალაქის მერმა ორთაბრძოლაში საკუთარი მომხრეების გამოყვანა ვერ გაბედა.*

*თუ ნათელაშვილს დავუჯერებთ, ზოდელავას სამფლობელოს დალაშქვრის მიზანი შევარდნაძის მთავარი საყრდენის წაქცევა იყო.*

*ვესაუბრებით ლეიბორისტთა ლიდერს* **შალვა ნათელაშვილს:**

— ზოდელავას აქციის გარეშეც გადავაყენებთ, კორუმპირებული და ნდობადაკარგული მერი, რომელსაც საკრებულომ იმპიჩმენტი გამოუცხადა, შეიძლება დღედათვლილ ფიგურად ჩავთვალოთ (კარიერისტული თვალსაზრისით). ეს აქცია იყო გამოხატულება იმისა, რომ ხალხი დაიცავს თავის ინტერესებს, დემოკრატიას და მას წინ ვეღარ დაუდგებიან ვერც შეიარაღებული ბანდა და ვერც კრიმინალური ინტელიგენციის დაფინანსებული პერსონები. მერმა, უფრო სწორად, შევარდნაძე-ზოდელავას ალიანსმა ამას წინათ მერიის წინ სამსახურიდან დათხოვნის მუქარით გამოიყვანა საბიუჯეტო მუშაკები (გაჭირვებული და საწყალი ხალხი, რომლებიც ხელფასით არსებობენ), მათ მიამატეს ჩინოვნიკები და მაფიოზები თავიანთი ბანდიდან და თავის მიერ გამოკვებილი ინტელიგენცია, ის ხალხი, რომელსაც ბ-ნი ზვიადი „კრემლის ინტელიგენციას“ უწოდებდა. ეს „ინტელიგენტები“ სამოქალაქო ომის დროს ავტომატებით დარბოდნენ. ამ ქმედებით ხელისუფლებამ ჩაატარა რეპეტიცია, — როგორ უნდა შეინარჩუნოს ხელისუფლება სამოქალაქო ომისა და იარაღის გზით, თუ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს. ეს მეთოდი აღარ გაჭრის. კლანურ-მაფიოზურ-ოლიგარქიულ ბანდას კონტრრევოლუციური გადატრიალების უფლებას არ მივცემთ. რაც შეეხება ზოდელავას, ის ამ აქციის გარეშეც წაბრძანდება.

**— მაგრამ პრეზიდენტი კატეგორიულად აცხადებს — ზოდელავას არ გავუშვებო.**

— გახსოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით რომ მაბრალებდნენ ჩემი ოპონენტები, თითქოს ზოდელავას შევარდნაძის დავალებით ვებრძოდი? როცა საკრებულომ ზოდელავას უნდობლობა გამოუცხადა, მთელმა ქვეყანამ დაინახა, როგორ გადაეფარა შევარდნაძე თავის სატრაპს — თავის (და არა თბილისის) მერს. ასეთი გულმოდგინებით ციცერონსაც არ დაუცავს თავისი კლიენტები. შევარდნაძე, ჯორბენაძე, ჟვანია, „ნაციონალები“, „მოქალაქეთა კავშირი“, „ახლები“ არის ერთი სეგმენტი და ამაში მალე დარწმუნდებით. კრიტიკულ მომენტში ისინი აუცილებლად გაერთიანდებიან ხალხის და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად.

**— „ნაციონალებიც“ თქვენ გებრძვიან?**

— როდის იყო მათთან ვმეგობრობდი. მიშა სააკაშვილი იმიტომ ავირჩიეთ საკრებულოს თავმჯდომარედ, რომ ვიცოდით, ჩვენი პირველი ადგილის გამო არჩევნების შედეგებს გააუქმებდნენ. ხალხი კი იტყოდა, რაღაზე მივცეთ ნათელაშვილს ხმა საპარლამენტო არჩევნებში, ჩვენი მხარდაჭერის მიუხედავად, საკრებულოშიც კი ვერ მოახერხა შესვლაო. ამ ჩანაფიქრის შესრულებაში შევუშალეთ მხარი ოპონენტებს.

**— სააკაშვილი უფრო კონსტრუქციულად განწყობილი ჩანს თქვენ მიმართ.**

— ჩვენ ერთად არ ვართ, რადგან ოპონენტები და კონკურენტები ვართ.

ვერასოდეს დავივიწყებ შევარდნაძე-სააკაშვილი-ჟვანიას ერთობლივ დამანგრეველ საქმიანობას. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ როდის გაემიჯნა შევარდნაძეს. მაგრამ მინდა კარგიც დავინახო სააკაშვილში, — თუ რამეს კარგს წამოიწყებს, მხარს დავუჭერ.

**— ითქვა, რომ ზოდელავას წინააღმდეგ კონსტრუქციულად თანამშრომლობთ სახელმწიფო მინისტრთან.**

— თუ კონსტრუქციულ თანამშრომლობას იმას უწოდებენ, რომ სახელმწიფო მინისტრი საკონსტიტუციო სასამართლოში მოწმედ დავაბარებინე, სადაც 2 საათის განმავლობაში დაჰკითხავენ, როგორც დამნაშავე ხელისუფლების წარმომადგენელს, ღმერთმა გაუმარჯოთ.

ზოდელავა უბინძურესი კაცია. მარტო ის რად ღირს, რომ ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ვიხილე მისი მოღიმარე პორტრეტი, სადაც ორი კბილი ციყვივით უჩანდა. ამ სტატიაში ზოდელავა ოლიგარქებს ჩემს წინააღმდეგ ტერაქტის დაფინანსებასა და განხორციელებას მოუწოდებდა. თქვენს გაზეთში კი წავიკითხე მისი ნათქვამი, — დუშელებს თბილისის მართვა არ შეუძლიათო. გამოდის, არც ზუგდიდელს, არც სოხუმელს, არც ჯავახს, არც აჭარელს, არც კახელს თბილისის მართვა არ შესძლებიათ. არ არის ეს კუთხური შუღლის გაღვივება? დუშელები და არაგველები თბილისის დაცვისთვის იხოცებოდნენ და ზოდელავასავით საირმეებს, კაზინოებს, ქარხნებს, საუნებს არ ითვისებდნენ და თბილისელებს არაფერს უშავებდნენ...

**— ერთი შეხედვით ოპოზიციურ თბილისის საკრებულოს ქალაქის ახალი მთავრობის დაკომპლექტება გაუჭირდა და ვერც ზოდელავას ზოგიერთ მუშაკს დააკლო რამე.**



— დღეს ბევრი პარტია, კორუფციის აღკვეთის ნაცვლად, ბინძურად ვაჭრობს და ზოდელავასთან „ჩაწილებას“ ცდილობს. ზოდელავაც თანახმაა ამაზე, ოღონდ თანამდებობა შეინარჩუნოს. ამ პარტიების ზოგ წევრს ვიცე-პრემიერობას აძლევს, ზოგს სამსახურის უფროსობას, ზოგს სამარშრუტო ხაზებს — ამით იმყარებს მდგომარეობას, როგორ შეიძლება უნდობლობაგამოცხადებულ მერს ქალაქის მთავრობის კანდიდატურების წარდგენის უფლება ჰქონდეს?

შევარდნაძე არის ციხესიმაგრე, რომელსაც გარშემო ციხეები უდგას. შევარდანაძემდე ისე ვერ მიხვალ, თუ ეს ციხეები და გალავანი არ დაარღვიე.

ყველაზე დიდი გალავანი შევარდნაძის და მისი კლანისთვის ზოდელავაა, ამიტომ ჯერ ის უნდა წაიქცეს. ამის თაობაზე ვესაუბრე მიშას. გავუზიარე ჩემი გამოცდილება. რაკი საკრებულოს თავმჯდომარე ჩემი მხარდაჭერით გახდა, პასუხისმგებელი ვარ მასზე და არ მინდა ხაფანგში გაება. თუ თავის ფრაქციის ზოგიერთ წევრს ვერ აოკებს, სჯობს გარიცხოს, თორემ ისინი დაღუპავენ. ჩვენმა დეპუტატებმა ვიდეოკამერებს მიაფარეს კენჭისყრისას ბიულეტენები, ოთხი „ნაციონალი“ კი გაიპარა დარბაზიდან იმიტომ, რომ ერთ-ერთს ზოდელავამ „მერსედესი“ უყიდა და 4 სამარშრუტო ხაზი მისცა. როცა მერს გაუჭირდა, დაუძახა იმ კაცს, ყურები აახია და უთხრა, — აბა, მოუსვი დარბაზიდანო. ასეთი ხალხი მიშამ უნდა მოიცილოს.

> ჩვენმა დეპუტატებმა ვიდეოკამერებს მიაფარეს კენჭისყრისას ბიულეტენები, ოთხი „ნაციონალი“ კი გაიპარა დარბაზიდან იმიტომ, რომ ერთ-ერთს ზოდელავამ „მერსედესი“ უყიდა და 4 სამარშრუტო ხაზი მისცა. როცა მერს გაუჭირდა, დაუძახა იმ კაცს, ყურები აახია და უთხრა, — აბა, მოუსვი დარბაზიდანო. ასეთი ხალხი მიშამ უნდა მოიცილოს.

**— არ გიფიქრიათ, რომ პრეზიდენტს, როგორც ყველა მოკვდავს, სურვილი ჰქონდეს კარგი სახელით დატოვოს პოსტი, რაღაც კარგი გაუკეთოს თავის ქვეყანას.**

— შევარდნაძემ თავისი ფუნქცია კომუნისტურ ეპოქაში ამოწურა, როცა მსოფლიოში პოლიტიკას გამოკვეთილი ფიგურები წარმართავდნენ. კოლმა ბერლინის კედელი დაანგრია, მაგრამ თავის ქვეყანაში ფინანსური მაქინაციების გამო კინაღამ პასუხისგებაში მისცეს; მარგარეტ ტეტჩერი, რომელიც 20 წელი იყო ქვეყნის სათავეში და ინგლისის ეკონომიკა კრიზისიდან გამოიყვანა, დღეს ჩვეულებრივი პენსიონერია. რეიგანი, რომელმაც სოციალისტურ სისტემას მოუღო ბოლო, „რეიგანეკონომიკა“ დაამყარა და ააყვავა ეს ქვეყანა, დღეს დიდი სიყვარულის ობიექტია, იმიტომ რომ უსასრულოდ არ გააგრძელა იქ ყოფნა, სადაც თავისი მისია ამოწურა. შევარდნაძემ კომუნისტური სისტემის დამხობაში მონაწილეობით რეფორმატორის სახელი დაიმკვიდრა. მის გვერდით მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი ფიგურები იდგნენ. ისინი წავიდნენ, წავიდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გორბაჩოვი, მაგრამ რატომღაც შევარდნაძე არ თვლის თავის მისიას ამოწურულად და ამიტომაც იქცა მისი მისია ნგრევად. იგი თავისი ფსიქოლოგიისა და ცნობიერების ტყვეა. ის რომ საქართველოში პრეზიდენტად არ დაბრუნებულიყო, მსოფლიო პოლიტიკის ვარსკვლავების ორბიტაზე იქნებოდა და მისი ერთი 45-წუთიანი ლექცია — ჰარვარდში ან ოქსფორდში, 200 ათასი დოლარი ეღირებოდა.

# „ჯვაროსნული დროშა როგორ გახდა ქართული?“

## „ვინ შეაჩეჩა ეს მიწა ვითომ კანონიერად საფრანგეთის ელჩს?!“



*გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტარ გურამ შარაძეს მწვავე კამათი ჰქონდათ. სპიკერმა ქალბატონმა შარაძეს ეროვნული ინტერესების სპეკულირება დასდო ბრალად და ურჩია — თავი დაანებეთ ერისთვის სანუკვარ და მტკივნეულ გრძნობებზე თამაშსო. კამათის მიზეზი მერიის თავზე აღმართული თეთრ-წითელი ხუთჯვრიანი დროშა გახდა, რომელიც გურამ შარაძის თქმით, არაქართული წარმოშობისაა და თბილისის თავზე უკანონოდ ფრიალებს. როდის და რატომ გაჩნდა ეს დროშა თბილისში და რატომ არის ის არაქართული. ამის გასარკვევად ბატონ* **გურამ შარაძეს** *მივმართეთ.*

**— სადაურია ხსენებული დროშა და რატომ აღმოჩნდა ის მერიის შენობის თავზე?**

— ისტორიულად მტკიცდება, ის არ არის ქართული სახელმწიფო დროშა. თუ ძალადობაზე მიდგება საქმე, მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ძალადობით ჩამოაგდო სერგო ორჯონიკიძემ ქართული მთავრობა და სახელმწიფო დროშა და თბილისის თავზე წითელი დამპყრობლური დროშა აღმართა. ზემოხსენებული დროშა ათიოდე წლის წინ გამოჩნდა სვიმონ გამსახურდიასა და მისი თანაავტორების წიგნში. ეს დროშა პირველად მე-14 საუკუნეში კათოლიკე კაპიტნების საზღვაოსნო რუკაზე გვხვდება. სვიმონ გამსახურდიას ხელში ჩაუვარდა ამ რუკის კავკასიის ფრაგმენტი, სადაც თბილისის და სოხუმის თავზე ასეთი დროშა იყო ჩახატული. ამის საფუძველზე ჩათვალა სვიმონ გამსახურდიამ, რომ ეს იყო ქართული სახელმწიფო დროშა. შემდეგ, როცა ამ რუკის მთლიანი ვარიანტი იხილეს ქართველმა მკვლევარებმა, აღმოჩნდა, რომ იგივე დროშები გამოსახული იყო მცირე აზიაში ქალაქ სებასტიას თავზე, ხმელთაშუა ზღვაში გემების ანძაზეც. გაირკვა, რომ ეს დროშა აღნიშნული იყო იმ ქალაქების თავზე, სადაც კათოლიკე მისიათა და მისიონერთა წარმომადგენლობები მდებარეობს.



**— გამოდის, რომ მე-14 საუკუნეში საქართველოში კათოლიკე მისიონერები მოღვაწეობდნენ?**

— ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია, რომ კათოლიკე მისიონერები საქართველოში მე-13 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოღვაწეობდნენ. ასე რომ, გასაკვირი არ არის, თუ მე-14 საუკუნის ევროპის კათოლიკურ რუკებზე ეს დროშები იქნებოდა გამოსახული საქართველოში კათოლიკური მისიების აღსანიშნავად. ამ დროშაზე გამოსახულია დიდი ჯვარი, რომლის მკლავები ქსოვილის ბოლომდეა მიყვანილი. ეს ჯვარი ოთხ კვადრატს წარმოქმნის, რომელშიც პატარ-პატარა ჯვრებია ჩახატული. დიდი ჯვარი ნიშნავს ქრისტეს ჯვარცმას, 4 პატარა ჯვარი კი სამსჭვალს, რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე მიალურსმნეს.

როცა ფრანცისკანელთა ორდენმა წმინდა მიწის — იერუსალიმის მეურვეობა იკისრა (რაკი ეს არ იყო ქრისტიანული), ეს დროშა მაშინ აღმართეს იერუსალიმში და დღესაც იქ ფრიალებს. გამოდის, თბილისი ზოგიერთებს ახალ იერუსალიმად და ძველი იერუსალიმის მემკვიდრედ ჩაუთვლიათ, მაგრამ რატომ არ ვეკითხებით ძველ იერუსალიმელებს, მიაჩნიათ თბილისი ახალ იერუსალიმად? დაწყებული ჯვაროსნული ომებიდან 1919 წლამდე (პირველი სამოქალაქო ომის დამთავრებამდე) ეს დროშა იყო კათოლიკური, ჯვაროსნული და ფრანცისკანული და როგორ გახდა ქართული?

**— ამჟამად რა მიზნით აღმართეს ეს დროშა თბილისის თავზე?**

— აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი და ელდარ შენგელაია ამ დროშას ქართულად მიიჩნევენ... თუმცა ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს. მისი მოწინააღმდეგე იყო განსვენებული აკაკი ბაქრაძე, რომელიც ამბობდა, გავფრთხილდეთ, დროშის ქურდობა არ დაგვაბრალონო.

**— როგორი იყო ქართული დროშა ისტორიულად?**

— ქართულ, სომხურ, არაბულ და ევროპულ საისტორიო წყაროებში დადასტურებულია, რომ ქართული დროშა იყო თეთრი, რომელზეც გამოსახული იყო ჩვენი მფარველი, წმინდა მხედარი გიორგი. ის ალამი კი, რომელიც თბილისის თავზე ფრიალებს, შესაძლოა უცოდინარობით, შესაძლოა ნებსით ან უნებლიეთ იყოს შემოტანილი.

**— სპეციალისტთა აზრით, ქართული დროშა ისეთი უნდა იყოს, რომელსაც მუსლიმანიც გაჰყვება და ქრისტიანიც.**

— დღეს პრობლემის მოგვარების 3 ვარიანტი მუშავდება. პირველი — როგორც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეებმა, დავიტოვოთ მისი სიმბოლიკა; მეორე ვერსიით, უნდა შემუშავდეს ახალი დროშის ვარიანტი და მესამე — აღვადგინოთ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშა და გერბი. ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. ეს კომისია შეუკვეთს ჰიმნის, გერბისა და დროშის რამდენიმე ვარიანტს. საექსპერტო საბჭოს მოწონებულ ვარიანტებს შეარჩევს სახელმწიფო კომისია, გადაგზავნის პარლამენტში და თუ პარლამენტი დაამტკიცებს, ამის შემდეგ თბილისის თავზეც დავკიდებთ ამ დროშას და სხვაგანაც. საკრებულოს თავმჯდომარე გამოცდილი იურისტია და იცის, არაკონსტიტუციურად დროშის აღმართვა, რაც უნდა კარგი და ქართული იყოს, მაინც უკანონოა, სანამ მას პარლამენტი არ ცნობს. ამიტომაც მოვუწოდე, რომ ჩამოხსნას ეს დროშა.

**— თქვენ და პარლამენტის თავმჯდომარემ იმაზეც იკამათეთ, იყო თუ არა ეს დროშა საპატრიარქოს კურთხევით აღმართული.**

— ქ-ნმა ნინომ ბრძანა, — ვესაუბრე საქართველოს პატრიარქს და მან დამიდასტურა, ეს დროშა ქართულიაო. მის ნათქვამში ეჭვი არ შემიტანია, მაგრამ მეორე დღეს დამირეკეს საპატრიარქოდან და მაცნობეს, — ქალბატონი ნინოს ინფორმაცია არაზუსტია. კათოლიკოს-პატრიარქს არათუ არ უკურთხებია ეს დროშა, არამედ ფიზიკურადაც იმ დღეს თბილისში არ ყოფილა. იგი საერო პირის — ირაკლი ანდრიაძის შუამავლობით უკურთხებია ერთ მღვდელს. მაგრამ მღვდელი სახელმწიფო არ არის. *(ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელს მამა დავითს (შარაშენიძე), რომელმაც განგვიმარტა, რომ დროშის კურთხევა მოხდა საპატრიარქოს სამდივნოს გადაწყვეტილებით, რადგან სწორედ იმ დროს პატრიარქი თბილისში არ იმყოფებოდაო. დროშა აკურთხა დეკანოზმა ალექსანდრე ბოტკოველმა, რომელიც განაგებს საპატრიარქოს პენიტენციალურ სისტემასთან ურთიერთობის განყოფილებას. — ი.რ.).* არ მგონია პატრიარქს ეს ხუთჯვრიანი კათოლიკური დროშა მიაჩნდეს ქართულად. ვიცი, რომ უწმინდესმა თავად დახატა ახალი ესკიზი, შეკერა დროშა, რომელზეც გამოსახულია ჯვარი და ბორჯღალი და გაუგზავნა პრეზიდენტს. ქალბატონი ნინოსგან ის მეწყინა, რომ პატრიარქის სახელით სპეკულირებდა და კათოლიკურ დროშას მართლმადიდებლურად აცხადებდა, ამაზე უნდა ჩამეკმინდა ხმა?

**— ორბელიანების ბაღის უკანონო მითვისებაზე საფრანგეთის საელჩოსთან დავა რა სტადიაშია?**

— მირეი მიუსო აცხადებს, დოკუმენტაცია მაქვს, რომ ეს მიწა კანონიერად ვიყიდეო. ვიცოდი, საბუთებით რომ ექნებოდა ნაყიდი. გრიგოლ რობაქიძის სიტყვები მახსენდება — საქართველოს ქართველებზე დიდი მტერი არ ჰყოლიაო. ქართველებმა ჯერ უკანონოდ მიითვისეს და პრივატიზაცია გაუკეთეს ორბელიანების ბაღს და შემდეგ მიჰყიდეს მიუსოს. მიუსოს არ ვდებ ბრალს ქურდობაში. ქართველმა ყაჩაღებმა შეაპარეს მას ორბელიანების ბაღი. ფრანგ ყაჩაღებს ბულონის ტყე რომ მოეყიდათ ჩემთვის, შევიდოდი იმ ტყეში?! ქალბატონ მიუსოს ვუთხარი — ჩემი ბულონის ტყე ჩემი ალექსანდრეს ბაღია, ჩემი პარიზი ჩემი თბილისია, ამიტომ თქვენ, საქართველოს მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელმა, დამიჭირეთ მხარი და ქართველი ქურდებისგან უკანონოდ შემოჩეჩებული მიწა დამიბრუნეთმეთქი.

**— ქურდების ვინაობა გაარკვიეთ?**

— მერიის გამწვანების ტრესტის მესვეურებმა მიითვისეს ეს მიწა და შემდეგ, როცა მდიდარი მუშტარი გამოუჩნდათ, გაყიდეს. იქ დღეს მშენებლობა დაკონსერვებულია. თუ საფრანგეთის ელჩი არ გამოიჩენს კეთილ ნებას და ვინმე ბარს დაჰკრავს იქ და დაიწყებს მშენებლობას, მაშინვე იქ გავჩნდები და აღვძრავ სარჩელს. გავარკვევ — ვინ მოახდინა მისი უკანონო პრივატიზაცია და ვინ შეაჩეჩა ეს მიწა ვითომ კანონიერად საფრანგეთის ელჩს?!

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

# დედისერთებო, შვილიანებო და ორსულების ქმრებო, ჯარისაკენ ჰერი, ჰერი?!

## სამხედრო ბიუჯეტის შესავსებად სახელმწიფო მოქალაქეთა ჯიბეებს აცარიელებს



**რაზე უნდა იფიქროს ჯარისკაცმა — შინ დატოვებულ შვილზე, ორსულ ცოლზე თუ მოწინააღმდეგეზე?**

ჩვენი საზოგადოების უმეტესობა ცდილობს, როგორმე აარიდოს სავალდებულო სამხედრო სამსახურს შვილი. ადრე ამ საქმეს სამხედრო კომისარიატების მოქრთამვით აკვარახჭინებდნენ. ა.წ. 4 ივლისს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც ერთი წლით ჯარში გაწვევის გადავადება ახალგაზრდას სულ 200 ლარი დაუჯდება. მაშინ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რომელიც მოთავე იყო 200-ლარიანი ბეგარისა, თვლიდა, რომ გასაწვევი 80-90-ათასიანი კონტინგენტიდან რეალურად სამხედრო ძალებში მხოლოდ 10-12 ათასი მოხვდებოდა, დანარჩენები კი სამხედრო სამსახურის გადავადებისთვის გადაიხდიდა ბეგარას — 200 ლარს, რაც, საბოლოოდ, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს ყოველწლიურად სულ ცოტა, 16 მლნ ლარით შეავსებდა.

მას შემდეგ თითქმის ორმა გაწვევამ ჩაიარა და თავდაცვის სამინისტრომ დაგეგმილი 16 მლნ-ის ნაცვლად 256 ათასი ლარი იშოვა, რაც ნავარაუდევის 1,6%-ია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გაწვევის პროცესი წლის ბოლომდე გაგრძელდება და სამხედროთა ხაზინაში იქნებ ნახევარი მილიონი ლარი მაინც მოხვდეს...

4 ივლისის შემდეგ 200 ლარი ბეგარის გადახდა 1300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მოისურვა, აქედან საზაფხულო გაწვევისას — 634-მა, ხოლო ამ საშემოდგომოზე — ჯერჯერობით 756-მა. მათ ერთი წლით გადაუვადდათ ჯარში გაწვევა, ოთხმა კაცმა ერთბაშად 2.000 ლარი გადაიხადა და ათი წელი მათ აღარ შეაწუხებენ.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ახალწვეულთა უმეტესობას არც ამ 200 ლარის გადახდა სურს. ისინი ემალებიან კომისარიატის წარმომადგენლებს და გამოძახების ფურცელსაც არ აწერენ ხელს, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათი სასამართლოში გადაცემა. კანონის თანახმად, თავის ამრიდებელი ახალწვეული პირველად 2.500 ლარით ჯარიმდება, განმეორებით შემთხვევაში კი ექვსი თვითაც შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში.

გაწვევის გეგმის ჩავარდნის გამო თავდაცვის სამინისტროში ახალი იდეა დაიბადა — მოეხსნას შეღავათები დედისერთებს, ასევე მათ, ვისაც ჰყავს ოცი და მეტი კვირის ორსული ცოლი და ერთშვილიანებსაც კი. მაღალჩინოსან სამხედროებს იმედი აქვთ, რომ შვილის მომლოდინეთა გაწვევით ჯარს ყოველწლიურად 400 კაცით შეავსებენ (რა აზრი აქვს 4 თვით მათ ჯარში გაწვევას!), ერთი შვილის მამებით — 3.000 კაცით, ხოლო დედისერთებით — 2.000-ით. ჯარში გაწვევის პროცედურის დახვეწისა და სამხედრო კომისარიატების მუშაობის გაუმჯობესების ნაცვლად გენერლებს სურთ წვევამდელთა რიცხობრივად გაზრდა.

გულახდილად რომ ვთქვათ, თავდაცვის სამინისტრო არმიის შევსებაზე მეტად 200 ლარის გადამხდელ ახალ კლიენტთა „არმიის" ხელოვნურად გაზრდას უფრო ესწრაფვის.

ძნელი სათქმელია, დაუჭერს თუ არა მხარს პარლამენტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანას, მაგრამ ფაქტია, რომ ამით არსებითად არაფერი შეიცვლება — თავდაცვის სამინისტროს არასაბიუჯეტო შემოსავლები შესამჩნევად მაინც არ გაიზრდება (ისე, საინტერესოა, ამ 200-ლარიანი ბეგარიდან 80% რაღა მაინცდამაინც თავდაცვის სამინისტროს მიაქვს, ახალწვეულებს ხომ შინაგან და სასაზღვრო ჯარებშიც განამწესებენ?); ხოლო პარლამენტი თუ მაინც დაჰყვა თავდაცვის სამინისტროს სურვილს, მაშინ რასაც მოიმკის, მალევე ნახავს — სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება ჯერჯერობით პარლამენტის წევრობის კანდიდატებსაც ეხებათ. რა მოხდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავდაცვის სამინისტრომ 200 ლარი მოსაკრებლის გაზრდის სურვილით მათთვისაც მოითხოვოს შეღავათის გაუქმება!

P.S. რამდენიმე დღის წინ ქართველ დეპუტატებს ყირგიზმა კოლეგებმა მიბაძეს და ერთგვარი ბეგარა დააკანონეს: ამიერიდან ყირგიზი ახალგაზრდა, რომელსაც არ სურს ჯარში სამსახური, მიიღებს ე.წ. თეთრ ბილეთს, რისთვისაც 550 დოლარის გადახდა მოუწევს. ყირგიზეთში საშუალო ხელფასი 30 დოლარს არ აღემატება, ალბათ ამიტომ ბევრს გაუჭირდება „თეთრი ბილეთის" შეძენა.




# ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი — ტერორისტების საოცნებო სამიზნე

## როგორ აპირებენ მისი უსაფრთხოების დაცვას...

სახელმწიფოს რაც მეტი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი აქვს, მით უფრო ადვილია მისთვის მტკივნეული დარტყმის მიყენება და, პირიქით.

ნიუ-იორკში ორი ცათამბჯენის დანგრევას გაუგონარი რეაქცია მოჰყვა, რომელმაც მკვეთრად დააჩქარა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესი.

ასეა საქართველოშიც: ჩვენთან ნაკლებია სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, თავსატეხიც ცოტაა, მაგრამ როგორც კი დაიწყება რეგიონალური (თუ მსოფლიო არა) მნიშვნელობის ნავთობსადენის — ბაქო-ჯეიჰანის ქართული მონაკვეთის მშენებლობა, პრობლემები მნიშვნელოვანწილად მოიმატებს. და არა მარტო ეკოლოგიური თუ სოციალური ხასიათის, არამედ ნავთობსადენზე დივერსიულ-ტერორისტული თავდასხმების საშიშროების თვალსაზრისითაც.



იმის გასარკვევად, თუ რამდენად მაღალ დონეზე იქნება დაცული ნავთობსადენის მაგისტრალი შესაძლო დივერსიულ-ტერორისტული აქტებისგან, მივმართეთ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს **გიორგი ჭანტურიას.**

**— ბატონო გია, რა სახის საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა, თუმცა, მთელი ამ განხილვების პერიოდში, ეს კითხვა იშვითად ისმოდა. ნავთობსადენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი დაზიანება მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება. პირველი გახლავთ ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, მეწყერები, ღვარცოფები, გეოლოგიური რღვევები და ა.შ. ამიტომაც პროექტირებაში ჩადებულია ასეთი კატაკლიზმებისგან თავდაცვა. მაგალითად, ნავთობსადენმა 12-ბალიან მიწისძვრას უნდა გაუძლოს. ღმერთმა დაგვიფაროს და, ამხელა მიწისძვრის შემდეგ ნავთობსადენი ვიღას ეხსომება! ნავთობსადენი გაივლის უძრავ ქანებში, რათა თავიდან ავიცილოთ მეწყერებისგან გამოწვეული ნგრევა.

ყველაზე სახიფათოდ ჩვენ არა ბუნებრივი, არამედ სწორედ დივერსიული და ტერორისტული აქტები მიგვაჩნია. ასეთი პროექტების შექმნისას ყოველთვის წინასწარ განსაზღვრავენ იმ რისკს, რომელიც შეიძლება დაემუქროს მთლიანად პროექტის უსაფრთხოებას. ამასთან, ნავთობსადენის მარშრუტს ყოველთვის ინვესტორი კომპანია ადგენს. ჩვენთან რისკის ფაქტორები შეისწავლეს როგორც „ბრიტიშ პეტროლიუმმა", ისე აშშ-ის სპეცსამსახურების საკმაოდ სერიოზულმა ექსპერტთა ჯგუფმა, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა.

რეალური საფრთხის გათვალისწინებით, გაიზარდა მილის კედლების სისქე. ჩვეულებრივ იგი 9-10 მმ-ია, ჩვენთან იგი 15,7 მმ გახდა. მილები დამზადდება სპეციალური ქიმიური შემცველობის ლითონისგან, რომელსაც იაპონური ფირმა „სუმიტომო" აწარმოებს. მილი ჩაიდება 1,5 მ-ის სიღრმეში, თუმცა ზოგ ადგილებში სიღრმემ შეიძლება 2-3 მ-საც მიაღწიოს. მილს თან მიჰყვება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომელზეც მონტაჟდება ზემგრძნობიარე სენსორები, რომლებიც აფიქსირებენ გადაადგილებებს მილის სიახლოვეს. მილის ზემოთ მოთავსებულია სპეციალური ფირფიტა, რომელზეც დეტექტორებია განთავსებული. ისინი მაშინვე გამოიმუშავებენ განგაშის სიგნალს, თუკი ვინმე იმ ადგილას მიწის თხრას დაიწყებს. ამ სიგნალის მიღების შემდეგ ოპერატიულ-მობილური ჯგუფი ათ წუთში გაჩნდება შემთხვევის ადგილას. დროის ეს მონაკვეთი კი ნამდვილად არ იქნება საკმარისი 1,5-მ-იანი ორმოს გასათხრელად. ესეც ზაფხულში, თორემ ზამთარში გაყინული მიწის თხრას უფრო მეტი ხანი სჭირდება.

მიწის ზემოთ ნავთობსადენის ტრასის გაყოლებით, უცხოელი სპეცსამსახურების რჩევის თანახმად, კეთდება მისასვლელი გზები, რათა ოპერატიულ ჯგუფებს გაუადვილოს ტრასის გაკონტროლება. ოპერატიული ჯგუფების 20-25-კაციანი რაზმების განსათავსებლად ტრასის ყოველ 3-4 კმ-ში აიგება ე.წ. კემპები, რათა მათ ათ წუთში მოასწრონ შემთხვევის ადგილამდე მიღწევა.

**— ვინ იქნება ნავთობსადენის დაცვის ჯგუფებში?**

— უსაფრთხოების სისტემამ რომ უკეთესად იმუშაოს, ნავთობსადენის დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობა ძირითადად იმ ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტდება, სადაც ნავთობსადენი გაივლის. დაახლოებით 400 კაცი ჩაირიცხება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და გაივლის სათანადო მომზადებას. მათი აღჭურვა განსაკუთრებული იქნება — ეყოლებათ ყველგანმავალი მანქანები, ექნებათ სპეციარაღი, რაციები და ა.შ. თუკი ამერიკელები კვლავ გააგრძელებენ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას, მისი ერთი ეტაპი აუცილებლად მიეძღვნება ნავთობსადენის დაცვისთვის საჭირო კონტინგენტის მომზადებას. ამ საპატრულო ჯგუფების გარდა შეიქმნება სწრაფი რეაგირების დანაყოფებიც.

გარდა სახმელეთო და საჰაერო კონტროლის სისტემისა (საჰაერო მონიტორინგს ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ განახორციელებენ როგორც შვეულმფრენები, ისე უპილოტო თვითმფრინავები), შეიქმნება სპეციალური კოსმოსური ზედამხედველობის სისტემაც, რომელიც დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე განთავსდება. იგი არა მარტო ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე, არამედ მთლიანად საქართველოს საჰაერო სივრცის კონტროლზეც იმუშავებს. მისგან ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეცემა მართვის ცენტრებს არა მარტო ჩვენთან, საქართველოში, არამედ NATO-ს უახლოეს ბაზაშიც.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*

# სამხედრო ბაზების პოლიტიკა

სამხედრო ბაზები თანამედროვე მსოფლიოში კვლავ რჩება იმ მთავარ ინსტრუმენტად, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია დიდი პოლიტიკური სვლების გაკეთება.



ქართველი პარლამენტარები რახანია ცდილობენ, ჩვენთან დარჩენილ რუსულ სამხედრო ბაზებს მიწით სარგებლობის გადასახადი დაუწესონ (სხვა საკითხია, გადაიხდიან მას თუ არა რუსი სამხედროები), ამერიკელები პირდაპირ ყიდულობენ თურქებისგან ნებართვას, მათ ტერიტორიაზე ახალი სამხედრო ბაზების შესაქმნელად.

ანკარის ზონდირება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. მარტო ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზა პენტაგონს აღარ აკმაყოფილებს, რადგან ერაყის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში ჩრდილო ერაყი ძნელად მისაწვდომი ხდება. არადა, სწორედ ამ რეგიონიდან უნდა დაიწყოს ოპოზიციის შეიარაღებული რაზმების იერიში სამხრეთით, ბაღდადისკენ. ოპოზიციას კი დახმარება სჭირდება, მათ შორის ჰაერიდან დაცვაც.

დღემდე თურქული მხარე თავს იკავებდა, დასთანხმებოდა ამერიკელელებს ბაზების დათმობაზე, რამაც, შესაძლოა პენტაგონს სათადარიგო ვარიანტების მოძიება გადააწყვეტინა, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი აეროდრომების სახით. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, თურქები „მაზანდას უწევდნენ“ თავის საქონელს და ბოლოს მაინც დაეთანხმნენ ამერიკელებს ახალი სამხედრო ბაზების შექმნაზე, ოღონდ 7 მლრდ(!) დოლარი სამხედრო ვალის ჩამოჭრის საფასურად. ამასთან, თითოეული ახალი სამხედრო ბაზის კეთილმოსაწყობად პენტაგონი ასეულ მლნ დოლარს დახარჯავს, რაც, საბოლოოდ, მაინც თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკის გაუმჯობესებას მოხმარდება.

მგონი, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რომელიც უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების თავის ტერიტორიაზე ყოფნით ვერაფერს იგებს. აღარაფერს ვიტყვით აზერბაიჯანსა და ყაზახეთზე, რომელთაც მოსკოვი მილიონებს უხდის თავისი ბაზების არსებობის გამო (სომხეთისთვის კი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რუსი სამხედროების ბაზებს) თვით ყირგიზეთიც კი, არცთუ მცირე დივიდენდებს მიიღებს იმ რუსული სამხედრო ბაზიდან, რომლის შექმნა გასულ კვირას დაიწყო.

ბიშკეკიდან 20 კმ-ში, კანტის აეროდრომზე, იქმნება ახალი რუსული სამხედრო-საჰაერო ბაზა, სადაც განთავსებული იქნება ხუთი გამანადგურებელი Су-27, ამდენივე მოიერიშე Су-25, ორ-ორი Ан-26 და Ил-76-ის ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, ხუთი სასწავლო-სავარჯიშო L-39 „ალბატროსი“ და ორი სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-8. მათ 700 სპეციალისტი მოემსახურება.

შუა აზიაში საავიაციო დაჯგუფების ექსპლუატაცია მოსკოვს ყოველწლიურად სულ ცოტა, 50 მლნ დოლარი დაუჯდება, მასში ყირგიზებისთვის მისაცემი ქირაც შედის. ეს თანხა რუსეთისთვისაც კი არ არის ცოტა, მაგრამ პრეზიდენტი პუტინი, ეტყობა, ცდილობს, გაეჯიბროს ამერიკელ კოლეგას. ამ საავიაციო დაჯგუფების მთავარი ამოცანა იმ შეიარაღებული ისლამური დანაყოფების ჰაერიდან განადგურება იქნება, რომლებიც ავღანეთის ჩრდილოეთით ან სულაც შუა აზიაში მოქმედებენ. სხვა თუ არაფერი, Су-27 გამანადგურებლებს საჰაერო სივრცის გაკონტროლება თითქმის ინდოეთის საზღვრამდე შეუძლიათ.

ყველაზე პიკანტური ამ მოვლენაში კი ის არის, რომ ყირგიზეთში ერთი წელია ბაზირებენ დასავლეთის გამანადგურებელი თვითმფრინავები — ბიშკეკის აეროპორტ მანასში 20 ამერიკული F/A-18 და ნიდერლანდების F-16 დგას. თუმცა, შეთანხმების თანახმად, მათ წლის ბოლომდე უნდა დატოვონ ყირგიზეთი. ძნელი სათქმელია, ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ პრეზიდენტი აკაევი რუსეთის კალთის ქვეშ ბრუნდება, მაგრამ ფაქტია, საბჭოთა კავშირის დაშლის მე-11 წლისთავზე წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავები ყირგიზეთის ცაში თავისუფლად ინავარდებენ.

# ისრაელი თვითმფრინავებს რაკეტებისგან ლაზერული სხივით დაიცავს



კენიაში ებრაელები ბოლო წლების ყველაზე საშინელ ტერორისტულ აქტს სრულიად შემთხვევით გადაურჩნენ — მომბასიდან აფრენილ სამგზავრო ლაინერს, რომელშიც 260 ებრაელი ტურისტი იჯდა, ტერორისტებმა ორი საზენიტო რაკეტა ესროლეს. საბედნიეროდ, რაკეტები მიზანს ასცდნენ და აეროპორტიდან 10 კმ-ში ჩამოვარდნენ.

მაგრამ ებრაელები აღარ აპირებენ სიცოცხლის სასწორზე შეგდებას. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ ყველა სამგზავრო ლაინერს, რომლებსაც საზღვარგარეთ უწევთ ფრენა, აღჭურავენ სუპერთანამედროვე და ზესაიდუმლო ანტისარაკეტო სისტემით.

ეს სისტემა სამხედრო ავიაციისთვის იქმნებოდა, თუმცა მასობრივად პირველად დააყენებენ სამგზავრო ლაინერებზე, რადგან ტერორისტს ერთი „სტრელითა“ თუ „სტინგერით“ უფრო მძიმე დარტყმის მიყენება შეუძლია, ვიდრე მოწინააღმდეგის მთელ ბატალიონს. ებრაული ანტისარაკეტო სისტემა შემდეგნაირად მოქმედებს — თვითმფრინავზე დაყენებული სითბური თვალთვალის სისტემა აღმოაჩენს სტარტაღებულ „სტრელას“, „იგლასა“ თუ „სტინგერს“ მათი სარაკეტო ძრავების საქშენებიდან გამოსული დიდი სიმხურვალის ჭავლით. ამის შემდეგ ჩაირთვება თვითმფრინავზე დაყენებული აპარატურა, რომელიც გამოასხივებს მძლავრ ლაზერის სხივს. ეს უკანასკნელი ქმნის მაღალტემპერატურიანი სამიზნის სიმულაციას, რომლისკენაც გაფრინდებიან სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტები.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

# ბორბლებიანი ტანკი

ტანკი ინგლისელებმა პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნეს და მისი მთავარი ამოცანა არა მოწინააღმდეგის განადგურება, არამედ ფრონტის ხაზზე გაბმული მავთულხლართების გადათელვა და ქვეითებისათვის გზის გახსნა გახლდათ. ამიტომაც ტანკს აუცილებლად სჭირდებოდა მუხლუხები.



მეორე მსოფლიო ომის დროს ამ საბრძოლო მანქანაზე მძიმე და მსხვილკალიბრიანი ქვემეხები დააყენეს და ოღროჩოღრო გზებზე სწრაფად სასიარულოდ უფრო ფართო მუხლუხები დასჭირდა.

მაგრამ დასრულდა მე-20 საუკუნე და თანამედროვე ტექნიკურმა მიღწევებმა კონსტრუქტორებს საშუალება მისცა, უარი ეთქვათ მუხლუხების გამოყენებაზე, რამაც მკვეთრად გააიაფა ტანკის ღირებულება.

ამერიკელმა კონსტრუქტორებმა კანადური ჯავშანტრანსპორტიორის LAV III-ის ბაზაზე შექმნეს მძიმე შეიარაღების მქონე საბრძოლოჯავშნიანი მანქანა, რომელიც საცეცხლე შესაძლებლობებით ნამდვილად არ ჩამოუვარდება ჩვენს შეიარაღებაში არსებულ საშუალო Т-55 ტიპის ტანკს.

ახალი კანადურ-ამერიკული ბორბლებიანი ტანკი რუსულ ჯავშანტრანსპორტიორ БТР-80-ს წააგავს და მასავით 8X8 ბორბლების ფორმულა აქვს, მაგრამ ერთ დროს ყოფილი ჯავშანტრანსპორტიორის ბაზაზე მძლავრი 105 მმ კალიბრის ქვემეხია დამონტაჟებული და ისიც გარეთ; ანუ გასროლისას წარმოქმნილი დამწვარი დენთის აირები ეკიპაჟთან აღარ ხვდება. ამასთან, ქვემეხი იტენება ავტომატური რეჟიმით, რის გამოც ეკიპაჟიდან გამოყვანილია დამტენი ჯარისკაცი.

„ბორბლებიანი ტანკი“ 350 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავათია აღჭურვილი, რაც 17,3-ტონიან საბრძოლო მანქანას მოასფალტებულ გზაზე 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. ეკიპაჟი სამკაციანია — მეთაური, მექანიკოსი-მძღოლი და დამმიზნებელი. საბრძოლო მანქანის სიმაღლე სულ 1,95 მ-ია, რაც მას საშუალებას აძლევს შედარებით მალულად გადაადგილდეს. რა თქმა უნდა, „ბორბლებიანი ტანკის“ ჯავშნის სისქე ნამდვილი ტანკისაზე ბევრად ნაკლებია, მაგრამ 105-მმ-იანი ქვემეხით Т-55-ის აფეთქებაც შეუძლია და გვერდიდან — Т-72-ისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ, მისივე კლასის სხვა ჯავშანტრანსპორტიორებსა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე.

და მთავარი პლუსი, რის გამოც კონსტრუქტორებმა ბორბლებიან ჯავშანტრანსპორტიორებზე დაიწყეს სატანკო ქვემეხების დამონტაჟება — სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით მათი გადასროლა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე 45-60-ტონიანი ტანკებისა, რაც შეესაბამება სწრაფი რეაგირების ძალების დღეისათვის პოპულარულ კონცეფციას.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### NATO საკუთარ მობილურ ძალებს ქმნის

ახალი წევრების მიღების შემდეგ NATO-ს მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც მისგან კრიტიკულ სიტუაციებში



ოპერატიულ მოქმედებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ 2004 წლისთვის NATO-ში შეიქმნება ოციათასკაციანი სწრაფი რეაგირების ძალები. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შემავალი ქვეყნები ამ ახალი სტრუქტურის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის გამოყოფენ სადესანტო თვითმფრინავებსა და ხომალდებს და ნაწილობრივ ხარჯებსაც დაფარავენ.

დღეისთვის NATO-ს სამხედრო ბიუჯეტი 700 მლნ დოლარია, ხოლო „სამოქალაქო ბიუჯეტი“ (მასში შედის ბრიუსელში მდებარე შტაბბინაში მომუშავე 1100 კაცის შენახვა) კი წელიწადში 170 მლნ ევროს აღწევს. NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი ესპანეთში განთავსდება.

### დასავლეთი ქიმიური იარაღის „აღორძინებას“ აპირებს

მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთ-



ში მიმდინარეობს სამუშაოები ქიმიური იარაღის, ოღონდ მისი არამომაკვდინებელი ვარიანტების თანამედროვე ნიმუშების შესაქმნელად.

ასეთი არამომაკვდინებელი იარაღი ძირითადად განკუთვნილია მიტინგების დასაშლელად და მასობრივი არეულობების სალოკალიზაციოდ. ხელყუმბარებში ჩატუმბული სპეციალური გაზი ამოქმედებისას გამოყოფს ძალზე უსიამოვნო სუნს (მაგალითად, ლაყე კვერცხის ან უარესის...), რაც მომიტინგეებზე უფრო „შთამბეჭდავად“ მოქმედებს, ვიდრე ჩვეულებრივი ცრემლსადენი გაზი ან წყლის ჭავლი. ამგვარი იარაღის სხვა სახეობა ადგილზევე აწებებს არა მარტო ადამიანებს, არამედ, მანქანებსა და მსუბუქ ტანკსაც კი. პოლიციელების შეიარაღებაში მალე გამოჩნდება ავტომატის მაგვარი იარაღი, რომელიც ტყვიების ნაცვლად ბადეს ისვრის ან სულაც სუსპენზიას ასხურებს დამნაშავეს.

### „უჩინმაჩინის ქუდი“ — ამერიკულად

ამერიკელმა გამომგონებელმა რეი ალდენმა შექმნა ნამდვილი „უჩინმაჩინის ქუდი“, ოღონდ ლაბადის სახით. ლაბადა ქამელეონის პრინციპით მუშაობს და გარემოს ფერს ეხამება. ლაბადის უკანა მხარეზე განათების სენსორებია მოთავსებული. ისინი ზომავენ სინათლის ტალღის სიგრძეს, ინტენსივობას და ა.შ. შემდეგ ეს მონაცემები გადაეცემა ლაბადის წინა მხარეს მოთავსებულ სინათლის გამომსხივებელ მოწყობილობას, რომელიც ზუსტად იმავე პარამეტრების სინათლის სხივს ასხივებს, როგორიც ლაბადის უკანაა. იქმნება სინათლის ეფექტი და ადამიანი „ქრება“. ამ რთული მოწყობილობის დახვეწა არც ისე ძნელია, მით უმეტეს, რომ ამერიკელის გამოგონებით არა მარტო მისი მშობლიური სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. სპეცსამსახურებს კი იმის თანხა ნამდვილად აქვთ, შეუძლებელი შეძლონ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# მაღალი კლასის აფერისტი და არა ქურდი

*გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ბალეტ „მთიელი ქალის“ პრემიერა შედგა. ამ ნაწარმოების სიუჟეტი დაღესტნის მთებში ვითარდება და ამასთან დაკავშირებით ვიღაცას აზრად მოუვიდა სპექტაკლის პარალელურად, იქვე, თეატრის ფოიეში მოეწყოთ დაღესტნელი ოსტატების ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა. სამი კვირის მანძილზე იდგა გრძელი რიგები კუბაჩელი ოქრომჭედლების, კასუმკენტელი მეხალიჩეებისა და ბალხარელი მეჭურჭლეების ნამუშევრების ხილვის მოლოდინში. გამოფენას მაღალი შეფასება მისცა იმდროინდელმა საკავშირო პრესამ და ტელევიზიამ. გაზეთები იუწყებოდნენ, დამთვალიერებლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ამ საოცარი ნამუშევრების ხილვისასო. ასე რომ, ამ გამოფენით ლენინგრადიდან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებულ ადგილებშიც დაინტერესდნენ. თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით.*

## შესავლის მაგიერ

გამთენიისას, სოჭის ვაგზალში, მატარებელ თბილისი-როსტოვის საფოსტო ვაგონს ახალი გაზეთები მიაწოდეს. სხვა გზავნილების გადაზიდვასთან ერთად, ვაგონის მოსამსახურე ნუგზარ ხვინგიასა და ლოვა კასოიანის მოვალეობა გზადაგზა ამ გაზეთების დარიგებაც იყო. ხვინგიამ „იზვესტიის“ შეკვრიდან ოსტატურად დააძრო გაზეთის ერთი ეგზემპლარი და კითხვას შეუდგა. კასოიანმა კი „კროკოდილი“ დაითრია და ნახატების თვალიერებით ირთობდა თავს.

— აი, სიმდიდრე! — შეჰყვირა უცბად ნუგზარმა და გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოსურათს დააცქერდა, რომელზეც გამოფენის ექსპონატები იყო აღბეჭდილი.

— სიმდიდრე არა, ლეკების მოკალული ქვაბებია და მეტი არაფერი. სიმდიდრე თუ გინდა ნახო, ტრეტიაკოვკა ან ერმიტაჟი უნდა დაათვალიერო, ან ცარსკოე სელო. აბა, იქაა თუა სიმდიდრე. პაწაწინა ნივთი ბარე ოცი-ორმოცი ათასი ღირს.

— ლოვაჯან, მაცალე რა... ამ ნივთებიდან ბევრზე უარს არც ერმიტაჟი იტყოდა და არც დრეზდენის გალერეა. ფასიც დიდი აქვს და მოთხოვნილებაც, რადგან ტრეტიაკოვის გალერეა ერთიანად რომ გაჩუქონ, ერთ ნახატსაც ვერ გაყიდი იმიტომ, რომ ის ნახატი მხოლოდ ერთი ეგზემპლარი შექმნა მისმა მხატვარმა და სპეციალურ კატალოგშია შეტანილი. ამ ნივთებს კი და-ძმებიცა ჰყავს, რადგან თითოს კი არა, რამდენიმეს აკეთებენ მისი ოსტატები, ამიტომაც სადაც გინდა და როცა გინდა, მაშინ გაყიდი. თანაც დიდ ფასად და უდავიდარაბოდ, რადგან არც კატალოგები არსებობს მათ შესახებ და არც ვინმეს საწყობშია დაცული. იტყვი: ვიყიდე — გავყიდე... სომეხ კაცს ეს არ გესწავლება...

ლოვამ პირი დააღო, — ეს ქართველი რა განათლებული ყოფილა. ნახე, რა ცოდნა გამოამჟღავნა. არა, ჩალიჩი კი ეხერხება, ძირითადად, დაფნისა და ციტრუსების გატანაზე მუშაობს და ამ ვაგონსაც იმიტომ ვერ თმობს, თორემ ლოვა ვერც იფიქრებდა, ნუგზარი ხელოვნებაშიც თუ ერკვეოდა.

— მართალია, დედით რუსი გახლდათ, მაგრამ მამა რომ ქართველი ჰყავდა, ამაში არასოდეს შეჰპარვია ეჭვი. როსტოვში დაიბადა და იქვე დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. საქართველოში, მამის სოფელში, სულ რამდენჯერმე იყო ნამყოფი, მაგრამ მშობლის გარდაცვალების შემდეგ აქეთ გული აღარ მოუწევდა და იმით კმაყოფილდებოდა, რომ დროდადრო მატარებლით ჩაუქროლებდა მამაპაპეულ სახლს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ როსტოვის ერთ-ერთ სამეცნიერო ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ხელფასი იმდენად მცირე ჰქონდა, ჰალსტუხის საყიდლადაც ძლივს ჰყოფნიდა. მალე მიხვდა, ასე თავს ვერ ირჩენდა და ფულის შოვნის სხვა გზას მიაგნო. ასე ყალიბდებოდა პროფესიონალი „გადამგდები“.

ერთ დღეს ნუგზარი ქალაქგარეთ მდებარე ხეტყის ბაზას მიადგა. სახლის სახურავისთვის დახერხილი მასალა სჭირდებოდა და როგორღაც მოახერხა ორმაგ ფასად ყიდვა. ის იყო, ბაზიდან უნდა გამოსულიყო, რომ ჭიშკართან, როგორც თვითონ განაცხადეს, მეზობელი რაიონიდან ჩამოსული რამდენიმე კაზაკი დახვდა და სთხოვეს — გეტყობათ, ბაზის ხელმძღვანელობას იცნობთ და იქნებ გვიშუამდგომლოთ. ოცდახუთი კუბმეტრი მასალა გვჭირდებაო. იმწუთას არა, მაგრამ მერე ნელ-ნელა მოისაზრა, რომ იოლად შეიძლებოდა კაზაკების „გადაგდება“ და ბაზის ხელმძღვანელობასთან შებრუნდა: ის ხალხი ჭიშკართან რომ დგას, ჩემი მეზობლები არიან, დახერხილი მასალა უნდათ და იმავე ნიხრით გადაიხდიან, როგორითაც მე გაგისწორდითო და როცა თანხმობა მიიღო, კაზაკებს გასძახა: — შეგიძლიათ მასალა გადაარჩიოთო. შებინდებამდე ღერა-ღერა, სათითაოდ არჩევდნენ გარანდულ ფიცარს. საქმეს რომ მორჩნენ, ნუგზარმა უთხრა — ფული მე მომეცით, თქვენგან არ აიღებენ, არ გენდობიან, რაკი ზედმეტს გახდევინებენ. თქვენ მანქანის მოსაყვანად გაიქეცით, სანამ არ შემოგღამებიათო. გახარებულმა კაზაკებმა ცხვირსახოცებში გამოკრული, ვინ იცის რამდენჯერ გადათვლილი ფული ნუგზარს გადასცეს და სატვირთო მანქანების მოსაყვანად გაცვივდნენ. მალე ორი ვეებერთელა სატვირთო შეგრიალდა ბაზის ეზოში. გადაღლილმა, მაგრამ შენაძენით კმაყოფილმა კაზაკებმა დატვირთეს მანქანები და ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყვნენ, რომ ბაზის დაცვამ ჭიშკარი ჩაკეტა და საშვი მოითხოვა. ორიოდ წუთში გაირკვა, რომ შუაკაცი, რომლის არც სახელი და არც გვარი არავინ იცოდა, ფულიანად აორთქლებულიყო. საცოდავ კაზაკებს მანქანებიც დააცლევინეს და პანღურებიც ურტყეს, — ის კაცი თქვენ მოგვიგზავნეთ და თაღლითურად აპირებდით ხეტყის აქედან წაღებასო.

ეს ნუგზარის პირველი აფერა იყო. რამდენიმე დღის შემდეგ წინასწარ შემუშავებული გეგმით მოსკოვში ჩავიდა და მანქანების ბირჟაზე საქართველოდან ჩასულ ბიჭებს გამოელაპარაკა თავისი დამტვრეული ქართულით.

— მეც ქართველი ვარ, მაგრამ დიდი ხანია რუსეთში ვცხოვრობ და მშობლიური ენა დამავიწყდა, — შესჩივლა „თავისიანებს“ და თანაც გააფრთხილა, — ბიჭებო, ყველას ნუ ენდობით. უამრავი გადამგდები დაწრიალებს, საკუთარ ძმასაც არ ინდობენო. მერე იქვე, სალუდეში მიიწვია „თანამემამულენი“, გაცნობისა გადავკრათო. სალუდედან გამოსვლისას კი სასხვათაშორისოდ ჩაულაპარაკა: დასანანია, მანქანების მეტი რომ არაფერი გაინტერესებთ, თორემ ქალაქის განაპირას ორეხოვო-ბორისოვოს რაიონში ჩემმა მოხუცმა მეზობელმა ორიოდ წლის წინ ნაყიდი სახლი დაანგრია და კედელში ჩატანებული იმდენი სამპროცენტიანი ობლიგაცია იპოვა, აღარ იცის რა მოუხერხოს და რაკი გამოჩენის ეშინია (როგორ დაამტკიცებს საიდან აღმოჩნდა მასთან ამდენი სიმდიდრე), მთხოვა, თუ სანდო ხალხს მიშოვი, ნახევარ ფასად გავყიდიო (ცნობისათვის: ამ ობლიგაციებს „ოქროსას“ ეძახდნენ იმ დროს, რადგან ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მათი გადახურდავება. — ვ. გ.).

— მანქანის დედა არ ვატირე? ახლა, ჯო, თითო მანქანის ფული ხო გვაქვს არა, იმ ობლიგაციებს თუ ნახევარ ფასად მოგვცემენ, ორ-ორისა გაგვიხდება. მერე ნახე, როგო მოექცევა სახე ჩემს ბიძაშვილ ნოდარას, აქედან ახალი „ვოლგით“ რომ ჩავალ და შინიდან წამოღებულ ფულსაც მისი გულის გასახეთქადა მაგიდაზე დავყრი. ეგეთი მომენტის ხელიდან გაშვება იქნება, განა? დავაი, გენაცვალე, რა მანქანა, რი მანქანა, შენ ერთი იმ ბებერთან წაგვიძეხი, — სამნი იყვნენ, სამივემ ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— არა, ბიჭებო, იმ ბებერმა თქვენ რომ განახოთ, შიშით გული გაუსკდება, სახლთან მიგიყვანთ, მერე ფულს მე შევუტან და ობლიგაციებს გამოვართმევ... ოღონდ შესაძლოა ცოტა დიდხანს მოგიწიოთ ლოდინმა, ხომ იცით, მოხუცები რა უნდობლები არიან, ფულის დათვლას დიდ დროს მოანდომებს.

— ორ დღეს დავდგებით, ძმაო... ოცდაათი ათასი მანეთის შოვნას რვა წელიწადი შევალიე და ახლა თუ ერთი ამდენი ასე ჰაიჰარად უნდა მივიღო, ცოტას ველარ მოვიცდი?

— მაშ, წავედით! — და ნუგზარი ტაქსიში მოკალათდა. ერთ საათში ქალაქს გასცდნენ და ბარაკის ტიპის დასახლებას მიადგნენ. ნუგზარმა ბიჭები მანქანაში დატოვა და ფულით სავსე ჩანთით ერთ-ერთ ეზოში შევიდა, რომლის ბინადარს ეტყობა, მართლაც დაენგრია სახლი და დროებით პატარა ფარდულისთვის შეეფარებინა თავი. ნუგზარმა ფარდულს შემოუარა, შიგ შესვლა აზრადაც არ მოსვლია. გზა გააგრძელა და ისე გაძვრა, ტაქსიდან არც შეუმჩნევიათ. მერე გამვლელი მანქანა გააჩერა და აეროპორტში წაყვანა სთხოვა. ასე სჯობდა: რკინიგზის სადგურში ან კაშირკას ბირჟაზე, საიდანაც კავკასიის მიმართულებით დღეში რამდენჯერმე გადიოდა ტრანსპორტი, შესაძლოა ქართველებს გადაჰყროდა. თავის არიდება არჩია — მაინც შარიანი ხალხიაო ეს ქართველები, — ჩაილაპარაკა და თვითმფრინავის ტრაპზე ავიდა.

## ყელსაბამი... საცოლისათვის

იმავე წლის სექტემბრის მიწურულს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ სამსახურს მუქსათვალიანი სუპერმენი ეწვია. ვერ ვიტყვი, ვერსაჩეს კოსტიუმი ეცვა თუ არმანისა, რადგან მაშინ ამ სახელებს არავინ იცნობდა დიად საბჭოეთში, მაგრამ საოცრად მოხდენილად გამოწყობილიყო. მანერებზეც ეტყობოდა, უბრალო ვინმე არ უნდა ყოფილიყო. მასპინძლებს თავი საკავშირო სამინისტროს ერთ-ერთ ახალ, „ზესაიდუმლო“ სამმართველოს წარმომადგენლად გააცნო და მის ხელთ არსებული მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მანქანა მოითხოვა მძღოლიანად. ერთი თვე დაქროდა სუპერმენი ანტენიანი შავი „ვოლგით“ თბილისის ქუჩებში. თუ ვინმემ ამოიცნო, უნდა დავეთანხმო, — ის სწორედ ჩვენი ნაცნობი ნუგზარ ხვინგია გახლდათ და ახალი აფერის მოკვარახჭინებისთვის „ილვწოდა“. პირველსავე დღეს იგი თბილისში მცხოვრებ, მასზე 12 წლით უფროს ქალბატონს ეწვია თითქოს საერთო ნაცნობის დავალებით და მისგან მოკითხვა, თავის მხრივ კი იმ დროს მიუწვდომელი ფრანგული სუნამოების კოლექცია მიართვა. ამასთან, რესტორანშიც დაპატიჟა — მართალია, ქართველი ვარ, მაგრამ რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, აქ ნაცნობიც კი არავინ მყავს. თავის დროზე მამა მოსკოვის სერბსკის კლინიკის პროფესორი, წამყვანი ფსიქოლოგი გახლდათ, მე კი ქირურგად გამზარდა და ახლა აქ დახელოვნების კურსებზე მომავლინეს. ქირურგიის შესანიშნავი სკოლა გაქვთ ქართველებს, ამიტომაც ვარჩიე აქეთ წამოსვლაო.

ასეთი გულახდილი საუბრის შემდეგ ქალბატონმაც თავი მოვალედ ჩათვალა სიმპათიური ახალგაზრდისთვის საკუთარი თავიც უფრო ახლოს გაეცნო და, სხვათა შორის, არც ის დაუმალავს, რომ წარმოშობით არაქართველი იყო და ყოფილი მეუღლის გვარს ატარებდა. რომ არაერთგზის შეუთავაზებიათ ღირსეულ მამაკაცებს გული და ხელი, მაგრამ აქამდე ვერავინ მოუნახა გასაღები მის დახურულ გულს. ქალი ნაწილობრივ მართალი იყო, მაგრამ ყველაფერი მაინც არ უთქვამს, ანდა როგორი სათქმელი იყო. მით უმეტეს ახალგაცნობილი კაცისთვის, რომ მამაკაცები სინამდვილეში მის სიმდიდრეზე ოცნებობდნენ დაქორწინებას, რომელიც აწ გარდაცვლილი მეუღლის ანდერძითა და მზითევის სახით დარჩა. იმ დღიდან ყოველ საღამოს რესტორნებში ატარებდნენ დროს ნუგზარი და ლეილა. ანტენიანი „ვოლგა“ ქუჩაში ელოდებოდათ, შინდაბრუნებულებს კი კართან ყვავილების მთები ხვდებოდათ. ამის თადარიგს დილიდანვე იჭერდა ხოლმე ნუგზარი. მერე რამდენჯერმე ქალაქგარეთაც გაისეირნეს და ვაჟიც გამოუტყდა ქალს — უშენოდ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებო და პასუხსაც არ დაელოდა — სასწრაფოდ შეუკვეთა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროულობა, საქორწინო კაბა და მრავალი სხვა. ფულის ნაწილს ყველგან თვითონ იხდიდა, მერე რესტორანში 200-კაციანი ქორწილის საფასურის ნაწილიც გადაიხადა იმ პირობით, სუფრას ჩიტის რძეც არ უნდა აკლდესო და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს ერთი დღით დასვენების უფლება. ეს დღე პარასკევი გახლდათ, შაბათ დილით კი ბანკში გაიქცა და... უკან დაბრუნებულს სახეზე ფერი აღარ ედო.

— ლეილა, შენ რატომ მაინც არ გამაფრთხილე, დღეს თუ შაბათი იყო, ეს როგორ მომივიდა, გუშინ მთელი დღე უქმად ვიკოტრიალე და დღეს ირკვევა, რომ ბანკი დაკეტილია და ფულს ვერ მივიღებ, ჩვენ კი მთელი შენი სამეგობრო დავპატიჟეთ, ჩემები ალბათ მხოლოდ ათითხუთმეტი კაცი ჩამოფრინდება მოსკოვიდან, ვის ვთხოვო ახლა ფული? — წამით ლეილასაც ფერი ეცვალა, მაგრამ ბევრი აღარ უფიქრია და თავისი ქისა გახსნა.

— ნუ ნერვიულობ, საყვარელო, სადაც ამხელა სიყვარულია, შენი-ჩემი რა მოსატანია?! აი ფული, აქ იმაზე მეტია, რაც ჩვენ გვჭირდება, ახლა ყველაფერი გადაიხადე და ორშაბათს შენი ფული ავიღოთ.

— ლეილა, საიდან ამდენი ფული? — ისე გაიკვირვა „სასიძომ“, თითქოს არაფერი სმენოდა ამ ფულის შესახებ. ერთი სიტყვით, ფულს ხელი დაავლო და გავარდა.

— აეროპორტში, — მიუგდო მძღოლს და მანქანაც მოსწყდა ადგილს. ნუგზარმა საათს დახედა. რეგისტრაციის დამთავრებამდე ოცდახუთი წუთიღა რჩებოდა... მეორე დღეს ქალბატონი ლეილა ნაცნობ-მეგობრებში ფულს სესხულობდა, ჩაშლილი ქორწილის ვალები რომ გადაეხადა. სასიძო კი მას შემდეგ თვალითაც აღარ უნახავს.

გამოხდა ხანი და ნუგზარს კვლავ გამოუწია გულმა „მშობლიური“ ადგილებისკენ. ერთ-ერთ მთიან რაიონს მიაშურა და იქაურ თავკაცებს განუცხადა, — მაღალ ეშელონებში მიღებულია გადაწყვეტილება თქვენი რაიონის ერთ-ერთი ეგზოტიკური სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ და მე, როგორც მოსკოვის საკავშირო ინსტიტუტის „სოიუზვოდაკანალსტროირემექსპლუატაციის“ (რა თქმა უნდა, არარსებულის) წარმომადგენელმა, საპროექტო სამუშაოები უნდა ჩავატაროო.

— ა, ბიჭო, შალიკუნა, სულ რომ წუწუნებ, შე კაცო, წყლის თრევამ მომილო ბოლოო, ქვე გვეშველა და ეგაა. ღმერთმა გამოგვიგზავნა ე კაცი ალბათ. ქართველი რო ყოფილა, იმიზა გამოუწევია აქეთ, თორემ შუა აზიაში აგზავნიდნენ თურმე, თავი მოუკლავს და აქეთ წამოსულა.

ერთი თვე „აპროექტებდა“ ინჟინერი სოფლის წყალგაყვანილობის სისტემას. მთელი სოფელი გადათხარეს იქაურებმა, მაგრამ ვინ რას ჩიოდა. სოფელი თავის წყალგაყვანილობის სისტემას აკეთებდა და რა დროს წვრილმანებზე წუწუნი იყო.

— აბა, ისთე რავა იქნება, შე კაცო? სამაგიეროდ, ერთხელ გაკეთდება და საშვილიშვილოდ. რა კაცია თუ იცი, შალიკუნა, ჩვენი ინჟინერი? შენ რომ ათ შაურზე გიკანკალებს ხელი, ეს დალოცვილი ოცდახუთმანეთიანს მჩუქნის თმაწვერის გასაკრეჭად. ხვალე დაბარებული ვყავარ, მილები უნდა მოიტანონ და ჩამოცლაში დამეხმარეთო. შენც წამოი, შალიკუნა, ნუ დეიზარებ.

— რავა დევიზარებ შე კაცო, კაცი ჩემს საქმეს აკეთებს და მე დევიზარებ?

იმ ზაფხულს მამისონის უღელტეხილზე მსხვილდიამეტრიან რკინის მილებს ეზიდებოდნენ გეოლოგიური ექსპედიციის საჭიროებისთვის. ნუგზარი წინა დღეს მოელაპარაკა სატვირთო მანქანის მძღოლებს — აი, ას-ასი მანეთი, ცენტრალური გზიდან ცოტა გადაუხვიეთ სოფლის მიმართულებით, მეც იქვე ვიქნები, ცოტას ვითომ დაგტუქსავთ და უკან გაბრუნდებითო.

მეორე დღეს მთელი სოფელი გამოეფინა გზაზე, როცა დაინახეს, როგორ შეუყვნენ აღმართს მილებით დატვირთული მანქანები.

— ჰაიტ! თქვე ასეთებო და ისეთებო. ხომ გითხარით, ნახევარი დიუმჩეტვერტი და ნახევარიც პოლდიუმა მილი გამოგზავნეთ-მეთქი. ამით აქ როგორ უნდა ვიმუშაო? ახლავე მოაბრუნეთ მანქანები და ვიდრე საჭირო დიამეტრის მილებს არ მოიტანთ, თქვენი ფეხი არ ვნახო ამ არემარეში! — დასჭყივლა მძღოლებს. იმავე დღეს „გაქანდა“ თბილისში „ინჟინერი“, ორი დღის შემდეგ კი ოდნავ ფრთაშეკვეცილი ჩანდა — ჩემი სამშობლო რომ არ იყოს, გავიქცეოდი აქედანო, — შესჩივლა სოფლელებს, — თუ ქრთამი არ მიეცი, ვერაფერს გააკეთებ. ხომ ნახეთ, როგორი მილები გამომიგზავნეს... მაიძულებენ, ქრთამი გადავიხადო, მაგრამ მე არ ვიღებ ამ ქრთამს და იმათ როგორ მივცე.



— მაგაზე ნუ მეიწყენ, შენ შემოგევლე, ამისთანებს ქვე მივეჩვიეთ კაი ხანია. ახლავე დავივლი სოფელს და ფულს შევაგროვებ, — ანუგეშა საბჭოს დარაჯმა რაჟდენმა ინჟინერი და სოფლის ორლობეს გაუყვა... იმავე საღამოს ერთი პარკი ფული მიუტანა რაჟდენამ ნუგზარს. დილაადრიან ინჟინერი სადალაქოს ესტუმრა. გაიხარა ვალოდია პარიკმახერმა.

— მიდიხარ ხომ, ბატონო, თბილისში, ჩამოიტან ხომ მილებს, შენი ოჯახი გაახაროს ღმერთმა.

— მივდივარ, ლადო, მარა ისე შემომლევია სახარჯო ფული, არც გამიგია. სოფლის შენაგროვებს ხომ არ მოვაკლებ, მაგას მირჩევნია, ვიშიმშილო.

— ლადიკუნა მოგიკვდეს, ბატონო. პარიკმახერი რომ ვარ, გლახა კი არა ვარ. კი არ დამვიწყებია, ოცდახუთმანეთიანებს რომ მჩუქნიდი თითო გაკრეჭაში. ამ წუთში მოგირბენინებ ხუთას მანეთს. ძროხის ყიდვას ვაპირებდი, მარა თქვენთან რა დაიკარგება, ბატონო...

მას შემდეგ არც ლადიკუნას უნახავს ინჟინერი და თავისი ხუთასი მანეთი და აღარც სოფლელებს. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ამოავსეს გათხრილი ტრანშეები და კვლავ აღადგინეს მონგრეული ღობეები.

## დასაწყისის გაგრძელება

ჩვენი გმირი საქართველოში ამის შემდეგ კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. იმდენი ვინმე ჰყავდა გაცურებული, ადვილი შესაძლებელი იყო, რომელიმეს სადმე გადაჰყროდა და მაშინ? ასე აღმოჩნდა ნუგზარი მატარებლის საფოსტო ვაგონის გამცილებლის როლში...

ლენინგრადული გამოფენა იმავე წლის 30 მარტს დაიხურა. საღამოს ნივთები ყუთებში ჩააწყვეს და ლენინგრადი-ადლერის მიმართულებით გაგზავნეს სადგურ კავკაზსკაიამდე, სადაც მოსკოვი-ბაქოს მატარებელზე... საფოსტო ვაგონში გადაიტანეს. ოფიციალური მონაცემებით, ტვირთი თბილისის სათადარიგო საბარგო განყოფილების თანამშრომლებმა ვანო ადეიშვილმა და გენო გაბადაძემ მიიღეს. სინამდვილეში კი ეს გახლდათ ჩვენთვის უკვე ნაცნობი წყვილი ნუგზარ ხვინგია და ლოვა კასოიანი. ვერ ვიტყვი, ნუგზარმა ისე დაგეგმა თავისი მორიგეობა და მარშრუტი, რომ ყუთები მასთან მოხვედრილიყო-მეთქი. მაგრამ როგორც კი საბუთებს დახედა, იმწამსვე მიხვდა, რა იქნებოდა ამ ყუთებში. ოცდათოთხმეტი ნივთი ამოიღეს ყუთებიდან ხვინგიამ და კასოიანმა. ნუგზარს ეგონა, ვერაფერს შეამჩნევდნენ მაჰაჩყალაში, მაგრამ მოტყუვდა. ქურდობა არ იყო მისი მოწოდება — მაღალი კლასის აფერისტი იყო და არა ქურდი.

P.S. მრავალი წლის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი პირადად შეხვდა ნუგზარ ხვინგიას (რომლის გვარი და სახელი შეცვლილია).

...ყოფილი სუპერმენი ბომჟს ჰგავდა. ასე სცოდნია ციხეს.

***ვაჟა გავაშელი***

# „საქართველოს ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება“

## — დოკუ უმაროვი



### რატომ დღეს და არა თავიდანვე, ან უფრო ადრე?

თითქოს ახალი და გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ქვეყანაში „შემოჭრილი“ შეიარაღებული ჯგუფების და დამნაშავეების წინააღმდეგ სამართალდამცველებმა შესაბამისი ზომები მიიღონ, დანაშაულებრივ ქმედებებში ეჭვმიტანილი სამოქალაქო პირები კი დააკავონ, მაგრამ ჩნდება კითხვა: რატომ დღეს და არა თავიდანვე, ან უფრო ადრე? ჩეჩენთა შეიარაღებული რაზმები საქართველოში ხომ დიდი ხანია თავისუფლად დადიან? თბილისში კი გავლენიანი ჩეჩნები ცენტრალურ უბნებში ელიტარულ ბინებში ცხოვრობენ. არადა, მთელი წლის მანძილზე რუსული წყაროები და რუსეთში გადახვეწილი ქართველი ჩინოსნები პერმანენტულად ავრცელებდნენ ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ მალე თბილისში ტერაქტების სერიალები დაიწყება.

ამ მოვლენებს წინ საქართველოს პარლამენტში ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი ბათიაშვილის განცხადება უძღოდა: „ყვავის ჩხავილად არ ჩამითვალოთ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიების დაბომბვა ცოტა ხანში, შეიძლება, ტკბილი სიზმარივით მოვიგონოთ“-ო. ნურც ჩვენ ჩაგვითვლით ყვავის ჩხავილად იმ მოსაზრებებსა და განწყობილებას, კითხვას, რაც ნამდვილად ჩვენც გაგვიჩნდა, რა ხდება, რას აკეთებს ქვეყნის პრეზიდენტი? — როგორც ყოველთვის, ის სიტყვას ასრულებს, ოღონდ მხოლოდ სათავისოს. შეგახსენებთ ვერსიას, რომელიც „კვირის პალიტრამ“ ერთ-ერთ წინამორბედ ნომერში უკვე შემოგთავაზათ.

2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისა და პრეზიდენტად კვლავ „არჩევის“ შემდეგ, ერთ-ერთ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ უცნაურად „იხუმრა“. ნუ დარდობთ, 2007 წლამდე თქვენი პრეზიდენტი ვიქნებიო. მაშინ ეს ციფრი საზოგადოებამ ტექნიკურ შეცდომად აღიქვა და პრეზიდენტის ასაკს დააბრალა. მოვლენების განვითარება კი კვლავ გვარწმუნებს, რომ პრეზიდენტი სულაც არ დაბერებულა(?!) და არც მაშინ შეშლია რამე. შევარდნაძის კვლავ გაპრეზიდენტების ახალი პროგრამისთვის ხელსაყრელი ფონი სწორედ წელს უნდა შექმნილიყო. უფრო კონკრეტულად, თუ წელს ქვეყანაში საგანგებო ვითარება გამოცხადდება, საპრეზიდენტო არჩევნები (ასევე, საპარლამენტოც) ავტომატურად გადაიდება და მას უფლებამოსილება კვლავ ხუთი წლით გაუგრძელდება; ანუ გაანგარიშება ვადებში ზუსტად ჯდება — 2002წ+5წ=2007წ. გასულ კვირას კი უშიშროების მინისტრი აცხადებს, რომ ქვეყანაში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდება(!). ეს, ერთი შეხედვით, შეუძლებელი პერსპექტივა, შეიძლება ედუარდ შევარდნაძის თვითმიზანი სულაც არ იყოს(?). სრულიად შესაძლებელია, ბედკრული საქართველოს შვილს ეს დავალება თავიდანვე „აჰკიდეს“ და ისიც იძულებულია, ეს ტვირთი ქანცის გაწყვეტამდე ზიდოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მომხდარ უბედურებას არა მხოლოდ საზრიანი ადამიანების პროგნოზები უსწრებს წინ, არამედ ის უკვე დაგეგმილი და კარგად გათვლილი მოვლენებია. ვინ გეგმავს ყოველივე ამას? ამ კითხვაზე პასუხისთვის ვერსიები ბლომად არსებობს. რაც შეეხება სიახლეს, ძველი ამბები დღეს ახლებურად გვიბრუნდება. საბჭოეთის დროინდელი პოპულარული ჭორი, რუსეთმა მეგობარი რესპუბლიკები „საშოვარზე“ მიუშვა, რადგან თვითონაც უჭირდა და დერჟავობაზე თავს ვერ დადებდაო, დღეს პუტინის ახალმა იდეებმა შეიძლება რეალურად შეგვახსენოს. დღემდე „ანტიტერორისტულ კოალიციაზე“ და აშშ-ის მხარდაჭერაზე მოლაპარაკე პუტინი მსოფლიოს ახალ ტერმინს — „მრავალპოლუსიან სამყაროს“ აპარებს. პოლიტოლოგების ანალიზით, ეს ტერმინი „მსოფლიო ბატონობაზე ამერიკის პრეტენზიის“ დაგმობას ნიშნავს. გასულ კვირას კი რუსეთის ლიდერი კვლავ ალაპარაკდა „სამართლიან და მრავალპოლუსიან“ მსოფლიოზე და ამ თემაზე სასაუბროდ ჩინეთსა და ინდოეთს ეწვია. ვიზიტებისას საუბარი იყო „სტრატეგიული სამკუთხედის“ შექმნაზე, თუმცა ყველაფერი ეს ჯერ საწყის ეტაპზეა.

ბუნებრივია და გასაგები საქართველოს შიში რუსეთის აგრესიისადმი, მაგრამ სულ უფრო გაუგებარი ხდება, თავიდანვე რატომ არ მიმართა ჩვენმა ხელისუფლებამ ზომიერ პოლიტიკას, ან სად გაქრა ამერიკული თანადგომა? თუ ზომიერ პოლიტიკად რუსეთისთვის ჩეჩენი პატიმრების გადაცემა და საჩვენებელი ოპერაციები ითვლება, ეს ილუზია შესაძლოა, ძალიან მწარედ გაგვეფანტოს. დღეს ჩეჩნეთიდან თბილისის მისამართით სერიოზული მუქარა (მიუხედავად იმისა, რომ უდუგოვი ამ ინფორმაციებს პროვოკაციას უწოდებს. — რ.ხ.) გაისმის. იჩქერიის შეიარაღებული ძალების სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი, ცნობილი საველე მეთაური დოკუ უმაროვი ქართულ საინფორმაციო საშუალებებში აცხადებს: „ჩვენ არც ისე სუსტები ვართ, რომ ანგარიში არ გაგვიწიონ. რუსეთსა და საქართველოს შორის ჩეჩენი მებრძოლების სიცოცხლის ფასად პოლიტიკურ ვაჭრობას არ დავუშვებთ. საქართველოს ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება“. როგორც რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, უმაროვის მებრძოლები დახელოვნდნენ რუსეთის არმიის ვერტმფრენების ჩამოგდებასა და თვითნაკეთი ნაღმების დამზადებაში. უმაროვი იმასაც ამბობს, რომ „სტრელას“ რაკეტების მორიგი პარტია, თავისი მეგობრისგან, რუსლან გელაევისგან ახლახან მიიღო. ეს ის გელაევია, რომელიც ქართველებს აფხაზეთში შესვლაში დახმარებას შეჰპირდა და შემდეგ ამ მოტივით გარკვეულ ძალებთან იარაღის თაობაზე მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მასმედიის მიერ დაფიქსირებული იარაღის პარტიის დაკავების რამდენიმე ფაქტში, სხვა იარაღთან ერთად, სწორედ „სტრელა“ ფიგურირებდა...

პანკისის ხეობაში, სოფელ ბირკიანში კონცენტრირებულმა ჩეჩენთა 60-კაციანმა დაჯგუფებამ საქართველოს მხარეს ულტიმატუმით მიმართა: „თუ საქართველოს სპეცსამსახურები შეეცდებიან ჩვენს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ან დაპატიმრებას, მაშინ თავს ავიფეთქებთ და მათაც ავაფეთქებთ“. ამ განცხადებებისა და ულტიმატუმების პერსპექტივა არ შეიძლება ქვეყნის უშიშროების სამსახურს თავიდანვე არ გაეთვალა. თავის დროზე ძალოვნების მხრიდან „დაშვებული“ შეცდომები კი საქართველოს მოსახლეობას პოტენციური მსხვერპლის მდგომარეობაში ტოვებს. ჩეჩნების ბრძოლისუნარიანობაზე ზემოთ ნათქვამის მიზანი შიშის დანერგვა სულაც არ არის. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც თავდაცვისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ყოველწლიურად უმცირებენ. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც ჩეჩნებთან მოკლევადიანი ტოლერანტობა გამოიჩინა. აფხაზეთში მათ „ღვაწლზე“ რატომღაც ხმის დაძვრაც ავკრძალეთ, „კავკასიელ ძმებად“ მივიღეთ და მათთან „აღებმიცემობა“ გავმართეთ. დღეს კი ქართული ხელისუფლება მათ გაზში, რუსულ ელექტროენერგიასა და სხვა „სასიცოცხლო ენერგიებში“ ცვლის. არადა, პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჩეჩნებისთვის თავის დროზე უარის ღირსეულად თქმა შეიძლებოდა. საქართველოს საამისოდ ბევრი საფუძვლიანი არგუმენტი ჰქონდა... ბოლოს და ბოლოს, იგივე ოპერაციები ჩატარდებოდა, რაც დღეს, მაგრამ ამას აშკარა ვაჭრობის კვალიფიკაცია არ მიეცემოდა.

ამ საკითხზე ვესაუბრებით ბ-ნ **ნოდარ ნათაძეს**:

— ამ ფაქტებს სხვა შეფასება არა აქვს გარდა იმისა, რომ ეს არის რუსული დავალება (და იმ ვითომდა მუქარის განცხადებებსაც პროვოკატორები აკეთებენ). უნდა შეიქმნას საფუძველი იმისათვის, რომ ხალხმა დაიჯეროს — საქართველოში ჩეჩნები აწყობენ ტერაქტებსო. ტერაქტებს კი მოაწყობს „გრუ“, რუსეთის სამხედრო დაზვერვა, მაგრამ დაბრალდება ჩეჩნებს. ამისთვის საჭიროა, ჩეჩნებს მაქსიმალურად აწყენინოს საქართველომ. ამ თამაშს შევარდნაძე თამაშობს. ჩეჩნების ექსტრადიცია კაციჭამია რუსებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ამით აიხსნება და მეტი არაფრით. რუსები სასოწარკვეთილები არიან, ხედავენ, რომ დიდ ბრძოლას აგებენ და ყველაფრისთვის მზად არიან, ყველაფერზე წავლენ. რუსეთში პუტინის ავტორიტეტი მხოლოდ და მხოლოდ მის ანტიჩეჩნურ პოლიტიკაზეა დამყარებული, სხვა საფუძველი მას არა აქვს. ამიტომ გააკეთებს ყველაფერს, რათა პოზიცია გაიმყაროს.

— **თქვენი აზრით, ხიზრი ალდამოვის ბინაში ავტომატის ძებნა სხვა ვერსიას ხომ არ უკავშირდება?**

— არა. უბრალოდ, რაც უფრო მყვირალა იქნება ფაქტი, მით მეტად აძლევს ხელს რუსებს და მიზანსაც მიაღწევენ — ქართველებს ჩეჩნები დაუპირისპირდებიან.

— **როგორ ფიქრობთ, მიაღწევს ამას რუსეთი?**

— ჯერჯერობით, არაფერი გამოსდის, თუმცა აქტიურად ცდილობს, კონფლიქტი დაიწყოს. ეს ჯერ ერთი — თვითონ ჩეჩნებისთვისაა ცუდი. მეორე და მთავარი — ქართველებისთვის მით უფრო საშიშია, რადგან რუსებს ქართველების უფრო დიდი ბოღმა აქვთ, ვიდრე ჩეჩნებისა და მესამე — ყოველივე ეს კავკასიის კონსოლიდაციისთვის არის ცუდი. სამივე ეტაპი შედის რუსეთის მიზნებში. ჩემი პროგნოზით, რუსები ამას ვერ მიაღწევენ. ქართველ და ჩეჩენ ხალხს მწარე გამოცდილება აქვთ. მეორეც, — მსოფლიოს არ სურს კონფლიქტის ახალი კერები, ამიტომ გადაიდგმება ისეთი ნაბიჯები, რომელიც ამას შეაფერხებს და ხელს შეუშლის.

***რუსუდან ხუბულავა***

# შაშიაშვილი პროტესტს აცხადებს და კაბინეტში არ შედის

ქუთაისის ავტოქარხნის გენერალური დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი, დღემდე გატაცებულ სხვა მძევლებისგან განსხვავებით, იღბლიანი აღმოჩნდა და „გაუჩინარებიდან“ რაღაც ხუთიოდ დღეში (თუმცა, ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ მაინც საღ-სალამათი) ოჯახს დაუბრუნდა. ხმები დადის, რომ ნაცვლიშვილების ოჯახმა საქმე „ოპერატიულად მოაგვარა“ და გამტაცებლებს გამოსასყიდი თანხა — 2 მლნ დოლარი გადაუხადა. არსებობს მეორე ვერსიაც: ავტოქარხნის გენერალურ დირექტორს მისგან გაწბილებულმა პარტნიორმა ბონდო შალიკიანმა გაუსწორა ანგარიში, თუმცა, რატომ და რის გამო, ამაზე არავინ საუბრობს. ექიმების რჩევით, ამირან ნაცვლიშვილი საუბარს თავს არიდებს. მომხდარის შესახებ არაფერს ამბობს მისი ცოლ-შვილიც. მხოლოდ დაზარალებულის დასთან, ჟურნალისტ ეთერ ნაცვლიშვილთან შევძელით გასაუბრება. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ ამირან ნაცვლიშვილი, 2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, თათბირის დამთავრების შემდეგ გაუჩინარდა. დაზარალებულის გადმოცემის საფუძველზე ქალბატონი ეთერი აცხადებს, რომ მის ძმას სწორედ მაშინ დაესხა თავს ოთხი შეიარაღებული ნიღბოსანი, როდესაც იგი საკუთარ ავტომობილ „რენო-მოსკვიჩს“ ავტოფარეხში აყენებდა. ეთერ ნაცვლიშვილის თქმით, მის ძმას აქამდე არავინ ემუქრებოდა, თორემ ის დაცვის ან სულაც მძღოლის თანხლებით ივლიდა. ამ მომენტში ამირან ნაცვლიშვილის მეუღლე თბილისში შვილთან იმყოფებოდა. ამიტომაც შინ მარტო მყოფი ნაცვლიშვილის გაუჩინარების ამბავი ორი-სამი დღის შემდეგ გახდა ცნობილი — მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა, სახლში ტელეფონიც მუდმივად დაკავების ზუმერს იძლეოდა, შევშინდი, ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი. თანამშრომლები და ახლობლები მიკიბულ-მოკიბულად რომ დამელაპარაკნენ, გულმა ცუდი მიგრძნო, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და ბონდო შალიკიანს დავუკავშირდი. ბონდოს და ამირანს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ. ბონდო ავტოქარხნის ერთ-ერთი აქციონერია. ამირანს ხშირად უთქვამს, ბონდო ჭკვიანი კაცია და ერთადერთი ადამიანია, ვინც ქარხანას ამუშავებსო. ჩემი ქმრის მეგობრებმაც ვერაფერი შეიტყვეს. ამ დროს კი ქალაქში ყველა ამირანს ეძებდა. ოჯახში გამოსასყიდთან დაკავშირებით არავის დაურეკავს. მიკვირს, ჩემი კოლეგები დაუზუსტებელ ინფორმაციებს რომ ავრცელებენ. მოკლედ, გაურკვეველია მისი გატაცების მიზეზი, მაგრამ, საბედნიეროდ, ის ცოცხალი დაგვიბრუნდა.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ამირან ნაცვლიშვილის პარტნიორს **ბონდო შალიკიანს**:

— **ბატონო ბონდო, ჭორებს თუ დავუჯერებთ, ამირან ნაცვლიშვილის გატაცების დამკვეთად თქვენ გასახელებენ.**

— ეს უაზრო და უსაფუძვლო ჭორია. უამრავი შეწუხებული ადამიანი მირეკავს და თანამიგრძნობს ამ „ბრალდების“ გამო. ამ ჭორის საფუძველი თემურ შაშიაშვილის მიერ აგორებული ბრალდება გახდა. გაიგო თუ არა ავტოქარხნის აქციების მფლობელი რომ გავხდი, განგაში ატეხა, ავტოქარხანაში „კრიმინალებმა“ მოიკალათესო. თუმცა კრიმინალების ვინაობას არ ასახელებს.

— **მაშინ რატომ მიიჩნევთ, რომ კრიმინალი თქვენ უნდა იყოთ?**

— ერთი-ორგან ითქვა, რომ ეს კრიმინალი მე ვარ, ამიტომ მის მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე კითხვა დავუსვი. შენ რა შუაში ხარო, — მიპასუხა.

— **ამბობენ, ამირან ნაცვლიშვილი წინააღმდეგი იყო, რომ თქვენ ავტოქარხნის აქციები შეგესყიდათ.**

— ეს სიცრუეა. მას დიდი ხანია ვიცნობ და ერთმანეთთან ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. მისი და, ეთერ ნაცვლიშვილი, საკრებულოში ჩვენი ფრაქციის წევრია.

— **თქვენი მოწინააღმდეგეები ამას იმით ხსნიან, რომ ამირან ნაცვლიშვილი თქვენს ლობისტს, კრიმინალურ ავტორიტეტს, ტარიელ ონიანს უწევს ანგარიშს.**

— ესეც სიცრუეა. ამირან ნაცვლიშვილი არავის არ უწევს ანგარიშს შიშის ან სხვა ფაქტორის გამო. ვფიქრობ, მაღალ ეშელონებში უფრო ეშინიათ ნაცვლიშვილის, ვიდრე მას სხვისი.

— **მაინც, კონკრეტულად, ვის ეშინია ამირან ნაცვლიშვილის და დასაშვებია თუ არა, რომ ამჯერად სწორედ მათ შეაშინეს დაზარალებული?**

— მე არ ვიცი, ვინ ვის აშინებს, მაგრამ ამირან ნაცვლიშვილი ჭკვიანი და წარმატებული პიროვნებაა. ამიტომ უპირისპირდებიან მას და ეს ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ დაიწყო. ახალგაზრდები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციაში — „მოძრაობა ქუთაისისთვის“, არაერთხელ გამოვიდნენ უსაფუძვლო ბრალდებით, თითქოს იგი რაღაც მაქინაციებს ეწევა, კონტროლის პალატამ დარღვევები აღმოუჩინა და ა.შ.

— **გათავისუფლების შემდეგ თუ შეხვდით თქვენს პარტნიორს?**

— პირველი მე შევხვდი და კაცმა რომ დამინახა, აქეთ თანამიგრძნო — გულთან ნუ მიიტანთ ამ ბინძურ ბრალდებებსო, დამამშვიდა.

— **რაზე ისაუბრეთ?**

— ვერ მოახერხა საუბარი, ერთი კი თქვა — ჩემთვის გაუგებარია, რა უნდოდათო.



**ამირან ნაცვლიშვილი**

გაიხსენა 4 თვის წინ აგორებული პროვოკაციები — იქიდან მოყოლებული არ მასვენებენო.

— **ე.ი. რა გამოდის, „მოძრაობა ქუთაისისთვის“ წარმომადგენლებმა მოაწყვეს ამირან ნაცვლიშვილის გატაცება?**

— არა, არ შემიძლია ამგვარი ბრალდება ვინმეს წავუყენო. თუმცა გულისტკივილით ალვნიშნავ, როგორ ცდილობენ ვიღაცები ბატონი ამირანის გარშემო ცუდი ფონის შექმნას. ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო გატაცებული კაცის ბედი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი და, ამ დროს, ტელეეკრანზე სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი გამოვიდა ბინძური ცილისწამებებით: თითქოსდა, ამირან ნაცვლიშვილი უცხოეთში გაქცევას და 5 მლნ დოლარის გატაცებას აპირებდა... ეს ყველაფერი უპასუხოდ არ უნდა დარჩეს, თორემ ასე ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდება.

*ცხადია, ასე ცხოვრება მართლა გაგვიჭირდება და უკვე კიდეც გვიჭირს. ყველა დანაშაული უნდა გაიხსნას და ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. ამას ფიქრობს იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილიც, რომელმაც სტამბოლში მივლინებიდან დაბრუნებისთანავე ჩვეული კატეგორიულობით განაცხადა: „სანამ ამირან ნაცვლიშვილის გამტაცებლები არ მოიძებნებიან და არ დაისჯებიან, მე ჩემს კაბინეტში არ შევალ“. ამგვარი ულტიმატუმით შაშიაშვილმა ეჭვქვეშ დააყენა თავისი თანამდებობაზე დარჩენის საკითხი და საქმის გაუხსნელობის შემთხვევაში სამართალდამცავებსაც იმავე ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდა. საქართველოში ბოლოდროინდელი სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი დასაჯერებელია, რომ სხვა დამნაშავეთა მსგავსად, ამირან ნაცვლიშვილის გამტაცებლებსაც „ხახვივით შერჩებათ“ „თავხედობა“, რის შემდეგაც შესაძლოა შაშიაშვილის პოსტიდან წასვლის მოსურნეთ დიდი ხნის ოცნება აუხდეთ და იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის კაბინეტის კარი ახალმა გუბერნატორმა შეაღოს.*

***ეკა ლომიძე***




# 13-დან 19-მდე



ბასა ფოცხიშვილი — ბუნებით მეამბოხე, საოცრად არაორდინარული ადამიანი. მისი გადაღებული კლიპებიც უჩვეულო გადაწყვეტით გამოირჩევა. უყვარს ყველაფერი ლამაზი და თვლის, რომ სილამაზე ღვთისგან ბოძებული ნიჭია. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახს, დედმამას, იმას, თუ რამდენად მეტ თავისუფლებას აძლევენ მშობლები ბავშვის ფანტაზიას. მისი აზრით, ახალი თაობა ძალიან ნიჭიერია და

## „კომპრომისზე არასოდეს მივდივარ“

კიდევ ახალგაზრდების სულის სილამაზე აოცებს: — ვგიჟდები, რამხელა სიკეთე აქვთო — მეუბნება ჩემი რესპონდენტი.

**— ბასა, როგორ გზრდიდნენ ოჯახში, მკაცრად გექცეოდნენ?**

— საოცრად უდარდელი და ლაღი ბავშვობა მქონდა. ეს ხომ ის ხანაა, როდესაც არ იცი, რომ არსებობენ ცუდი ადამიანები. მშვიდი არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, ბუნებით ყოველთვის მეამბოხე გახლდით, თუმცა ასე არ თვლიდა მამაჩემი, იგი აბსოლუტურ თავისუფლებას მანიჭებდა და პირველ რიგში, პატივს სცემდა ჩემს აზრს, თუნდაც სულელურს. საშინლად ვერ ვიტანდი დილით ადრე ადგომას. დედა რომ მაღვიძებდა, მამა სულ უბრაზდებოდა, თავი დაანებე, რა აზრი აქვს ყოველ დილით იმაზე კამათს, რატომ დროზე არ იღვიძებო. სკოლაშიც მე-5-6 გაკვეთილზე მივდიოდი.

**— მერე, პრობლემები არ გქონდათ, როგორ ეგუებოდნენ მასწავლებლები, გაკვეთილებს რომ აცდენდით?**

— 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ქალაქში სიმკაცრით ცნობილი დირექტორი, ტატულია — ლამარა მარგველაშვილი, ჩემს ურჩ ხასიათს რატომღაც იტანდა და არასოდეს მკიცხავდა. მთელი სკოლა შატალოზე რომ წასულიყო, მე შინ ვიყავი და მეძინა.

საშინელი ურთიერთობა მქონდა ზუსტი მეცნიერების მასწავლებლებთან, ახლა კი ძალიან ვნანობ, რადგან მივხვდი, რომ გენიალური მეცნიერებაა, თუნდაც მათემატიკა. ასეთ საგნებს იმდენად ვიზეპირებდი, რომ საკმარისი იყო დაფასთან გავსულიყავი, ყველაფერი მავიწყდებოდა.

**— პროფესიის არჩევანი რამ გადაგაწყვეტინათ?**

— 15 თუ 16 წლის ვიყავი, რომ მივიღე ურყევი გადაწყვეტილება — რეჟისორი გავმხდარიყავი. სკოლა დავამთავრე და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. მაშინ (80-იან წლებში) სარეჟისორო ფაკულტეტზე ხუთ წელიწადში ერთხელ 5 ადამიანს იღებდნენ და სკოლადამთავრებულს მხოლოდ ერთს ჰქონდა ჩაბარების უფლება. ეს ერთი მე გახლდით და ჩემს თანაკურსელებში მხოლოდ მე ვიყავი გოგონა. ის წლები ბავშვობის შემდეგ საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში.

სტუდენტობიდან ერთი პატარა ისტორია მახსენდება. მუსიკის თეორიას ვსწავლობდით და ეს იყო ერთადერთი ლექცია, რომლის გაცდენასაც ვერ ვახერხებდით. ოთხი საათის განმავლობაში კლასიკურ მუსიკას ვუსმენდით შავი სათვალით და გვეძინა.

**— თქვენი ხასიათიდან გამომდინარე ვფიქრობ, დათმობაზე არასოდეს წასულხართ.**

— ვაღიარებ, რომ მძიმე ხასიათის ადამიანი ვარ, მაგრამ ადრე გაცილებით უფრო „მძიმე“ ვიყავი. კომპრომისზე არასდროს მივდივარ, არ ვაკეთებ იმას, რაც არ მომწონს. არადა, ცხოვრებაში არის რაღაც-რაღაცები, რაც უნდა დათმო. მამა ამ მხრივაც ყოველთვის გვერდით მედგა. დედასთან კი გამუდმებით ვჩხუბობდი, ყოველთვის არაორდინარულად ჩაცმა მიყვარდა, რაც დედასთვის ხშირად გაუგებარი და მიუღებელი იყო. მაგრამ ჩემი ყოველთვის გამქონდა.

**— პროტესტს როგორ გამოხატავდით?**

— პროტესტის გამოსახატავად მოზარდები უამრავ გზას მიმართავენ. მე პროტესტს ქცევით გამოვხატავდი. მერე მიხვდნენ ჩემი მშობლები, რომ წინააღმდეგობა კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას და ამიტომ, მაგალითად, 14 წლისას დასასვენებლად მარტოს მიშვებდნენ. დღეს, როდესაც ახალ თაობას ვუყურებ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ყველაზე კარგები და ყველაზე მართლები იმიტომ არიან, რომ გულწრფელები არიან, აკეთებენ იმას, რასაც გული ეუბნებათ და არა ტვინი.

**— ბასა, პირველი სიყვარული როდის გეწვიათ?**

— 16 წლის რომ ვიყავი და ეს სიყვარული საკმაოდ სერიოზული და მძაფრი რომანტიკული ისტორიაა. მას შევხვდი საცურაო აუზზე. დავინახე და გავშტერდი. 16 წლის გოგონასათვის 10 წლით უფროსი ვაჟის გარეგნობა რაღაც განსაკუთრებულია. 16 წელი ხომ ის ასაკია, როცა არაფრის დაფარვა არ გსურს, ჰოდა, სიყვარულშიც მე თვითონ გამოვუტყდი... ეს ყველაფერი იყო დიდი ხნის წინ...

## საყვარელო „პალიტრავ“
## მე უკვე აღარ მჯერა ჩემი მშობლების

ძვირფასო „კვირის პალიტრა!“ როგორ გამიხარდა თქვენს ფურცლებზე რუბრიკა „13-დან 19-მდე“ რომ აღმოვაჩინე. ბევრს არასწორად მიაჩნია გაზეთში საკუთარი თავის შესახებ რომ წერილს აგზავნის. როდესაც გადავწყვიტე ჩემი გულისტკივილი თქვენთვის გამემხილა, მეგობარმა გოგონებმა დამცინეს: რა იყო, ჩვენზე უკეთ ვინ გაგიგებს, რედაქციას რომ არ შეეხმიანოო. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ და ამიტომაც გწერთ.

რამდენიმე თვის წინ 17 წლის გავხდი. ოჯახში, მშობლებთან, პრობლემები არასოდეს მქონია, ისინი ყოველთვის იდეალებად მიმაჩნდნენ. მომწონდა მათი ჩაცმულობა, ერთმანეთთან ურთიერთობა, ერთი სიტყვით, მათი ყოველთვის მჯეროდა. ახლა კი... რაღაც უცნაურები გახდნენ, ჩემი არაფერი მოსწონთ, სულ ერთი და იმავეს მეჩიჩინებიან: მათ ჩემი აღარ ესმით. მეც აღარ მომწონს, ისინი როგორც ცხოვრობენ... რატომ იტყუებიან? — ქადაგებენ ერთს და აკეთებენ მეორეს. აზრიც არ აქვს რომ დაველაპარაკო, მაინც ვერაფერს გამიგებენ. აი ამიტომ გწერთ. იქნებ ამიხსნათ, გამაგებინოთ რას მერჩიან...

*თინიკო ლაზიშვილი, თბილისი*

**თინიკო, მოზრდილის მშობლობა ისეთივე რთულია, როგორც მოზარდობა. ნუ გავიწყდება, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან საკუთარი შეცდომებით, სისუსტეებით და პრობლემებით. შენ მხოლოდ მოზრდილობის ასაკში შეამჩნიე, რომ ისინი შეიცვალნენ და იმ იდეალისაგან შორს დგანან, რომელსაც შენ ისურვებდი. მშობლები შენს ცხოვრებას თავისი გამოცდილებით ზომავენ. მათ კარგად ახსოვთ შენს ასაკში როგორები იყვნენ, როგორ იქცეოდნენ, რა შეცდომები დაუშვეს და ამიტომაცაა, რომ ზედმეტად ფრთხილობენ. როდესაც ამბობ, რომ ცოტა ხნის წინ სხვანაირები იყვნენო — ცდები. ისინი არ შეცვლილან. უბრალოდ, შეიცვალა შენი შეხედულებები, ახლა სხვა თვალით უყურებ სამყაროს და ცდილობ, ბევრი რამ „გადაახარისხო“. გაივლის არცთუ დიდი დრო და ბევრ რამეს, რაც დღეს არასწორად მიგაჩნია, ხვალ სხვაგვარად შეაფასებ.**

## გამოხმაურება

წავიკითხე წერილი, რომელიც თამბაქოს მოწევას ეხება. მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი აზრიც გაგიზიაროთ. ვარ 15 წლის, დედისერთა, ახლობლებისაგან განებივრებული, მაგრამ ამავე დროს, ქართული ტრადიციების მიმდევარი. მთელი გულწრფელობით ვაცხადებ, რომ ნამდვილად ვერ თანავუგრძნობ იმ გოგონებს, რომლებიც სიგარეტს ეწევიან და მიზეზად ცუდ ცხოვრებას ასახელებენ. თქვე დალოცვილებო, ცუდი პირობები რომ არის მთელ საქართველოში, ამის გამო რა ვქნათ, გამოსავალი სიგარეტში ვეძებოთ?

რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით, ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა აჩვენეს. მათ მიერ წარმოდგენილი პლაკატები და ნახატები ნიკოტინის წინააღმდეგ იყო მიმართული. მესიამოვნა, სტუდენტებმაც რომ აიმაღლეს ხმა თამბაქოს მავნებლობის წინააღმდეგ.

*პატივისცემით თეონა ხურციძე*
*ქუთაისი, კლასიკური გიმნაზიის X კლასის მოსწავლე*

ძალიან მიყვარს თქვენი გაზეთი, ამიტომ გადავწყვიტე გამოვეხმაურო წერილს — უნდა ვეწეოდეთ თუ არა გოგონები სიგარეტს. 16 წლის ვარ, უკვე ორი წელია ვეწევი, ოღონდ მშობლების მალულად, ამიტომ ვერ გწერთ ჩემს გვარს, რადგან ჩემი მშობლები თქვენი გაზეთის ყოველ ნომერს ყიდულობენ. ჩემი ოჯახი ქუთაისში ძალიან ცნობილი და გავლენიანია, ამიტომ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მოწევა განცდილმა ჭირვარამმა მაიძულა. ერთხელ ჩვენთან სტუმრად მყოფმა თბილისელმა მანდილოსანმა თქვა: „ქუთაისიდან ყოველთვის უხვად მოედინებოდა სულიერების საზრდოო“. გაიხსენა ცისფერყანწელები, გალაკტიონი, თეატრალური ქუთაისი და გულდაწყვეტილმა წარმოთქვა: დღეს ლამისაა ქალაქი ჭაობად იქცესო. ამ სტუმრობის დროს, თითქმის ყველა ქალი პირში სიგარეტგაჩრილი იჯდა, განსაკუთრებით გამიკვირდა იმ ქუთაისელი ქალების, რომლებიც სიტყვით სხვას ღაღადებენ და საქმით — სხვას. სიგარეტის მოწევისთვის შვილებს ლამის კლავენ, თვითონ კი, „ბანძებად“ რომ არ ჩათვალონ, „სამარიაჟოდ“ აბოლებენ.

როდესაც ე.წ. „ელიტარულ პონტებში“ ვართ მე და ჩემი შეყვარებული, თუ არ ვეწევი, ისეთი თვალებით მიყურებს, თითქოს მეუბნება: „მოწიე, რას ბანძობო“. ალბათ რომ მიშლიდეს, შეიძლება მართლა დავანებო თავი.

*პატივისცემით თათია*

## ვის ეკინკლავებით ყველაზე მეტად?



***ანა ფალავანდიშვილი, 16 წლის***

სახლში ყველაზე მეტად დედასთან ვკამათობ, რა ვქნა, როდესაც ყველაზე მეტად სწორედ ის მეჩბუხება, ასე არა, ისე გააკეთეო. მე კი მაინც ისე ვიქცევი, როგორც მინდა. დედა მართალიც რომ იყოს, მაინც იმას ვამბობ, რომ მართალი მე ვარ. ასე ალბათ იმიტომ ხდება, რომ ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ დამნაშავე ვარ. ბოდიშის მოხდაც ძალიან მიჭირს და ამიტომ ჩემს საქციელზე მევე ვიცინი. მე და დედა ხშირად მუსიკის გამო ვკამათობთ. რასაც მე ვუსმენ, იმას სწორედ ის არ მოსწონს, მეუბნება, დაჯექი და წიგნი წაიკითხე, ბევრს გაიგებ და ისწავლიო, მუსიკა კი ვერაფერს გასწავლისო. ძალიან ცდება, მაგრამ რომ ვერ ვაგებინებ? ხშირად ვკამათობთ ტანსაცმლის გამო. თუ ის ჩავიცვი, რაც მას მოსწონს, ხომ კარგი, თუ არადა მეუბნება — ჩაცმის არაფერი გაგეგებაო. მე კი არ მომწონს, რომ მეკამათებიან და შენიშვნას მაძლევენ, თითქოს მე არაფერი ვიცოდე. არ მომწონს სახლიდან რომ გავდივარ და დედა დროს მინიშნავს, ამ დროს წუთიც არ გადააშოროო. არ მიყვარს, როცა მზღუდავენ და იმას მაკეთებინებენ, რაც მე არ მინდა.

***ზუკა თარაშვილი, 13 წლის***

მე მყავს ხუთი წლის დაიკო ანი, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია. მასაც ყველაზე მეტად მე ვუყვარვარ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყველაზე ხშირად სწორედ მასთან ვჩხუბობ.

ანის უჩემოდ არ შეუძლია. სადაც წავალ, მომყვება, ვმეცადინეობ, გვერდით დამიჯდება და ნერვებს მიშლის, დასაძინებლად რომ მიდის, ტირილს იწყებს, ზუკამაც დაიძინოსო. მე ჯერ ვეფერები და ვეხვეწები, რომ თავი დამანებოს, შემდეგ კი, რომ ვერაფერს ვაგებინებ — იწყება ჩხუბი. ვცდილობ, არაფერი ვატკინო, ის კი მეძიძგილავება და ხშირად გაშველება გვჭირდება. მაგრამ დედა და მამა თუ გამიბრაზდება, ანი იმ წუთში ჩემ გვერდით დგება და თავგამოდებით მიცავს.



ერთხელ ეზოში ბიჭები ვჩხუბობდით. უცებ ჩემი დაიკო გაჩნდა, შუაში ჩაგვიდგა და ყვირილი დაიწყო: ჩემს ძმას ვინც აწყენინებს, ყველას გავლახავო. ისეთი სიცილი აგვიტყდა, რომ ანი იდგა და გაუგებრობისაგან გაშტერებული გვიყურებდა.

მოკლედ, მართალია ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ რატომღაც ისე გამოდის, რომ სწორედ ჩვენ ვკინკლაობთ ყველაზე მეტად.

***ანა ჟორჟოლიანი, 17 წლის***



კონფლიქტი ოჯახში ძირითადად ჩემს პატარა ძმასთან (15 წლის ძალიან პატარაა არა?!) მომდის ხოლმე. მიზეზი, ტელევიზორი და მაგნიტოფონია. შეხლა-შემოხლა „სასიკვდილო დარტყმებით“ მთავრდება. კონფლიქტის მიზეზი ხმამაღალი ტონიც გამხდარა. მხარეები თითქმის არასდროს ვთმობთ და ხშირად მშობლები და მეზობლები გამშველებლებად გვევლინებიან. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მე და ჩემს ძმას შორის სრული თანხმობაა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 7-8 საათი ვართ ერთად. მიუხედავად ყველაფრისა, კონფლიქტური პიროვნება არა ვარ. უბრალოდ, მიჭირს დათმობაზე წასვლა, ამიტომ ვცდილობ, როდესაც მსაყვედურობენ ან ჭკუას მარიგებენ, ხუმრობაში გავატარო და „გამოვძვრე“ სიტუაციიდან. ჯიუტი ვარ და ვფიქრობ, ჩემი თავისტკივილის თავიდათავიც ეს არის. თუმცა ჩემსა და ძმას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შემდეგ, ბრძოლის ველიდან ზოგჯერ ნირწამხდარი გამოვდივარ, მაგრამ მერე და მერე მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი სასაცილოა და ხშირად კურიოზიც შეიძლება ვუწოდო. მერე რა, რომ მე უფროსი ვარ, ჩემი ძმა კი პატარა (?!). სამაგიეროდ, მე გოგო ვარ და მეტ პატივისცემას და სითბოს ვიმსახურებ.

## ჰოროსკოპი გოგონებისთვის

### დეკემბერი



***ვერძი (21 III — 20 IV)***
ამ თვეში სასიყვარულო ისტორიებში არ გიმართლებს. ამიტომ სჯობს, მეგობრებთან მოიოხო გული და შინ არ გამოიკეტო. ეცადე, გაერთო, თორემ შეიძლება რაღაც მომენტში აღმოაჩინო, რომ „დიდი უბედურება“ დაგატყდა თავს. მოკლედ, ამ თვეში საკუთარ თავს დაუთმე მეტი ყურადღება.

***კურო (21 IV — 20 V)***
ნუ ეცდები ისე გამოიყურებოდე, როგორიც სინამდვილეში არ ხარ. დაივიწყე შინ ჯდომა და გადი გარეთ. როგორც ჩანს, ამ თვეში, ბედი გაგიღიმებს და ვინ იცის, იქნებ გაიცნო კიდეც ადამიანი, რომელიც მალე შენი გულის სწორი გახდება.

***ტყუპები (21 V — 20 VI)***
ზაფხულის შემდეგ საშინლად განიცდი, რომ მეგობრებმა შენზე გაცილებით უკეთ დაისვენეს. ცოტათი შეგშურდა კიდეც, რომ გიყვებოდნენ ზაფხულის რომანებზე. ზამთარმა კარს მოგიკაკუნა და მათი თავგადასავლები უკვე აღარავის აინტერესებს. სამაგიეროდ, შენი მეგობრების ინტერესის სფეროში ამჯერად შენ მოექცევი.

***კიბო (21 VI — 20 VII)***
თვის დასაწყისში შეიძლება მელანქოლია დაგატყდეს თავს და ეს რომ არ მოხდეს, ეცადე, ისეთ წრეში მოხვდე, სადაც მოწყენილობა არასდროს სუფევს. ხალხმრავლობა და ნათელი სახეები შენთვის საუკეთესო წამალია.

***ლომი (21 VII — 20 VIII)***
თავს ძალა დაატანე, შეწყვიტე გამუდმებით ერთი და იმავეს ყვირილი: „ცუდია“, „საზიზღრობაა“... ყველა სიტუაციაში შეინარჩუნე სილაღე. შენი განწყობილება (თუ რა თქმა უნდა, ხალისიან გუნებაზე ხარ) გარშემომყოფებისათვის გადამდები უნდა იყოს. იცოდე, ეს თვე ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებს.

***ქალწული (21 VIII — 21 IX)***
ყურადღებით დააკვირდი ნაცნობებს. თავდაპირველად მოგეჩვენება, რომ ისინი უინტერესონი არიან, მაგრამ სინამდვილეში ერთ-ერთი მათგანი, სწორედ ის ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს, რომელიც ძალიან დაგაინტერესებს.

***სასწორი (22 IX — 22 X)***
ახალი ცხოვრება დაიწყე. რაიმე საინტერესოთი დაკავდი. შენც ხომ გრძნობ, რომ რაღაც უნდა შეცვალო? ჰოდა, ახლა დროულია. შედეგი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს. შენი ცხოვრებაც გაცილებით ნათელი გახდება.

***მორიელი (23 X — 21 XI)***
წიგნების, მყუდრო ოთახის და მარტოობის მეტი თუ არაფერი გიზიდავს, სახეზეა ერთი რამ — შეგიპყრო ზამთრისპირის ნაღველმა. მეგობრებთან ერთად, რამდენიმე დღით მოშორდი ყოველდღიურობას, რაც ძალიან წაგადგება.

***მშვილდოსანი (22 XI — 20 XII)***
რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, ქუჩაში გაგაჩერებენ და გაცნობას გთხოვენ, ძალიანაც ნუ გაიპრანჭები, ხომ შეიძლება მათში ის ადამიანი აღმოჩნდეს, რომელსაც მომავალს დაუკავშირებ.

***თხის რქა (21 XII — 20 I)***
დეკემბრის პირველი ნახევარი მძიმე იქნება, რატომღაც ყველა ჭკუის დარიგებას დაგიწყებს. ამიტომ იყავი დიპლომატიური და ეცადე ყველანაირი სიტუაციიდან თავი დაიძვრინო.



***თევზები (20 II — 20 III)***
აქამდე მშვენივრად ატარე დრო, ახლა კი ბევრ რამეზე დაფიქრდი. თუ დროებით თავს შეიკავებ დაბადების დღეებზე, კაფეებსა და ქუჩაში წანწალზე, ბევრს არაფერს დაკარგავ. პირიქით, მშობლებთან ურთიერთობას მოაგვარებ.

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

CMYK

# ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი — ტერორისტების საოცნებო სამიზნე

## როგორ აპირებენ მისი უსაფრთხოების დაცვას...

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

**— ფიქრობთ, რომ ნავთობსადენის ჩვენს ქვეყანაში გაყვანა და მისი უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული ზომების მიღება გააძლიერებს მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ უსაფრთხოებას?**

— ნავთობსადენი იქნება ის კომპონენტი, რომელიც დააჩქარებს საქართველოს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე სამხედრო გაძლიერებას. მაგალითად, დღეს არა გვაქვს ის საშუალებები, რომლებიც გააკონტროლებენ მოსაზღვრე რაიონების საჰაერო სივრცეს, საიდანაც შეიძლება გამოფრინდნენ ჩვენს დასაბომბავად. თუკი ნავთობსადენის დაცვის პროგრამის ფარგლებში დაიწყება კოსმოსიდან მონიტორინგი, მაშინ საქართველოს საჰაერო სივრცესაც მკაცრი კონტროლი დაუწესდება. ცხადია, ამით არა მარტო საქართველო, არამედ ინვესტორებიც არიან დაინტერესებულნი. ყოველივე ეს კი დამატებით 30-40 მლნ დოლარის დახარჯვას გულისხმობს.

**— მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურების დივერსიულ ჯგუფებს საგანგებო კომპაქტური კუმულატიური მუხტები გააჩნიათ მიწისქვეშ ნავთობსადენის მილების დასაზიანებლად. ითვალისწინებთ თუ არა ამ საშიშროებას?**

— ჩვენთან მომუშავე დასავლეთის სპეცსამსახურებმა მოგვცეს გარანტია, რომ ამჟამად მსოფლიოში არსებულ არც ერთ კუმულატიურ ბომბს არ შეუძლია ამ ნავთობსადენის დაზიანება. მიწისქვეშ ჩადებული მილის თავზე, როგორც უკვე გითხარით, სპეციალური ფირფიტაა მოთავსებული, რომელიც კუმულატიურ ჭავლს ფანტავს.

**— ითამაშა თუ არა როლი ნავთობსადენის მარშრუტის დეგეგმვისას ახალქალაქში განთავსებული 62-ე რუსული სამხედრო ბაზის სიახლოვემ?**

— რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობს, რომ ამ რუსული ბაზიდან მაინცდამაინც რაკეტას ესვრიან ნავთობსადენს, მაგრამ ინვესტორისთვის ძალიან დიდი რისკია, რომ ასეთი ძვირი პროექტი იმ ადგილის ახლოს განახორციელოს, საიდანაც შეიძლება წამოვიდეს რეალური საფრთხე. მაგალითად, რუსული ГРУ-სთვის ეს არის სერიოზული ბაზა დივერსიული პროცესის კოორდინაციის განსახორციელებლად. ყოველივე ეს თავიდანვე იქნა გათვალისწინებული პროექტის შექმნისას.

**— თუკი ეს რუსული სამხედრო ბაზა რამდენიმე წელიწადში გაიტანეს?**

— მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ნავთობსადენის მომყოლმა გაზსადენის მეორე შტომ გაიაროს ახალქალაქის რაიონში და იქედან აჭარაში გადავიდეს. რუსული სამხედრო ბაზა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედ რჩება ნავთობსადენისთვის. ამიტომაც ნავთობსადენის მაგისტრალის იმ მონაკვეთს, რომელიც ბაზასთან შედარებით ახლოს გადის, უფრო გაძლიერებული დაცვა ეყოლება. ამაში არავითარი ეთნიკური მოსაზრება არ იმალება. ჩვენ სომხური ეროვნების მოსახლეობასთან დაბრკოლება არა გვაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ წალკაში გამავალ ნავთობსადენის ახლოსაც სომხები და ბერძნები ცხოვრობენ. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ახალქალაქის ბაზაში შეიძლება დივერსანტების მომზადება.

***ჩვენი კომენტარი:*** *ცხადია, უცხოელი სპეციალისტები გულმოდგინედ ჩაატარებდნენ ექსპერიმენტებს მიწაში ჩაფლული მილსადენის დივერსიული იარაღისგან დასაცავად. თუმცა მაინც აღვნიშნავთ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს დივერსიული ჯგუფების შეიარაღებაში კვლავ რჩება კომპაქტური კუმულატიური ნაღმები, მათ შორის КЗ-5 КЗ-6 და КЗ-7-ის ტიპისა. თითოეული მათგანი შესაბამისად 12,5, 6,5-სა და 3 კგ-ს იწონის და მათი დანიშნულების ადგილზე მალულად მიტანა ერთ კაცსაც კი არ გაუჭირდება. ამ სამი კუმულატიური ნაღმიდან ყველაზე მძლავრია КЗ-5. იგი მილსადენის თავზე, მიწისპირზე იდება და დისტანციურად ფეთქდება. მასში მოთავსებულია კონუსისებრი ფორმის 8,5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება და აფეთქებისას მიმართულ კუმულატიურ ჭავლს წარმოქმნის. ეს უკანასკნელი კი ხვრეტს 45 სმ სისქის ჯავშანფილას ან 1,4 მ სისქის რკინაბეტონს, ხოლო გაყინულ ნიადაგში თითქმის 2 მ სიღრმის ნახვრეტს აკეთებს.*

*ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიწაში ჩამარხული მილები მართალია, ზემოდან სპეციალური ფირფიტით იქნება დაცული, რომელიც ეტყობა, გაფანტავს ან შეასუსტებს ნაღმის მიმართულ კუმულატიურ ჭავლს, მაგრამ ვინ დაუშლის დივერსანტებს ტანდემურად განთავსებული ორი კუმულატურ-ქობინიანი (ისევე, როგორც ეს თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებშია) ნაღმის გამოყენებას?! ერთის კუმულატიური ჭავლი გზას გაკაფავს მიწაში ჩაფლული მილისაკენ, მეორე კი „საქმეს" დაამთავრებს.*

*ასე რომ, მიწაში ჩაფლულ მილსადენზე დივერსიის სავსებით გამორიცხვა შეუძლებელია; მთავარია, ნავთობსადენის დაცვამ და სპეცსამსახურებმა დროულად მოიპოვონ ოპერატიული ინფორმაცია დივერსიულ-ტერორისტული აქტის მზადებაზე.*

***ირაკლი ალადაშვილი***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— სულ რამდენიმე თვის წინ ჩემი მეუღლისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი ბავშვობაში გრიგორიანულ ეკლესიაში ყოფილა მონათლული (მანამდე თავი მართლმადიდებელი ეგონა), 1991 წელს სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი. არის თუ არა ჯვრისწერა ნამდვილი და ხომ არ მეთვლება მრუშობად ცოლქმრული წესის შესრულება?**

— რახან ჯვარი ქრისტიანულ ტაძარში დაიწერეთ, ჯვრისწერის საიდუმლო აღსრულებულად ითვლება. თქვენი შეუღლება უფლისგან არის ნაკურთხი, მაგრამ რახან თქვენი მეუღლე გრიგორიანულ ეკლესიაშია მონათლული, აუცილებლად უნდა მივიდეს მართლმადიდებლურ ტაძარში მოძღვართან და უამბოს ამის შესახებ. მოძღვარი აღასრულებს მართლმადიდებლურ საეკლესიო წესს ნათლობასთან დაკავშირებით.

**— ბანქოს (კარტის) თამაში თუ ითვლება ცოდვად და ეს ცოდვა კონკრეტულად რაში გამოიხატება.**

— აზარტული თამაშები საერთოდ და, კერძოდ, ბანქო ძალიან ბევრი ცოდვის მიზეზია... გარდა იმისა, რომ თვითონ ზარალდებით და ოჯახს შემოსავალს უკარგავთ, ეს თამაში რიტუალურ ცოდვადაც ითვლება. მაგალითად, კარტზე გამოსახული ჯვარი, რომელიც ქრისტიანისთვის ხსნის სიმბოლოა, თამაშის დროს უკადრისად მოიხსენიება და გამოიყენება. გირჩევთ, ამაზე დაფიქრდეთ და ბანქოს თამაშისგან თავი შეიკავოთ.

**— როგორ უყურებს ჩვენი სარწმუნოება და ეკლესია ქურდებს (კანონიერს). ყოველ ქურდს ხომ შინ ულამაზესი კუთხე აქვს ხატებით სავსე. როგორც ვიცი, მღვდლებიც დიდი მოკრძალებით ეპყრობიან ქურდებს, უზენაესისგან ეკუთვნით თუ არა შეწყალება მათ?**

— უფლის ათ მცნებაში ქურდობის ცოდვა სხვა დიდ ცოდვებთან არის გაიგივებული. შესაძლოა, საზოგადოება მართლაც ხედავს ქურდებთან მღვდლების ფრთხილ დამოკიდებულებას, აღიზიანებს ეს და ფიქრობს, რომ ასეთი რამ ფულის ან სხვა რაიმე მიზეზით ხდება. ეს ასე არ არის... საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ეს არის ცოდვილთან დამოკიდებულება და ქურდი ისეთივე ცოდვილია, როგორც მრუში. თუკი მას სურვილი გაუჩნდება ეკლესიასთან კავშირისა და მონანიებისა, ეს ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს. განა შეიძლება საავადმყოფო დაგმო იმისთვის, რომ იქ ავადმყოფები არიან. ასევეა ეკლესიაც — ის არის სულიერი სნეულებების მკურნალი. მონანიებას უფალი ყველა ცოდვილისგან ერთნაირად იღებს და შეუნდობს.

**— მინდა წავიდე მონასტერში. საერთოდ, გთხოვთ, მოკლედ მომითხროთ, რა უნდა იცოდეს იქ წამსვლელმა და როგორია ბერის ცხოვრება.**

— სანამ მონასტერში წახვალთ, მანამდე უნდა იცხოვროთ მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებით. ამასთანავე, აუცილებლად ღრმად უნდა გაეცნოთ საეკლესიო სწავლებებს. თუკი შემდგომ მონასტერში წასვლის სურვილი კვლავ გექნებათ, შეუთანხმდით მოძღვარს. მოძღვარი გაითვალისწინებს თქვენს სურვილს, ამასთან, სულიერ მდგომარეობას და მონასტერში გაგიშვებთ, სადაც თავს წლების განმავლობაში გამოცდით და მიხვდებით, შეგიძლიათ თუ არა ამ წმინდა ტვირთის ტარება. რჩევებს მოგცემთ მონასტრის ის გამოცდილი საძმო, რომელმაც ეს ეტაპი გაიარა. მხოლოდ ამის შემდეგ, თქვენი გამოცდილებისა და მომზადების გათვალისწინებით, აღიკვეცებით.

**— მინდა მოვქარგო წმინდა მარიამის ხატი, მაქვს თუ არა მოქარგვის უფლება მღვდლის კურთხევის გარეშე, თუ მერე ისედაც ვაპირებ ხატის ჩემს სახელზე კურთხევას?**

— თქვენი სურვილი, მოქარგოთ წმინდა მარიამის ხატი, მეტყველებს დედა ღვთისას მიმართ თქვენს სიყვარულზე და სასიხარულოა, მაგრამ ხატს აქვს თავისი შესრულების კანონიკა. თუ თქვენ აპირებთ რომელიმე ცნობილი ხატის ასლი გადაიღოთ, ლოცვა-კურთხევა აუცილებელია.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# მისმინეთ, სიტყვის თქმის უფლება მაქვს!..

## — ეს (ჩემი) ვარიანტი ერთადერთია და სხვა ალტერნატივა არ არსებობს




*წყვეტილი ხაზით აღნიშნულია ნავთობსადენის ალტერნატიული სვლაგეზი*

იქნებ იკითხოს ვინმემ, უმუშევარ გეოლოგთა დიდი არმია გაჩუმებულია და შენ რა წითელი კოჭი ბრძანდები, რომ წერილის დაწერა გადაგიწყვეტიაო. გეოლოგიური თვალსაზრისით ამ მხარეს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს — საუკუნის მეოთხედი ვიმუშავე სამცხე-ჯავახეთში, აქედან კი ორი წელიწადი ჩემს კოლეგასთან, გრიშა ლობჟანიძესთან ერთად, მოვანდომე ბორჯომის ხეობას, მინერალური წყლის საბადოს კონტურის დადგენას და იმას, თუ რა გეოლოგიურ პირობებთან, რომელ ქანებთან არის დაკავშირებული საბადო. ასე რომ, სიტყვის თქმის უფლება მაქვს!

ჩვენი მთავრობა და პარლამენტი დღემუდამ გაიძახიან, ყველამ თავის საქმე აკეთოსო! „ჭეშმარიტად", მაგრამ ასე რომ იყოს, საწუწუნო არაფერი გვექნებოდა. ქართული ანდაზა ამბობს: „არცოდნა არცოდვაა"-ო, მაგრამ არცოდნა უზარმაზარ ცოდვას გვიმზადებს. ნურავის ეწყინება, რომ ნავთობსადენის გაყვანა-არგაყვანის საკითხზე უპირველესად გეოლოგს მოეთხოვება პასუხისმგებლობა და არა პოლიტიკოსს. საქართველო მარტო თავიანთი ნუ ჰგონიათ. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენც გვეკუთვნის და თუ უცხოელები, სადაც მოეგუნებებათ, იქ გაიყვანენ ნავთობსადენს. გამაგებინეთ, შაჰ-აბასის დრო ხომ არ დაბრუნებულა?

ახლა კი მოგახსენებთ ჩემს სათქმელს: ამაყად გამოგვიცხადეს, მხარეები უკვე შეთანხმდნენ, რომ ბორჯომის ხეობაში გაივლის ნავთობსადენი და ხელიც მოაწერეს ამ გრანდიოზული მშენებლობის დაწყებას და ქართველ ხალხს პურის მაგივრად ქადა-ნაზუქს გვპირდებიან. ეს ისეთივე განუხორციელებელი ოცნებაა, როგორიც კომუნიზმის აშენება და აი, რატომ:

ქალაქ ბორჯომის სამხრეთით გამავალი ნავთობსადენის ყველა ვარიანტი: ბორჯომი, ახალქალაქი, კარწახი თუ სხვა, გინდ ასი კილომეტრითაც იყოს დაშორებული ბორჯომიდან (ნავთობსადენი გაივლის მდინარე მტკვრის ზემო წელში) კატეგორიულად მიუღებელია ერთი მარტივი და უბრალო მიზეზის გამო, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ გეოლოგი და ჰიდროგეოლოგი გასცემენ პასუხს. პასუხი კი ასეთია:

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნავთობსადენის ხაზები გაივლის ჩვენი დედამდინარე მტკვრის შემოგარენში, გადაჰკვეთს ხეობებსა თუ მდინარეებს, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მაინც მდ. მტკვარს უერთდებიან. ის აზრი კი, რომ დამკვეთი უსაფრთხოების მყარ გარანტიას იძლევა, აბსურდია, რადგან ხანგრძლივი ექსპლუატაციის განმავლობაში ნაკლებსავარაუდოა, ნავთობსადენზე კატასტროფა არ მოხდეს (თუნდაც მიწისძვრის გამო), რაც გამოიწვევს ნავთობის ჩაღვრას მტკვარში. მტკვარს კი სხვა გზა არ გააჩნია — ნებსით თუ უნებლიეთ, უნდა გაიაროს ბორჯომის ხეობა და ქალაქი ბორჯომი. აქ კი უამრავი სათადარიგო თუ საკონტროლო ჭაბურღილია და მათი მეშვეობით ნავთობი საბადოს სიღრმეში შეაღწევს; მაშინ ვერც დამკვეთის მყარი გარანტია უშველის და ვერც ჩვენი მთავრობის გარანტია. ისღა დაგვრჩება, სამუდამოდ დავემშვიდობოთ ჩვენს საამაყო ბორჯომის წყლის საბადოს.

ისმის კითხვა — არსებობს თუ არა გამოსავალი? რა თქმა უნდა, არსებობს. უცხოელმა არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება ბორჯომის ხეობა, ჩვენთვის კი ნათელია, რომ ბორჯომის ხეობა იწყება სოფელ ქვიშხეთიდან და მთავრდება სოფელ ქვაბისხევის დასავლეთით მდებარე ნასოფლარ მოქცევთან. ამიტომ, რადგან დამკვეთს სურს ნავთობსადენმა მაინცდამაინც ბორჯომის ხეობაში გაიაროს, კეთილი და პატიოსანი, ნუღა დავუშლით. ჩვენ ვურჩევთ, ნავთობსადენმა გაიაროს ბორჯომის ხეობაში, მაგრამ არა ქალაქ ბორჯომის სამხრეთით, არამედ ქალაქ ბორჯომის ჩრდილოეთით 20 კმ-ის დაშორებით. ეს ვარიანტი ერთადერთია, საიმედო. როგორც დამკვეთის, ისე შემსრულებლისათვის და სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

**სვლაგეზი ასეთია:**

ბაქოდან წამოსული ნავთობსადენი თბილისის სიახლოვეს — ფონიჭალის შემოგარენში (ისევე, როგორც დამტკიცებულ პროექტშია აღნიშნული) გადაჰკვეთს მდ. მტკვარს. აქედან დასავლეთით აიღებს გეზს თრიალეთის ქედის თხემური ნაწილის მიმართულებით. მთებს: ჯამჯამს, მურყნევს და აბუხალოს სამხრეთით ჩაუვლის და გზა გაგრძელდება წყალგამყოფ ქედზე — შუალა მთამდე, რომელსაც სამხრეთიდან შემოუვლის და პატარა ქირთისა და დიდი ქირთის მთებს შორის გაივლის ბრაგუნის სერამდე, შემდეგ ნავთობსადენი სოფელ სარმიშვილებისკარსა და სატივეს შორის გავა და მტკვარს ტაშისკართან გადაჰკვეთს. ტაშისკარიდან სვლაგეზი დედაბრის მთის მიმართულებით წავა და გაუყვება მესხეთის ქედის ჩრდილო კალთას, გაივლის ზეკარის უღელტეხილის ჩრდილო მხარეს ისე, რომ რაიმე შეხება არ ექნება ახალციხის და ადიგენის იმ მდინარეების სათავეებთან, რომლებიც მესხეთის ქედიდან გამოდიან. ესენი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უერთდებიან მტკვარს. ზეკარის უღელტეხილიდან სვლაგეზი გაივლის არსიანის ქედს და მერე საითაც სურთ, იქით წაიყვანონ.

იგი ერთადერთია და შემცვლელი არ გააჩნია, მანძილიც, სავარაუდოდ, პრაქტიკულად არ შეიცვლება. ასე რომ, დამკვეთი არაფერს წააგებს, ჩვენ კი გადავურჩებით მოსალოდნელ უბედურებას.

***დავით ყანდაშვილი***





„კვირის პალიტრის"
2003 წლის კედლის
მოსახევი კალენდარი
საჩუქრად!

მათ, ვინც
„კვირის პალიტრის"
საგამომცემლო
სახლის
გამოცემებიდან
გამოიწერს ნებისმიერ
სამს, მინიმუმ 3 თვით!

- „კვირის პალიტრა"
- „სიტყვა და საქმე"
- „ბომონდი"
- „კარუსელი"
- „გზა"
- „რეიტინგი"
- „ოჯახის მკურნალი"
- „ფილთაქვა"

ტ: 33-26-73

# პოლიციის ბადეში „დიდი ღლავი“ გაება....



პოლიციის რამდენიმე დღის წინანდელ „ნაყოფიერ“ რეიდებს შედეგიც მოჰყვა და ბადეში „დიდი ღლავი“ გაება. ისანი-სამგორის რაიონის პოლიციამ საქართველოს საზღვრის უკანონო დარღვევისათვის ნიგერიის მოქალაქე, 1977 წელს დაბადებული ქენთი აბუჯე დააკავა. ქვეყანაში, სადაც საზღვრის უკანონო დამრღვევები ეგზოტიკურ იშვიათობად ითვლება, პოლიციას ამგვარ გარჯას გმირობად ჩაუთვლიდნენ, მაგრამ ჩვენთან ნიგერიელი თბილისელი ზანგის დაკავება ცოტა არ იყოს და სასაცილოა. რატომ? ამაზე ცოტა მოგვიანებით. აღნიშნული ფაქტის შესახებ ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსს **გია დადეშელს** ვესაუბრეთ.

— **ბატონო გია, საზღვრის უკანონოდ დამრღვევი ზანგი დაგიკავებიათ.**

— პასპორტი ჩამოვართვით და გავუშვით. მართალია ქართველების სიძეა, მაგრამ დიდი ხანია საქართველოში კანონდარღვევით ცხოვრობს.

— **უფრო კონკრეტულად...**

— ამოეწურა აქ ცხოვრების ვადა, ანუ კანონით გათვალისწინებულ პირობებს ველარ აკმაყოფილებს. ვიზა აღარ აქვს.

— **რამდენი ხანია საქართველოს მიწაზე უკანონოდ რომ დადის ქენთი აბუჯე?**

— თითქმის ერთი წელია.

— **მერე მხოლოდ ახლა დააკავეთ?**

— ყოველთვის ხომ არ ხდება საბუთების გადასინჯვა? ახლა შევამოწმეთ და დავაკავეთ.

— **ალბათ სამშობლოში დააბრუნებთ?**

— არა, ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. ამ საქმის შესახებ საბუთებს საპასპორტო-სავიზო სამსახურს გადასცემენ, ისინი კიდევ იუსტიციის სამინისტროს და საბოლოო დასკვნაც მათ მიერ გაკეთდება...

ასე რომ, საქართველოს და საზღვრის დამრღვევი ზანგი საქართველოში რჩება ოჯახთან ერთად. სასაცილოა ქენთი აბუჯეს დაკავება, მაშინ როცა საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის დამრღვევები თავისუფლად დასეირნობენ. ქენთი აბუჯეს თბილისში კი არა, მთელ საქართველოში იცნობენ. ნიგერიელი ზანგი ხომ ჩვენი შოუბიზნესის ვარსკვლავების წყალობით გაიცნო ხალხმა (შეგახსენებთ, „უცნობის“ კლიპში ამ სიტყვას ეგზოტიკური აქცენტით სწორედ ქენთი გაიძახის). თამუნა ამონაშვილთან, დათო გომართელთან და სხვებთან ერთად, აბუჯე გამუდმებით ჩანდა სცენაზე, შემდეგ ბორის წიფურიას „ფორტუნაშიც“ გამოჩნდა ქართველების სიძის ამპლუაში და „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალ „გზაშიც“ მოგითხრობდით ქენთისა და ხათუნა მახათაძის სიყვარულისა და ქორწინების შესახებ. ციტატა: „ქენთი აბუჯე:

— ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდი. მამაჩემს თავისი ფირმა აქვს, დედას ტანსაცმლის მაღაზია, ოჯახში შვიდი დედმამიშვილი ვართ. სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში ტექნოლოგიის სპეციალობა მივიღე, მაგრამ დიდი სურვილი მქონდა, ოჯახიდან წამოვსულიყავი დ უცხოეთში დამოუკიდებლად მეცხოვრა. თუ ფული გაქვს და საქმესაც აკეთებ, ძნელი არ არის მოგზაურობა — ბიზნესის წყალობით, გზა ყველგან ხსნილი გაქვს. დედაჩემი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ვერ მიმეტებდა — ჯერ პატარა ხარო. მამამ გამიგო და მთხოვა — სადაც არ უნდა იყო, გახსოვდეს — ცხოვრებაში მთავარია, ყველანაირი საქმე კაცურად აკეთო. ეს სიტყვები ხშირად მახსენდება საქართველოში. აქ სრულად შეიძლება ჩასწვდე ამ სიტყვების „მულამს“ („მულამი“ სიტყვა აქ ასწავლეს და ძალიან მოსწონს. — ე.ლ.). ნიგერიიდან პირველად მოსკოვში ჩავედი. მერე იყო საფრანგეთი, ესპანეთი, ერთი წელი ამერიკაშიც დავრჩი, ჩემს ძმასთან, იქიდან ნიგერიაში დავბრუნდი, ახლა კი აქა ვარ...“

ამჯერად მათ პატარა შვილი ჰყავთ და ნიგერიელი ზანგი, რომელიც ფიქრობს, რომ ცხოვრებაში ყველა საქმე კაცურად უნდა აკეთოს, შეიძლება სულ მალე საქართველოდან იქნეს გაძევებული. თუ საქართველოში შესაბამის სამსახურებს ქენთის სამშობლოში დეპორტაციისთვის საჭირო თანხები გამოუჩნდა, აი, მაშინ, ერთი ლამაზი ოჯახის ბედი სასწორზე დაიდება.

*ეკა ლომიძე*

# „სამშობლო ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რო გიყვარდეს შიგ და ქერქი არა...“

დეკემბრის წვიმაშერეული სუსხიანი, ცივი ქარი თბილისის აეროპორტის შენობის უზარმაზარ ვიტრაჟებს აზანზარებს და მოსაცდელ დარბაზში შეღწევას ლამობს. ღამის სამი საათია. აეროპორტის მისადგომებთან კანტიკუნტად მოძრავ ავტომანქანებს მგზავრები მოჰყავთ. მანქანიდან გადმოსულები ეჭვით ახედავენ მოღრუბლულ ცას და ქარის სიძლიერის გამოცნობას ცდილობენ, — თუ ქარი გაძლიერდა, შეიძლება ფრენა თბილისის აეროპორტიდან შეწყდეს. რომ დარწმუნდებიან, საშიში არაფერია, მანქანის საბარგულიდან სწრაფად იღებენ ბარგს, ანგარიშს უსწორებენ მძღოლებს და შეცივებულები ჩქარი ნაბიჯით აეროპორტის კარისკენ მიემართებიან. შენობაში ცივა, მაგრამ გარეთ, ქარსა და წვიმაში ყოფნას, ისევ შიგ ყოფნა ჯობს.

ამ დღეებში უკვე მესამეჯერ მომიწია შუაღამისას მეგობრების გაცილება თბილისის აეროპორტიდან, რომლებიც დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამსახურებრივი მივლინებით მიემგზავრებოდნენ.

რეგისტრაციის დაწყებამდე საკმაო დროა დარჩენილი. მგზავრებს გამცილებლები სჭარბობენ. უკვე აღარ მეძნელება იმის გარკვევა, ვინ მგზავრია და ვინ — გამცილებელი. მგზავრების უმეტესობა უცხო ქვეყანაში კარგი ცხოვრებისა და დიდი ფულის შოვნის მსურველი ქართველები არიან. ზოგიერთი მათგანი უკვე მეორედ ან მესამედ ცდის ბედს — საზღვარგარეთ წინა ვოიაჟების დროს ისე ვერ გაუმართლა, როგორც იმედოვნებდა. ახლა დარწმუნებულია, რომ ამჯერად მაინც გაუმართლებს — იმდენს მაინც შეძლებს, იქ ნაშოვნი ფულით საკუთარი საქმე წამოიწყოს. ისინი უფრო თამამად იქცევიან იმათთან შედარებით, ვინც პირველად მიემგზავრება საზღვარგარეთ სამუშაოს მოსაძებნად.

ჩვენ გვერდით ორი ორმოც წელს გადაცილებული ქალი ერთმანეთთან საუბრობს. თავდაპირველად, მოსაუბრეთა იმერულმა კილომ მიიქცია ჩვენი ყურადღება, მერე კი ხმამაღალმა ლაპარაკმა.

— ძლაბო ნორა, სად დეიკარგა ნაზიკიე ამდენ ხანს, რავა გონია, მაგას დაუცდის აი სამალიოტი?

— ეე, გოგო, გამოჩნდა მგონია. სად ხარ, შე დაღუპულო, ამდენ ხანს. დროზე ვერ გამოეტიე სახლიდან?

— რა ვქნა, ქალებო, ბაღნები ატირდნენ, დედა ჩვენც წაგვიყვანე საზღვარგარეთო და რა მექნა.

— რა გექნა და დეგეტოვებინა შენი მუტრუკი ქმრისთვის, კაპიკის მშოვნელი რომ არაა ჩემი ბედოვლათივით. სამი წელია სხვის ოჯახში კაპიკების ფასად ვირებივით ვმუშაობთ, მაგენი კიდე ჩვენს ნაშოვნ ფულს არაყში ხეთქავენ.

— ნეტავი წელს მაინც შეგვხვდეს კარგი პატრონი, თორემ წინამ სისხლი გაგვიშრო.

*(გაგრძელება იხ. გვ.27)*




# წერილი მეგობარს

გამარჯობა, ტომას,

როგორა ხარ ძმაო, როგორ? მოგვენატრე, ყველას მოგვენატრე. რა ამბებია შენკენ? გაზაფხულზე ისევ შვედეთში გველოდები, ხომ? აუ, რა გაძლებს გაზაფხულამდე, თბილისში უკვე აცივდა. რომ იცოდე ახლა სადა ვართ, აგერ, ქიაჩელის ქუჩაზე ბარ „პროფილში“, ჩვენ ახლა ოთხნი ვართ: მე, ნოდარა, შენ და ღვინო „ძველი თბილისი“, ისე შეგვახუჭუჭა ამ დალოცვილმა, რომ ერთმანეთს პროფილში ვხედავთ თუ ანფასში, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აბა, რა გეგონა, შენ რომ შვედეთში ღვინო დააყენე, იმას კი არ ჰგავს. ეს ისე, სხვათა შორის, საწყენად კი არა, შეკაცო.

თქვენთან, შვედეთის ჩრდილოეთით, ქალაქ რეტვიტის სიახლოვეს „ბუნებრივი საკონცერტო დარბაზი“ — „დალჰალა“ ხომ გაქვთ? ასე გვაქვს ჩვენც უფლისციხეში „ბუნებრივად ნაკვეთი“ კაცის პროფილი, თუმცა რას გიხსნი, თვითონ არ ნახე? ამ ბარში ამ კლდისკაცის უზარმაზარი ფოტოა, „პროფილიც“ ამიტომ დაერქვა. შევხედე თუ არა, მომკალი და შენ გამახსენდი, შენი უფლისციხეში სტუმრობა გამახსენდა. არც ისე გვავიწყდები, მაგრამ აქ რომ შემოვალთ და „უფლისციხელი კლდისკაცის“ პროფილი შემოგვეფეთება, მაშინვე შენ გვახსენდები. მარტო მე და ნოდარას კი არა, ყველას, ვინც შენ გიცნობს, ანსამბლ „თბილისს“ იცნობს; ბოლოს ტრიო „თბილისის“ იუბილეზე რომ ჩამოხვედი, მაშინაც გვინდოდა აქ მოგვეყვანე, მაგრამ ვინ გვაცალა, აბა ჭიათურობაო, აბა, გურიაში ბულარა მამალაძის ძეგლის გახსნაო, თბილისობაც ხომ იყო — არ გვეცალა და რა გვექნა? სვანეთი რომ ვერ გაჩვენეთ ტომას? — აუცილებლად წაგიყვანთ. იქაურ, ცაში შეკიდულ ჩანჩქერებს ნახავ, მოისმენ მზის სადიდებელს, შენ ხომ იცი ქართული სიმღერის ფასი. ქართული სიმღერა არ იყო, შენთან, შვედეთში გეტებორგში პირველად რომ მოისმინე და „საქართველო აღმოაჩინე“? ჰოო, აბა რა გეგონა შენ? ასეთი მადლი აქვს ქართულ ხალხურ სიმღერას. მისი მსგავსი დედამიწის ზურგზე არაა, იუნესკომ ხომ პლანეტის შედევრად აღიარა. ალან ლომაქსმა სხვა მუსიკალურ შედევრებთან ერთად „ჩაკრულო“ კოსმოსში სავარაუდო ცივილიზაციებთან შესახვედრად გააგზავნა. ხომ გახსოვს თქვენთან, შვედეთში, ლეგენდარული „აბბა“-ს მომღერალმა ბენ ანდერსონმა ანსამბლ „თბილისის“ მომღერლებს რა უთხრა: ჩვენ რომ ვმღეროდით, მაშინ თქვენ არ გიცნობდით, თქვენი სიმღერის შემდეგ თუ კაცს ნამუსი აქვს, აღარ უნდა იმღეროსო. ისე, რა გინდა, ინჟინერი შვედის პირობაზე შენც კარგად მღერიხარ, „მრავალჟამიერი“ რომ დასცხე, ვინც არ გიცნობდა, გაგიჟდა, რა ყოფილა ეს ტომას სალსტრომიო. „კარგი ხარ, გოგო, კარგი ხარ“ რომ ჩაარაკრაკე, არც ამას ელოდნენ. ვა, რა იმპრესარიო ყოლია ანსამბლ „თბილისსო“ — ამბობდნენ. ნახევრად ვიკინგი და ნახევრად ქართველი ვარო, რომ იტყვი ხოლმე ტომას, იქნებ მართლა ასეა, ა? შენ რომ შვედეთში „შერეკილთა კლუბი“ გაქვს, ჩვენთან შერეკილობას კლუბი, პარტია და საზოგადოება რად უნდა... იქნებ შენი შორეული წინაპარი მართლა ქართველი იყო? აბა, შენ რომ 20-კაციან სუფრას გაშლი ხოლმე შვედეთში, ქართველის თუ არაფერი გირევია, ჩემო ძმაო, ამისთანა ამბები შვედებმა რა იციან. დიდი სუფრები ანუ, როგორც შენ ეძახი „ჯორჯიან სუფრა“ საქართველოს აღმოჩენამდეც ხომ გიყვარდა? ქართულ სამზარეულოსაც მალე აუღე ალღო, ეგ არის მხოლოდ, რომ თავიდან სიტყვები — ხინკალი და ხინჯალი (ანუ ხანჯალი) ერთმანეთში გერეოდა. არა, ძმაო, ნოდარაც მაგარი გურმანია, მაგრამ შენგან განსხვავებით ამ საკითხში ამას არაფერი აერევა, „პროფილის“ მენიუ სულ ზეპირად იცის. განსაკუთრებით აქაური სადილი „ეიფელი“ უყვარს. თბილისის ფუნიკულიორის გარდა არაფერი უნახავს და ეს ეიფელი რამ შეაყვარა არ ვიცი, თან ხომ იცი, სიმაღლის შიშიც აქვს, ჩვენ ხშირად შემოვდივართ „პროფილში“ აგერ, ამოჩემებულ ადგილზე ვსხდებით, ღვინო „ძველ თბილისს“ ვსვამთ და იცი, რატომ ვსხდებით ამ ადგილზე? იმიტომ, რომ... არა, ნოდარამ მითხრა, არ უთხრა გაზაფხულზე შვედეთში რომ ჩავალთ, მერე იყოსო. ამას კაცი დაუჯერებს?

დღეს ფილარმონიაში კონცერტზე ანსამბლი „თბილისიც“ გამოვიდა. მაგათ ვენაცვალე, აუ, რა იმღერეს, ბიჭო! თითქოს ცა და ხმელეთი ერთმანეთში გადაგრიხეს. ესენი რომ სიმღერაში გალაღდებიან, ტყვია გინდა ესროლო. მაინც მიკვირს, ტომას, რა იგრძენი ამისთანა ქართული სიმღერის მოსმენისას — პოზიტიური შოკი მივიღეო რომ ამბობ, არ არის სასწაული, კაცო? რამდენი კილომეტრი გამოგატარა და ქვეყანა, რომელიც მსოფლიო რუკაზე წერტილივით მოჩანს, მთელი სიდიდითა და დიდებულებით დაგანახა. ამაზე ვლაპარაკობდით ახლა მე და ნოდარა, ამაზეც და საერთოდ ყველაფერზეც, სანამ ღვინომ ენა არ წაართვა. ჩვენს შვედ ძმას დავურეკოთ ახლა და მოვეფეროთო — შემიჩნდა. ამ ბოლო დროს ჩვენთან შუქიც ცუდადაა, ტელეფონის დატენვას ვერ ვასწრებ. ისე, ერთი მხრივ კარგია, მრიცხველიც ცოტას დაწერს, დენი თუ არ იქნა, ის ვაჟა-ფშაველა კი არაა, ჭრაქის შუქზე წეროს, ვაჟა-ფშაველა არ იცი ხომ? უჰ, ერთი ჩარგალშიც უნდა აგიყვანო, მაგრამ მანამდე შემჭამა ნოდარამ, ნუ იტყვი, სიურპრიზი იყოსო, რა ვქნა ვერ მომითმენია, აგერ „პროფილში“ კედლებზე პროფილების დახატვა დაიწყეს. მე შენი პროფილიც დავახატვინე, ტომას, რომ ჩამოხვალ გაჩვენებთ, ვსხედვართ აგერ, ამ სურათის ქვეშ ხშირად და გელაპარაკებით, ნოდარა მეუბნება, ჰკითხე ერთი ტომასს, აქ რომ არყის სახადი ქვაბი იყიდა, იმით შვედეთში არაყს ისევ ხდისო?

აბა, კარგად, ჩემო ტომას, კარგად მენახე ჩემო ძმაო, ჩემი ინგლისურის პატრონმა იქნებ ვერც ვერაფერი გაგაგებინე, მაგრამ მაინც მგონია, რომ მიხვდები. სიმღერა როგორც გაიგე, ისე გაიგებ ამასაც, იქნებ ვერც გაიგო, რა ვუყოთ მერე, ერთმანეთს რომ შევხვდებით, ხელს ჩამოვართმევთ და თვალებში ჩავხედავთ, ჩვენ ხომ ვიცით, იმ თვალებს მიღმა ერთმანეთისთვის როგორი ცრემლი გადავინახეთ.

*თამუნა ძინძიბაძე*

R

## მილოცვა



უმშვენიერეს და უნიჭიერეს **თაკო არეშიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ბედნიერ ცხოვრებას!!!

*მშობლები და მოსიყვარულე ახლობლები*

### ანა ართიძეს!



ჩვენო საყვარელო, ჭკვიანო, ლამაზო, კეთილო გოგონავ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და წარმატებებს სწავლაში. გაიზარდე ერის სასიხარულო შვილი. გკოცნით, გეფერებით.

*შენი ლია ბებო და ჯემალ ბაბუა*

ჩვენი ოჯახისთვის ძვირფას ადამიანს, ჩემი პატარა თამთას პირველ და უკანასკნელ უსაყვარლეს მასწავლებელს, დიდებულ, უკეთილშობილეს ქალბატონს **ეთერ ქვლივიძეს** ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ დღეგრძელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და სიყვარულს. ღმერთი ფარავდეს მუდამ. უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით, ჩემი ერთადერთი შვილის – თამთა ნადირაძის სახელით

*თეა ნადირაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას, ოფისში ესაჭიროება მენეჯერები (არა ქსელური მარკეტინგი). ანაზღაურება – მაღალი! შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. გვაინტერესებს რაიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

ოფისში, მენეჯერის თანამდებობაზე გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება გამომუშავებით – 300-600 ლარი, ასაკი – 18 წელს ზემოთ. საუკეთესო თანამშრომლები, 6 თვეში ერთხელ, სტაჟირებაზე იგზავნებიან საზღვარგარეთ, კომპანიის ხარჯებით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

## მომსახურება

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება), კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე; ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას. აგრეთვე ლამინირებული დეესპესგან ვამზადებთ სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს, სრული გარანტიით. ტ: 69-45-18. გიორგი

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეიხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ლომთათიძე მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაზრუნებას, ტროფიკულ წყლულს, თირკმლებს, პროსტატიტს, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტ: 95-74-29

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ფრონტიტი და ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

პროსტატიტის, ადენომის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რუ-*

*ვაზ სალაყაია.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა №1. მიღება შაბათს, 12-16 სთ; სხვა დღეებში წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი – მაძიებელი ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ნევროზს, ლოგონევროზს, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას, გულს, ჩიყვს, ლიმფურ, კუჭქვეშა ჯირკვლებს, პროსტატიტს, თირკმლებს, საშარდე ბუშტს, სოკოვან დაავადებას, თმის ცვენას, ჭარბთმიანობას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე.* მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის: ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

## იყიდება

სატვირთო „მერსედესი" 814D, 1991 წლის. ტვირთამწეობა – 7ტ. ფასი $5.500. ტელ: 899 56-79-23

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

საქართველოს რკინიგზის სადგურ „ველის" ტერიტორიაზე: 1. სილიკო-მანგანუმი, მეორადი – 1100 ტ; 2. ბოქსიტი – 5000 ტ; 3. რკინის ჩანა, 10-ტონიანი – 2 ცალი; 4. ტუმბოს ტიპის მოწყობილობა – 9 ცალი; 5. რკინა-ბეტონის ნაწარმი, სხვადასხვა სახის; 6. ტუნიკეტი (რკინა-ბეტონის გადასაზიდი სამაგრი) – 3 ცალი; 7. მინის გადასაზიდი კონტეინერები – 18 ცალი; 8. სპილენძის მავთული – 63 ტ. ტელ: 899 56-26-52. სადგურის უფროსი, ლაცაბიძე ომარი

## სხვადასხვა

ლომიძეების საყურადღებოდ: 14 დეკემბერს, დაბა ბორჯომში გაიმართება ლომიძეების გვარის შეკრება, 14 საათზე, გაზეთ „ბორჯომის" რედაქციასთან, მერაბ კოსტავას სახელობის მოედანზე.

ძვირფასო მეგობრებო! 9 დეკემბრიდან კვლავ გეძლევათ შესაძლებლობა, შეიძინოთ და წაიკითხოთ სასიყვარულო პრესის ლიდერი, გაზეთი „სიყვარულის სამყარო". გაცნობებთ, გაზეთის რედაქციაში ფუნქციონირებს „გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი". მის: კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა

### ნაირა მუმლაძის ხსოვნას!



40 დღე გავიდა შენი წასვლიდან... მძიმე და მწარეა უშენობა შენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის. კეთილი, თბილი და ერთგული იყავი, მშობლების, დების, ქმარ-შვილის საფიცარი. ყველას ტკივილი გულთან მიგქონდა და როგორი ტკივილით წახვედი ამ ქვეყნიდან... მოუშუშარია უშენობა, ნაირა, განსაკუთრებით შენი პატარებისთვის... იძინე მშვიდად. შენს ხსოვნას არასოდეს დავივიწყებთ. ღმერთმა მოგილოს თავის წიაღში.

*შენი ოჯახი*

### თამარ (მარგო) იოსების ასული საჯაია-ხუბუას ხსოვნას!



*ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, დედა...*
*სიზმარია ყველაფერი, დედა,*
*სანამ მე ვარ, სულ იქნები,*
*დედა,*
*ახლაც ყველგან სულ შენ*
*გხედავ, დედა.*
*აღარ მინდა დაიჯერო, დედა,*
*რომ ვყოფილვართ თურმე*
*უღბლონი,*
*მწუხარებამ ცრემლებად მაქცია,*
*ლამის არის მთლად წამერთვას*
*გონი.*
*მაგრამ დედა, შენი ლოცვა*
*მფარავს,*
*შენი სული, ვიცი, ახლა კვნესის.*
*ჩემზე დარდობ ისევ ისე, ალბათ*
*და ლოცულობ იმქვეყნიდან ჩემთვის...*
*ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, მჯერა,*
*შენი ლოცვა ისევ მფარავს, დედა,*
*ახლა წმინდა სანთლებს შევულოცავ,*
*ნათელი რომ დაგიმკვიდროს, დედა...*

*შენი შვილი მერაბ ხუბუა*

### თამაზ სორბილაძის გახსენება

ჩვენო თამაზ, შეუმჩნევლად გაირბინა ორმოცმა დღემ იმ საზარელი დილიდან და აი, დადგა შენთან საბოლოო გამომშვიდობების დრო. შენს უეცრად დაკარგვას ჩვენ ასე მალე ვერ შევეგუებით. ამას ალბათ წლები დასჭირდება. ახლა კი ისევ შენთან ვტრიალებთ, ისევ შენს კაბინეტში გვეგულები. გვიჭირს უშენოდ, გინდა საქმეში და გინდა თავისუფალ დროს, ყველგან ჩვენ გვერდით რომ იყავი, ჩვენ შორის გამორჩეული და აღიარებული.

დაგვიტოვე შენი ნიჭისა და დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი საქმე, რომელსაც ამდენი ენერგია და შეალიე. შენგან ვლებულობთ მაგალითს, საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულებისა, საერთო და ეროვნული ინტერესების წინა პლანზე დაყენებისა და მათი უანგარო სამსახურისა, საკუთარი თავისადმი და თანამშრომლებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის, სამართლიანობისა და სიკეთისა. გვერწმუნე, რომ ერთად გატარებული წლების მანძილზე შენგან მიღებული გამოცდილება დავიწყებას არ მიეცემა და გაგრძელდება იმ მრავალ კეთილ საქმეში, რაც შენ დაგვიტოვე შესასრულებლად.

*მეგობრები*

### კაკო და გიორგი ბექაურების გახსენება



გვაპატიე, კაკო, ამდენი დუმილი. ისიც გვაპატიე, რომ ვეღარ გავუმკლავდით ტკივილებს და ფურცელზე გადმოგვაქვს ჩვენი დარდი და მონატრება. თუმცა, ამით არაფერი დააკლდება იმ ტკივილს, რომელსაც შენი და გიორგის სახელი ჰქვია.

1997 წლის 10 ივლისი დიდი ტრაგედია იყო ჩვენთვის, მთელმა ქვეყანამ გაიგო – აწყურში შვილი იხრჩობოდა თურმე მტკვარში. მამა გადამხტარა საშველად და ისიც დამხრჩვალა. მას შემდეგ ორ პერიოდად დაიყო ჩვენი გვარის ცხოვრება: თქვენამდე და თქვენ შემდეგ.

უთქვენობა გვეტყობა, კაკო, აღარც სიმღერა გვივარგა, აღარც – ლექსი. უთქვენობა აკლდა ჩვენი მამუკას ქორწილს, შენი მთიულური ცეკვა. ლაპარაკი არ გიყვარდა – ისე, ქცევით აგებინებდი შენს ახლობლებს, როგორ გიყვარდა ყველა. ჩემ წინ თქვენი სურათი დევს, კაკო! რა სევდიანი და მოწყენილი ხარ. ნუთუ მართლა გრძნობდი შენს აღსასრულს?! ლექსში ჩანს შენი ტკივილი, კაკო!

*„მიყვარს ეს მთები ნაგრიგალევი,*
*მიწა ნაჭირხლი, ლამენათევი.*
*ო, როგორ მინდა, წინაპარივით*
*მეც დავამჩნიო კვალი ნათელი.*
*მაგრამ ვაითუ, აღარ დამცალდეს*
*ბედმა მზაკვრულმა დამცეს ღალატით.*
*მარადისობის გულის ფიცარზე*
*დარჩება ჩემი მცირე ბარათი."*

შენი დიდი სიკეთე და სიყვარული დაგრჩა, კაკო, შენი სიცოცხლის გაგრძელება – შენი გურამი. ამ პატარა ბარათით კი, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო კაკო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული.

გვაპატიე, კაკო, ამდენი დუმილი. ისიც გვაპატიე, რომ ვეღარ გავუმკლავდით და ფურცელზე გადავიტანეთ ჩვენი დარდი და მონატრება. თუმცა, არაფერი გაანელებს იმ ტკივილს და სევდას, რომელსაც შენი და გიორგის სახელი ჰქვია.

*შენი ბიძაშვილები*

### ზაზა ბერიძიშვილის მონატრება



ზაზა, ძვირფასო, ვაი, რომ უშენოდ უნდა შევხვდეთ ამ ლამაზ და ძალიან მწარე დღეს – შენს დაბადების დღეს. 16 წლის გახდი, ზაზა და რომ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები. ჩვენო ერთადერთო იმედო! გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ჩვენო სულით სპეტაკო და გულით თბილო.

რამხელა იმედი იყავი და რამხელა ტკივილი ხარ ახლა! ძნელია ამხელა ტკივილით ცხოვრება.

*უშენობას ვერშეგუებული შენი მშობლები; ბიძა და მამიდა; ბიძაშვილ-მამიდაშვილები*

### იოსებ ინაშვილის მონატრება



მოვიდა ჩვენი ოჯახისთვის ავადმოსაგონარი 5 დეკემბერი. 3 წელი შესრულდა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე დიდი სევდა და ნაღველი.

გვეჩვენება, რომ შენ ჩვენს მონატრებას გრძნობ და ჩვენთან ხარ. უსაზღვროდ მოყვარულო, ერთგულო, უღალატო, სამაგალითო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ.

ბუნებით ვაჟკაც კაცს, მგრძნობიარე და სათუთი გული გქონდა. შენი დიდი ოჯახის კარი ყველასთვის ღია იყო.

გული გატკინეს, გაგანადგურეს და გულნატკენი წახვედი ამ ქვეყნიდან – რისი ღირსიც არ იყავი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი დიდი ოჯახი*

### კახა გვიმრაძის მონატრება



ჩვენო საყვარელო კახა! ერთი წელი გადის იმ ავადმოსაგონარი დღიდან (14 დეკემბერი). ნაადრევად გადახვედი მარადიულ სასუფეველში, შენ არ იყავი მზად... ჩვენ უნდა დაგემარხე, ამიტომ უშენობა ტანჯვაა ჩვენთვის. დღემდე ვერ ვერკვევით, ცხადია თუ სიზმარი. დატოვე ორი პატარა ობოლი უკრაინაში, რომლებიც უსაზღვროდ გიყვარდა. დაგრჩა შორს შენი საფიცარი და, რომელსაც უშენოდ სიცოცხლე უჭირს.

ჩვენო ანგელოზო! გამორჩეული იყავი ყველასგან ყველაფერში. ღმერთმაც რჩეული გინება. ჩვენ გვიჭირს უშენობა, გვაკლიხარ ძალიან...

ჩვენო ტკივილო! მე ყოველდღე ვლოცულობ, ვანთებ წმინდა სანთლებს შენს საფლავზე და უფალს შევთხოვ: ზეციურ სასუფეველში დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს ბინა, „სადაცა მართალნი განისვენებენ"; შენი პატარა ობლები ჯანმრთელი და ბედნიერი ქართველი ქალები გაზრდილიყვნენ; შენი დაიკო ოჯახით, ჯანმრთელი, ბედნიერი იყოს; ჩვენ კი, მშობლები, რომლებიც უპატრონოდ დავრჩით, მალე მოვსულიყავით შენთან.

კიდევ და კიდევ შევთხოვ უფალს: ცათა სასუფეველში იყოს შენი სული, უფალთან ერთად.

*შენი უბედური მშობლები*

### ოთარ გაბისონიას მონატრება

როგორი სასტიკი განცდაა, რომ ჩვენ შორის აღარა ხარ... უეცრად წახვედი და უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვე. ულმობელმა სიკვდილმა ნაადრევად შეაჩერა სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცის გულისცემა. დრო გადის და მწარე სინამდვილესთან შეგუება ძნელია. შენგან დატოვებულ სითბოსა და სიყვარულს, დრო ვერაფერს აკლებს. ყველას დაგვეტყო შენი არყოფნა. იმ სიცარიელეს, უშენობა რომ ჰქვია, ვერაფერი ავსებს. ტკვილისაგან ტირის სული, უჭირს უშენობა შენს ოჯახს. უსაზღვროდ გვენატრები, ჩვენო მოსიყვარულე, ერთგულო, უღალატო, სამაგალითო მეგობარო, შვილო, ძმაო, მეუღლევ და მამავ...

შენს სახელს დავიწყება არასოდეს ექნება.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო გულმართალო და მოუშუშებელო ტკივილო. ჩვენგან ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

### ვასიკო ყველაიძის ხსოვნას!



ორმოცმა ტკივილიანმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. რა გაუსაძლისი ყოფილა თურმე უშენობა. დიდი ტანჯვა და მოუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე, ჩვენო კეთილო და ჭკვიანო ვაჟკაცო. ორმოცი დღეა, ცრემლი არ შეშრობია თვალებს, დავტირით შენს ლამაზ ცხოვრებას, რომელიც ასე ნაადრევად ჩაიფერფლა ჩვენ თვალწინ. მხოლოდ მოგონებებში დარჩა შენი სახელი; ლაღი, უსაზღვროდ კეთილი, ოცნებებით და სიყვარულით სავსე შენი გული მუხთალმა ტყვიამ შეაჩერა.

მაშინ გაიყინა ჩვენთვის წუთები და წამები, როცა გაისმა, – ვასიკოს ესროლესო; მაშინ დაეშვა ციდან შავი ფარდა, გულიდან წამოვიდა უსაზღვრო ტკივილი გოდების სახით.

რჩეულთა ხვედრი გარგუნა ბედისწერამ, ყველასგან გამორჩეული, ნაადრევად მიგიხმო თავისთან უფალმა.

...როგორი ცარიელია სახლი უშენოდ. ლანდად ქცეულები დავეძებთ შენს ლამაზ ღიმილს, მაგრამ ეს ყველაფერი ამაოა.

შენთვის ვლოცულობთ ყველა, ჩვენო ვასიკო, ჩვენო უსაზღვრო მონატრებავ და ტკივილნარევო სიხარულო.

შევთხოვთ უფალს, რომ დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

მშვიდობით, ჩვენო ლამაზო ვაჟკაცო.

*ოჯახი*

### თემო ხატიაშვილის ხსოვნას!



*ჩვენ როგორ დავრჩით, დედი, უშენოდ,*
*როგორ ვიშრომეთ, წყლის ნაყვის დარად.*
*როგორ გაჩერდა წლების*
*ნიშნული*
*სადღაც შორეთში შენ დარჩი*
*მარად.*
*რატომ მოგვერგო ეს მძიმე*
*ხვედრი,*
*ძნელი ყოფილა შვილით*
*ობლობა.*
*რატომ მოვედით, დედი,*
*აქამდე –*
*შენი არყოფნა გვენახა, განა?*
*ასე ყოფილა წუთისოფელი,*
*ასე სრულდება ღვთის ნება.*
*ერთი წელია ვცხოვრობთ უშენოდ,*
*ჯოჯოხეთია ამის გაძლება.*

*ოჯახი*



მეუღლე მაგული ჯინჭარაძე; შვილი დავით ცინცაძე; რძალი ნათია ბელთაძე; შვილიშვილი მამუკა; და ტურფა ცინცაძე; დისშვილი ვახტანგ ენდელაძე; ცოლისძმები: გურამ, მურმან და რამინ ჯინჭარაძეები; ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მამუკა გიორგის ძე ცინცაძე**

*პანაშვიდი:* 10, 11 დეკემბერს;
*დაკრძალვა:* 12 დეკემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* ქ. თბილისი, რიონჰესის ქუჩა №63 (1 სამშობიაროსთან).

მეუღლე ლია; შვილები: მამუკა, მერაბი; რძალი ნანიკო; შვილიშვილი გურამი; ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ ერასტის ძე ბერია.**

*პანაშვიდი:* 10, 11 დეკემბერს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 12 დეკემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* დოლიძის ქ. მე-19 კორპუსი, II სადარბაზო.

მეუღლე ნუნუ; შვილები: ალექსანდრე, მიხეილი; ძმა ლუდვიგი; და ეთერი; რძლები: მარინა კაპანაძე, ია მელაძე, ნუნუ სხირტლაძე; სიძე ანზორ ხუხუნაიშვილი; შვილიშვილები: ზურა, ნოდარი, ზაზა, კახა, ლევანი, თედო; დისშვილები: ნინო, დათო; ძმისშვილები: თინიკო, თამაზი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ მარკოზის ძე დაუშვილი**

*პანაშვიდი:* 8, 9 დეკემბერს, 16 საათზე;
*გამოსვენება:* 10 დეკემბერს, 14 საათზე.

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ციცო მელაძის დედის

**იულია ნიკურაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთ *„კვირის პალიტრის"* რედაქცია თანაუგრძნობს სენაკში არსებულ „კვირის პალიტრის" მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეს, რეგიონული პრესცენტრის ხელმძღვანელს, *მერაბ ხუბუას,* დედის

**თამარ (მარგო) იოსების ასული საჯაია-ხუბუას**

გარდაცვალების გამო.

თინა, თენგიზ, ზაზა დგებუაძეები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ *გივი ბახიას,* მეუღლის

**ქეთევან გოგოლია-ბახიას**

გარდაცვალების გამო.

„გაერთიანებული დემოკრატების" თბილისის საქალაქო ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივნის ბატონ *გ. ჯოჯოლაძის* დედა, რის გამოც თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

# „კრემლის ბატონი" თავის სიკვდილზე ადრე მოკვდა...

## სტალინის ბოლო საიდუმლო

ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 1 მარტს ვოლინსკში, აგარაკზე ყოფნისას, სტალინს თავში სისხლი ჩაექცა და 5 მარტს გარდაიცვალა. სტალინის გარემოცვიდან დარჩენილი ბოლო ადამიანის მიერ მოწოდებული მონაცემებით, თურმე სულ სხვანაირად ყოფილა საქმე.

აი, რას ჰყვება კრემლის პარტიული ელიტის საგანგებო სამზარეულოს უფროსი **გენადი კოლომენცევი,** კაცი, რომელიც კვებავდა ყველა საბჭოთა ლიდერს სტალინით დაწყებული — გორბაჩოვით დამთავრებული:




— სტალინის სიკვდილის შემდეგ ვოლინსკში ჩავედი. ბელადის აგარაკი არაფრით გამორჩეული არ იყო. სახლის კომენდანტმა ორლოვმა მაჩვენა ავდარში ჩასაცმელი ჯუბა, ყურებიანი ქუდი, თექურები, რომლითაც სტალინს უყვარდა სეირნობა. სტალინს წესად ჰქონდა: ჩამოვიდოდა, ჩაის დალევდა და თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა, — მიამბო ორლოვმა, — თუკი ვინმე დასჭირდებოდა, ზარით უხმობდა. დილის 10-11 საათზე ჩვეულებისამებრ დგებოდა ხოლმე. წვერს თვითონ იპარსავდა. გარდაცვალების ღამეს ჩამიჩუმი არ ისმოდა. დაცვა შეშფოთდა, დარეკეს მე-9 განყოფილებაში. მოვიდნენ, კარები გააღეს. ბელადი მკვდარი იწვა იატაკზე იმ ტახტთან, რომელზეც ეძინა ხოლმე.

**— აბა, ყველა რომ ამბობდა, რამდენიმე დღე ებრძოდა სულსო?**

— არა, არა, ნამდვილად უკვე მკვდარი იყო. გაზეთებმა ტყუილი დაბეჭდეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიამ მთელი მოსამსახურე პერსონალი დაითხოვა. ერთადერთი, ვინც იქიდან პენსიაზე წავიდა, აგარაკის დიასახლისი ვალია ისტომინა იყო. მან განბანა სტალინის ცხედარი კუბოში ჩასვენების წინ.

მე მაშინ 501-ე სპეცბაზას ვხელმძღვანელობდი. ეს ბაზა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის და საზღვარგარეთელი სტუმრების კვებაზე ზრუნავდა. ამ ბაზასთან სპეციალური ლაბორატორია იყო, სადაც ყველა პროდუქტი ისინჯებოდა და აზრი, რომ ვინმეს შეეძლო მოეწამლა, გამორიცხული იყო. ყველაფერს მე თვითონ ვაგემოვნებდი და როგორც ხედავთ, დღემდე ცოცხალი ვარ.

## სტალინის მენიუ

სტალინი მსმელი კაცი არ იყო. ხანდახან 1-2 სირჩა კონიაკს თუ მიირთმევდა. ერთხელაც არ შევსწრებივარ, რომ ცოტათი მაინც ყოფილიყო შექეიფიანებული. ეს ყველამ იცოდა. და საერთოდ, თუ ვინმე რამეს აკეთებდა, ისიც ჩუმად. ხრუშჩოვს უყვარდა ყლურწვა, ბულგანინსაც, კაგანოვიჩსაც...

კონიაკს მხოლოდ ქართულს სვამდა — OC-ს, KC-ს და „ენისელს". ღვინოებიდან „ხვანჭკარა" უყვარდაო, ამბობენ... არ არის მართალი. ჩვენ მისთვის საგანგებოდ ვიძენდით შინდაწურულ ღვინოს სამი ქართველი გლეხისაგან. ორი ძმა იყო, ნემსიწვერიძეები, მესამის გვარი დამავიწყდა. კახეთში ცხოვრობდნენ. რასაკვირველია, ეს ღვინოებიც ყველანაირად მოწმდებოდა. რამე შარს რომ არ გადავყროდი, თავად მე ვსინჯავდი. ზაფხულში სტალინი თეთრ ღვინოს სვამდა, ზამთარში — შავს.

საჭმელს უბრალოს მიირთმევდა. ქართულ კერძებს თითქმის არ უკვეთდა. უყვარდა პილმენი, შჩი. განსაკუთრებით კი, ქურაში კანიანად შემწვარი კარტოფილი.

## საცვლების ამარა — ბელადის წინაშე

1951 წლის ზაფხული იდგა. მაშინ სტალინის ბოლო წასვლა იყო კავკასიაში დასასვენებლად. რასაკვირველია, მეც გავყევი. იქ ორი კაცი გვყავდა, ერთი მონადირე, მეორე — მეთევზე. ერთხელ მეც წამიყვანეს სათევზაოდ ხოლოდნაია რეჩკაზე. იქვე ახლოს კი სტალინი ცხოვრობდა.

ვთევზაობთ, მზე აცხუნებს, ცხელა. გავიხადეთ ტანსაცმელი, საცვლების ამარა დავრჩით. გავიხედეთ და, სამი კაცი გვიახლოვდება... გავშეშდი — სტალინი მოდის, ჩვენ კი ნიფხვებილა გვაცვია.

— გამარჯობათ, მეთევზეებო. იჭერთ რამეს? — გვეკითხება. აღარ ვიცი, რა ვქნა, რას მოვეფარო. სტალინმა შემომხედა... გამახსენდა, როგორ გვაფრთხილებდნენ: თუ სტალინმა თვალებში შეგხედა, მზერა გაუსწორე, არ აარიდო, გაუძელიო. მეც გავუძელი, მაგრამ სიკვდილამდე მემახსოვრება ეს გამჭოლი, რენტგენივით მზერა. კარგად დამამახსოვრდა — პატარა, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, წინწკლებიანი, სახეზე ალაგ-ალაგ ნაყვავილარი აჩნდა, ულვაშები შეჭაღარავებული ჰქონდა. ახალგაზრდული, მტკიცე ნაბიჯით მოაბიჯებდა...

ჩვენმა მეთევზემ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მიმართა: „ამხანაგო სტალინ, გავიყინეთ, რამე შესახურებელი ხომ არ..." სტალინმა ხელი ასწია. მაშინვე გაჩნდა პატარა ჩემოდნიანი კაცი. სტალინმა ჰკითხა, — გვაქვს რამე მეთევზეების გასათბობადო? არისო, — მიუგო მან და ჩემოდანი გახსნა. „რა დავლიოთ, კონიაკი თუ არაყი?" — გვკითხა ბელადმა. კონიაკი, — ვუპასუხეთ. კონიაკი სირჩებით შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენ ფუჟერი ვამჯობინეთ. „მე სირჩაში დამისხით", — თქვა სტალინმა. მეთევზემ სტალინი ადღეგრძელა. გმადლობთო, — თავი დაუკრა ბელადმა. ისე გადავკარი 150 გრამი კონიაკი, არც მიგრძნია არაფერი, მერე კიდევ მოვითხოვეთ. დაუსხითო, — ბრძანა. მოკლედ, 300 გრამი კონიაკი მივირთვი, დავმშვიდდი, ფხიზელი ვიყავი. „ხომ გათბით, ახლა თევზაობა განაგრძეთ. წავედი..." — დაგვემშვიდობა. მეთევზემ ნადავლი გაუწოდა — „ინებეთ, ამხანაგო სტალინ".

— როგორ? მე ხომ არ დამიჭერია?

— სამაგიეროდ, კონიაკი დაგვალევინეთ, ინებეთ, ინებეთ! — გაუთამამდა მეთევზე. სტალინმა ჩამოართვა თევზი. როცა მიდიოდა, შევამჩნიე, კეფაზე თმა შეთხელებოდა, კისერიც დანაოჭებოდა...

P.S. კოლომენცევის ნაამბობში სენსაციურია ის, რაც სტალინის სიკვდილს შეეხება, მაგრამ ხომ შეიძლება ასეც მომხდარიყო?

ოფიციალურად გავრცელებული ცნობით, სტალინი ტანჯვით მოკვდა; ორლოვ-კოლომენცევის ვერსიით, გამოდის, რომ ეს თავად სტალინს კი არ ეხება, არამედ, მის ორეულს, რომელსაც ლავრენტი ბერიამ მომაკვდავი ბელადის როლი დააკისრა და ეს როლი ისე ითამაშა, რომ არათუ დიდი ხნის უნახავმა ქალიშვილმა, არამედ აგარაკის დიასახლისმა ვალია ისტომინამაც ვერაფერი იეჭვა. ექიმებმაც ვერ (თუ არ) შეამჩნიეს ვერაფერი. ამით ხომ არ აიხსნება ის ფაქტი, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ სასწრაფოდ მოაშორეს მოსკოვს მომსახურე პერსონალი, ხოლო ივან ხრუსტალევი, ადამიანი, რომელმაც უკანასკნელად ნახა ცოცხალი სტალინი, იმ ქვეყნად გაამგზავრეს...

***არგუმენტი ი ფაქტი №49***



# ვახტანგ კიკაბიძე: „ვიზაჟისტი ჰომოსექსუალისტი მეგონა"

***თავის სამშობლოში, საქართველოში ვახტანგ კიკაბიძე მდიდარ კაცად ითვლება და, მართლაც ადამიანი, რომელიც საუნით, აუზით გაწყობილ სამსართულიან ვილაში ცხოვრობს, ხოლო შვილებსა და შვილიშვილებს სასწავლებლად ინგლისში გზავნის, ღარიბად არ იხსენება. ამასთან, არავითარი ბიზნესი არ აქვს და არც ბანდიტურ თავყრილობებზე მღერის. ყველაფერი მისი შრომითაა შექმნილი. ისე ცოდვაც კი იქნება, ვინმეს შეშურდეს მისი...***

**— ბ-ნო ვახტანგ, საქართველოსა და რუსეთის შორის დაძაბული ურთიერთობაა. იგრძნობა ეს თქვენს კონცერტებზე?**

— არა, არ იგრძნობა. მოგეხსენებათ, ხალხი ყოველთვის თავის მმართველებზე ბრძენია. მათ ყველაფერი უკეთ ესმით, მაგრამ ვინ რას ეკითხებათ! როგორ შეიძლება მუსლიმანური ქვეყნებით გარშემორტყმულმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ ურთიერთობა არ დაამყაროს მეორე ქრისტიანულ სახელმწიფოსთან.

**— ამბობთ, ხალხი ერთმანეთისადმი კეთილად არის განწყობილიო, მაგრამ რას იტყვით თბილისში მომხდარ ინციდენტზე — რუსი ფეხბურთელების ავტობუსს ქვები რომ დაუშინეს?**

— თქვენ თვითონ ნახეთ ეს? ჩემი შვილიშვილი ესწრებოდა მატჩს და თბილისში სტადიონზე უფრო მეტი სიმშვიდე იყო, ვიდრე მაგალითად, მოსკოვში „სპარტაკის" გულშემატკივრების თარეშის დროს. თუმცა სინათლის გამორთვა ნამდვილად წინასწარი განზრახვით მოხდა, რადგან პრეზიდენტის ლანძღვის კიდევ ერთი საბაბი გასჩენოდათ.

**— თქვენ მხარს უჭერთ შევარდნაძეს?**

— პოლიტიკიდან შორს ვარ. ერთადერთი — ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრება მინდა. რაც შეეხება შევარდნაძეს, ვისურვებდი, რომ მის შემდეგ უკეთესი მოვიდეს, მაგრამ ჯერჯერობით ასეთს ვერ ვხედავ.

**— თქვენ არისტოკრატი ხართ და წესით, თვალყური უნდა ადევნოთ მოდას. საკუთარი მკერავი თუ გყავთ?**

— პირველად რომ მკითხეს, ვიზაჟისტი თუ გყავსო, არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა — ჰომოსექსუალისტი მეგონა. ტანსაცმელს თვითონ ვირჩევ. გამორჩეულად Hygo Boss-ის კოსტიუმები მომწონს, სპორტულიც მიყვარს.

**— თბილისში დიდი სახლი აგიშენებიათ, როგორ სტილითაა გაწყობილი?**

— ჩემმა ბავშვობამ გაჭირვებაში გაიარა. საკუთარი სახლი ახლა მეღირსა — სამსართულიანი, ბაღით, აუზით, საუნით და ბუხრით. მე ძველებური სტილი მომწონს, ამიტომ ავეჯიც შესაბამისი მაქვს.

**— თქვენი არც ერთი შვილიშვილი ხელოვნებას არ გაჰყვა, რატომ?**

— თუ გული არ მიუწევთ, არაფერი გამოვა. უფროსმა შვილიშვილმა, გიორგიმ ლონდონის უნივერსიტეტი დაამთავრა და ახლა თბილისში მუშაობს. 17 წლის ვახტანგი ინგლისურ კოლეჯში სწავლობს, უმცროსს, 7 წლის ივანეს სპორტი აინტერესებს. ვნახოთ...

**— ხშირად ჩამოდიხართ მოსკოვში, გარდა კონცერტებისა და გასტროლებისა, მგონი, აქ საკუთარი კლუბიც გაქვთ.**

— სამი წლის წინ ამ საქმიდან გავედი. მივხვდი, რომ საჩემო საქმე არ იყო. ღვინოს სიამოვნებით ვაწარმოებდი, ვნახოთ, იქნებ ვაზიც მოვაშენო. ვაპირებ ქართული ალბომის გამოცემას.

***იბეჭდება შემოკლებით მკ ბულვარი №49***

# ნატო უკვე სამხრეთ კავკასიაშია. გამოიყენებს თუ არა აზერბაიჯანი თავის ისტორიულ შანსს?

საქართველოს ოფიციალური განაცხადი, ნატოში შესვლის თაობაზე, რასაკვირველია, „მოსალოდნელი სენსაციების" რიგს ეკუთვნოდა, მაგრამ ალბათ ამით არ აიხსნება რუსეთის დემონსტრაციული დუმილი ამ საკითხთან დაკავშირებით. რუს ანალიტიკოსებს თავისი გეოპოლიტიკური მარცხის აღიარება არ უნდათ.

სანამ საქართველო ნატოს მიწვევას მიიღებს, ბევრი წყალი ჩაივლის, მაგრამ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა, ამგვარ ნაბიჯს ჰაერზე არ გადადგამდა. თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს ნატოში შესვლის სურვილი ოფიციალურად გაჟღერდა, იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიაში ბალანსთა ძალების სერიოზული გადანაცვლება ხდება, რომლის ნაწილი არა მარტო საქართველო, არამედ აზერბაიჯანიცაა. ცნობილმა აზერბაიჯანელმა დიპლომატმა და პოლიტოლოგმა ვაფ გულუზადემ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი მიესალმება საქართველოს ნატოში შესვლას და იმედს გამოთქვამს, რომ მისი ქვეყანაც გახდება ალიანსის წევრი: — ვერ გეტყვით, რომელი უფრო ადრე შევა ამ ორგანიზაციაში, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი გულითადი მეზობელი ნატოშია, დიდი იმედი იქნება აზერბაიჯანისთვის. ნავთობსადენმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანმა სამუდამოდ დააკავშირა აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი. ეს მილი ამ ქვეყნების ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ამას ისიც ემატება, რომ თურქეთს ნატოში ყოფნის დიდი სტაჟი აქვს, აზერბაიჯანს კი თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა აერთიანებს.

აზერბაიჯანის ნატოში შესვლა რომ შესაძლებელია, ამას ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ზბიგნევ ბზეჟინსკიც ადასტურებს. ბიბი-სის მან განუცხადა, ნატოს განვითარებაში გარდაუვალია მესამე ფაზაო, რაშიც გულისხმობს რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ორგანიზაციაში უკრაინის, საქართველოს და აზერბაიჯანის გაწევრებას და თვლის, რომ ეს უფრო შესაძლებელია, ვიდრე ხორვატიის, სერბეთის და მაკედონიის მიღება ამ ორგანიზაციაში.

აზერბაიჯანის ოფიციალური სტრუქტურები მიესალმებიან ნატოს გაფართოებასაც და საქართველოს მის შემადგენლობაში შესვლის პერსპექტივასაც.

***ნურანი, ექო, ბაქო***


# მთავარია, გადადგათ პირველი ნაბიჯი...

უროლოგია მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. პაციენტები, რომელთაც უროლოგიური დაავადებები აწუხებთ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საერთო რიცხვიდან 38%-ს შეადგენენ.

წინამდებარე ჯირკვალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა მამაკაცის ორგანიზმში. პროსტატა ზომით მცირე, მაგრამ კოლოსალური მნიშვნელობის ორგანოს წარმოადგენს. ის მრავალ სასიცოცხლო პროცესში მონაწილეობს. მასში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს სპერმატოზოიდების წარმოქმნაზე, ლიბიდოსა და პოტენციაზე. ამგვარი ცვლილებები მეტად მტკივნეულად აღიქმება მამაკაცის მხრიდან და დამანგრეველად მოქმედებს ფსიქიკაზე. ხშირია დეპრესიები, ნევროზები, თვითმკვლელობის მცდელობა.

რა ფაქტორები იწვევს დარღვევებს წინამდებარე ჯირკვალში:

რისკის ფაქტორს წარმოადგენენ ისეთი დაავადებები, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი, სისტემური დაავადებები, ტუბერკულიოზი, სისხლძარღვთა ცვლილებები, ამიტომ პროსტატიტის მკურნალობა აუცილებლად უნდა იყოს კომპლექსური. აბსოლუტურად მცდარია მხოლოდ პროსტატიტის მკურნალობა და მისი გამომწვევი მიზეზების იგნორირება.

გაციება, ხშირად იწვევს ცვლილებებს წინამდებარე ჯირკვალში. პროსტატის გამომწვევია სხვადასხვაგვარი პათოგენური მიკროორგანიზმი. ეს გართულება საერთო რიცხვიდან თითქმის 28%-ია. სადღეისოდ პროსტატიტის უმნიშვნელოვანესი მიზეზია ქლამიდიოზით დასნებოვნება. ქლამიდიოზი აზიანებს არა მარტო წინამდებარე ჯირკვალს, არამედ ყველა ორგანოს და სისტემას, განსაკუთრებით, სახსრებს. ქლამიდიოზით ავადდებიან ქალები და ბავშვებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ანტიბიოტიკური მკურნალობა ადრეულ სტადიაში არ არის საკმარისი, ვინაიდან ჩვენ არა მარტო ცვლილებების კორეგირებას ვახდენთ ჯირკვალში, არამედ საჭიროა პაციენტის იმუნური სისტემის ნორმაში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ორგანიზმს ეძლევა საშუალება თვითონ მიიღოს მონაწილეობა ანთებითი პროცესის ალაგმვაში.

რაც უფრო ადრეულ სტადიაზეა გამოვლენილი ცვლილებები ორგანოში, მით უფრო იოლი და სწრაფია მისი აღდგენის პროცესი. ამიტომ, ყოველმა მამაკაცმა 40 წლის ზევით, ერთხელ აუცილებლად უნდა ჩაიტაროს კომპლექსური უროლოგო-სექსოლოგიური გამოკვლევა პათოლოგიის გამოკვლევის მიზნით ადრეულ სტადიაზე.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი" დიდ გამოცდილებას ფლობს წინამდებარე ჯირკვლის მკურნალობასა და მასთან დაკავშირებული დარღვევების გამოვლენაში. მკურნალობა მიმართულია არა მარტო ადგილობრივი პათოლოგიისაკენ, არამედ ორგანიზმის საერთო ჯანმრთელობაზე. კლინიკაში ფართოდ გამოიყენება მაგნიტო-ლაზერული მეთოდი, კვანტური თერაპია, მედიკამენტოზური მკურნალობა, აგრეთვე, მკვდარი ზღვის უნიკალური პრეპარატები, რომლებიც იძლევიან საშუალებას ზემოქმედება მოვახდინოთ ადამიანის ორგანიზმზე კომპლექსურად, მოვახდინოთ ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზება, ჩავატაროთ დეზინტოქსიკაცია, აღვადგინოთ პაციენტის იმუნური სტატუსი და დავეხმაროთ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში. მკურნალობის პროგრამა ირჩევა ინდივიდუალურად, რაც გვაძლევს მაღალ მაჩვენებლებს ამ დაავადების მკურნალობაში.

ამგვარად, როგორც გამოცდილება აჩვენებს, წინამდებარე ჯირკვლის და მასთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა უნდა იყოს დროული, კომპლექსური და ინდივიდუალური. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს კლინიკაში მკურნალობის დადებითი რეზულტატები 95% აღწევს, რაც უდავოდ მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" იციან ძლიერი სქესის სუსტი მხარეები, ამიტომ ყურადღებით ეკიდებიან ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროება.

ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად არც ისე ბევრია საჭირო

მთავარია, გადადგათ პირველი ნაბიჯი.

**სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი"**
**ტელ: 29-05-25; 25-27-09**
**მის: ფალიაშვილის 44/5**


CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

***

**4 წლის გიორგი გოგეჯიშვილი** ავად იყო და ახველებდა. დილით დეიდას ეუბნება:

— დეიდა მაია, ამაყენე!

— იწექი, გამოშუშდი, რომ მოთბება, მერე აგაყენებ.

— ამაყენე, უკვე გამოშუშული ვარ!

***

— ვაიმე, ფეხში ნასკვი გამეძარლვა, — ყვირის **5 წლის ლუკა ხულელიძე**.

***

**3 წლის დავით გოგინაშვილმა** დედას სთხოვა:

— დედიკო, ჩემი პატარა ძამიკო ჩემთან დააწვინეო. დედამ სურვილი შეუსრულა, პატარამ მალე ტირილი მორთო.

— დედიკო, ჩქარაააწვინე, თორემ გადაბჟირდა ნუგი, — ეძახის დავითი დედას.

***

**3 წლის ბექა ჯაფარიძე** მამას ბაღში მიჰყავს. მან პირველად ნახა თოვლის ფანტელები და ტირილით სთხოვდა მამას:

მამიკო, ზემოდან მაყრიან შაქარს, ჩქარა გამიწმინდე, თორემ შაქრიანს არ შემიშვებენ ბაღში.

***

**პატარა ლუკა** დედასთან ერთად „მარშრუტკით“ მგზავრობს. ძალიან ცხელა. საწვავისთვის „მარშრუტკა“ ცოტა ხნით გაჩერდა. დედამ ლუკას შესთავაზა, ჩავიდეთ, ცოტა ჰაერი ჩავყლაპოთო. ლუკა ჯერ შეყოვნდა. მერე დაეთანხმა. გზა რომ გააგრძელეს, ლუკამ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— კიდევ კარგი, გავჰაერდით!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ თბილისში მდებარე ერთ-ერთი ტაძრის სახელს.




## IV ანა, გამოიცანი

1. **რა ასხია თერმომეტრში?**
ა) წყალი; ბ) ვერცხლისწყალი; გ) ოქროსწყალი; დ) ვარდისწყალი.
2. **რომელია ზედმეტი?**
ა) ნატიფი; ბ) გონჯი; გ) მოხდენილი; დ) მშვენიერი.
3. **რომელი მათგანია სისხლისმწოველი?**
ა) ჭიამაია; ბ) პეპელა; გ) წურბელა; დ) აბრეშუმის ჭია.
4. **ვინ უძღვება ექსკურსიას?**
ა) კომენტატორი; ბ) რეპორტიორი; გ) კორესპონდენტი; დ) გიდი.
5. **ქართულ ცეკვაში მოქიშპე ვაჟებს შორის რას აგდებს გასაშველებლად ქალი?**
ა) ბოხოხს; ბ) ცხვირსახოცს; გ) მანდილს; დ) ხმალს.
6. **რომელ არსებას სძინავს თავდაყირა, ფეხებით ჩამოკიდებულს მთელი ზამთრის განმავლობაში?**
ა) ღამურას; ბ) მერცხალს; გ) ტოროლას; დ) კაჭკაჭს.
7. **რა ჰქვია უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს?**
ა) ლაბორატორია; ბ) კონსერვატორია; გ) ობსერვატორია; დ) აუდიტორია.

## I

იპოვე ორი ერთნაირი ჩიტი






აჩვენე დათოს ტანსაცმელი, რომელიც ზამთარში უნდა ჩაიცვას



დაეხმარე ძაღლს ლაბირინთის გავლაში



აპოვნინე ძროხას პეპელა, ისვი, გული და თვითმფრინავი


მისაწებებელი ზღაპრის გმირები

გამოვიდა!



„მელია და მწყერჩიტა“, „ქალთევზა“, „ნაცარქექია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „კომბლე“, „ირმისა“ „ჩიპოლინო“ „წითელქუდა“

ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში

მალე გამოვა: „ხუთკუნჭულა“ „მაკნატუნა“ „თოვლის დედოფალი“


## II რებუსი





## ქიავოხდი

| ტრამვაის წინაპარი | ნოტი | ნ. ბარათაშვილის მეტსახელი | სესილია თაყაიშვილის კინოგმირი „ნატვრის ხეში“ | ლეიბი და საბანი ბალიშითურთ | ასის მეათედი |
|---|---|---|---|---|---|

| ცხენი რუსულად | დახურული ოთხთვალა ეტლი | მტკიცე ქსოვილისგან შეკერილი გუდა ანუ... | საუბარი ორ პირს შორის | არაქათი, ქანცი, ძალა, ღონე |
|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

## გამოხმაურება

# — მე ის „ქეთი“ ვარ და არც ისე გულცივი ვარ...

**როცა მითხრეს, ტელეფონთან გიხმობენო, არ გამკვირვებია.**

**— მე ის „ქეთი“ ვარ, „გიოს“ რომ უყვარდა და მკითხველმა უგულო უწოდა, — მითხრა ხმამ, — კარგა ხანს ვიფიქრე, თქვენთვის დამერეკა თუ არა. ბოლოს მაინც გადავწყვიტე, რადგან უგულო და უგრძნობი არასოდეს ვყოფილვარ. რახან „ქეთი“ დამარქვეს, დავრჩები ამ სახელით, მაგრამ გულახდილად მოგიყვებით ყველაფერს, თუმცა ტელეფონით საუბარს მაინც შეხვედრა მირჩევნია.**

**მე და „ქეთი“ მეორე დღესვე შევხვდით ერთმანეთს.**

— „გიოს“ მეგობარი რომ წერს, იქნებ ქალებმა აგვიხსნან იმ უარის მიზეზი, რაც კაცებს არ გვესმისო, გამეღიმა ამის წაკითხვისას. სამწუხაროდ, ეგრეა... კაცებს ხშირად ვერ გაუგიათ, რატომ უყვართ ქალებს ერთი, სხვაზე უფრო „ნაკლები“ და „არაფრით“ გამორჩეული, ან რატომ მოსწონთ „ექსპერიმენტები“. ჩემი და გიოს ურთიერთობას ფსიქოლოგმა სადომაზოხისტურიც კი უწოდა. ვეთანხმები, მაგრამ მთლიანად არა.

გიო რომ გავიცანი, მაშინ მართლაც საოცრად გულგატეხილი ვიყავი. სიყვარული კი არ „დავკარგე“ (როგორც იმ წერილშია ნათქვამი), არამედ ამ გრძნობას შეგნებულად გამოვემშვიდობე. თუ რატომ და რისთვის, ეს სხვა საკითხია და ამაზე აღარ მსურს ლაპარაკი. გიო ჩემს ცხოვრებაში იმ დროს გამოჩნდა, როცა არ უნდა გამოჩენილიყო. მას რომ გაცილებით გვიან შევხვედროდი, ალბათ მეტი სიმპათია (თუნდაც გრძნობა) მექნებოდა მის მიმართ და იმ სიყვარულსაც დავუფასებდი, მაგრამ მაშინ არავის დანახვა არ მინდოდა. თაყვანისმცემლები მყავდა, მაგრამ მათთან ურთიერთობა მისალმება-დამშვიდობებით შემოიფარგლებოდა. როცა გიო სიყვარულში გამომიტყდა, მართლაც ტირილი მომინდა, ძლივს შევიკავე თავი. „ის“, ვინც ერთ დროს მიყვარდა, სადღაც „შორს“ იყო გადაკარგული... მისგან ვიყავი მიჩვეული იმ სიტყვებს, რომელსაც ახლა სულ სხვა მეუბნებოდა. ვერ ავიტანე და...

ცოტა ხნის შემდეგ ნათესავებმა ჩემი გათხოვება განიზრახეს. ამან მთლად გამაგიჟა. გულში ვფიქრობდი: თუკი უნდა გავთხოვდე, რაღა გარიგებით გავყვე ვიღაცას, იმას მივთხოვდები, ვისაც ძალიან ვუყვარვარ-მეთქი, ამიტომაც გიო შემოვირიგე. ცივად აღარ ველაპარაკებოდი, რამდენჯერმე სასეირნოდაც გავყევი. ერთი სიტყვით, ვცდილობდი, მომწონებოდა.

რაც შეეხება კაფე „ნარგიზში“ ჩატარებულ „ექსპერიმენტს“, მართლაც ვუთხარი, სკამზე შედექი და იყვირე, რომ გიყვარვარ-მეთქი, მაგრამ ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, გიო დამემცირებინა, უბრალოდ, „ის“ მახსენდებოდა, რომელიც სტუდენტობის პერიოდში ათას რამეს სჩადიოდა ჩემი გულისთვის: „მას“ კლდის ციცაბო ფერდობზე ულამაზესი ყვავილები დაუკრეფია ჩემთვის, გზაზე დაგდებული მკვდარი ჩიტი „დაუსაფლავებია“ ჩემი თხოვნით, მაშინდელი ჩელუსკინელების ხიდიდან ადიდებულ მტკვარში გადამხტარა და ჯვრის მონასტერში ჩემს სახელზე ათასი სანთელი აუციცლიცებია. ამ ყველაფრის მერე მართლაც მსურდა, რომ სხვასაც რაღაც იმდაგვარი გაეკეთებინა, თუნდაც სულელური და დაუფიქრებელი. უცებ წამოვიძახე, — სკამზე შედექი-მეთქი და მანაც არ დააყოვნა. დრო გადიოდა და დავრწმუნდი, რომ გიოს ისე ვერ შევიყვარებდი, როგორც „იმას“, ამიტომაც უარი ვუთხარი. არ მეგონა, ასე თუ იმოქმედებდა მასზე. მართლაც, ყველანაირად ცდილობდა ჩემი გულის მოგებას, მაგრამ მეტი მცდელობა უფრო გვაშორებდა ერთმანეთს, რადგან უკვე მაღიზიანებდა მისი გრძნობა, ქცევა, ლაპარაკიც კი. ალბათ მართალია ფსიქოლოგი, როცა ამბობს, რომ გიოს სპორტული ჟინით უყვარდა ის გოგოო. მეც ასე ვფიქრობდი, თუმცა ამ გადასახედიდან უფრო ლმობიერი ვარ: მაშინ უცებ ვკარი გიოს ხელი, იგი დაიბნა. არ ელოდა ჩემგან ასეთ სიცივეს, რადგან რამდენიმე თვე საკმაოდ ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ნამდვილად არ იყო იმის ღირსი, რომ ასე უხეშად და გულცივად მომეშორებინა. შეიძლებოდა წყნარად ამეხსნა ყველაფერი, ისიც დამშვიდდებოდა და მადროვებდა, ფიქრის საშუალებას მომცემდა. ჩემი „გაჯიქების“ მიზეზი კი ერთი უბრალო შემთხვევა იყო: სტუდენტობის პერიოდში, ზაფხულობით როცა მე და „ის“ დროებით ვშორდებოდით ერთმანეთს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან მწერდა წერილებს. თითქმის ოცდაათამდე წერილი მქონდა მიღებული მისგან. როცა დავშორდით, დასახევად და დასაწვავად ვერ გავიმეტე ის ბარათები. მეგობარს ვთხოვე: შეინახე ეს წერილები და თუ საჭირო იქნება, მაშინ გამომიჩინე-მეთქი.

ჰოდა, გიოსგან „შეწუხებული“ მეგობარს რომ შევჩიოდი მის ამბებს, მან მშვიდად გამომიწოდა „იმის“ ბარათები და მითხრა: დაჯექი და თავიდან ბოლომდე გადაიკითხე ეს წერილები. იმედი მაქვს, რომ მათი წაკითხვის მერე სათანადო დასკვნას გამოიტან და საბოლოოდ გადაწყვეტ, როგორ მოიქცეო.

მეც დავჯექი და წავიკითხე... იმ წერილების მერე საბოლოოდ მივხვდი, რომ სიყვარულით ველარ გავთხოვდებოდი. თუკი გიოს გავყვებოდი, ვერ შევძლებდი მის შეყვარებას და იგი უბედური იქნებოდა ჩემთან. მართალი გითხრათ, დამენანა გიო, რადგან თავისებური სიმპათია მის მიმართ მაინც მქონდა. დავინდე და ამიტომაც ვუთხარი უარი. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გათხოვდა ქეთი გარიგებით, გეტყვით, რომ ამით ერთგვარი „სასჯელი“ გამოვუტანე საკუთარ თავს...

თან წამოვიღე „იმის“ გამოგზავნილი რამდენიმე წერილი. აქამდე ვმალავდი, მაგრამ გადავწყვიტე ორი მაინც გაგაცნოთ. ეს ბარათები დაგარწმუნებთ იმაში, რომ „ქეთის“, ამ წერილების ადრესატს, არ შეეძლო ასე უცებ დაევიწყებინა ის ძველი სიყვარული.



**„ქეთიმ“ გამომიწოდა გაყრეცილი ფურცლები, საიდანაც ერთი არაჩვეულებრივი სიყვარული იფრქვეოდა:**

*„ჩემო ქეთი!*

*დღეიდან ალბათ თვე გავა ისე, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით. გაფიქრებაც კი გულს მიკუმშავს. ნუთუ გავძლებ ერთი თვე უშენოდ? როგორ შემიყვარდი და შეგეჩვიე. რას წარმოვიდგენდი თუნდაც ერთი წლის წინათ, რომ სიყვარული ასე ძლიერად გაიდგამდა ჩემში ფესვებს.*

*ქეთი, მაპატიე, რომ ასეთი პესიმისტური განწყობილებით დავიწყე წერა. მართალია, ერთი თვე ჩამოწვება მარტოობის დარდი, მაგრამ სამაგიეროდ, წარმოიდგინე, რა ბედნიერი იქნება ის წუთი, როცა შევხვდებით. ყოველთვის ვიფიქრებ შენზე, ჩვენს სიყვარულზე... მალე ბიჭები შემომიერთდებიან და მთაში წასასვლელად მოვემზადებით. შენ ნუ ინაღვლებ, მე ყველგან მშვიდობით ვივლი, შემიძლია პირობა მოგცე, რომ არავითარ სისულელეს არ ჩავიდენ. რაც შენ გაგიცანი, უფრო ფრთხილი გავხდი, რადგან დარწმუნებული ვარ, გიყვარვარ და მელოდები“.*

*„ჩემო საყვარელო ბავშვო!*

*დარჩა რამდენიმე საათი და მე მთებისკენ ავიღებ გეზს. იქიდან შეუძლებელი იქნება წერილის გამოგზავნა, ამიტომ ყველაფერი მინდა გითხრა, რასაც ახლა ვფიქრობ და განვიცდი.*

*ქეთი, მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს. ჩვენ მალე, სულ მალე ერთად ვიქნებით და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს.*

*წერილი დამიგვიანე. ერთი სულით ველოდებოდი წინა დღეებში შენს პასუხს. ვნერვიულობდი, რაიმე ხომ არ მოუვიდა-მეთქი, მაგრამ როცა კვლავ გავიგონე შენი საყვარელი ტიტინი, უსაზღვროდ გავიხარე.*

*ქეთი, საყვარელო! მე უშენობა არ შემიძლია. მიყვარხარ უსაზღვროდ და უანგაროდ. რომ იცოდე, რამდენი ღამე გამითენებია თეთრად შენს ნატვრაში, რამდენი სევდა და სიხარული დამილევია შენი თვალებიდან, რამდენი მიხეტიალია ღამღამობით მთვარით დათოვლილ ქალაში შენზე ფიქრებში გართულს, ეს ყველაფერი რომ იცოდე, მაშინ ყველა წყენას (უნებლიეს ჩემგან) დაივიწყებდი.*

*როგორ არა გრცხვენია, ქეთი, რომ ამ ხნის განმავლობაში შენგან ორიოდე წერილის მეტი არ მიმიღია. ნუთუ შეიძლება საყვარელ ადამიანს ასე მცირე თხოვნაზე უარი უთხრა და გული ატკინო?! წინა კვირას გამიწყდა მოთმინების ძაფი, ჩავჯექი მატარებელში და ორშაბათს დილით, 2 აგვისტოს, უკვე თბილისში ვიყავი. რომ იცოდე, როგორი განცდებით ავკრიფე შენი ტელეფონის ნომერი: „დამხვდება თუ არა?“ როცა დედაშენმა მიპასუხა, ვიფიქრე: ეგ ძილისგუდაა, ლოგინში იქნება ისევ-მეთქი და ერთი საათის მერე მაიას დავარეკვინე. უპასუხეს, წაღვერშიაო. ძალიან დამწყდა გული. ღმერთი უშველით ჩემს ბიჭებს. იმათ გადამყარეს გულიდან დარდი ცოტათი. ღამის 12 საათზე ჯვარზე ფეხით წავედით და გათენებამდე იქ დავრჩით. ზღაპრულად ლამაზი ჩანდა მაღლიდან მცხეთა. შენს სახელზე უამრავი სანთელი დავანთე. მეორე დღეს ბიჭებთან ერთად ბათუმში წამოვედი... ახლა მათ ღრმად სძინავთ. დილის ექვს საათზე კი გზას გავუდგებით. მე ვერ ვიძინებ. ისევ და ისევ შენ მაგონდები, მენატრები და წერილებით გესაუბრები. უკვე ნაშუაღამევია. საოცარი სიწყნარეა და სული მევსება სიყვარულით. სიბნელეს გავცქერი და ასე მგონია, ჩემი ფეხშიშველი ბავშვობა კიდევ დასდევს სათხილეში ციცინათელებს. ბედნიერი ვარ... ბედნიერი ვარ, რომ ვცოცხლობ, რომ მყავს ახლობლები, მათ შორის ჩემთვის უკარგესი და ყველაზე ძვირფასი ადამიანი — ჩემი ქეთი.*

*არაფერზე იდარდო. იცოდე, მე შენთან ერთად დავდივარ ყველგან, შენი თვალებით ვხედავ სილამაზეს და შენი სიცოცხლით ვხარობ. რა მოხდება, ახლა ჩემ გვერდით იყო, გიყურებდე ლამაზ თვალებში და შენი ღიმილით ვხარობდე...“*

**წერილების წაკითხვის შემდეგ, „ქეთის“ ჩემთვის არანაირი ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია. წასვლის წინ კი მხოლოდ ეს მითხრა: ვფიქრობ, „გიოს“ მიმართ ჩემი საქციელის გამართლება მხოლოდ ამ ბარათებს თუ შეუძლიაო და ახლანდელი მდგომარეობის შესახებ (რომელიც ძალიან მაინტერესებდა) აღარაფერი უთქვამს, ისე დამემშვიდობა.**

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ტელესერიალების ყურება გადამდები „სენი“ ყოფილა

**საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია ტელესერიალომანი გახდა და სულაც არ ყოფილა სწორი მოსაზრება: თითქოს ეს „სენი“ მხოლოდ დიასახლისებსა და მოხუცებს „სჭირდეთ“. სერიალებს ჩვენი პარლამენტისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხარბად უყურებენ თურმე, თანაც ისე, რომ ინტერვიუზე მისულ ჟურნალისტთან საუბარსაც ახერხებენ და ეკრანსაც თვალს არ აშორებენ. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დიდი მოყვარული ყოფილა „საპნის ოპერებისა“.**

**ამ გამოკითხვის მეშვეობით გაიგებთ, ვინ რატომ უყურებს ტელესერიალებს, რატომ ეჭვიანობენ და რა ემართებათ ქმრებს, როცა საღამოს 7 საათიდან შუაღამემდე ეკრანს ვერ აშორებენ ცოლებს...**



**გიორგი (37 წლის)** — ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი გახლავართ. მოგეხსენებათ, რა მძიმე და არარეგლამენტირებული სამუშაო გვაქვს. ამიტომაც შინ ძალიან გვიან, ან საერთოდ ვერ მივდიოდი. აგერ რამდენიმე თვეა დამაწინაურეს და უკვე შემიძლია საღამოს 9-10 სთ-ზე მაინც ვიყო ოჯახში. ზოგჯერ უფრო ადრეც მივდივარ და აი, რა აღმოვაჩინე: თურმე სანამ ვმუშაობდი, ცოლი დამიკარგავს... „მღალატობს“ კიდეც. ერთხელ, ღამით, ყვირის სიზმარში, „ედო, ედო, არ წახვიდე“. ერიჰა, რაღაც ცუდი ამბავია-მეთქი და ცოლი გავაღვიძე. სიზმარში ვის ეხვეოდი და ეხვეწებოდი დარჩენას, ახლავე გამოტყდი-მეთქი. ტელესერიალის გაგრძელებას ვუყურებდი სიზმარში და ბიჭს, რომელიც მოატყუეს, თითქოს ცოლი ღალატობდა, ვთხოვდი, ჩემთვის მოესმინა და სიმართლე გაეგოო. მეორე დღეს, 7 სთ-ზე შინ ვიყავი. ცოლმა ვახშამი გამიმზადა და ტელევიზორს მიუჯდა... შავ დღეში ჩავვარდი. ერთი კვირა გაგრძელდა ასე. ერთი კვირის შემდეგ ტელევიზორი განგებ გავაფუჭე და ვეცადე, ცოლი დამებრუნებინა, რა გარჯა დამჭირდა ამისთვის, ვერ წარმოიდგენთ. ახლა ცოლთან ერთად ხშირად ვუყურებ ამ სერიალებს. რა ვქნა, გადამდები დაავადების მსხვერპლი აღმოვჩნდი.

**ლევანი (42 წლის)** — ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ტელესერიალებს დროის მოსაკლავად უყურებს, მეორე ნაწილი კი, ჩემი აზრით, აუსრულებელ ოცნებებს ხედავს ამ ფილმებში და იმიტომაც ეძალებიან ნარკოტიკივით ეკრანს საღამოობით. მე, პირადად, დანგრეული ოჯახი აღვადგინე „საპნის ოპერების“ წყალობით. ერთ საღამოს ძმაკაცმა მითხრა, ტელესერიალს ვუყურებ და კარგად ვერთობიო. ვერა ხარ ჭკუაზე-მეთქი, გამეცინა. მერე ვიფიქრე, ეს სერიოზული კაცი რას ხედავს ნეტავ ამ სისულელეებში-მეთქი. მივუჯექი ეკრანს და... არ დაიჯერებთ, მივხვდი ჩემს სისუსტეს, მინუსებს, იმას, თუ როგორ უნდა მოექცეს კაცი ქალს, თანაც ცოლს. ზუსტად ტელესერიალების სცენარით დავიწყე მოქმედება და ავშენდი კაცი, თითქმის თავიდან დაიწყო რომანი ჩემს გაშორებულ ცოლთან და შევრიგდით.

**თაკო (27 წლის):** — სად მცალია ტელესერიალების საყურებლად. ამ მანიით ჩემი ქმარ-შვილია დაავადებული. ქმარი „ბოევიკებს“ მისჩერებია, შვილი — „ძილის წინ“-ს. სულ ვლანძღავ იმ ხალხს, ვინც „ძილის წინ“ ასე გვიან გადაწია ეთერში. ბავშვი ვერ დამიძინებია დროზე. სანამ არ ვუყურებ, მანამ არ დავწვებიო, — ღამის 12 საათზე ისტერიკებს მიმართავს. ორივე მამა-შვილი გადარეულია ამ სერიალებით. ოჯახში სათამაშო იარაღის მთელი არსენალი გვაქვს და ყოველდღე გაგანია „ომია“. სამსახურიდან დაბრუნებული ჩემი ქმარი 7 წლის შვილთან ერთად „ომობანას“ თამაშით ერთობა.

***ეკა ლომიძე***

**ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების მეშვეობით. ვეცდებით, ყველა შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხი გაგცეთ.**

## გამოხმაურება

# „ცოდვა, რომელმაც სიცოცხლე სანანებლად გამიხადა“

წერილს, **„ცოდვა, რომელმაც სიცოცხლე სანანებლად გამიხადა“**, ბევრი მკითხველი გამოეხმაურა, მაგრამ ვინაიდან ყველა ერთსა და იმავე მოსაზრებას გამოთქვამს, ჩვენ ავარჩიეთ ერთი, რომელშიც გულითადი თანაგრძნობა და კაცთმოყვარეობა იკითხება. იგი გორელმა ქალბატონმა, 68 წლის **თამარ ნასყიდაშვილმა** გამოგვიგზავნა. წერილს შემოკლებით გთავაზობთ:

*„ჩემო უცნობო შვილო (შვილად რომ მერგები, ცხადია), ლიზი! შორიდან ვხვდები, რა ცეცხლშიც იწვი, როგორ იტანჯები. ყოველთვის თვალს ვადევნებ ამ რუბრიკას, „კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ აქამდე არ მომსურვებია, წერილი მომეწერა რედაქციისთვის. შენმა ამბავმა ძალიან ამაფორიაქა და ერთი ჩემი ახლობლის ამბავი გამახსენა; თუმცა ეს ძალიან ადრე, ორმოცი წლის წინ მოხდა... იმ გოგონასაც შეყვარებული ჰყავდა. ძალით გაათხოვეს... მისი ქმარი ციხეში მოხვდა (დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი იყო). მისგან ბავშვი არ ჰყავდა. გამოხდა ხანი და იგი შეყვარებულმა ინახულა. მათი ურთიერთობა განახლდა, ერთ წელიწადში კი ბავშვიც ეყოლა. ქმარს ციხეში მისწერა ყველაფერი და სთხოვა განქორწინება. ის კი კოლონიიდან გამოიპარა, მიეჭრა ბედნიერ შეყვარებულებს და დახოცა. ბავშვი ახლობლებმა გავზარდეთ.*

*...რა თქმა უნდა, ძნელია შეეგუო ტრაგედიას, რომელშიც საკუთარ თავსაც ადანაშაულებ, მაგრამ დამიჯერე, შენ ბრალი არაფერში მიგიძღვის. დამნაშავენი არიან შენი მშობლები, ძალით რომ მიგათხოვეს შალვას. მას უსათუოდ სერიოზული პრობლემები ჰქონდა სამსახურში, ამას დაემატა პირადულიც. ეტყობა, გაწონასწორებულიც არ იყო (მომიტევოს მისმა სულმა) და ამიტომაც გადადგა საბედისწერო ნაბიჯი.*

*გახსოვდეს, ყველა ადამიანი ღირსია იყოს ბედნიერი, ამიტომაც უნდა იბრძოლოს კიდეც მის მოსაპოვებლად. შენ გყავს შვილები, ახლობლები, რომლებსაც სჭირდები და უყვარხარ. წამითაც არ გაივლო ცუდი რამ გულში, ამის უფლება არა გაქვს. სხვა თუ არაფერი, შვილებს ყოველთვის სჭირდებათ დედა, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი. შენ ჯერ ახალგაზრდა ქალი ხარ. გირჩევ, კახა მოძებნო, ნუ ჰკრავ მას ხელს. თავისებურად ისიც ხომ ცოდოა, მან რაღა დააშავა? როგორც წერ, შვილები უკვე დიდები არიან, მათ თავიანთი გზა აქვთ, შენ — შენი.*

*...შავი ფიქრები მოიშორე. თუ გაინტერესებს, შენ მაშინ შესცოდე, როცა აბორტი გაიკეთე და კახას ზურგი აქციე, მაგრამ იმაზე, რასაც აღარ ეშველება, ნუღარ დარდობ. სინანულის გრძნობა კი ცუდი არაა, პირიქით, იგი კაცთმოყვარე და ალალ ადამიანებს ახასიათებთ... სიცოცხლეს ნუ გაიხდი სანანებლად, რადგან უცოდველი ადამიანი არ არსებობს. ეცადე, რაც შეიძლება მეტი სიყვარული და სიკეთე დათესო შენ ირგვლივ.*

***შენი უფროსი მეგობარი“***

# ქალებო, დაყნოსეთ ვარდი!

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ტკივილგამაყუჩებელი აბები შეიძლება შეცვალოს ვარდის სურნელმა. სასიამოვნო სუნი წამლებზე უკეთ ხსნის თავის ტკივილს. თუმცა ეს ეხება მხოლოდ ქალებს, რომლებზეც კარგად მოქმედებს არომათერაპია. მკვლევარებმა ექსპერიმენტები ჩაატარეს პაციენტებთან, რომელთაც აწუხებდათ შაკიკი. არომათერაპია ქალების 70%-ს უმსუბუქებს ტკივილს, მამაკაცებს ეს არ შველით. ჩაატარეს სხვა სახის კვლევები: — 20 ქალს ხელები ჩააყოფინეს ცხელ წყალში — გაძლებამდე. ამ დროს ექსპერიმენტების მონაწილეებს სთავაზობდნენ სხვადასხვა სურნელის შესუნთქვას. როცა ქალბატონები ვარდის ან კაკლის ექსტრაქტს ყნოსავდნენ, გაცილებით ნაკლებ აწუხებდათ ცხელი წყალი და პირიქით, როცა ძმარს ყნოსავდნენ, ხელის ტკივილი ემატებოდათ. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, სუნი მოქმედებს ადამიანის თავის ტვინის ქერქის ფრონტალურ მონაკვეთზე, რომელიც ტკივილის შეგრძნებებსა და სხეულის ტემპერატურას განაგებს.



# მე მაინც მიყვარს ჩემი წარსული...

**ამქვეყნიდან ნაადრევად წასული, ლამის ლეგენდად ქცეული გიორგი შავგულიძის უსაყვარლესი მეუღლე, ვაჩნაძეებისა და ანდრონიკაშვილების ღირსეული წარმომადგენელი, მიუხედავად წელთა სიმრავლისა (იგი 94 წლისაა) და გადატანილი ტრაგედიებისა, ძველებურად სათნო და მომხიბვლელია. ლიზი ვაჩნაძე ნამდვილი არისტოკრატია თავისი გარეგნობით, მშვიდი, ნათელი სახით, დახვეწილი საუბრის მანერითა და იმ ყველაფრით, რითაც ასე ვგავართ ან გამოვირჩევით ადამიანები ერთმანეთისაგან...**

— ურიგო მსახიობი როდი მეთქმოდა, შვილო, მაგრამ როგორღაც მოვექეცი ერთხელვე ჟორას ჩრდილქვეშ და დავრჩი ასე ბოლომდე. ჩემთან ინტერვიუსთვის მოსულ ჟურნალისტებს ჟორაზე უფრო მეტს ვესაუბრებოდი, ვიდრე ჩემზე — მე ხომ ცოცხალი ვარ, კიდევ მოვასწრებ სათქმელს, მთავარია, მის შესახებ არაფერი დამრჩეს უთქმელი-მეთქი, ვფიქრობდი. მით უმეტეს, ახლა რაღა დროს ჩემს როლებზე საუბარია, მიკვირს, ცოცხალი როგორ დავრჩი ჩემი გაზრდილი გიორგის (შვილიშვილი) შემდეგ, — თქვა მწუხარედ და როცა წამიერი დაყოვნების შემდეგ საუბარი შეძლო, უცნაური რამ მითხრა, — თითქოს ბედისწერად მექცა „13“ და „25“ რიცხვები. ჯერ იყო და 25 ბედნიერი წელიწადი მაჩუქა ჟორამ. ვერცხლის ქორწილის გადახდას ვაპირებდით, დასაპატიჟებელი სტუმრების სიაც კი გვქონდა შედგენილი, უბრალო შემთხვევამ კი ტროლეიბუსის მძღოლი მკვლელად აქცია და ყველაფერს უაზროდ დაუსვა წერტილი. თხუთმეტი მძიმე, ცრემლიანი წლის შემდეგ დიდი სიხარული მეწვია და ზუსტად 13 აპრილს, ანუ იმ დღეს, როცა სამუდამოდ გავიდა ჟორა ჩვენი სახლიდან, სამშობიაროდან პატარა გიორგი გამოვიყვანეთ. კიდევ 25 წლით ინება ბედმა ჩემი გახარება და საოცრად ზრდილი, ჭკვიანი და ნიჭიერი გიორგი, რომელიც საგანგებოდ ემზადებოდა ბაბუის 90 წლისთავის აღსანიშნავად, მისივე თანატოლმა თუ თანატოლებმა 1999 წლის 13 მარტს უმიზეზოდ მომიკლეს და სიბერე გამიმწარეს, — მითხრა და გიორგის გარდაცვალების შემდეგ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მისი ნახატების მშვენიერი კატალოგი მომაწოდა.

ვათვალიერებდი კატალოგს, ვეცნობოდი გიორგის სულს, ვგრძნობდი მის გონიერებას, ალღოს, შორსმჭვრეტელობის საოცარ უნარს, ვცდილობდი, ღრმად ჩავწვდომოდი არცთუ ისე იოლად აღსაქმელ მის საკმაოდ რთულ სამყაროს და გული მწყდებოდა, რომ მასზე, ამ „მომავლის მხატვარზე“, „ნანატრ შვილსა“ და „სამომავლო კაცზე“ მხოლოდ წარსულში უნდა მელაპარაკა. სამწუხაროდ, გიორგის დაუხარჯავი დარჩა უდიდესი ენერგია და ნიჭი: „მას მხატვრის დიდი პოტენცია ჰქონდა და მისი ნებისმიერი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევარი ავტორის მაღალ ოსტატობასა და უზადო გემოვნებაზე მეტყველებს“, — წერს პროფესორი თამაზ სანიკიძე. მაგრამ ყველაზე უკეთ მაინც გიორგიმ „გამაცნო“ საკუთარი თავი. „მამისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ რაღაცას ვხატავ. მამას ქალაქური ბოჰემა იტაცებს, ყარაჩოხელებისა და კინტოების ხატვა. ჩემი ნახატები ავანგარდთან ყველაზე ახლოა, მიჭირს ისინი კონკრეტულად რომელიმე მიმდინარეობას მივაკუთვნო, დღევანდელი იდეალის ძიების პროცესში ვარ...“

„ჩემი საყვარელი მხატვრებია: დალი, პიკასო, დავით კაკაბაძე, ფიროსმანი, ბაშ-ბეუქ მელიქოვი. მიყვარს მუსიკა, კითხვა. ცხოვრების მძიმე წუთებში ვცდილობ მალე გამოვიყვანო ჩემი თავი დეპრესიიდან, არ უნდა მივეჩვიო ცუდად ყოფნას. ასეთ დროს ვტოვებ აქაურობას და ბუნებაში გავდივარ. ვსრიალებ თხილამურებზე, ვნადირობ — ნადირობა ჩემი ჰობია...“

იმ დღესაც ბუნებაში გასვლა ირჩია, გუდაურში ავიდა მეგობარ გოგონასთან ერთად, იქ კი თურმე ბედისწერა ჩასაფრებოდა. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევრის მსგავსად, „წინათგრძნობა“ რომ ჰქვია, სწორედ ისე, გავეშებული, დაუზოგავი, არასრულყოფილი ცხოველის სახით, ზანზალაკების ჟღარუნითა და საყვირების ხმაურით მიუახლოვდა აღსასრული. კარგად აღზრდილს არ უფიქრია, სამაგიერო მიეზღო შეურაცხმყოფელისათვის. დუმილი უფრო გამაღიზიანებელი აღმოჩნდა... ჰოდა, ასე უაზროდ, ასე არაფრის გულისათვის დასრულდა დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი შემოქმედის ამქვეყნიური ცხოვრება.

რას ვიზამთ, ასეა თუ ისე, სხვადასხვა თაობის ორი უნიჭიერესი გიორგი შავგულიძე, ძალზე ადრე წავიდა ამქვეყნიდან. ოღონდ ერთი კია, უფროსი შავგულიძის შემთხვევითი მკვლელი, როგორც ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე იგონებს, თურმე ქუჩაში დარბოდა, თავს კედლებს ახლიდა და იხვეწებოდა: „ხალხი არა ხართ, მომკალითო“, უმცროსი შავგულიძისა კი უსირცხვილოდ ემალება მართლმსაჯულებას და როდემდე შეძლებს სინდისის ქენჯნის გარეშე სიცოცხლეს, არავინ უწყის.

რაც შეეხება ქ-ნ ლიზის, უცნაური დამთხვევის წყალობით, ახლა იგი პატარა გიორგის ჩრდილქვეშ მოექცა. ახლა ბებოს მხოლოდ მასზე სურს საუბარი, მის ბავშვობას, მოზრდილობას იგონებს, მის საოცრად კეთილ გულს, წიგნიერებას უსვამს ხაზს...

**— ქ-ნო ლიზი, კაცობრიობის გაჩენის დღიდან ადამიანი თავის წყვილს დაეძებს. როგორ გგონიათ, იყო ბ-ნი გიორგი შავგულიძე თქვენი ნამდვილი ნახევარი?**

— რასაკვირველია, თუმცა ოჯახის მთელი ტვირთი მე ვიკისრე, რომ ჟორას შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ხელი არ შემეშალა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის გაჩენილები ვიყავით. დოდო ანთაძის მიერ აღდგენილ „ხატიჯეში“ შეყვარებულებს ვთამაშობდით, ჩვენი სიყვარულიც უკვე დაწყებული იყო და გაიგო თუ არა ამის შესახებ დიდმა კოტე მარჯანიშვილმა, ორივე კაბინეტში გვიხმო და აღგვითქვა, ჩამოვალ თუ არა მოსკოვიდან, თეატრში გრანდიოზულ ქორწილს გადაგიხდითო. როგორ ველოდით ამ ბედნიერ დღეს. სულ მალე კი ამის





მარადი ქალი

ნაცვლად, მთელ საქართველოსთან ერთად დავტიროდით ქართული თეატრის დიდი მესაჭის ცხედარს.

**— ოჯახი კი მაინც შეიქმნა...**

— დიახ, 1934 წელს დავქორწინდით. უზომოდ ბედნიერები ვიყავით. პატარა ბავშვივით მექცეოდა. მახსოვს, რაჭაში ვისვენებდით. დამსვამდა ნოხის ნაჭერზე და სიცილ-ხარხარით ჩამომასრიალებდა თავდაღმართზე. უმოწყალოდ ისრისებიან ყვავილები, ცოდონი არიან-მეთქი, ვთხოვდი, მაგრამ ოღონდ რაღაც არაორდინარული გაეკეთებინა, ჩემს თხოვნას არად დაგიდევდათ. მერე ტყუპი ბიჭი — ჯუნა და ნუკრი გაგვიჩნდნენ. თუმცა ძალიან გვიჭირდა, ჩვენზე ბედნიერები არავინ გვეგონა. პირველმა დიდმა ტკივილმა კი არ დაახანა და მალე „მოგვძებნა“. პატარა ჯუნამ ავადმყოფობის გამო მხედველობა დაკარგა და მალე სამუდამოდ მიგვატოვა. რას ვიფიქრებდი, ამ ენერგიით, ჯანმრთელობით და სიცოცხლით სავსე ადამიანის უდროოდ დაღუპვის გადატანაც მომიხდებოდა? როცა სრულიად მოულოდნელად, სცენაზე კომედიაში მოთამაშეს („შავთვალა გოგონა“ — ელენე, მთავარი როლი) ჟორას მოულოდნელი სიკვდილი მამცნეს, მეგონა ქვეყანა თავზე დამენგრა. ისევ შვილმა მიხსნა, ყველაფერი შვილმა გადამატანინა. თუმცა ძალიან მიჭირდა უთეატროდ, მივხვდი, ნუკრის უფრო ვჭირდებოდი და უმამოდ დარჩენილისთვის ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, რაც შემეძლო და არ შემეძლო. ჩემი თეატრისადმი სიყვარული მასზე ზრუნვას შევალიე და შეძლებისდაგვარად, მოვუწყვე ყველაფერი, რაც საჭირო იყო მისი მუშაობისათვის.

ნუკრი დღეს ცნობილი მხატვარი-მოქანდაკე და სამხატვრო აკადემიის ლექტორია, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე — ექიმი მარინა შაქარაშვილი და ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე, უკვე ორი შვილის დედა, მშვენიერი ქეთი შავგულიძე. ჩემი გაკეთებული კერძები დღესაც მოსწონს, მეც სულ იმას ვუკეთებ, რაც ძალიან უყვარს და, თუმცა ცალკე ცხოვრობს, დღის გარკვეულ მონაკვეთს ჩემთან ატარებს.

**— გიორგი შავგულიძეს, როგორც დიდ მსახიობს, კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოების ყველა თაობის წარმომადგენელი, მცირეოდენ ინფორმაციას ჩვენც მალე მივაწვდით მკითხველს რუბრიკაში — „ეპიზოდები ფოტოკამერის თანხლებით“. აი, თქვენზე კი თითქმის არაფერი ვიცით, გაიხსენეთ თქვენი შემოქმედებითი გზა და გვიამბეთ მის შესახებ?..**

— ოჯახში ოთხი ქალიშვილი ვიზრდებოდით. ჯერ კიდევ ძალიან პატარებს გვასწავლიდნენ უფროსისადმი პატივისცემის, ზრდილობის, მიმართვის ეტიკეტს. იმხანად რევერანსები იყო ძალიან მოდაში და სტუმრებთან წამდაუწუმ ვიწონებდით ამით თავს. ზაფხულში, კახეთში, სოფელ ვეჯინში დასასვენებლად ჩასულ 10 წლის გოგონას, დეიდა თამარ ანდრონიკაშვილის მიერ გამართულ სცენისმოყვარეთა ერთ-ერთ წარმოდგენაში მოსამსახურე გოგოს ეპიზოდური როლის შესრულება მომიწია. 1928 წლის 20 ივლისს კი მეგობრის დაბადების დღეზე შემთხვევით გაცნობილმა რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ ია ქანთარიამ დაჟინებით მთხოვა, თქვენ სცენისთვის ხართ დაბადებული და ჩააბარეთ გამოცდები ჩვენს სტუდიაშიო. ეს ის წელი იყო, როცა მსახიობთა მთელი ჯგუფი გადავიდა ქუთაისში მარჯანიშვილთან და ახმეტელი თეატრის შევსებას ახალგაზრდებით აპირებდა. გამოცდაზე ილია ჭავჭავაძის „მწუხრის ზეწარი“ წავიკითხე. კომისიის წევრები — ვასაძე, ხორავა, დავითაშვილი და უფროსი თაობის მსახიობები კმაყოფილნი დარჩნენ ჩემი გარეგნობითაც და დეკლამაციითაც. ქანთარია გაბრწყინებული სახით მიყურებდა. ახმეტელმა კაბინეტში მიმიწვია, გამესაუბრა, ლექსი ისევ წამაკითხა, შემაქო, მივხვდი, მასაც ძალიან მოვეწონე. კი არ წამოვედი, გამოვფრინდი.

სტუდია სამწლიანი იყო, მაგრამ სტუდენტები მაშინვე შეგვიყვანეს მასობრივ სცენებში. 1930 წლის ივლისში კი მეორეკურსელს, ვინაიდან თამარ წულუკიძე ფეხმძიმედ იყო, დადიანის „თეთნულდში“ მთავარი როლის, ლაჰილის შესრულება მანდვეს. მაყურებელი დიდი ტაშითა და ოვაციით მხვდებოდა და მამხნევებდა. რა დამავიწყებს ახმეტელის რეპეტიციებს — ახალგაზრდებით აჟრიამულებულ დარბაზში რომ შემოიჭრებოდა ხოლმე ქარიშხალივით და უძლიერესი შემოქმედებითი მუხტი მოჰქონდა. ღამით თავად ჩამოგვარიგებდა ხოლმე ეტლით სახლებში: საბჭოს ქუჩაზე, ჩვენი სახლის ჭიშკართან რომ მივიდოდით, თმას მომიჩეჩდა — ეს მისი ყველაზე დიდი ალერსი იყო და მეტყოდა — Ну, иди! ერთხელ ისიც მითხრა: Я из тебя сделаю настоящую актрису-ო, მაგრამ, ეტყობა, მე თეატრისთვის ზედმეტად ამაყი და ამპარტავანი ვიყავი და ასეთი ხასიათით მიზნის მიღწევა რომ არ შეიძლებოდა, გვიან მივხვდი. ამასობაში კი თეატრალური ინტრიგების მსხვერპლად ვიქეცი და იძულებული გავხდი, მარჯანიშვილის თეატრში გადავსულიყავი... ყველა დროის ორ უნიჭიერეს რეჟისორს — ახმეტელსა და მარჯანიშვილს მოვწონდი და სრულიად ახალგაზრდას მანდობდნენ მთავარ როლებს, მოსკოვურ გასტროლებზეც დავდიოდი, დამსახურებული არტისტის წოდებაც მომანიჭეს და სცენაზე ისეთ ვარსკვლავებს ვცვლიდი, როგორებიც თამარ წულუკიძე (ახმეტელის მეუღლე), თამარ ჭავჭავაძე, ირინა დონაური (მარჯანიშვილის მეუღლე), თამარ ბაქრაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო ლაფაჩი, მარინე თბილელი იყვნენ და ისეთი ვარსკვლავების პარტნიორიც ვიყავი, როგორებიც ვასაძე, ხორავა, გომელაური, ჩხეიძე, ლამბაშიძე, კვანტალიანი, ჟორჟოლიანი და შავგულიძე იყვნენ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხელოვნებაში ბედი არ მწყალობდა, სულ ვიღაცის დუბლიორი ვიყავი. არ იქნა და არ მეღირსა საკუთარი როლი, რომ ჩემი ნიჭი და შესაძლებლობანი სრულად გამომემჟღავნებინა. კინოებშიც მხოლოდ ეპიზოდურ როლებში ვარ გადაღებული. სხვა შემთხვევაში, სხვადასხვა მიზეზით, მთავარ როლზე თამაში კი არ შედგა და სწორედ მაშინ, როცა სრულიად ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში, ჯერ კოტე მარჯანიშვილი გარდაიცვალა, მერე ახმეტელს დაატყდა თავზე 37 წლის რეპრესიები. თითქმის დაინგრა თეატრი, დაიღუპა უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა და, ფაქტობრივად, დამთავრდა ჩემი პატარა ცხოვრებაც თეატრში. მან კი უჩემოდ გააგრძელა არსებობა. რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება, ჩვენ აღარა ვართ, ყველაფერი კი ისევ ისე რჩება, — მითხრა ღიმილით და მივხვდი, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძალიან უყვარს თავისი წარსული, ლიზიკო ვაჩნაძე მარადი ქალის როლში უფრო დასჭირდა რეალური ცხოვრების სცენას, — იგი, უპირველესად, მეუღლე, დედა და ბებია უფრო იყო და არის მთელი თავისი მოწოდებით, დარდით, ტკივილით თუ სიხარულით და მხოლოდ ამის შემდეგ — მსახიობი...



გიორგი — უმცროსი

***თამარ კაპანაძე***



# ფარსმან ქველის უძლეველობის ამბები

**ახალი წელთაღრიცხვის შემოსვლას ქართლის სამეფო წელგამართული შეხვდა. პირველი სამი საუკუნის განმავლობაში მისი სახელი და ძლიერება შეურყეველი იყო. მის ძალას აღიარებდა მტერიც და მოყვარეც. ამიტომაც მთელ წინა აზიაში მომძლავრებული კავკასიის იბერიის გარეშე არ გადაწყდებოდა დიდი თუ მცირე საკითხი. დიდ ძალას, დიდი დიპლომატიაც უმაგრებდა ზურგს, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდებოდა ხოლმე ძლევამოსილი რომისა და ირანის ღირსეულ მემკვიდრესთან, პართიასთან დაპირისპირების დროს.**

**კარგი დამოკიდებულება აქვს უმთავრესად პირველ-მეორე საუკუნეებში ქართლსა და რომს ერთმანეთში. მშვიდობიანი და კეთილმეზობლურია ეს ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ ეპიზოდს. რომი ქართლის სახით სასურველ პარტნიორს ხედავს. ამ პარტნიორობას კი ორმხრივი ინტერესები ედო საფუძვლად. პირველი, ეს იყო ყველა დროისა და ეპოქაში, მაშინაც და ახლაც, დაფასებული სტრატეგიული მდებარეობა. საქართველო ხომ გზაჯვარედინი იყო (და არის!) სხვადასხვა სამყაროსა და განსხვავებულ კულტურათა შორის.**

## ფარსმან მეორეს ქველს უწოდებენ

გამორჩეულად ძლიერი იყო ქართლის სახელმწიფო მეორე საუკუნეში; გამორჩეულად ძლიერი მეფეც წარმოაჩინა ისტორიამ საქართველოს ღირსეულ მეფეთა გალერეაში — ეს იყო ფარსმან მეორე, რომელსაც თანამედროვეებმაც და შთამომავლობამაც სიკეთისა და ვაჟკაცობისათვის ფარსმან ქველი უწოდეს.

მეორე საუკუნის დასაწყისში, თავიანთი ისტორიის „ოქროს ხანაში", რომაელებმა სახელოვანი იმპერატორის, ტრაიანეს დროს აღმოსავლეთში დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ამ წარმატებებში ქართველთა ღვაწლიც ერია. აზიაში რომაელთა ლაშქრობა ქართველთა ინტერესებსაც ემთხვეოდა და სწორედ ამიტომაც დაუდგნენ გვერდით როგორც დასავლეთ საქართველოს სამთავროები (ჰენიოხები, მაკრონები), ისე იბერიელები — მათ დამხმარე ჯარები გაუგზავნეს რომის იმპერატორს პართიის წინააღმდეგ. ჯარს სამეფო სახლის წარმომადგენელი ამაზასპი უსარდლეს, ძმა მეფე მითრიდატე მესამესი. ამაზასპის სახელი რომში აღმოჩენილმა ბერძნულ ენაზე ლექსად შესრულებულმა ეპიტაფიამ შემოგვინახა, სადაც ნათქვამია, რომ „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია, მახლობლად წმინდა ქალაქისა... მოსული პართიელებთან საბრძოლველად (გარდაიცვალა) უწინ, ვიდრე გაისვრიდა ხელს, (ვაი — რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით მორცხვი ქალწულების მსგავსი"... ეს ეპიტაფია გვამცნობს ამაზასპის უდროოდ დაღუპვის ამბავს ქალაქ ნიზიბინის მახლობლად.

ასე იყო, პომპეუსიდან დაწყებული ქართლი გვერდით ედგა ძლევამოსილ რომს. მართალია, ქართველთა შვილები ეწირებოდნენ უცხოთა ბრძოლებს, მაგრამ ამ ურთიერთობიდან ქართლი გაცილებით მეტ სარგებელს ნახულობდა და რომისათვის მხარდაჭერაც იყო იმის ხელშემწყობი, რომ ჩვენი შორეული წინაპრები არათუ ამიერკავკასიას აკონტროლებდნენ, არამედ მათ ხელქვეითთა შორის ჩრდილოკავკასიელი ტომებიც აღმოჩნდნენ.

## ქართლი — რომის მეკავშირე

ასე რომ, მეორე საუკუნეში ქართლი რომის მოკავშირე გახლდათ. მაგრამ არა მორჩილი და ქედმოდრეკილი მოკავშირე, არამედ ძლიერი და თანასწორუფლებიანი. ეს კი სულ მალე, ფარსმან ქველის მეფობისას გამოვლინდება. სწორედ ფარსმან მეორე ქველის დროს მიაღწია იბერიამ განსაკუთრებულ ძლიერებას. ეს არის ახალი წელთაღრიცხვის 30-50-იანი წლები. სამწუხაროდ, მისი მეფობის კონკრეტული თარიღები ისტორიისათვის უცნობია.

ძველ ქართულ წყაროებში მეფე ფარსმანის ზედწოდება გახლავთ ქველი და შესაბამისად, ქველი-მეფე გამორჩეულადაც არის მოხსენიებული. „მოქცევაი ქართლისაი" ასე წერს სწორუპოვარი მეფის შესახებ: „... ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შეუნიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა".

„მხნე მხედარმა და შემმართებელმა ბრძოლისამ" განავრცო ქართლის მიწა-წყალი და მის ხელში ფაქტობრივად კიდევ ერთხელ „განევრცო ქართლი" — იბერიის საზღვრებმა შავ ზღვამდე მიაღწია. იმპერატორ ადრიანეს მოხელემ და სამეფო კარის ისტორიკოსმა, კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ, სპეციალური მისიით მიმოიარა შავი ზღვის სანაპირო. იგი მოიხსენიებს სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ჩვენი მოდგმის ტომების მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლად მცხოვრებ ძიდრიტების ტომს (განსახლებულს დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე — ჭოროხიდან ქობულეთამდე), „რომელნიც ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან".

აი, რაოდენ ძლიერებას მიაღწია ქართლმა ფარსმან ქველის მეფობის დროს. როგორც ჩანს, ძლევამოსილი რომიც შეფიქრიანდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მას დღევანდელი გონიოს მახლობლად, რომაულ ციხე-ქალაქ აფსაროსში, ჭოროხის შესართავთან დაბანაკებული ჰყავდა ჯარისკაცთა ხუთი კოჰორტა, დაახლოებით 2 500 ლეგიონერი, რომ დროულად შეეჩერებინა ფარსმანის შემდგომი აქტიური ექსპანსია (გარშემო ტერიტორიების შემოერთება). როგორც ჩანს, სწორედ აქედან მოდის იმპერატორ ადრიანეს ეჭვიანი დამოკიდებულება ფარსმან ქველისადმი, რამაც მომდევნო ისტორიულ და ყოფით პასაჟებში ჰპოვა გამოვლინება.

## ადრიანე და ფარსმან ქველი

მეგობრობა და მოკავშირეობა ქართლსა და რომს შორის საჭირო და აუცილებელიც იყო. მაგრამ ქვეყნის ინტერესები თავისას მოითხოვდა. ფარსმან ქველი, გრძნობდა რა თავის რეალურ ძალას, თანდათანობით ცდილობდა კოლხეთში რომის პოზიციების ჯერ შესუსტებას, შემდგომ კი თანდათანობით განდევნას. ამ გეგმის განხორციელებაში მას ეიმედება არა რომის მოქიშპე პართიისა, არამედ ისეთი მრისხანე ძალებისა, როგორებიც იყვნენ ჩრდილოელი ტომები, მათ შორის ალანები.



ურთიერთობა იმპერატორ ადრიანესა და ფარსმან ქველს შორის ისე დაიძაბა, რომ როგორც ჩანს, უკვე ველარ თავსდებოდა კეთილგანწყობილ დიპლომატიურ ჩარჩოებში. ადრიანეს ბიოგრაფი ელიუს სპარტიანე მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოვიდა თავის აზიურ სამფლობელოში, კაპადოკიაში იმპერატორი 128 წელს. ადრიანეს თავისთან დაუბარებია წინა აზიის სამფლობელოთა მეფეები, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავისი განსაკუთრებული მდგომარეობისა და პოზიციისათვის. თან ყველას საჩუქრებიც დაუგზავნა თურმე. მათ შორის ყველაზე უხვი — იბერიის მეფე ფარსმანს. ძვირფას საჩუქრებს მიაყოლა ერთი საომარი სპილო და მცირე რაზმი — ორმოცდაათკაციანი კოჰორტა.

ფარსმანმა ჩათვალა, რომ კაპადოკიაში ჩასვლა ნიშნავდა მისივე პრეტენზიების უარყოფას კოლხეთსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოზე, თვალსაჩინოდ გამოკვეთავდა მის დაქვემდებარებას რომისადმი... ამიტომ იგი კი არ ეახლა რომის იმპერატორს, არამედ არ ჩამორჩა და როგორც სწორმა სწორს, საპასუხოდ დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა. მათ შორის 300 ოქრომკედით მოსირმული ძვირფასი წამოსასხამი. ადრიანემ თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და ქართველთა მეფის დამცრობის მიზნით ხსენებული მოოქრული წამოსასხამები 300 დამნაშავეს ჩააცვა და ფარსმანის ელჩების თვალწინ ცირკის არენაზე გამოუშვა. ამით სტუმრებთან თავისი „ძლევამოსილებით" თავი მოიწონა. ცხადია, ეს ყველაფერი ფარსმანს მოახსენეს. მაგრამ ისიც ცხადზე ცხადი იყო, რომ ამ „განრისხებით" რომის იმპერატორმა კიდევ უფრო დაიმცრო თავი ქართლის უძლეველი მეფის წინაშე.

ფარსმანის პრეტენზიებსა და ამბიციებს რომ რეალური საფუძველი გააჩნდა, ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. როგორც ისტორიკოსი დონ კასიუსი გვატყობინებს, ფარსმან მეორემ ხსენებული ამბიდან ექვსი წლის შემდგომ, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცა, კავკასიის უღელტეხილები გაუხსნა თავის მოკავშირე ალანებს და ერთობლივად დიდი შეტევა განახორციელეს როგორც პართიაზე, ისე რომის აღმოსავლეთის პროვინციებზე. ხსენებულ ტერიტორიაზე ძლევამოსილი გამარჯვებით ფარსმანმა კიდევ ერთხელ აგრძნობინა ძლიერთა ამა ქვეყნისათა თავისი რეალური ძალა.

## ანტონინუსი ანგარიშს უწევს ფარსმანს

სწორედ რეალურ ძალას გაუწია ანგარიში რომის მომდევნო იმპერატორმა, ადრიანეს შვილობილმა, ანტონინუს პიუსმა (138-161 წ.წ.), რომელმაც, ადრიანესაგან განსხვავებით, ცნო ქართლის მიერ დასავლეთის ტერიტორიების მიერთება, რაც საფუძველი გახდა რომსა და ქართლს შორის კეთილი ურთიერთობის აღდგენისა და ურთიერთნდობის პოლიტიკის წარმოებისა. ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური კლიმატის დათბობის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ფარსმან ქველმა სიამოვნებით მიიღო რომის იმპერატორისაგან სტუმრად მიწვევა. იგი ცოლ-შვილთან და დიდებულ ამალასთან ერთად ეწვია მსოფლიო იმპერიის დედაქალაქს. რომში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს იბერიელთა სტუმრობას. ეს სტუმრობა ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას ითვალისწინებდა — გაიმართა დიდი სამხედრო ასპარეზობა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად, იბერიელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ფარსმან ქველი და მისი შვილი.

სტუმრების სიჩაუქით მოხიბლულმა რომმა ძეგლი დაუდგა ფარსმან ქველს — ცხენზე ამხედრებული გამოაქანდაკეს იგი. ქართლის მეფის სტუმრობას და ამ სტუმრობის შედეგებს დაწვრილებით აღწერს დიონ კასიუსი: „როცა ფარსმან იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, ანტონინუს პიუსმა გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალონზე (ომის ღმერთის — მარსის ტაძარში) დაადგმევინა".

და კიდევ, წესისამებრ, როდესაც რომში რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდებოდა, მნიშვნელოვანი ფაქტების ქრონიკაში შეიტანდნენ ხოლმე და მარმარილოს ფირფიტაზე, ე. წ. ფასტიაზე ამოტვიფრავდნენ. სწორედ ასეთი ფირფიტა შეიქმნა ფარსმან ქველის სტუმრობის აღსანიშნავადაც. იმპერატორის ბიოგრაფი იულიუს კაპიტოლინი, ანტონინუს პიუსის განსადიდებლად, ხაზგასმით აღნიშნავს — ფარსმან იბერიელმა მისდამი გაცილებით მეტი პატივისცემა გამოიჩინა, ვიდრე მისი წინამორბედი ადრიანესადმიო.

ძველი რომის ნავსადგურის, ოსტიას ადგილას, იქ სადაც ტიბრი ხმელთაშუა ზღვას უერთდება, გასულ საუკუნეში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სწორედ ზემოთ მოხსენიებული მარმარილოს ფასტია (ფირფიტა), რომლის ტექსტი 1958 წელს ანტიკური პერიოდის მკვლევარმა ჰ. ნესელჰაუფმა გამოაქვეყნა. ფასტიაზე დაფიქსირებულია, რომ იმ წელს რომში მომხდარი ღირსშესანიშნავი მოვლენები „ფარსმანის, იბერთა მეფის" და მისი ოჯახის ვიზიტის აღნუსხვით იწყება. სამწუხაროდ, ფირფიტა ძალიან იყო დაზიანებული და ფარსმანის ცოლ-შვილის სახელებიდან მხოლოდ ცალკეული ასოები იკითხება (ვარაუდობენ, რომ ეს ვიზიტი 141-144 წლებში უნდა მომხდარიყო).

## ფარსმანი 17 გოლიათს ამარცხებს

ასე რომ, ფარსმან ქველის პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რომთან დაახლოება და პართიასთან დაპირისპირება. ეს დაპირისპირება, როგორც ჩანს, საომარ მანიპულირებაშიც გამოიხატებოდა და პართიის მეფე ვოლოგეზმა ამასთან დაკავშირებით საჩივარიც აახლა რომს.

ქართულმა ხალხურმა ტრადიციამ შემოინახა გადმოცემა ფარსმან ქველზე, როგორც სპარსელების წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლზე. „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილია ფარსმანის ცნობილი ბრძოლის შესახებ სპარსელთა წინააღმდეგ. ბრძოლა იწყება გოლიათების შერკინებით.

ერთ ასეთ ბრძოლაში ფარსმანი 17 გოლიათს კლავს. გამოყოფილია ფარსმანის ორთაბრძოლა გოლიათ ჯუმბერთან, „რომელი ლომსა ხელითა შეიპყრობდა". ჯუმბერმა თვითონ მოითხოვა ფარსმანთან ბრძოლა: „ფარსმან ქუელი სიხარულით აღიჭურვა და განვიდა. და აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას და იწყეს ბრძოლად ხრმლითა და ხმა ბრძოლისა მათისა ემსგავსა ხმასა ქუხილისა და ტეხისასა". ფარსმანმა აჯობა, ცხენიდან ჩამოაგდო და განგმირა გოლიათი ჯუმბერი. ამ დროს შესძახა ცნობილი სიტყვები: „აჰა, ლომნო მძვინვარნო, ცხოვარნი დასეტყვილნი!"

ამ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება ქართველებს დარჩათ.

## ღალატი

კიდევ უფრო გაითქვა სახელი ფარსმან ქველმა; კვლავ დაამარცხეს ქართველებმა სპარსელ-პართიელები, თუმცა ამ უკანასკნელთ ვერაგობას მიმართეს — მოისყიდეს ფარსმანის მზარეული და მან მოწამლა გმირი მეფე: მზარეულმა გმირ მეფეს ოქრო ამჯობინა. „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და გოდება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახამდე".

ვინ აპატიებდა უბადრუკ მზარეულს მძლეთამძლე მეფის გაწირვას — ვერ ეღირსა იგი პართიელთა დაპირებულ ოქროს, მოღალატე სასტიკად დასაჯეს ქართველებმა...

და ასე, ერთი შეხედვით უბრალოდ დაიღუპა გმირი მეფე ფარსმან ქველი, რომელმაც ანტიკური პერიოდის საქართველოს მეფეთაგან ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ გადააქცია ჩვენი ქვეყანა, ხოლო სახელი მისი გმირობისა და ვაჟკაცობის სინონიმად იქცა. მომდევნო, მესამე საუკუნეშიც კი, როდესაც მემატიანეს სურს შეაქოს ერთ-ერთი მეფე — ამაზასპი, იგი ასე იწყებს წერას: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა". ფარსმან ქველის შემდგომ კი, მისი ავტორიტეტის წყალობით ქართლის მეფეები „დიდ მეფეებად" იწოდებიან! ერთ-ერთ არამეულ ერთენოვან წარწერაში იხსენიება: „მითრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმანისა, დიდი მეფისა".

დაიღუპა მეფე ფარსმანი, მაგრამ სპარსელ-პართიელთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. აღდგა ქართველი ხალხი მოძალადეთა წინააღმდეგ. იბერიელებს კოლხები დაეხმარნენ და ლიახვზე ბრძოლაში პართიელები გაანადგურეს. ტახტზე ავიდა ხსეფარნუგი.

## სერაფიტას ეპიტაფია, გემა სიყვარულის სადიდებლით

... მეფე ხსეფარნუგი, ფარსმან ქველის სახელთან ერთად მოიხსენიება ერთი მშვენიერი, ულამაზესი წარჩინებული ახალგაზრდა ქალის, სერაფიტას სევდიან ეპიტაფიაში. სერაფიტას ეპიტაფია ხომ პროზისა და პოეზიის უზადო ნაზავია და არამაზისხევში აღმოჩენილ საფლავის სტელაზე წარწერილი ეს განსაცვიფრებელი სტრიქონები ფიქრებით მეორე საუკუნეში — ფარსმან ქველისა და ხსეფარნუგის ეპოქაში გადაისვრის მკითხველს:

*მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა —/ ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა —/ ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი/ ეზოის მოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა —/ ძისა აგრიფა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა,/ ვაება ვაებისა!/ ის, ვინც იყო ახალგაზრდა, და იმდენად კეთილი/ და მშვენიერი, რომ არავინ იყო მსგავსი მისი/ სილამაზითა.. და აღესრულა ოცდაერთი წლის!*

სიკვდილის ულმობელმა ხელმა შეწყვიტა ბედნიერი წყვილის იოდმანგანისა და სერაფიტას სიყვარული. ასეთივე ნაზი გრძნობები გამოსჭვივის ფარსმან ქველის ეპოქის ხელოვნების ერთ პატარა შედევრშიც — ეს გახლავთ ოქროს გემა — ბეჭედი ძვირფასი ქვით, სადაც შეყვარებული ცოლ-ქმარია გამოსახული პროფილით ერთმანეთის პირისპირ და ცოლი კიდევ ერთხელ უმჟღავნებს თავის (შეიძლება გარდაცვლილ) ქმარს:

**ზევახ, სიცოცხლევ ჩემო, კარპაკი.**

**მშვენიერი სერაფიტას ეპიტაფიის თანხლებით...**

... მეორე საუკუნეში ქართლი ძლიერი სახელმწიფოა.

... ფარსმანი ქველიც არის და „უშიშიც, ვითარცა უხორცო".

... ანტონინუსი, ადრიანესგან განსხვავებით, ქედს იხრის ქართველი მეფის ძლიერების წინაშე.

... ფარსმანის ქანდაკებას ომის ღმერთის, მარსის ტაძარში დგამენ რომაელები.

... მარმარილოს ფირფიტაზე რომში ქართველთა სტუმრობის ამბავზე წერენ.

... ფარსმანი გოლიათებს ამარცხებს.

... გმირ მეფეს ვერაგულად წამლავენ.

... ფარსმანის ეპოქის ორი ამაღლებული სიყვარულის ნაკვალევი.

**რომის ძლევამოსილ იმპერატორს ადრიანეს წინა აზიის სამფლობელოთა მეფეები მიუწვევია, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მათ წინაშე თავისი უპირატესობისათვის, თან საჩუქრებიც გაუგზავნია ყველასთვის. ყველაზე უხვი საჩუქარი მეფე ფარსმანისთვის „გაუმეტებია", საჩუქრებს შორის ერთი საომარი სპილო და ორმოცდაათკაციანი კოჰორტაც ყოფილა. ფარსმანმა კაპადოკიაში ჩასვლა მისივე პრეტენზიების უარყოფად ჩათვალა კოლხეთის მიმართ, არც რომის ქვეშევრდომობა ეპიტნავებოდა დიდად... ამიტომ იგი კი არ ეახლა რომის იმპერატორს, არამედ არ ჩამორჩა და როგორც სწორმა სწორს, საპასუხოდ დიდძალი საჩუქარი აახლა, მათ შორის, 300 ოქრომკედით მოსირმული ძვირფასი წამოსასხამი...**

**აი, ასე გასრულდა მეორე საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა, საუკუნე გმირი ფარსმან ქველისა, საუკუნე იბერიისა და რომის მეგობრობისა და დაპირისპირებისა, საუკუნე ანტიკური საქართველოს ძლიერებისა, სერაფიტასა და იოდმანგანის, ზევახისა და კარპაკის ამაღლებული სიყვარულისა.**

**P.S. ფოტოზე წარმოდგენილი ოქროს უმშვენიერესი და უძვირფასესი ყელსაბამი არმაზისხევის განძიდან, სერაფიტას უნდა ეკუთვნოდეს. ამეთვისტოს ვერძის გამოსახულებიან კულონს ძვირფასი თვლებით მოჭედილი პატარა ზარდახშა ახლავს, რომელშიც... სერაფიტასვე სარძევე კბილი ყოფილა დაუნჯებული...**

*ისტორიული წყაროების მიხედვით ფარსმან ქველის ეპოქა მიმოიხილა*

***ნოდარ შოშიტაშვილმა***

CMYK





რიცხვი, თვე, წელი

„ბარსას“ არგენტინელი ფორვარდი

„თემური და მისი რაზმი“ (მწერალი)

პოპულარული გერმანული ჟურნალი

წინასწარი მზადება რაიმესთვის

„მესმის, მესმის სანატრელი...“ (მიძღვნა)

ბორბლებს შორის გადაჭიმული თასმა

დანაყოფ. რგოლი კუთხის საზომ იარაღში

დოდის სახელობა

100 კგ

რვიანის ფორმის ნამცხვარი

პურეულის ნამჯის ნალეწი

მესამე ჯგიმს ბონდი

ნაპოლეონის ქალაქი

უქონრო თუთიყუში

ლომის „ვარცხნილობა“

ორი წერტილი კამათელზე

განყოფილება ვაგონში

მოტოლანდის ყველაზე ცნობილი მსახიობი

ინდოეთის ღვთაქალაქი

მაუგლის მეგობარი

„სარკისებრი“ თევზის ჯიში

რუსული ვერტმფრენის მარკა

„შეხვედრა მთაში“ (მთავარი გმირი)

„დეკამერონის“ (ავტორი)

მზარეული გემზე

„მზიური ველის სერენადა“ (სიმღერა)

რბილი ტაბურეტი მდინარე იტალიაში

სახვენი ნიშანი

მცენარის ფესვის გასქელებული ნაწილი

„ოსკაროსანი“ მსახიობი ქალი

ექიმი ინტერნატურაში



„შერეკილები“ წამალი ... გლუკოზა

სომხური წარმოშობის ამერიკელი კინომსახ.

პირის ნაცვალსახელი

„საიდუმლო კუნძული“ (მწერალი)

სახლი ნათესავი მამის მხრიდან

სიმენონის ცნობილი პერსონაჟი

ოპერა „კარმენი“ (კომპოზიტორი)

ფლობერის რომანი

ესკიმო და პლომბირი

მსოფლიო კომპიუტერული ქსელი

მეფის მხლებლები

მსუბუქი ნამცხვარი ათქვეფილი ცილისგან

სამაგიდო თამაში სამეზობლოში

ტენდენცია ჩაცმულობაში

ძალის ერთეული

ფერფლი და ალმასი

მონღოლი ფეოდალი

ბანქოს ფურცლების ერთობლიობა

სამეფო ოჯახის ... ჩამომავალი



მდინარე ჭიათურაში

ჩანთოსანი დათვი

ჭიდაობის ილეთი

საბერძნეთი

ორფევსის ინსტრუმენტი

ბასკეთის ადმინისტრაციული ცენტრი

უდანაშაულობის საბუთი

ზოლას რომანი

ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი



ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული

„მეოთხე მალა“ (ავტორი)

რელიგიური მოძღვრება

შიკრიკი

მაიმუნი

შეადგინა რამაზ ალანიამ

# „ბავშვობაში იტალიელი ვიყავი...“



## „ცრუვარსკვლავებმა დააბინძურეს შოუბიზნესი“

*თუ რამდენიმე წლის წინ ქართული ესტრადის მომღერლები მხოლოდ რუსეთსა და ახლო უცხოეთს სტუმრობდნენ გასტროლებით, ამჯერად ქართულმა ჰანგებმა წყნარი ოკეანის გაღმაც გააღწია და აშშ-ში უკვე არა მარტო გენიალურ ქართულ პოლიფონიას, არამედ ქართულ საესტრადო მუსიკასაც უსმენენ. სამი შესანიშნავი მომღერალი — მაია ჯაბუა, ნუცა ჯანელიძე და თემურ თათარაშვილი ახლახან დაბრუნდნენ აშშ-დან, სადაც, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, კვლავ შეხვედრის მოლოდინით აღსავსე მსმენელი დატოვეს. იმედია, უახლოეს პერიოდში, არა მარტო ამერიკელებს, სხვა ქვეყნის მელომანებსაც მოანატრებენ საკუთარ ხმას და ქართულ სიმღერას. ამერიკული საგასტროლო ვოიაჟიდან დაბრუნებულ* **მაია ჯაბუას** *შთაბეჭდილებების შესახებ ვესაუბრეთ:*

— აშშ-ში ჩვენი გამგზავრება ადრეც იყო დაგეგმილი. ტერაქტის საწინააღმდეგო აქცია-კონცერტში უნდა მიგვეღო მონაწილეობა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად. მაგრამ ვიზები ვერ გაგვიკეთეს დროულად და ამიტომ ჩვენს ნაცვლად ჩეხები მიიწვიეს. ამჯერად ორი შესანიშნავი ქართველი ქალის ინიციატივით მოხდა ჩვენი გასტროლის ორგანიზება და მაიამიში ერთი საათნახევრიანი კონცერტი ჩავატარეთ. კმაყოფილები ვართ მაყურებლის ყურადღებით, სითბოთი და ღიმილით.

**— ეს ქართველი ქალები ვინ არიან, შოუბიზნესის სამყაროში მოღვაწეობენ?**

— ნინო კაპანაძე და ნანა ლუკაშვილი კარგა ხანია აშშ-ში ცხოვრობენ და საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ. მათ მოინდომეს აშშ-ს გააცნონ ქართული კულტურა და ხელოვნება, რითაც დღემდე ასე ვამაყობთ. ჩვენი კონცერტი მათი დიდი მიზნების და პროექტების განხორციელების საწყისი ეტაპი იყო და ვერასოდეს დავივიწყებ.

**— რა შთაბეჭდილება მოახდინა თავად ამერიკამ? როგორც ვიცი, ამერიკაში პირველად იყავით.**

— დიახ. პირველად ვიყავი და არც არასოდეს არ მიოცნებია იქ წასვლაზე. ბავშვობიდან ამოჩემებული მქონდა, რომ იტალიელი ვიყავი და თამაშიც კი მოვიგონე, რომლის მიხედვითაც მე და მამა იტალიელები გახლდით, დედა და ჩემი დები კი ქართველები. როცა იტალია ვნახე, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ნახვის შემდეგ შემიყვარდა ესპანეთიც, ისრაელიც, საფრანგეთიც, მაგრამ ამერიკამ ვერაფრით მოახდინა შთაბეჭდილება.

**— სულ არაფერი მოგეწონათ?**

— იცით რა, ფილმებში ნანახი ამერიკა სრულებით განსხვადება რეალურისგან. მათ ფილმებში ყველა ქალი უნაკლოა, ყველა კაცი — გმირი. ალბათ ამის დეფიციტი აქვთ და ამიტომ იღებენ ასეთ ფილმებს. ამერიკელები სრულებით არ განსხვავდებიან სხვებისგან და მათ არაფერი აქვთ არაჩვეულებრივი. იქ წასვლამდეც და დღესაც იმ აზრზე ვდგავარ, რომ ამერიკული სულაც არ ნიშნავს ძალიან კარგს ან ძალიან მართალს.

**— და მაინც, ამერიკაში, ჩვენგან განსხვავებით, მაღალია ადამიანთა კეთილდღეობის დონე.**

— სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენთან გასაცოდავებული ვითარებაა. სულ მაფიქრებს ჩემი ქვეყნის მდგომარეობა და ახლა, როცა დავბრუნდი ქვეყნიდან, სადაც ღამით ულამაზესი ნათურებით ყველაფერი ჯადოსნური და ლამაზი ჩანს, დღისით კი არანაირი ხიბლი აღარ იგრძნობა, კიდევ უფრო მეტკინა ჩემი ქვეყნის, ჩემი თბილისის ტკივილი. ჩამოვედი თვითმფრინავიდან სრულიად უკუნით მოცულ ქალაქში. მოვედი გათოშილ სახლში და სიბნელეში წესიერად ვერც კი შევხედე მონატრებულ შვილებს. ამ ქვეყანას არაფერი სჭირს ისეთი უსაშველო, როგორც ზოგიერთები გაიძახიან. თუ თავად არიან უნიჭოები და გამოსავალს ვერ პოულობენ, ასპარეზი დაუთმონ იმ ხალხს, ვინც ზამთარში არ დაიწყებს წუწუნს — ესაა შესაკეთებელი და ის საყიდელიო. მთელი გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა ხომ შეიძლება მოხმარდეს ყველაფერის მოწესრიგებას და მთელი ერი არ იყოს შეურაცხყოფილი ვიღაც მავნებლებისგან.

**— მაია, რადგან დაბრუნდით ამერიკიდან, სადაც, ჩვენგან განსხვავებით, შრომას ადრეულ ასაკში იწყებენ, საინტერესო იქნება, გვითხრათ, თქვენ როდის იგემეთ საკუთარი შრომის შედეგი პირველად?**

— ჩემი შრომის შედეგებს ვიმკი მთელი ცხოვრება. ეს პროცესი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა გათვითცნობიერებულიც კი არ მქონდა, რომ ვშრომობდი. ვმღეროდი და ეს მსიამოვნებდა ადრეული ბავშვობიდან, თუმცა, ჯხანდახან ვბრაზობდი, როცა დედა ეზოს და თამაშს მომწყვეტდა ხოლმე. მაშინ არ მქონდა ანაზღაურება, ამაზე არც კი მიფიქრია. ერთი კი ფაქტია, მე უკვე ძალიან პატარა ვშრომობდი.

**— უქმად ყოფნა სულის ტანჯვაა, მართალია?**

— არ ვიცი, რა იგულისხმება უქმად ყოფნაში. სამსახური, როგორც ასეთი, არასდროს მქონია და ერთ ადგილზე დამჯდარი ამ საათიდან იმ საათამდე ვერ ვიმუშავებ. ეს ჩემთვის დამღუპველი იქნება. ვერ შევძლებ, სხვანაირად მაქვს ბუნება და გონება მოწყობილი. მაშინაც არ ვარ უქმად, როცა სტუდიაში არ ვმუშაობ, ფიქრი და ანალიზი ჩემთვის რაღაცამდე მისასვლელი გზაა, ვაზროვნებ, ე.ი. უქმად არ ვარ.

**— მშობლები, რომლებიც შვილებს ანებივრებენ, მათ განსაცდელისთვისაც ამზადებენო — მართალია?**

— განებივრება ყველას სხვადასხვაგვარად ესმის. მე და ჩემი დები მშობლებისგან განებივრებულები ვიყავით იმით, რომ პიროვნული განვითარებისთვის აბსოლუტურ თავისუფლებას გვაძლევდნენ და ჩვენი სჯეროდათ. მე არ ვარ ასეთი, მჯერა ჩემი შვილის, მაგრამ პრინციპი მაქვს — „დაუვერიაი, ნო პრავერიაი“. ეს ჩემი მინუსია და არა ჩემი შვილის.

**— თვლით თუ არა, რომ მლიქვნელობის ნიშანია, როცა ადამიანს პირში აქებენ?**

— სულაც არ ვეთანხმები ამ აზრს, თუ ადამიანი საქებია, უნდა აქო და თანაც სიცოცხლეში. სიკვდილის შემდეგ რომ აქებ, ეგ არაფერია. სიცოცხლეში რომ ამდენი გექო, შეიძლება უფრო მეტიც ეკეთებინა და მეტიც ეცოცხლა.

**— თქვენზე ამბობენ, რომ შოუბიზნესის პრობლემებზე ხშირად საუბრობთ, არ ერიდებით კრიტიკას.**

— კრიტიკა ჩემი საქმე არ არის. ეს მუსიკათმცოდნეების საქმეა. მათ უნდა შეაფასონ ვინ რას აკეთებს, ვინ არის პროფესიონალი მომღერალი, მუსიკოსი და ვინ ცრუ ვარსკვლავი. დღეს ბევრი ბჭობს იმაზე, რომ ცრუ ვარსკვლავებმა დააბინძურეს შოუბიზნესი. მაგრამ არავინ აკონკრეტებს სახელებს და გვარებს და მათ შორის უნებლიეთ ვყვებით მეც, თემურიც, მერაბიც, ნუცაც და სხვებიც. გულისტკივილს გამოვთქვამ იმის გამო, რაც ხდება და დამნაშავედ ის კი არ მიმაჩნია, ვისაც დაუმსახურებლად ვარსკვლავობა უნდა, არამედ იმას, ვინც მას ავარსკვლავებს, ვინც უგემოვნო, ცუდ სიმღერას და კლიპს ატრიალებს ეთერში, ვინც 10 ინტერვიუს აკეთებს...

**— და, როგორც ჩანს, ბრალს ჟურნალისტებსაც სდებთ...**

— დიახ. თუ შენ კარგზე და პროფესიონალზე დაწერ და თანაც დაწერ პროფესიონალურად, თუ ტელე ან რადიოეთერში გაუშვებენ გემოვნებიან კლიპს ან სიმღერას, ყველაფერი კარგად იქნება, საზოგადოებასაც აღარ გაუფუჭდება გემოვნება.

*ეკა ლომიძე*

ტელეპროგრამა: 15 დეკემბერი — კვირა; 14 დეკემბერი — შაბათი; 13 დეკემბერი — პარასკევი; 12 დეკემბერი — ხუთშაბათი; 11 დეკემბერი — ოთხშაბათი; 10 დეკემბერი — სამშაბათი; 9 დეკემბერი — ორშაბათი

[illegible]

# — თუ ვინმეს ჰგონია ქართული კინო მოკვდა, — ცდება!..

## ახალი ფილმი კრიმინალური ისტორიების შესახებ...



*ბოლო წლებში ქართულ კინოსტუდიაში გამეფებული წყვდიადი, ბოლოს და ბოლოს გაირღვა. ამგვარი განცხადება სულაც არ არის თამამი და საფუძველს მოკლებული. იანვრიდან კინო და ტელეეკრანებზე ისევ გამოჩნდება ახალი ქართული ფილმები. გვესაუბრა საქართველოს კინემატოგრაფიული ცენტრის დირექტორი, კინორეჟისორი, რამდენიმე მოკლე და ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმის „აქ თენდება“ ავტორი,* **ზაზა ურუშაძე** *(შეგახსენებთ, რომ მისი ფილმი „აქ თენდება“ 1999 წელს „ოსკარის“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზეც იყო წარდგენილი). ამ დღეებში კი ამ ფილმის განმეორებითი პრემიერა შედგა მოსკოვში.*

**— ბატონო ზაზა, ორიოდე სიტყვით თუ შეიძლება კინოცენტრის შესახებ გვითხარით:**

— ერთი წელია „საქართველოს კანონი ქართული კინემატოგრაფიის მხარდაჭერის შესახებ“ საფუძველზე შეიქმნა ეროვნული კინოცენტრი, ჩემამდე მისი ხელმძღვანელი ოთარ შამათავა გახლდათ. მე 5 თვეა, რაც დირექტორი ვარ და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თუ ვინმეს ჰგონია, ქართული კინო მოკვდა, — ცდება. დღეს ქართულ კინოინდუსტრიაში სერიოზული და სასიამოვნო ცვლილებებია.

**— კონკრეტულად?**

— წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჩვენი წილი 100%-ით ავითვისეთ, „ქართულ ფილმში“ დაწყებული და მერე შეჩერებული 7 სრულმეტრაჟიანი ფილმი და ორი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი დასრულდა. რეზო ესაძის „ჭერი“, ერეკლე ბადურაშვილის „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, გენო ცაავას „შაბათი“, გოგიტა ჭყონიას „პორტრეტი“, კახა მელითაურის და თინა მენაბდის „სარკმელი“, გიო მგელაძის „ქალაქის დაცემა“ და ზურაბ თუთბერიძის „ოცნება ახდება“ სულ მალე გავა ეკრანებზე. წელს დასრულდება და მომავალ წელს გახმოვანდება ლევან ზაქარეიშვილის ფილმი „თბილისი-სტამბული“.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ და ერეკლე ბადურაშვილიც იღებთ მრავალსერიიან ფილმს „ტელეიმედისათვის“.**

— „აუდიენციის“ ბაზაზე კეთდება ახალი მრავალსერიიანი ფილმი „უცხო ქალაქი“. ეს არის ფილმი კრიმინალური ამბების შესახებ, რომლის კენტ სერიებს მე, ხოლო ლუწს, ერეკლე ბადურაშვილი გადაიღებს. მთავარ როლებში იხილავთ ჟანრი ლოლაშვილს, ია სუხიტაშვილს, გიორგი ყიფშიძეს, გურამ ფირცხალავას და ეკა ანდრონიკაშვილს. გადაღება ძალიან მალე დაიწყება.

**— ამბობენ, ოთარ იოსელიანი აქტიურად თანამშრომლობსო კინოცენტრთან.**

— დიახ, ოთარ იოსელიანის თანადგომით იწყება შვეიცარიის სერიოზული სამწლიანი პროექტის განხორციელება, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებში (ძირითადი აქცენტი კი საქართველოზე კეთდება) კინემატოგრაფიის განვითარებისათვის დახმარებას ითვალისწინებს.

**— ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრების კონკურსი დასრულდა. შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

— კონკურსი საინტერესო იყო. ათი სადებიუტო კინოპროექტი შეირჩა და მალე გადაღებები დაიწყება.

**— ხშირად ისმის საყვედურები, რომ ქართველ რეჟისორთა მომავალი თაობა ნაკლებად განათლებულია და მათი პროფესიული დონეც დაბალიაო. თქვენ რა აზრის ხართ?**

— ამაზე საუბარი მიძნელდება. თუმცა, მომავალი გვიჩვენებს, ვის რა შესაძლებლობა აქვს. ისე, ჩვენს დროს რვა წელიწადში ერთხელ ცხადდებოდა კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე მიღება და პედაგოგებსაც სტუდენტებისადმი სხვაგვარი, სერიოზული მიდგომა ჰქონდათ. ახლა თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე მიღება ყოველ წელს მიმდინარეობს, ამდენი რეჟისორი კი ვფიქრობ, საქართველოს არ სჭირდება.

**— არაპროფესიონალებმაც დაიწყეს ფილმების გადაღება.**

— ამ ადამიანებმა, ვინც არაპროფესიონალურ ფილმებს იღებს, სასურველია განათლება მიიღონ. მაშინ, ჩვენც აქტიურად დავდგებით მათ გვერდით. ისე, კარგი ფილმი არაპროფესიონალმაც შეიძლება გადაიღოს.

**— უცხოელებთან ერთობლივ გადაღებებზე თუ აქვს კინოცენტრს მოლაპარაკებები?**

— რუსეთის კულტურის მინისტრთან უკვე გვქონდა ამ საკითხზე მოლაპარაკება და მალე ხელშეკრულებებსაც გავაფორმებთ. შვეიცარია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი და ირანიც მოწადინებული არიან ჩვენთან ფილმების ერთობლივი წარმოებით და ვფიქრობთ, სულ მალე, რეალური პროცესების მომსწრე თავადაც გახდებით.

*ეკა ლომიძე*




— ჩემს ახალგაზრდობაში ღმერთის ხსენებასაც კი გვიკრძალავდნენ, ეკლესიები ჩემ თვალწინ ინგრეოდა, მღვდლებს კრეჭდნენ და აბა, რა რწმენა უნდა მქონოდა, — **წუხს 70 წელს მიტანებული თენგიზ გ-ძე,** — დღემდე გაუცხოების გრძნობა არ მტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარშიც შევდივარ, სანთელსაც ვანთებ, პირჯვარსაც ვიწერ და როცა რამე გამიჭირდება, პირველ რიგში, ღმერთს ვახსენებ მაინც — მიშველე-მეთქი!..

ამ რამდენიმე წლის წინ ერთი უჩვეულო ამბავი მოხდა, რამაც ყველა ქადაგებასა თუ მოწოდებაზე მეტად დამარწმუნა უფლის, უზენაესი ძალის არსებობაში. სამწუხაროდ, ის შემთხვევა მძიმე ცოდვად მადევს, რომელიც აუცილებლად მომეკითხება. უფალმა თავისი სასწაულის ხილვის ღირსი გამხადა, რათა მერწმუნა მისი. მე კი გავკერპდი, რითაც დავამტკიცე, რა სულმოკლენი ვართ ადამიანები...

# როცა ინტუიციას არ ვენდობით!



ერთი თანამშრომელი მყავდა, უფრო სწორად, უმცროსი მეგობარი. ჩემი გამოზრდილი იყო, საქმეც ვასწავლე, თანამდებობაზე დავნიშნე, მაგრამ... ზარმაცი იყო საოცრად. ამას თავადაც აღიარებდა და იტყოდა: არ ვარ საქმისთვის გაჩენილი კაცი, მით უმეტეს, თანამდებობა და პასუხისმგებლობა არაა ჩემი საქმე. სოფელში უნდა დავრჩენილიყავი, დილა-საღამოს ყანავენახში თითო საათს წავიმუშავებდი და მერე მხარ-თეძოზე წამოწოლილი გავატარებდი წუთისოფელსო(!). სხვათა შორის, რამდენჯერ მთხოვა — გამიშვი სოფელში, არ მინდა არც ეს ქარხანა და არც არაფერიო!.. უარს ვეუბნებოდი. საოცარი ალღო ჰქონდა, მისი ერთ საათში ნაკეთები საქმე სხვის თვეებს გადასწონიდა.

ბოლოს შემეხვეწა: — არა ვარ კარგად. რა მტკივა და მაწუხებს, არ ვიცი, მაგრამ დილით, შინიდან გამოსულს, შიში მომყვება, რომ უკან ცოცხალი ვერ დავბრუნდები. ქარხნის ეზოში შემოსულს კი თვალთ მიბნელდება, ძალა მეცლება. თუ არ მათავისუფლებ, შვებულებაში მაინც გამიშვიო!

არსადაც არ გიშვებ, რა გიგავს ავადმყოფს-მეთქი, — გავბრაზდი და ლამის თავზე დავახიე განცხადება.

იმავე დღეს, საღამოს, თათბირი გვქონდა. რევაზიც (ასე ერქვა ჩემს მეგობარს), როგორც ჩემი ერთ-ერთი მოადგილე, ესწრებოდა თათბირს. ეტყობა, ნაწყენი იყო ჩემზე, რადგან უბრად კუთხეში მიჯდა. ზედმეტად მკაცრად მოვექეცი-მეთქი, შემრცხვა და თათბირის შემდეგ მობოდიშება გადავწყვიტე.

...რატომღაც მოუსვენრობამ შემიპყრო და ხშირ-ხშირად ვაპარებდი თვალს რეზოსკენ, თითქოს უხმოდ მეძახდა, თუ რა იყო, არც ვიცი...

უცებ ირგვლივ იისფერი ნათება გაუჩნდა, რომელიც ზოგჯერ ნაცრისფერდებოდა, დიდდებოდა და ადამიანის ფორმას იღებდა. გაოცებულმა თვალები მოვიფშვნიტე — ხომ არ მეჩვენება-მეთქი, მაგრამ ის ნიმბი არ გამქრალა.

შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ რეზო უნდა გამეშვა, მაგრამ ურწმუნოებით დაბრმავებული უფრო გავჯიუტდი და თათბირი გავაგრძელე.

დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ ვხედავ, ის ნათება თუ აჩრდილი მოშორდა რეზოს და კარისკენ გაიწია, ცოტა ხანს შეჩერდა, ჩემკენაც „გამოიხედა“, მერე კი თითქოს რაღაც ძალამ შეისრუტაო, კარის ღრიჭოში გაიწოვა და... გაქრა!..

უფრო ავფორიაქდი. ვგრძნობდი, უნდა შემეწყვიტა თათბირი და რეზოსთვის მეკითხა — როგორს ხარ-მეთქი, მაგრამ... გაჯიუტებულმა დაახლოებით 20 წუთი ვილაპარაკე, მერე სხვებს მივეცი სიტყვა და ბოლოს რეზოსთვისაც „მოვიცალე“.

არც გამოიხედა ჩემკენ, თავჩაქინდრული იჯდა. ხმას ავუწიე — იქნებ აღარც მელაპარაკები-მეთქი?!

გვერდით მჯდომმა ბეჭზე შეახო ხელი და შეანჯღრია. თავი გვერდზე გადაუვარდა... ვიღაცამ იკივლა, წამოხტნენ. სასწრაფოს გამოვუძახეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო...

ახლა მე გავხდი ცუდად, სიკვდილი ვინატრე... უფალმა სასწაულით სცადა ჩემი ყურადღების მიყრობა და არც შევისმინე — ეჭვიც არ მეპარება, ის ნათება თუ აჩრდილი ჩემი მეგობრის სული იყო, რომელიც საყვედურით მიცქერდა და შველას მთხოვდა... შემეძლო რეზოს გადარჩენა და არ გავაკეთე ეს... ის აჩრდილი ხომ ნახევარ საათზე მეტხანს იყო მის გვერდით?!

**— თქვენს მეგობარსაც საკმაოდ გამახვილებული წინათგრძნობა ჰქონია!..**

— ამ შემთხვევის შემდეგ ბევრმა აღნიშნა, რომ რეზო ხშირად იმეორებდა: მე ამ ქარხნის წერა ვარ და ახი იქნება, სულიც გამძვრეს აქ. ვიცი, რომ უნდა გავრბოდე, თავს ვშველოდე და არ მივდივარო!..

**— რისგან ან ვისგან აპირებდა გაქცევას?!**

— არავინ იცის. ამას ვერც თავად აკონკრეტებდა. იცოდა ერთი: რაც არ უნდა კარგ გუნებაზე ყოფილიყო, ქარხნის ეზოში შემოსული ცუდად ხდებოდა. მთელი არსებით გრძნობდა, რომ აქ არ იყო მისი ადგილი და გაქცევით უნდა ეშველა თავისთვის. ახლა კი ვიცი, რომ საკუთარ ინტუიციას უნდა ენდოს კაცი და დაიჯეროს, მაგრამ რაღა დროს?!

**— რეზო კი ემორჩილებოდა ინტუიციას, მაგრამ თქვენი ხათრით ვერ წავიდა ქარხნიდან...**

— ამ წუთში სწორედ საკუთარ ინტუიციაზე ვლაპარაკობდი: როცა რეზოს წასვლაზე უარს ვეუბნებოდი და ვეჩხუბებოდი, გული სულ მკარნახობდა: „გაუშვი, სანამ მთლად არ დაგიკარგავსო!..“ ჰო, სწორედ ეს სიტყვები „მესმოდა“ გონებაში: „სანამ სულ არ დაგიკარგავსო“!.. რასაც ისე ვიგებდი: „გაგინაწყენდება და გაგებუტებაო“!.. თურმე სიკვდილი მიპირებდა მის წართმევას!.. უფალზეც ნაწყენი ვარ და იქნებ ამიტომაც ვერ ვარ ბოლომდე მორწმუნე!..

**— ღვთის გმობა მეტი ცოდვაა!**

— ვიცი, მაგრამ ვერაფერს ვუხერხებ საკუთარ თავს, ესეც ბედისწერაა ალბათ ჩემი, რომლის გამოც კიდევ მეტად დავისჯები ალბათ, ვიდრე რეზოს დაკარგვით!..

**...ინტუიციაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, ისიც, რომ ის უფლისგან თუ ჩვენი მფარველი ანგელოზისგან მოდის და მოსალოდნელ საფრთხეზე მიგვანიშნებს. ბატონი თენგიზის ნაამბობი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაოდენ დიდი სიფრთხილე გვმართებს საკუთარ გრძნობებთან თუ შინაგან ხმასთან დამოკიდებულებაში, რომელიც ფაქტობრივად ერთადერთი დასტურია ჩვენი იმიერსამყაროსთან კავშირისა.**

***ინგა ჯაყელი***

# ცოცხალი ჰოროსკოპი

**თუ მცენარეების გამრავლების ან ცხოველების შინ მოყვანის სურვილი გაგიჩნდებათ, აუცილებლად გაიხსენეთ, რა ხართ ჰოროსკოპის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ყოველი თქვენი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდეს. გთავაზობთ „ცოცხალ ჰოროსკოპს“.**



**ვერძი:** სჯობს, **კატა** გაიჩინოთ, რადგან ის ხასიათით ძალიან გგავთ. თუ მაინცდამაინც ძაღლი გსურთ, ან **ირლანდიური სეტერი** აირჩიეთ ან **სპანიელი**. პირველი თავს შეგაყვარებთ ისე, რომ ვერასოდეს მოიშორებთ, მეორე — ალერსიანობის წყალობით არასოდეს დაგავიწყებთ თავს. მცენარეთაგან **კაქტუსი** სჯობს. ის თავის თავს თვითონ მიხედავს. ბევრის ატანა შეუძლია.



**კურო:** ამ ზოდიაქოს წარმომადგენლები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობისანი არიან. ისინი არასოდეს ივიწყებენ ოთხფეხა მეგობრებს. აჯობებს, უპირატესობა მიანიჭონ **სენბერნარს, ნაგაზს.** მათ ძალიან მოსწონთ ასევე **კუ** და **ანკარა.** მათი დინჯი და ფიქრიანი მოძრაობები აღაფრთოვანებს კუროს თანავარსკვლავედში გაჩენილთ. მცენარეთაგან რეკომენდებულია **ფიკუსი..**



**მარჩბივი:** ძაღლებიდან ტყუპებს მოსწონთ **კოლი და კოკერ-სპანიელი**. კატა არ არის სასურველი. მცენარეებიდან ტყუპებისათვის, რომლებსაც უყვართ თავის მოწონება ფანჯრის რაფაზე გაშენებული ყვავილნარით, სასურველია **პალმა და ხვიარები**.



**კირჩხიბს** ძალიან უყვარს და მოსწონს **აკვარიუმის თევზები, ხვლიკები, შავი კატები,** რომელთაც მოკლე ფეხები და ღუნღულა ბეწვი აქვთ. ძაღლებიდან სასურველია **მიტელშნკუცერი, ფოქსი, ერდელი.** კირჩხიბს უყვარს **ცხენი.** მცენარეებიდან სასურველია ყველაფერი, რაც საგულდაგულო მოვლა-პატრონობას საჭიროებს.



**ლომი:** ვერ ეგუება კატას. ძაღლებიდან ძალიან უყვარს **ბულდოგი** და **ბოქსიორი.** ლომის მფარველი მზე, სიცოცხლის მომტანი მანათობელი, ბარაქიანად აჯილდოებს მას. შეუძლია ნებისმიერი მცენარის გახარება და გამრავლება.



**ქალწული:** სისუფთავისა და წესრიგისადმი მიდრეკილების მიუხედავად, თუ მაინცდამაინც ძაღლის ყოლას გადაწყვეტენ, აჯობებს **ჩაუ-ჩაუს** მიანიჭონ უპირატესობა, რადგან ამ ჯიშის ძაღლები ძალიან მოწესრიგებულები არიან. კატები ქალწულებისათვის გამორიცხულია. **თუთიყუშები** — სხვა საქმეა! ქალწულებს უყვართ მცენარეების მოშენება, მათთვის ფუსფუსი. განსაკუთრებით უყვართ **შროშანები.**



**სასწორს** ცხოველები აფხიზლებს, გარდაქმნის, ყურადღებიანს და მზრუნველს ხდის. მათთვის სასურველია **ლაბრადორი, ლაიკა, სპანიელი ან კოლი.** გამორჩეულად უყვარს **ქართული ნაგაზი...** კატებიდან ირჩევენ ან **ფუმფულა ჯიშებს, სიამის კატებს**, ან **უბეწვოებს**. მცენარეები მათ ხელში ვერ ხარობენ. ამიტომ უყვარს ამ ზოდიაქოს მფლობელს **ხელოვნური ყვავილები.**



**ღრიანკალი** ბუნებით დიქტატორია. ამიტომ მის გვერდით მხოლოდ ის ცხოველი გაჩერდება, რომელსაც შეუძლია, შეინარჩუნოს ინდივიდუალობა. ასეთები კი არიან: **დეკორატიული თაგვები** და **კატები,** უმთავრესად, შავები, რომლებსაც, გადმოცემის თანახმად, მაგიური ძალა გააჩნიათ. მცენარეთაგან მას ყველაზე მეტად **კაქტუსი** შეეფერება.



**მშვილდოსანს ცხენი** უყვარს. თუ ცხენებზე ხელი არ მიუწვდება, აირჩიოს **ერდელი, ფოქსი, სეტერი, პუდელი**. მცენარეები მის ხელში ცუდ დღეში ვარდებიან.



**თხის რქა** — ცხოველები შინ არ სჭირდება. თუ მაინცდამაინც გაუჩნდა სურვილი, **ჩაუ-ჩაუ** ამოირჩიოს, სასურველია, შავი. კატებთან ურთიერთობა არ გამოუვათ. მცენარეთაგან უპირატესობას იაპონურ **ჯუჯა ხეებს** ანიჭებს, უყვარს **იკებანა** და **ჰერანი** ფანჯარაზე.



**მერწყული** ერთადერთია, რომელიც ყველანაირ ცხოველს ეგუება: **ქართულ ნაგაზს, სენბერნარს, როტვეილერს..** იმდენად მცენარე არ აინტერესებს, რამდენადაც მოვლის პროცესი.



**თევზებმა** სჯობს, აკვარიუმში მოაშენოს **თევზები**, თვალყური ადევნოს მათ ცხოვრებას. მცენარეები მაინცდამაინც არ უყვართ, მაგრამ თუ ვინმე აჩუქებთ, მოუვლიან.

***ტვ პარკი №19***

# „საზალლო-სალაღო“ გვერდის პასუხეზი

I. მე-4 და მე-5 ჩიტები.

II. **რებუსი**
მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია.

III. სიონი.

IV. **აბა, გამოიცანი**
1) — ბ); 2) — ბ); 3) — გ);
4) — დ); 5) — გ); 6) — ა); 7) — ბ).


# „მედი“ — ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმის ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფრის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება, ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, – რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ და სინათლის სპექტრზე (ფოტოეპილაცია) მომუშავე აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობასა და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი”, დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელ კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი „მედი“, ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს გინეკოლოგის კონსულტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.

ფირმა „მედი“ – და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**სამედიცინო ცენტრი „მედი”**

**25-02-02 93-89-75**

**ალ. ყაზბეგის გამზ. №1**


თქვით უფრო მეტი
ჯეოსელთან ერთად!
www.fun.geocell.ge


აკრიფეთ
700
http://www.geocell.ge

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**ჩემს მეგობარ გოგონას არ უყვარს ტკბილეულობა. არ ჭამს ხილს და მოტკბო გემოს მქონე ბოსტნეულსაც კი. ამიტომ ვერ იღებს ორგანიზმისთვის საჭირო ვიტამინებს, რაც მის დასუსტებას იწვევს. გოგონა გონებრივად და ფიზიკურად დატვირთულია. მშობლები აძალებენ წვენებს (სტაფილოს, ვაშლის, ჭარხლის), მაგრამ ვერ სვამს, ან თუ სვამს, პირღებინება ეწყება. მაინტერესებს, რისი ბრალია ყოველივე ეს?**

***თქვენი ერთგული მკითხველი თეა***

თქვენი მონათხრობით აშკარაა, გოგონა ვერ იტანს ნახშირწყლებს. ადამიანის ორგანიზმი ნახშირწყლების ათვისებას ახდენს სპეციფიკური ცილების ფერმენტებით, რომელთა დეფიციტი ან ნაკლებობა იწვევს ნახშირწყლების ათვისების პროცესის დარღვევას. მაგალითად, ფრუქტოზას შლის ფერმენტი ფრუქტოზა, ლაქტოზას — ლაქტოზა და ა.შ. ფრუქტოზას დეფიციტი ორგანიზმში გამოიწვევს ფრუქტოზას აუტანლობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ასეთ დეფიციტთან გვაქვს საქმე. ეს იმას ნიშნავს, რომ ტკბილეულის აუტანლობა გოგონას ახირება კი არა, რაღაც პათოლოგიური მდგომარეობაა — ე.წ. ფერმენტოპათია. სწორედ ამიტომაა, რომ წვენების ძალად მიღების შემთხვევაში, მას ღებინება ეწყება. ასეთი ფერმენტოპათიები ხშირად თანდაყოლილია. მშობლებს ვურჩევთ, ნუ დააძალებენ გოგონას ტკბილეულს. საჭიროა მისი ლაბორატორიული გამოკვლევა დიაგნოზის დასაზუსტებლად. შემდგომ კი, ორგანიზმში ხელოვნურად უნდა იქნას შეყვანილი დეფიციტური ფერმენტი, რაც ტკბილეულის ათვისებას ორგანიზმის მიერ შესაძლებელს გახდის.

**ბრონქებში მაქვს ნახველი, რომელიც მაწუხებს და იწვევს ჰაერის უკმარისობას ფიზიკური დატვირთვისას, ღამით და განსაკუთრებით სიცილის დროს. დღის განმავლობაში არ მახველებს. ამოსახველებელმა საშუალებებმა არ მიშველა. შეიძლება თუ არა, რომ ეს იყოს შეძენილი ასთმა? რა გამოკვლევები მესაჭიროება დიაგნოზის დასადგენად?**

***მაია ს.***

მონათხრობიდან ჩანს, რომ თქვენ ფილტვის ქრონიკული პათოლოგია გაქვთ, რაც ფილტვის სასუნთქი ზედაპირის შემცირების მიზეზი გამხდარა და შედეგად ჰაერის უკმარისობა გივითარდებათ. შესაძლოა დაავადებას ასთმური ფონიც ახლდეს თან. დღეს ინფექციურ-ალერგიული ასთმა საკმაოდ ხშირია. დიაგნოზის დასაზუსტებლად უნდა მიმართოთ პულმონოლოგს (ფილტვების სპეციალისტს), რომელიც თქვენი ფიზიკური გამოკვლევის შემდეგ განსაზღვრავს, კვლევის რომელი ლაბორატორიული მეთოდები გესაჭიროებათ. სიცილის დროს, ჰაერის მკვეთრი ჩასუნთქვისა და ბრონქების კუნთების რიტმული შეკუმშვის გამო, ძლიერდება ბრონქოსანაციის (ნახველის ამოღების) პროცესი, ამავდროულად კი, ბრონქოსპაზმი ვითარდება, რაც ჰაერის უკმარისობის შეგრძნებას იწვევს.

**ჩემს 8 წლის შვილს ბავშვობიდან აქვს პირში უსიამოვნო სუნი. შევუმოწმეთ კბილები და ჩავუტარეთ ლამბლიების საწინააღმდეგო მკურნალობა. მაგრამ, ამაოდ. გთხოვთ მიპასუხოთ: რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და ვის მივმართო კონსულტაციისათვის?**

***გიორგი, თბილისი***

თუ პირის ღრუ (კბილები, ღრძილები) საგულდაგულოდ იქნა შემოწმებული და ცუდი სუნი პირიდან მის პათოლოგიასთან არ არის დაკავშირებული, მაშინ შესაძლოა აღნიშნულ სიმპტომს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური ან ორგანული დაზიანება იწვევდეს. გირჩევთ, ბავშვი გამოცდილ გასტროენტეროლოგს (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტს) აჩვენოთ. გამორიცხული არ არის კიდევ ერთი მიზეზი — ცხვირ-ხახის ქრონიკული ჩირქოვანი ანთება, რაც აგრეთვე იწვევს პირიდან ცუდ სუნს.

## ქარაბადინი

**რამდენიმე თვის განმავლობაში მტკიოდა წელი. ნევროპათოლოგმა დამისვა იშიაზის დიაგნოზი. დანიშნულმა წამლებმა მდგომარეობა შემიმსუბუქა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტკივილი ისევ გამიძლიერდა. შემთხვევით ხელში ჩამივარდა ხალხური მედიცინის წიგნი, სადაც ასეთი რეცეპტი წავიკითხე: „კაკლის ფოთოლი მოხარშეთ მარილწყალში და ცხლად დაიდეთ მტკივნეულ ადგილას (როგორსაც გაუძლებთ) და მაგრად შეიკარით შალით. პროცედურა გააკეთეთ 3 დღის განმავლობაში, დღეში ერთხელ". ასეც მოვიქეცი და მეორე დღეს უკეთ ვიყავი. სამდღიანმა კურსმა ტკივილი მთლიანად მომიხსნა. ახლა თუნდაც გამიმეორდეს შეტევა, აღარ მეშინია, რადგან უებარ წამალს მივაგენი.**

*პატივისცემით ანზორ შ.*

**ექიმის კომენტარი:** უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ფიტოთერაპიაში კაკლის ხის სასწაულებრივი თვისებები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. ძველად მას „სიცოცხლის ხეს" უწოდებდნენ თურმე. სამკურნალო თვისებები აქვს კაკლის ნაყოფსაც, ფოთოლსაც, მერქანსაც და ფესვებსაც კი. მეტად მრავალფეროვანი და მრავალგვარია ამ ხის სხვადასხვა კომპონენტის ქიმიური შემადგენლობა. იგი მდიდარია ვიტამინებით, ანტიანთებითი, ეთეროვანი, მთრიმლავი ნივთიერებებით, ზეთებით და სხვა. კაკლისაგან დამზადებული პრეპარატები სხვადასხვა სახით თითქმის ყველა ორგანოს ქრონიკული დაავადების დროს გამოიყენება. ამ თემაზე უფრო დაწვრილებით გაზეთის მომდევნო ნომრებში ვისაუბრებთ. იშიაზი — საჯდომი ნერვის ნევრალგია ან ანთებაა, ახასიათებს საჯდომი ნერვის გასწვრივ შეტევითი, ხან მუდმივი ხასიათის ტკივილი. ამ ტკივილის მოსახსნელად ხალხურ მედიცინაში ხშირად იყენებდნენ შალის ქსოვილს, რომელიც ნერვულ რეცეპტორებს აღაგზნებს და ამ გზით შესაბამისი უბნის ქსოვილოვან კვებას აუმჯობესებს. სწორედ იმავე პრინციპს ეყრდნობა კაკლის ფოთლის ცხელი სახით გამოყენება და ზევიდან შალის ქსოვილის შემოხვევა.

**შესაძლოა ამ რეცეპტს ბევრი იცნობს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მომეწერა მის შესახებ. წლების განმავლობაში მტანჯავდა ბრონქიტი, მიჭირდა სუნთქვა, ხშირად მქონდა ქოშინი. ექიმებმა ასთმური ბრონქიტის დიაგნოზი დამისვეს და მითხრეს, რომ ეს ქრონიკული დაავადებაა და სრული განკურნება შეუძლებელიაო. ერთხელ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას ხველა დამეწყო და გვერდით მჯდომმა ხანში შესულმა მამაკაცმა ასეთი რამ მასწავლა: 1კგ თეთრი ხახვი წვრილად დაჭერი, 1კგ შაქარი დაამატე და მზეზე დადგი ორი კვირა. გაწურე და მიიღე თითო სუფრის კოვზი უზმოზეო. დავუჯერე და ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გამიუმჯობესდა. მომეხსნა ქოშინი, აღარ მემართება შეტევები, ისე ხშირად აღარ ვცივდები და თუ მაინც რაიმე მიზეზით ხველა მეწყება, მაშინვე ხახვის წვენს ვსვამ და თავს უკეთ ვგრძნობ. ნაყენს წარმატებით ვიყენებ ბავშვებისთვისაც მათი გაცივების დროს.**

*მ. რ.*

**ექიმის კომენტარი:** ხახვი ფიტოთერაპიაში ფართოდ გამოიყენება. მას მართლაც აქვს ძლიერი ბაქტერიების გამანადგურებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები. განსაკუთრებით გამოირჩევა თეთრი ხახვი. მისი წვენი ეფექტურია ბრონქიტების, ზემო სასუნთქი გზების რესპირატორული დაავადებების, მწვავე ანთებების დროს. მოწოდებული რეცეპტი სავსებით რეალურია და მის გამოყენებას ვურჩევთ ქრონიკული ხველით შეწუხებულთ.

*თამარ მამაცაშვილი*

***ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის" ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის" დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოვა.***

## სტომატოლოგიური ვნებანი



კბილის ჯაგრისის ახალი მოდელის გამოგონება დღეს სარფიანი საქმეა. როგორიც გსურს, ისეთი მოიგონე — ყველანაირს „ვაშათი" შეხვდებიან. თვალის დახამხამებაში გაიყიდება, რადგან არავის უნდა კბილები ღამით ჭიქაში შეინახოს. არავის მოსწონს იმპლანტანტები, რაც უნდა ჩაწიკწიკებული და ქათქათა ხელოვნური კბილები ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ბუნებრივი კბილები გაცილებით უკეთესია, თუნდაც ჩაყვითლებული და ოღროჩოღრო.

საუკეთესო კბილის პასტებს ვყიდულობთ, რეკლამებისა უსიტყვოდ გვჯერა — სასწაულებრივი ფორმის ჯაგრისით შესანიშნავად გაიწმენდთ ეშვებსო — ნაზად გეღუღრტულება მომხიბლავი კბილის ექიმი. ჩვენ გვინდა ისეთივე კბილები გვქონდეს, როგორიც რეკლამაში თახვს აქვს. ამიტომ სტომატოლოგიაში ყოველ სიახლეს და გამოგონებას უნდა ვიცნობდეთ.

მაგ., ამიერიდან კბილის ჯაგრისებს ვერცხლით მოჭედავენ. ვერცხლის იონები პირის ღრუს დეზინფექციას აკეთებს, კარიესსა და პაროდონტოზს კურნავს. ერთი სიტყვით, სასწაულებს ახდენს, ხოლო მაშინ, როცა კბილების ხეხვას დაამთავრებთ, კბილის ჯაგრისი თვითონვე გაიკეთებს დეზინფექციას. ამერიკაში კბილის ჯაგრისებით პირის ღრუს გამოვლებაც შეიძლება. ჯაგრისს საგანგებო კნოპი აქვს, რომლითაც სავლები ამუშავდება — სავლებ სითხეს სხვადასხვა არომატი — ფორთოხლის, პიტნის და ვანილის — აქვს.

რუსეთში ამ სფეროში გაცილებით წინ წავიდნენ — მეცნიერებმა გადაწყვიტეს, რომ ვერცხლი ოქროსთან ერთად გაცილებით მეტ იონს გასცემს. აქედან გამომდინარე, ღრმა ხანდაზმულობამდე მიჯრით მიწყობილი კბილები გექნებათ.

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კბილის ჯაგრისს ბრილიანტის მტვერს აყრიან — იგი შესანიშნავად აპრიალებს ემალს და ქვებისგან წმენდს კბილს: საფრანგეთმა მსოფლიოს პაწაწინა ვენტილატორიანი ჯაგრისი აჩუქა, გერმანიამ — გელის ავტომატურმიმწოდებლიანი, მექსიკამ კი — ყველაზე მაღალბეწვიანი ჯაგრისი (დაახლოებით 2 სმ), ასე უფრო მოსახერხებელია კბილების გახეხვაო. იქნებ მექსიკელებს უფრო დიდი პირი აქვთ, ვიდრე ჩვენ?!

ერთი სიტყვით, იხეხეთ კბილები — სანამ გაქვთ(!), გაიკრიალეთ და... გაერთეთ.

***ნიუზუიქი***

## უცრემლოდ...



იაპონელებმა მართლაც რომ დიდებული რამ აღმოაჩინეს, ძალიან სასარგებლო კაცობრიობისთვის! მათ აღმოაჩინეს კომპონენტი, რომელიც ადამიანს ხახვის ჭრის დროს ცრემლს გვრის. დღემდე ჩატარებული სხვა ცდების შედეგები სწორი არ არის. ადრე ფიქრობდნენ, რომ ცრემლებს იწვევდა ბოსტნეულისთვის გემოს მიმცემი კომპონენტები. მაგრამ, ცრემლებზე პასუხისმგებელი ყოფილა მხოლოდ ერთადერთი კომპონენტი, რომელსაც თურმე გემოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ასე და ამგვარად, ამ ფერმენტის გამოყოფის შედეგად მიიღება „უცრემლო ხახვი". მეცნიერები გეგმავენ, რომ ორ წელიწადში ასეთი ხახვი მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება, ათი წლის შემდეგ მის მოყვანას ფერმერები დაიწყებენ, ორმოცდაათი წლის შემდეგ კი, კაცობრიობას საერთოდ დაავიწყდება, რომ ოდესღაც ხახვის დაჭრის დროს ცრემლებად იღვრებოდა.

***ოგონიოკი***

ყოველთვის იქონიეთ თან!

ფესტალი

Aventis

საშუალებას გაძლევთ ისიამოვნოთ გემრიელი საკვებით პრობლემების გარეშე

ყოველთვის დავიცვათ კვების რეჟიმი ცხოვრების თანამედროვე რიტმში ძალიან ძნელია, ხშირად საერთოდ გვავიწყდება დროზე მივიღოთ საკვები და გვახსენდება მხოლოდ ვახშმის დროს. ვერ ვუმკლავდებით ჩვენს მსუნაგობას უარი ვთქვათ საღამოს ცხიმიან, მარილიან, ცხარე, შებოლილ, შემწვარ-მოხრაკულიზე . . . მაგრამ ამ შემთხვევაშიც არის გამოსავალი - ფესტალი - კომბინირებული პრეპარატი საჭმლის მონელების მოსაწესრიგებლად, მის შემადგენლობაში მყოფი ფერმენტები აადვილებს ცხიმების, ცილების და ნახშირწყლების მონელებას. პრეპარატი კი არ თრგუნავს, არამედ ხელს უწყობს ორგანიზმს გამოყოს თავისი საკუთარი ფერმენტები.

თუ:
- გიჭირთ საჭმლის მონელება
- გაქვთ სიმძიმის შეგრძნება ან შებერილობა მუცლის არეში კვების შემდეგ
- გაქვთ ასაკით გამოწვეული მონელების პრობლემები
- ხართ ხანგრძლივად უმოძრაოდ (ოპერაციის შემდგომი პერიოდი)
- გეშინიათ უცხო საკვების მიღება
- დაგპატიჟეს გემრიელ ვახშამზე

ფესტალი:
- დაგეხმარებათ საჭმლის მონელებაში
- ააქტიურებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობას
- ვიტამინების მიღებისას ხელს უწყობს მათ სრულ შეწოვას
- გაძლევს შანსს იგემო ეგზოტიკური საკვები ყოველგვარი შიშის გარეშე
- დაგეხმარებათ გვიანი ვახშმის მავნე შედეგების ლიკვიდირებაში

ფესტალს აწამოებს ავენტის ფარმას ხიოხსტის ფარმაცევტული ქარხანები, რომლებსაც გააჩნია სამკურნალო საშუალებათა წარმოების დიდი ხნის ისტორია, ჩვენი კომპანია გთავაზობთ და პასუხს აგებს მხოლოდ პრეპარატ "ფესტალის" ხარისხზე, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ აფთიაქებში, ჩვენი რჩევაა

წამლის შეძენისას დარწმუნდით, რომ ყიდულობთ ნამდვილად ფესტალს და არა მიმსგავსებული სახელის მქონე წამლებს, რომლებიც მრავლადაა ფარმაცევტულ ბაზარზე და რომლებსაც არავითარი საერთო არ აქვს ჩვენს პრეპარატთან.

უნდა მიიღოთ:
1 დრაჟე (მთლიანად, დაღეჭვის გარეშე) ჭამის დროს ან უშუალოდ შემდეგ მცირე რაოდენობის წყლით.აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მიიღოთ 2-2 დრაჟე.

იკითხეთ აფთიაქებში!
რეგისტრირებულია საქართველოში MP № 0002174

## ზამთარში ნუ იხმართ ანტიბაქტერიულ საპონს!



ძალიან ხშირად ზამთარში ადამიანებს და უმეტესად კი მოხუცებს, ეწყებათ ე.წ. ზამთრის მუნი (ბღერი), რასაც კანის გაუწყლოება იწვევს (ზამთარში ჩვენი კანი კარგავს სინოტივეს 5-დან 10%-მდე), რის გამოც კანი იქერცლება და იწყება ქავილი. კანზე ჩნდება პატარა ნაპრალები, სკდება კანი. დამეთანხმებით, ეს არცთუ სასიამოვნოა. თავიდან რომ ავიცილოთ ეს უსიამოვნო შეგრძნებები, დერმატოლოგები გვირჩევენ: ცივ ამინდში არ ვიხმაროთ ანტიბაქტერიული საპონი და ისეთი დასაბანი საშუალებები, რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით აგრესიულ ინგრედიენტებს. გარდა ამისა, ზამთარში უნდა დაიბანოთ მხოლოდ ნაზი ღრუბლით, რომელიც იცავს კანის ბუნებრივ ცხიმოვან ფენას. უმჯობესია აბაზანის მაგივრად, ტანზე გადავივლოთ თბილი შხაპი, რადგან ცხელი წყალი კანს აცლის ნატურალურ ცხიმს და მუნი (ბღერი) უფრო გვერევა. გავიმშრალოთ ტანი ხაოიანი პირსახოცით, არავითარ შემთხვევაში არ გაიხეხოთ ტანი. შხაპის მერე, წაისვით ტანზე ნებისმიერი დამატენიანებელი საშუალება.

***არგუმენტი ი ფაქტი №19***

## სტერილური სისუფთავე საზიანოა!

სტერილურმა სისუფთავემ შეიძლება ადამიანს ასთმა დამართოს.

ასთმით და ალერგიით ათასობით ადამიანია დაავადებული, განსაკუთრებით, ცივილიზებულ ქვეყნებში. საცხოვრებლის ანტიბაქტერიული სარეცხი საშუალებებით გაწმენდა განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობისთვის. თუ ოჯახში იზრდება ბავშვი, ის ეჩვევა სტერილურ ატმოსფეროს, ამიტომ ჭუჭყსა და სიბინძურეში უჭირს სუნთქვა. ექიმების მტკიცებით, სწორედ ასე ვითარდება ასთმა და ალერგია. სტატისტიკით, საბავშვო ბაღის ბავშვები, რომლებიც ყოველგვარ ბაქტერიულ ინფექციას იძენენ ადრეულ ასაკში, გაცილებით იშვიათად ავადდებიან ასთმით. ასევე ნაკლებად ავადდებიან ის პატარები, რომელთაც შინ ცხოველები ჰყავთ.

ექიმები ურჩევენ მშობლებს, უსათუოდ იყოლიონ შინ ცხოველები, ფრინველები და არ აუკრძალონ შვილებს მათთან თამაში.

***მეგაპოლის-ექსპრესი***


„კვირის პალიტრა“ წარმოგიდგენთ!
განახლებულ ჟურნალს:




თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისათვის!

გამოდის ხუთშაბათს, 12 დეკემბერს



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
   „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## ორსულობა

**გვიამბეთ ორსულობის შესახებ.**

***ანა ცივაძე***

ორსულობა ფიზიოლოგიური პროცესია. ორსულობის ხანგრძლივობა 40 კვირას — 10 სამეანო თვეს შეადგენს.

**როგორ დავადგინოთ ორსულობა:** ორსულობის პირველივე დღიდან ქალს აღენიშნება ყნოსვისა და გემოვნების გამძაფრება. ვითარდება გემოსა და სუნის შერჩევითი სიძულვილი ან სიყვარული. ზოგჯერ ქალი ქმრის სიახლოვესაც ვერ იტანს.

ნაყოფის ჩასახვა ხდება მენსტრუალური ციკლის მე-11-16 დღეს, როდესაც ხდება ოვულაცია. ის ყველა ქალისთვის ინდივიდუალურია და ციკლის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, მაგ. 21-დღიანი ციკლის დროს იგი საშუალოდ მე-10 დღეს ხდება, 32-დღიანი ციკლის — მე-16 დღეს. ოვულაციის დადგენის ყველაზე მარტივი მეთოდია სწორ ნაწლავში ტემპერატურის გაზომვა. ოვულაციის მომენტისთვის ტემპერატურა 4-6⁰-ით იმატებს.

მშობიარობის სავარაუდო დროის გამოსათვლელად ბოლო მენსტრუაციის პირველ დღეს ემატება 7 დღე და აკლდება 3 თვე. მიღებული რიცხვი — ბავშვის დაბადების თარიღი, შესაძლოა ±2 კვირის ფარგლებში მერყეობდეს.

ორსულობის დასადგენად იყენებენ სპეციალურ ტესტს. ტესტი თითქმის ყველა აფთიაქში იყიდება. ტესტის ჩატარება უმჯობესია დილის შარდზე.

**ორსულობის პირველი სამი თვე:** ორსულობა ქალის ორგანიზმში მთელ რიგ ცვლილებებს იწვევს. ქალს გაძლიერებულად გამოეყოფა ნერწყვი, აღენიშნება გულისრევის შეგძნება, ზოგჯერ — ღებინება, ნაწლავები მოდუნებულია, ადვილად ვითარდება კარიესი.

ქალი ექიმთან აღრიცხვის მიზნით ორსულობის 12 კვირამდე უნდა მივიდეს.

**ორსულობის ტოქსიკოზი:** ღებინება დილის საათებში, საკვების მიღებისას ხდება. მაგრამ ზოგჯერ იმდენად ხშირია, რომ ფეხმძიმე ქალის ნორმალურ კვებას არღვევს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადრეულ ტოქსიკოზთან. იმის მიხედვით, დღეში რამდენჯერ ხდება ღებინება, არჩევენ ტოქსიკოზის მსუბუქ (5-ჯერ), საშუალო (10-12-ჯერ) და მძიმე (20-30-ჯერ) ფორმებს.

ტოქსიკოზის მძიმე ფორმა ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს, ქალი დასუსტებულია, დაქვეითებული აქვს თირკმლების ფუნქციონირება, კუნთოვანი ტონუსი, ვითარდება შეკრულობა, ზოგჯერ ფსიქიკური დარღვევებიც კი. ამ შემთხვევაში ტოქსიკოზს უკვე სტაციონარში მკურნალობენ.

ფეხმძიმემ ყურადღება უნდა მიაქციოს ყრუ ხასიათის ტკივილს მუცლის ქვედა არეში და წელის მიდამოში, გამონადენს, თუნდაც იგი უმნიშვნელო რაოდენობის იყოს — თუ ეს ნიშნები შეამჩნიეთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

ფეხმძიმე ქალმა აუცილებლად უნდა იცოდეს საკუთარი წნევისა და პულსის ნორმალური მაჩვენებლები. **I ტრიმესტრში** განსაზღვრავენ ქალის სისხლის ჯგუფსა და რეზუს ფაქტორს, აკეთებენ სისხლის საერთო ანალიზს, განისაზღვრება შაქრის, ნარჩენი აზოტის შემცველობა, პროთრომბინის ინდექსი (ან კოაგულოგრამა), კეთდება შარდის საერთო ანალიზი, საშოს ნაცხი ფლორაზე, ერთჯერადი ულტრაბგერითი გამოკვლევა, ამ დროს საჭიროა სტომატოლოგისა და თერაპევტის კონსულტაცია, კარდიოგრამის გადაღება. საჭიროების შემთხვევაში სხვა გამოკვლევებიც ინიშნება.

**ორსულობის II ტრიმესტრი** (მე-2-3 თვე): ამ დროისთვის ნაყოფის ორგანოების განვითარება დამთავრებულია.



ტრიმესტრში დედისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ნაყოფის მოძრაობის შეგრძნება, რასაც პირველი ორსულობისას ქალი შედარებით გვიან (დაახლოებით 1 კვირით) აღიქვამს, ვიდრე შემდეგი ორსულობისას. პირველი ორსულობისას ეს მომენტი ორსულობის 18-19 კვირაზე ფიქსირდება, განმეორებითი ორსულობისას კი 17-18 კვირაზე.

ნაყოფი თავის არსებობას დედას სუსტი ბიძგებით ატყობინებს. შემდგომში ეს ბიძგები ძლიერდება. 24 საათის განმავლობაში 10-20 დარტყმითი მოძრაობა, თუ ტკივილი არ ახლავს, ნორმას შეესაბამება.

ტრიმესტრში ნაყოფი ჯერ კიდევ თავისუფლად მოძრაობს. სტაბილურ მდგომარეობას იგი მხოლოდ ორსულობის ბოლო პერიოდში აღწევს.

ამ პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ორგანოთა სხვა სისტემაში ფარულად არსებული დაავადებების გამოვლენა — თირკმლების, გულის დაავადებები, რაზეც ქალმა ეჭვი შეიძლება მიიტანოს, თუ წელის არეში ტკივილები, შარდვის დროს წვა, ტემპერატურის მომატება აღენიშნა.

ორსულობის ამ პერიოდს ტოქსიკოზი ნაკლებად ახასიათებს, თუმცა შესაძლებელია მოგვიანებითი ტოქსიკოზის დაწყება.

ამ პერიოდში აბორტის საშიშროება არსებობს. თუ ფეხმძიმე ქალს მუცლის ქვედა არეში მოჭერითი ხასიათის ტკივილები დაეწყო, ტკივილი საშვილოსნოს ტონუსის მომატებასთანაა დაკავშირებული, ხშირად ტკივილს სიმძიმის შეგრძნებაც ახლავს. თუ ტონუსის მატებამ გარკვეული რიტმული ხასიათი მიიღო, უკვე ნაადრევი მშობიარობისა თუ თვითნებური აბორტის ალბათობა იზრდება, რის გამოც აუცილებელია ქალის სტაციონარში მოთავსება და ექიმის მეთვალყურეობა.

საშვილოსნოს მომატებული ტონუსის დროს ნაყოფის სისხლით მომარაგება ირღვევა, რაც მის ჟანგბადით შიმშილს — ჰიპოქსიას იწვევს. თუმცა ჰიპოქსიის მიზეზი შესაძლოა დედის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობაც იყოს, განსაკუთრებით — ანემია.

მომატებული ტონუსის შემთხვევაში ცდილობენ იგი ნორმის ფარგლებში დააბრუნონ, რაც წოლითი რეჟიმით, სპეციალური მედიკამენტებით ხორციელდება.

თუ პირველ ტრიმესტრში ნებისმიერი მედიკამენტური ჩარევა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მეორე ტრიმესტრში შედარებით მეტი პრეპარატის მიღება შეიძლება.

მედიკამენტების თვითნებური მიღება დაუშვებელია.

ამ პერიოდში შეიძლება ჩატარდეს ალფა-ფეტოპროტეინის განსაზღვრა სისხლში, რომელიც ორსულობის 16 კვირაზე ფიქსირდება და ნაყოფის სხვადასხვა ანომალიაზე მიუთითებს (რაც შესაძლოა ულტრაბგერითი გამოკვლევით ვერ დადგინდეს).

ტრიმესტრში ექიმთან კონსულტაცია (სულ 4 სავალდებულო კონსულტაცია) საჭიროა ორსულობის 22-ე კვირაზე ჩატარდეს. თუმცა საეჭვო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ორსულობის ნებისმიერ პერიოდში მათ შესახებ დაუყოვნებლად უნდა ეცნობოს ექიმს.

***მაია მუხიგული.***

## აბა, მიჩვენე ენა!



ეს იყო პირველი სიტყვა, რასაც ეუბნებოდა ექიმი ავადმყოფს. ენის საშუალებით შეიძლება ბევრი ავადმყოფობის დიაგნოსტირება. სხვადასხვა ავადმყოფობის გამოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე ენა იძლევა საგანგაშო სიგნალს.

**მოლურჯო** ენა ნიშანია გულის მოახლოებული შეტევისა;

**ალაპლაპებული ზედაპირი** კუჭის წვენის დაბალი სეკრეციის მაუწყებელია;

**ყვითელი ნადები** ენაზე საჭმლის გადამუშავების სისტემის მოშლაზე მიუთითებს;

**თეთრი ნადები** ორგანიზმში შლაკების ჭარბი რაოდენობით დაგროვებას გვაუწყებს;

**მოშავო ნადები** — წყლის ძლიერ ნაკლებობას ადასტურებს;

**ენის წვერის სიწითლე და სუსტი ტკივილი** ნიშანია სწორი ნაწლავის, საშარდე ბუშტის ან საშვილოსნოს არეში დაავადების მიმდინარეობისა;

**ენის მარცხენა მხარის შესივება და სიწითლე** ღვიძლის ანთების ნიშანია, მარჯვენა მხარის — ნაღვლის ბუშტის ანთების;

თუ **ნადები წებოვანია, ნაცრისფერი და ცუდი გემოც იგრძნობა პირში,** ქრონიკული წყლულოვანი დაავადებაა კუჭზე, თორმეტგოჯა ნაწლავზე;

**გეოგრაფიულ რუკასავით** აჭრელებული ენა ალერგიის მაჩვენებელია.

***მედიცინსკაია გაზეტა***

## მაგნიტი — მკურნალი



მაგნიტის, ანუ „მაგიური ქვის“ სამკურნალო თვისებები ანტიკური ხანიდანაა ცნობილი. მისი დახმარებით დაავადებების მკურნალობაზე მეტყველებს ეგვიპტის იეროგლიფები და ევფრატისა და ტიგროსის უძველესი ტომების ლურსმული წარწერები. ძველ ჩინეთსა და ინდოეთში მაგნიტით მკურნალობდნენ დამსხვრეულ ძვლებს. მაგნიტი აჩქარებდა ძვლების ქსოვილების შეზრდას, დარღვეული სისხლის მიმოქცევის აღდგენას. მაგნიტს იყენებდნენ ტკივილის გასაყუჩებლად და სჯეროდათ, რომ თუკი მაგნიტს ადამიანს სხეულზე მიადებდნენ, ის ორგანიზმიდან ავადმყოფობას შეიწოვდა. ძველი რომაელი ექიმი (I ს.ჩვ.წ.აღმდე) დიოკრიტე გვირჩევს, მაგნიტი ვატაროთ გუნება-განწყობილების გასაუმჯობესებლად. ისააკ ნიუტონს მუდამ ეკეთა ბეჭედი, რომელშიც მაგნიტი იყო ჩასმული და ცნობილია, რომ მან 84 წელი იცოცხლა.

ამჟამად უკვე მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ მაგნიტური ველი ამშვიდებს ადამიანს, აღადგენს ნერვული უჯრედების დარღვეულ ფუნქციონირებას, აქრობს ანთებით პროცესებს, დაბლა სწევს წნევას, სასიკეთოდ მოქმედებს იმუნიტეტზე, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, სპობს კეთილთვისებიან სიმსივნეებს და დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

იცით, რომ მაგნიტი თქვენკენ მოიზიდავს... ბედნიერებას? თუკი დეპრესიულ მდგომარეობაში ხართ, ნუ დაიწყებთ აბების ყლაპვას, უმჯობესია, ორი კვირის განმავლობაში თავზე მიიდოთ ჩვეულებრივი მაგნიტი. სცადეთ და ნახავთ — სიცოცხლის სიხარული დაგიბრუნდებათ. მაგნიტის ზემოქმედებით გაგიუმჯობესდებათ ძილი, სმენა, მხედველობა, მეხსიერება. უფრო სრულყოფილი გახდება სექსუალური ცხოვრება. დამაგნიტებული წყლის მიღების შედეგად ორგანიზმიდან გამოვა წიდები, ტოქსინები, მარილები, ქოლესტერინი, ზედმეტი შაქარი. ასეთი ბუნებრივი გაწმენდა ორგანიზმს აახალგაზრდავებს.

ამჟამად იყიდება მაგნიტური ქამრები, საყურეები, მაგნიტური გასაახალგაზრდავებელი ნიღბები, რაც სიბერისაგან დაგიცავთ.

***კალეიდოსკოპი №128***

# მიქელანჯელო საარაკოდ მდიდარი ყოფილა



იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი მიქელანჯელო ბუონაროტი თავის სახელგანთქმულ კოლეგებზე — ლეონარდო და ვინჩიზე, ტიციანსა და რაფაელზე მდიდარი ყოფილა.

ამას ადასტურებს რენესანსის დიდი წარმომადგენლის სახელზე არსებული ორი საბანკო ანგარიში, რომელიც ამერიკელმა ხელოვნების ისტორიკოსმა რაბ ჰეტფილდმა აღმოაჩინა. ამ დოკუმენტის თანახმად, მიქელანჯელო თავის სახელოვან კონკურენტებზე ხუთჯერ მდიდარი გახლდათ. ანგარიშებზე არსებული თანხა და უძრავ-მოძრავი ქონება არის 50.000 ოქროს ფლორინის ღირებულებისა, რაც დღევანდელი კურსით უდრის 50 მილიონ დოლარს.

***ფოკუსი***

# გაქრა ტუალეტი? ე.ი. დილის 6 საათია

ქალაქ ლონდონის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს, შეუდგა ძალზე სერიოზული პრობლემის გადაჭრას. ლაპარაკია ქალაქში მოქმედ ღამის საზოგადოებრივ ტუალეტებზე — დედაქალაქში პირველი ასეთი „დაწესებულება“ გაიხსნა. მას მნიშვნელოვანი თვისება აქვს — თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით ტუალეტი საღამოს 6 საათზე ჩნდება და ზუსტად დილის 6 საათზე ქრება.

სიახლის პრემიერა დიდი წარმატებით შედგა ლონდონის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას — ტემზის სანაპიროსთან ახლოს მდებარე მეტროს სადგურში. მზის ჩასვლისას ტროტუარიდან ამოიზარდა მასიური, სამადგილიანი ტუმბო მათთვის, ვისაც ნამეტნავად „უჭირს“. ამ გადაუდებელი საჭიროების ოთახით, ჯერჯერობით, მხოლოდ ძლიერი სქესი ისარგებლებს — ტუალეტს კარი არ აქვს, ასე რომ, შემთხვევით გამვლელთა მზერისგან მხოლოდ საკუთარი ზურგით თუ დაიცავ თავს. სამაგიეროდ, ტუმბო ავტომატიზებულია — ჩარეცხვის, დასუფთავების და არომატიზაციის პროცესი კლიენტის გამოსვლისთანავე ხდება. ხელისუფალთა ნოვაცია ალბათ ძალიან მოეწონებათ ლონდონელებს. აქ ღამის ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, „ღამურებისთვის“ ქუჩის ტუალეტები კი არავის დაუდგამს აქამდე.

***ეხო პლანეტი №47***

# ვინ იფიქრებდა?

ირანში ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ამის მომსწრენი გახდებოდნენ. ასეთი რამ ისლამური რევოლუციის დროსაც არ მომხდარა: საზოგადოებასა და წეს-ჩვეულებებს დაუპირისპირდა თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალიშვილი მასუმა ბოლაგი. კარიერა მან ტურისტული ავტობუსის მძღოლობით დაიწყო. მამაკაცების წინ საჭესთან ჯდომის პრივილეგია მან ქალაქ კერეჯაში მოიპოვა. მაგრამ საკითხავია, ისარგებლებენ კი მამაკაცები მისი ავტობუსით?

ქალაქ ყუმში ტაქსის მძღოლებად ქალები კი მუშაობენ, მაგრამ მათ მხოლოდ ქალებისა და ბავშვების გადაყვანა ევალებათ, რაც ისლამური ირანის ტრადიციებს არ ეწინააღმდეგება. ის ფაქტი, რომ ავტობუსის საჭეს ირანელი ქალი მიუჯდა — მართლაც რევოლუციური მოვლენაა.

***კომსომოლსკაია პრავდა №121***

# საქმისა და სულისთვის



მილიონერმა ქალბატონმა ჟიზელა ოერიმ დიდძალი ფული დააბანდა შვეიცარიულ საფეხბურთო კლუბ „ბაზელში“.

ჟიზელას ბავშვობიდან ორი გატაცება ჰქონდა — თოჯინების სახლების შეგროვება და ფეხბურთის თამაში. როცა შვეიცარიელ მაგნატს გაჰყვა ცოლად, გასაქანი მიეცა — ახლა ჟიჟის (ასე ეძახიან მოფერებით) მსოფლიოში ყველაზე დიდი თოჯინების სახლების კოლექცია და ქვეყნის საუკეთესო საფეხბურთო კლუბი ეკუთვნის. თავის მოთამაშეებთან ქალბატონ ბოსს კარგი ურთიერთობა აქვს. მაგ. როდესაც შვეიცარიის პირველობაში გამარჯვება იზეიმეს, ჟიჟიმ ფეხბურთელებთან ერთად იბანავა კლუბისფერებიანი, წითელ-ცისფერი საბანაო კოსტიუმით, რომელიც ძალიან უხდებოდა. თუმცა მას ერთი პრობლემა აქვს — ფეხბურთის სნობები არაფრად აგდებენ მის ფულს და ფეხბურთით გატაცებას. „ლივერპულის“ სტადიონზე, სადაც ჟიჟის „ბაზელი“ თამაშობდა, იგი სწორედ იმიტომ, რომ ქალი ბრძანდებოდა, საგანგებო ლოჟაში არ შეუშვეს. დიდი დავა-კამათის შემდეგ გამონაკლისი დაუშვეს.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# რას იტყვის ალაჰი მობილურით?




ისლამი, რომლის არსებობა თითქმის 1500 წელს ითვლის, მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში პროგრესს ვერ ჩამორჩება. სწორედ რამადანის წინ ეგვიპტეში მობილური კავშირის „მობინილის“ პროვაიდერმა მომხმარებელს ახალი, უფასო მომსახურება შესთავაზა. მთელი თვის მანძილზე ისინი ყურანის განმარტებებს მობილური ტელეფონებით მიიღებენ. ამისათვის აბონენტმა უნდა აკრიფოს მისთვის საინტერესო სურის (თავის) ნომერი. პასუხად, საქვეყნოდ ცნობილი კაიროს ისლამური უნივერსიტეტის „ალ-აზჰარის“ წამყვანი თეოლოგების განმარტებებს მოისმენს. პროექტი საკმაოდ ძვირად ღირებულია. ყურანში სულ 114 სურა — საერთო ჯამში, 78 000 სიტყვაა არაბულ ენაზე.

***ნაუკა ი ტეხნიკა №47***

# „უფლისწული და მათხოვარი“



რომში ვიზიტით ჩასული პრინცი ჩარლზი ბინად ცნობილ „ვოლკონსკაიას ვილაში“ გაჩერდა. თუმცა იტალიაში ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ოფიციალური ვიზიტით ჩაბრძანდა, ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და თავისი საყვარელი პოეტების, კიტსისა და შელის სახლ-მუზეუმები მოინახულა. მუზეუმები მოუვლელია და პრინცმა ფასიანი სადილი გამართა. სადილზე იტალიის უმაღლესი საზოგადოება მიბრძანდა. საქველმოქმედო ტრაპეზით მიღებული შემოსავალი მუზეუმების ასაღორძინებლად გადაირიცხა. ამ ისტორიას, სახელწოდებით „უფლისწული და მათხოვარი“ პრესაში არაერთი სტატია მიეძღვნა.

ჩარლზმა ერთი გაბედული ნაბიჯიც გადადგა — შეხვდა იმ იტალიელ ბიზნესმენებს, რომლებიც ძროხის ცოფთან დაკავშირებული სკანდალის მიუხედავად, მაინც ვაჭრობენ ინგლისური ხორცით. ვახშმად სტუმრებს პრინცმა ინგლისური სისხლიანი ბიფშტექსები მიართვა.

***პარი მატჩი***

# არომატი — უფასოდ



დამათრობელი სურნელით ტკბობა იტალიის დედაქალაქ რომში გახსნილ ერთ უცნაურ ბარში შეიძლება. საკმარისია ზღურბლს გადააბიჯო და ეგზოტიკური სურნელი თავბრუს დაგახვევთ.

„ამ კოქტეილით პიტნის, ლიმონისა და რეჰანის არომატს შეიგრძნობთ“, — უხსნის ბარ „ოლფატორიოს“ მიმტანი კლიენტს. შეკვეთას შამპანურის ბოკალით მიართმევენ მსურველს და იგიც ტკბება საყვარელი არომატით.

ერთი სიტყვით, ამ ბარში უამრავი სუნამოს, ესენციისა და მათი ინგრედიენტების დაჭაშნიკება შეიძლება, თანაც, უფასოდ. კლიენტს იმ მაღაზიების სიასაც მიართმევენ, სადაც მოწონებული სუნამოების ყიდვას შეძლებს. მძაფრი შეგრძნებების მოყვარულთ ბარ „ოლფატორიოში“ ტუალეტის წყალს „ძინს“ შესთავაზებენ. ავტორებმა ცირკის სპეციფიკური ატმოსფეროს შექმნაც სცადეს: ცხოველების, ნახერხის, ტყავისა და... კარამელის სუნი ერთმანეთშია არეული.

***ოჯი***

# ყველაზე დიდი ბლინი

მექსიკელმა მზარეულებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ტაკო (სატენიანი ბლინი) გამოაცხვეს. ხორცით ფარშირებული ბლინი 590 კგ-ს იწონიდა, სიგრძით — 9 მეტრი იყო, სიგანე — 90 სმ.

გასტრონომიულ სასწაულს მაშინვე გადაუღეს ფოტო და ვიდეოფირზეც აღბეჭდეს. სუპერტაკოს დოკუმენტაცია გინესის რეკორდების შტაბბინაში გაიგზავნება, სადაც უნდა დაადასტურონ, რომ მექსიკელმა კულინარებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ბლინი გამოაცხვეს. ახლანდელი ბლინის წინამორბედი სულ 519 კგ-ს იწონიდა. იგი ტეხასში გამოაცხვეს.

ასე რომ, მექსიკელებს პატრიოტული გრძნობაც ამოძრავებდათ: „ტაკო ნაციონალური მექსიკური კერძია. არ შეიძლება ასეთი რეკორდი ამერიკელებს ეკუთვნოდეს“, — ამბობენ ისინი.

***კალეიდოსკოპი №48***

# სექსი ოქროს მედლამდე

ნორვეგიელმა მეცნიერებმა გააცამტვერეს ყბადაღებული მითი იმის შესახებ, რომ სექსი სპორტის ხელის შემშლელი საქმეა. როგორც აღმოჩნდა, კი არ ვნებს — პირიქით, სასარგებლოა. სტარტის წინა ღამეს სქესობრივი აქტივობა პირდაპირპროპორციულია მომავალი შედეგისა. პროფესორმა იორუნ სუნდგოტბორგენმა ცდის პირებად 100 ყველაზე ცნობილი ნორვეგიელი ათლეტი გამოიყენა. მეცნიერები გაოცდნენ, როცა უმეტესობამ აღიარა, რომ სექსის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. სტარტამდე სექსი თურმე „კეთილისმყოფელ“ გავლენას ახდენს შედეგებზე. სექსის დროს სპორტსმენები დუნდებიან, კარგად სძინავთ და სტარტის წინ თავს მხნედ გრძნობენ.

„სექსი საუკეთესო დოპინგია! — ეშმაკურად გაიღიმა თხილამურების მეფემ ოლე-გუნარ ბიერნდალინმა, — სტარტის წინ თავს რომ არ ვიხალისებდე, ვერც ერთ ოლიმპიურ მედალს ვერ მოვიპოვებდი“, — განაცხადა მეცნიერების გასაოცრად სპორტსმენმა.

მიუხედავად ამისა, ისეთებიც იყვნენ გამოკითხულებში, რომელთაც განაცხადეს — სექსი მავნებელია. სტარტის წინ სექსი დამარცხების მომასწავებელიაო.

თუმცა პურიტანები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და მორცხვად სთხოვეს პროფესორს, ჩვენი გვარები არ გაამხილოო.

***ვოტ ტაკ! №48***

# სპილოს პროთეზი გაუკეთეს...



კალგარის პროვინციის ზოოპარკში (კანადა) 20 წლის სპილოს, სპაიკს, მეტრიან ეშვზე უჟანგავი ფოლადის დამცველი გაუკეთეს. თამაშის დროს სპაიკმა ძალზე დაიზიანა მარცხენა ეშვი, გაუჩნდა ნაპრალი, რომელიც ინფექციის შეჭრის საშიშროებას ქმნიდა.

აღნიშნულ ზოოპარკში ლომებისათვის კბილების მკურნალობა ჩაუტარებიათ, მაგრამ სპილოსათვის ასეთი რამ დაუშვებელია. საჭირო იყო 8,5 ათასი დოლარი, რომელიც ხელმოწერით მოაგროვეს. ოპერაციის წინ სპილო დააძინეს, გაუხეხეს დაზიანებული ეშვი, წაუსვეს სპეციალური სითხე და მოარგეს ფოლადის დამცველი, რომელიც ჩაქუჩით ძალზე ფრთხილად დაამაგრეს ეშვზე. ცხოველი ტკივილს არ გრძნობდა. ოპერაციის დროს, რომელიც 3 საათს გაგრძელდა, ხვრინავდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული მარცხენა ეშვი იყო, გადაწყდა, მეორე ეშვზეც გაეკეთებინათ ასეთი საფარველი, რათა 5,5-ტონიან გოლიათს წონასწორობა არ დაეკარგა. ახლა ზოოპარკის თანამშრომლები ხუმრობენ, რომ სპაიკმა ჰოლივუდური ღიმილი შეიძინა, რომელიც თვალისმომჭრელად ელვარებს.

***მირ ნოვოსტეი №46***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | ი | რ | ი | დ | ო | რ | ჯ | ნ | ი | ი | | ნ | ი | | ა | ი | ო | | ს | ო | ე |

**ჩ.** წითელარმიელი მეთაური; **ვ.** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა ალბერტ აინშტაინი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი; **თ.** რა ერქვა აქილევსის დედას, რომელსაც განბანის დროს საკუთარი შვილი ქუსლით ეჭირა; **ა.** აშშ-ის შტატი; **ნ.** კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები; **ე.** მეგრული კერძი; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; **თ.** პატარა მღრღნელი ცხოველი; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **დ.** ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; **ა.** განთიადი, გარიჟრაჟი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **მ.** ქალაქის თვითმმართველობის მეთაური; **ო.** თავაშვებული, წრეგადასული დროს ტარება, ქეიფი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **წ.** ის, რის მიღებასაც ადამიანი ღმერთისგან ითხოვს; **ყ.** დაუკოდავი მამალი ცხვარი, ვერძი, ერკემალი; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **ნ.** ერთგვარი ხელოვნური ბოჭკო; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დისპუტი; **ა.** ამირანი; **ი.** იუნგა; **ს.** სადგისი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნეილონი; **ე.** ენკენი; **თ.** თიანეთი; **ჩ.** ჩინეთი; **ვ.** ვიოლინო; **ე.** ერნესტი; **ნ.** ნათლია; **თ.** თეატრი; **ა.** ანკარა; **ნ.** ნიანგი; **ე.** ეგნატე; **რ.** რიონი; **თ.** თონე; **ა.** ავიცენა; **დ.** დიალოგი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება:: სინდისი კანონთა კანონია.**

ავღანეთი

## ჰამიდ ყარზაიმ დრო უქმად დახარჯა



ბონის მახლობლად, პატარა ქალაქ პეტერსბერგში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ავღანეთში ჰამიდ ყარზაის დროებითი ადმინისტრაციის ერთწლიანი საქმიანობა შეაჯამეს. ჰამიდ ყარზაიმ თავის მოხსენებაში თქვა, — სიამაყით გვინდა გაცნობოთ, რომ ერთი წლის წინანდელი შეთანხმებების ყველა პუნქტი შევასრულეთო, თუმცა არ დაუზუსტებია, რას გულისხმობდა ამ პუნქტებში. ავღანეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნა საერთაშორისო ძალთა ხელშეწყობით გულისხმობდა, რომ მისი მთავარი ამოცანა იქნებოდა თალიბთა საბოლოო განადგურება, ქვეყნის გაერთიანება, ეკონომიკის აღდგენა. მაგრამ არაფერი გაკეთდა.

თალიბთა განადგურებაში ავღანეთი საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიაციას უნდა დაყრდნობოდა. თავიდან თითქოს ყველაფერი გეგმის თანახმად კეთდებოდა. გაზეთები აცხადებდნენ, — თალიბები უკან იხევენ, გამარჯვება ახლოსააო, მაგრამ ახლა კვირა არ გადის ისე, რომ საერთაშორისო სამხედრო კოალიციამ დანაკარგი არ განიცადოს, მათი დისლოკაციის ადგილებს კი ყოველდღე ცხრილავენ. ქაბულშიც კი, რომელსაც გაეროს მშვიდობისმყოფელთა 5-ათასკაციანი ქვედანაყოფი იცავს, მშვიდობა ვერ დამყარდა.

ეკონომიკის აღდგენაში ავღანეთს პირველ რიგში, დონორი ქვეყნები, აგრეთვე, ევროკავშირის ქვეყნები უნდა დახმარებოდნენ, მაგრამ სასიკეთო არაფერი ეტყობა დაქცეულ ქვეყანას. ერთი სიტყვით, დღეს ავღანეთის მთავრობა თავს ვერაფრით მოიწონებს — ცენტრი ვერ აკონტროლებს ქვეყანას, არსებობს ხელისუფლებაში თალიბთა დაბრუნების საფრთხე, მოსახლეობა შიმშილობს, ნარკოტიკების წარმოება არნახულად იზრდება. ჰამიდ ყარზაიმ ეს ყველაფერი არასაკმარისი დაფინანსებით ახსნა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას გამოყოფილი 5 მილიარდის 20 მილიარდამდე გაზრდა მოსთხოვა.

*ნიუზუიქი*

შუა აზია

## ჰელოუ, ამერიკა! პროშჩაი როსია...

უკანასკნელი დღეების მოვლენებით ცხადი გახდა, რომ თურქმენეთი და ტაჯიკეთი საბოლოოდ შორდებიან მოსკოვს. ადრინდელი ლოიალური თავკაცები, რომლებიც კრემლის ყოველ ნაბრძანებს გულმოდგინედ ასრულებდნენ, ახლა საკმაოდ ამბიციურნი გახდნენ. საფარმურატ ნიაზოვმა მოსკოვი იმაშიც კი დაადანაშაულა, თითქოს მასზე თავდასხმა სწორედ რუსეთში მზადდებოდა, ენომალი რაჰმანოვმა კი პრეტენზია წაუყენა რუსეთს — ჩვენ შორის დადებულ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას არღვევო. ის, რომ რუსეთმა დაკარგა ცენტრალური აზია, აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ითქვა. თუმცა ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ლიდერები უარს ამბობდნენ — ასე არ არისო. დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა მართლა დაკარგა უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. ამ ქვეყნებში ამერიკელ სამხედროთა ყოფნა ახალი დროის დასაწყისის მაჩვენებელია. საინტერესოა, რომ თურქმენეთმა, რომელიც აქამდე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და არ მონაწილეობდა ანტითალიბურ კოალიციაში, ახლა მოსკოვს ზურგი აქცია — ყველა თურქმენის მამაზე თავდასხმა სულაც თქვენი მოწყობილიაო. ჩანს, თურქმენბაშის ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ოპოზიცია თავიდან მოეშორებინა (100-ზე მეტი ადამიანია დაპატიმრებული) და საბოლოოდ წასჩხუბებოდა რუსეთს. ახლა იგი დასავლეთისკენ იყურება და ანტიტერორისტულ დაჯგუფებაში გაწევრება მოინდომა. სამაგიეროდ, დასავლეთის მოწონება და, რაც მთავარია, ინვესტიციები დაიმსახურა.

*ნეზავისიმაია გაზეტა №271*

# ჰამლეტი ტყუოდა, როცა ამბობდა, დანია — ციხეაო

ოფიციალური კოპენჰაგენის სკანდალურმა გადაწყვეტილებამ, ჩეჩენი ტერორისტის აჰმედ ზაკაევის გათავისუფლების შესახებ, ცხადყო, რომ „პატარა“ ქვეყნებს სურთ თავიანთი ძლიერება აჩვენონ დიდ რუსეთს.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ აჰმედ ზაკაევი დანიიდან ლონდონში ჩაფრინდა ოჯახთან შესახვედრად. მასხადოვის წარმომადგენლის ოჯახი ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. აეროპორტის პოლიციამ ზაკაევი ჩასვლისთანავე დააპატიმრა, მაგრამ ხანმოკლე დაკითხვისა და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. მას პასპორტი ჩამოართვეს და ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს. დიდი ბრიტანეთის სასამართლო მის საქმეს განიხილავს იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც რუსეთის სამართალდამცავებმა უნდა წარადგინონ 60 დღის ვადაში. ვანესა რედგრეივმა განაცხადა — მისი სახლი (ალბათ თავის სახლს გულისხმობდა) აქ არის და ყველაფერს ვიღონებ ზაკაევის უდანაშაულობის დასამტკიცებლადო.

ოფიციალური ლონდონი ზაკაევს რუსეთს არ გადასცემს, თუ დადასტურდა, რომ რუსეთის მოთხოვნას პოლიტიკური ელფერი აქვს, ან თუ მას რუსეთში სიკვდილით დასჯა ელის.

*ინტერფაქსი*

## კვირის ფრაზა

„ვლადიმირ პუტინი კგბ-ს ყოფილი პირსისხლიანი თანამშრომელია. მას დასავლეთში ჩამოსვლაზე უარი უნდა ეთქვას, რადგან 3 წელია რუსეთის პრეზიდენტია და ჩეჩნების მკვლელობასა და წამებას უდგას სათავეში. დასავლელმა სამართალდამცავებმა უნდა დააპატიმრონ პუტინი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის.“

*კოპენჰაგენი, გაზეთი „ინფორმატორი“*

# გორბაჩოვის შვილიშვილი პარიზში მდიდრების მეჯლისს გახსნის

პარიზში, დებიუტანტთა ტრადიციულ მეჯლისს, რომელსაც მსოფლიოს უცნობილესი ოჯახების შვილები ესწრებიან, წლეულს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტის მიხაილ გორბაჩოვის შვილიშვილი, 20 წლის ქსენია ვირგანსკაია გახსნის. მეჯლისის ორგანიზატორის, ოფელია რენუარის თქმით, ქსიუშამ სიამოვნებით მიიღო მიწვევა — „მის გორბაჩოვა ძალიან სასიამოვნო გოგონაა, სიმპათიური, ის ჩვენი მეჯლისის ვარსკვლავი გახდება.“



ქსენია ვირგანსკაია პარიზში თავის მეგობარ ვაჟთან ერთად ჩავა — კირილ სოლოდიც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია. ქსენიას მეჯლისზე კრისტიან დიორის კაბა ეცმება, რომელიც 22 ათასი დოლარი ღირს. თავის დროზე პარიზის მეჯლისისათვის ტანსაცმელი კრისტიან დიორის სამოდელო სახლმა შეუკერა ჯორჯ ბუშის ძმისწულს — ლორენს. წელს დიორის სახე — გორბაჩოვის შვილიშვილი იქნება.

ამბობენ, რომ გაისად ამ მეჯლისზე უკვე ქსენიას დას — 16 წლის ანასტასიას მიიწვევენ.

*დეილი ტელეგრაფი*

# ერაყში უკვე ომობენ

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავები თითქმის ყოველდღე ბომბავენ ერაყს, ინსტრუქტორები კი სამხედრო ბანაკებში ქურთ ამბოხებულებს მომავალი ომისათვის ამზადებენ. შენდება სამხედრო აეროდრომები, საიდანაც თვითმფრინავები ბაღდადისაკენ გაფრინდებიან.

ერთი მხრივ, ლაპარაკია „საიდუმლო“ ომზე, მეორე მხრივ, ამერიკელები სულაც არ უმალავენ საზოგადოებრიობას და არც მოწინააღმდეგეს, რომ საომრად ემზადებიან.

აშშ და ბრიტანეთი დროდადრო დიდი ომის დასაწყისის „რეპეტიციებს“ ატარებენ. ერაყი მობილურ სარაკეტო დანადგარებს სამხედრო ბაზებიდან მოშორებით, დასახლებული პუნქტების მახლობლად აყენებს, ისე რომ, საპასუხო დარტყმის შემთხვევაში ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები დაზარალდება.

სხვადასხვა წყარო იუწყება, რომ დასავლეთ ერაყში უკვე მოქმედებს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ისრაელის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების რაზმები, რომლებიც მზად არიან ნებისმიერ მომენტში გაანადგურონ ერაყის მობილური რაკეტების გამშვები დანადგარები. დამკვირვებელთა ვარაუდით, დიდი ომი შესაძლოა გაეროს ინსპექტორების მისიის დამთავრებისთანავე დაიწყოს — ამერიკელები მხოლოდ საბაბს და ხელსაყრელ მომენტს უცდიან.

*ვლასტი №49*

# თათრეთის პრეზიდენტი პუტინს უჩივლებს



თათრეთის პრეზიდენტი უკმაყოფილოა რფ-ის ხალხების ენების შესახებ რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესწორებებით. კანონის თანახმად, კირილიცა ხდება თათრეთისა და რუსეთის ფედერაციაში შემავალი ყველა რესპუბლიკის ანბანი. მინტიმერ შაიმიევმა განაცხადა, — რუსეთის პრეზიდენტმა ხელი კიდეც რომ მოაწეროს ბრძანებულებას, თათრეთი მაინც ლათინურ ანბანზე გადავა, მე კი განჩინებას საკონსტიტუციო სასამართლოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში შევიტან, რადგან ახალი შესწორებები რუსეთის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლს არღვევსო. შაიმიევს სხვა არგუმენტებიც მოჰყავს. მაგალითად, კირილიცას გამოყენებით ვერ ხერხდება ზოგიერთი თათრული სიტყვის სწორად დაწერა; ეს თათრებს არ აძლევს მსოფლიო საინფორმაციო სისტემაში შესვლის საშუალებას. ისტორიული მიზეზიც არსებობს: მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ 1939 წელს კირილიცაზე თათრების ძალად გადაყვანამ მათ კულტურას დიდი ზიანი მიაყენა. ახალი კანონი ამ ზიანს კიდევ უფრო გააღრმავებს.

*ვერსია №47*

ჩეჩნეთი

## მასხადოვმა ქალაქ ჯოჰარში ბოევიკები შეკრიბა



„ჩეჩენ-პრესის“ საიტზე სენსაციური შეტყობინება გაჩნდა — ასლან მასხადოვმა ჯოჰარში (ბოევიკები გროზნოს ჯოჰარს ეძახიან) საველე მეთაურების შეკრება ჩაატარა. ინფორმაციაში ნათქვამია: ეს ყველაფერი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და რამდენიმე თვე მზადდებოდა, მაგრამ რესპუბლიკის დედაქალაქში იჩქერიის ლიდერს მაინცდამაინც არ გასჭირვებია ჩასვლა, ყოველ შემთხვევაში, ჩადრში ნამდვილად არ გახვეულაო.

იგივე საიტი იტყობინება, რომ გროზნოს თათბირს რამდენიმე საველე მეთაური დაესწრო. ასლან მასხადოვმა ვინმე აიდემიროვის მეომართა ჯგუფი დააჯილდოვა ხანკალასთან ფედერალური შვეულმფრენების ჩამოგდებისათვის. მართალია, რუსული მხარე ირწმუნება, ამაზე პასუხისმგებლობა სხვა საველე მეთაურმა — ჯამბულათ სამხადოვმა აიღოო, მაგრამ მასხადოვმა უკეთ არ იცის?

თუ ვივარაუდებთ, რომ „ჩეჩენ-პრესის“ ეს ინფორმაცია მორიგი სიცრუე არ არის, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უსიამოვნო პერსპექტივა ისახება.

რუსეთის ჯარის მეთაურები აცხადებენ, — გროზნო საიმედოდ არის დაცულიო. არადა, ბოევიკები უშიშრად იკრიბებიან ქალაქში და მაინცდამაინც არ აღელვებთ, რომ ლამის ორ ნაბიჯზე, ხანკალაში, ფედერალთა შტაბია.

ინფორმაციის შესამოწმებლად „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილეს, ვახა ბაიბატიროვს დაუკავშირდა. მან თქვა: — თუ მასხადოვმა გროზნოში მართლა ჩაატარა ბოევიკების შეხვედრა, კაპიკია სამხედროებისა და სპეცსამსახურების ფასი. მეტსაც გეტყვით, თუ ფედერალური ხელმძღვანელობა ტყუილებით გვბერავდა, ტერორისტები ჩვენი შიშით ცახცახებენო, ისინი სამართალში არიან მისაცემი.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №234*

## მოკლედ

როგორც გაზეთი „დი ველტი“ იუწყება, **აშშ**-ის ეკონომიკურ გუნდში ცვლილებების მიზეზი გახდა დოლარის კურსის ევროსთან მიმართებაში ერთი ცენტით დაცემა. პრეზიდენტმა ბუშმა გადააყენა ფინანსთა მინისტრი ო'ნილი და თეთრი სახლის ეკონომიკური მრჩეველი ლოურენს ლინდსი. ბუშის მთავრობაში ო'ნილი პირველი მინისტრია, რომელმაც იძულებით დატოვა პოსტი.

გარდაცვალებიდან 132 წლის შემდეგ **პარიზის** პანთეონში გადაასვენეს თაობების უსაყვარლესი ფრანგი მწერლის ალექსანდრ დიუმას ნეშტი, რომელიც დაკრძალული იყო მწერლის მშობლიურ ქალაქ, ვალერი-კოტეერში. კუბოს ათასობით თაყვანისმცემელთან ერთად მუშკეტერები მიაცილებდნენ, ქუჩებში კი თამაშდებოდა სცენები მისი რომანებიდან.

**არაბთა გაერთიანებული საამიროს** შექმნის 31-ე წლისთავის აღსანიშნავად დუბაიში უზარმაზარი ტორტი გამოაცხვეს. იგი 3,1 ტონას იწონიდა. ქუჩაში გამოტანილი ტორტით ყველა მსურველს გაუმასპინძლდნენ.

**ინდონეზიის** კუნძულ სულავესიზე ააფეთქეს „მაკდონალდს“-ის რესტორანი. დაიღუპა ერთი ადამიანი, 3 მძიმედაა დაჭრილი.

**„ვაშინგტონ პოსტის“** ცნობით, სამხრეთ კაროლინის შტატის წარმომადგენელი სენატში სტრომ ტურმონდი 100 წლისა გახდა და აშშ-ის უხუცესი მოქმედი სენატორის წოდება მიენიჭა. 2003 წლის იანვრიდან იგი გადადგება. სენატში მოწვეულ საგანგებო სხდომაზე ამერიკული კანონმდებლობის პატრიარქმა თქვა, — ყველა ძალიან მიყვარხართ, განსაკუთრებით, თქვენი ცოლებიო.

**აშშ**-ის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში ქარბუქის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. დიდთოვლობის გამო 12 შტატში დაიხურა სკოლები, ათასობით სახლი ელექტროობის გარეშე დარჩა. ზოგან თოვლის საფარი 25 სანტიმეტრს აღემატება.


გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება?
კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ
უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:

- თქვენს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).

მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57

თუ უკანონო მშენებლობით
ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,

სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას,
აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში,
ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.

მის: რუსთაველის გამზ. № 23, ტელ: 92-05-94

# ქონების მართვის სამინისტრომ საბირჟო აუქციონისთვის 18 საწარმო გაიმეტა

AES-თელასის ერთი აქციის საწყისი ღირებულება ყველაზე მაღალი იქნება 10 დეკემბერს დანიშნულ პირველ საბირჟო აუქციონზე, სადაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო მის საკუთრებაში არსებული 18 საწარმოს აქციებს გაყიდის. ამ დღეებში გამოქვეყნებულ სამინისტროს მიერ წინასწარ შედგენილ ნუსხაში შესულია ისეთი კომპანიები, როგორიცაა „ხაშურის მინის ტარა“, „ქუთგაზი“, „გორიგაზი“, „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“, „საქპრესა“, „მარტინ ბაუერი-ტყიბული“ და ა.შ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიების რიცხვი სულ თვრამეტია და აუქციონზე წარმოდგენილი იქნება აქციების სხვადასხვა პაკეტი — ერთიდან 90 პროცენტამდე.

როგორც ჩანს, შედარებით მიმზიდველი აუქციონზე სწორედ AES-თელასის აქციები იქნება. ერთი აქციის საწყისი ღირებულება 0.77 დოლარით განისაზღვრება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ AES-თელასს სულ 81, 147, 886 აქცია აქვს გამოშვებული. გასაყიდად კი გამოვა ზუსტად 1 მილიონი აქცია ანუ სახელმწიფოს მთლიანი წილის (24%) ზუსტად 1.23 პროცენტი. თუ ეს გარიგება შედგა, სახელმწიფომ წესით, სულ ცოტა 769 ათასი დოლარი უნდა მიიღოს. შესაძლოა მიმზიდველი იყოს „საქპრესაც“. კომპანიის ერთი აქციის საწყისი ღირებულება 0.53 დოლარად განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ „საქპრესას“ მთლიანად გამოშვებული აქვს 220, 934 აქცია, აუქციონზე კი უნდა გაიყიდოს ზუსტად 33 ათასი ცალი. ეს კი გახლავთ სახელმწიფო წილის 14.94%. წინასწარი გათვლებით, სახელმწიფომ აღნიშნული წილის გაყიდვით 17,553 დოლარი უნდა მიიღოს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ნუსხაში მოხვდა ასევე „ხაშურის მინის ტარისა“ და „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ აქციები. სამინისტრო ამ საწარმოებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის საკმაოდ დიდი ნაწილის გაყიდვას აპირებს. აუქციონზე „ხაშურის მინის ტარის“ მთლიანი სახელმწიფო წილის 18,59%-ი მოხვდება, ხოლო „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ შემთხვევაში — ზუსტად 15%. სახელმწიფო ორივე ამ საწარმოს აქციების გაყიდვის შემთხვევაში საკმაოდ დიდ შემოსავლებს გეგმავს, რა თქმა უნდა, AES-თელასის შემდეგ.

სხვათა შორის, თავის დროზე ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ამ აუქციონის მეშვეობით, სახელმწიფო თავიდან მოიცილებდა ყველა იმ საწარმოს, რომელიც მას არაფერში სჭირდებოდა და რომელიც მას, ამ ბოლო დროს, უბრალოდ, დიდ თავის ტკივილად ექცა. ამასთანავე ექსპერტები იმასაც ეჭვობდნენ, რომ ქონების მართვის სამინისტრო სააუქციონედ ვერ „გაიმეტებდა“ ისეთ რენტაბელურ თუ მყიდველისთვის მიმზიდველ საწარმოებს, როგორიცაა თუნდაც „ელექტროკავშირი“ და „აზოტი“, რაც გამართლდა კიდეც.

სხვათა შორის, ჩვენთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ „ხაშურის მინის ტარა“, „ქუთგაზი“ და AES-თელასი უკვე არაერთხელ მოხვდნენ აუქციონზე. როგორც სპეციალისტები ამბობენ, სწორედ აქციებზე მაღალი ფასი იქცა იმ ძირითად მიზეზად, რომლის გამოც ამ საწარმოებმა თავის დროზე ინვესტორების ყურადღება ვერ მიიქციეს. საფონდო ბირჟის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ სვანიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ AES-თელასის აქციებზე გარიგება სულ ახლახან, აგვისტოს თვეში მოხდა და მაშინ ერთი აქცია 0.50 ლარად ძლივს გაიყიდა: „როგორც ჩანს, მადა ჭამაში მოდის“ და ახლა ქონების მართვის სამინისტრომ აქციის საწყისი ფასი მნიშვნელოვნად გაზარდა, ზუსტად 0.77 დოლარამდე. ანალოგიური სიტუაციაა სხვა საწარმოების შემთხვევაშიც. ყოველივე ეს კი აუქციონის წარმატებას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს“.

საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობის პოზიციას, რომ აუქციონზე წარმოდგენილი აქციების საწყისი ფასი საკმაოდ მაღალია, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელიც მომავალი აუქციონის წარმატებაშიც დარწმუნებულია.

*ლელა წითლანაძე*

**10-12 დეკემბერს საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონზე გასატანი საწარმოების ნუსხა**

| კომპანიის დასახელება | შემოთავაზებული აქციები: რაოდენობა | შემოთავაზებული აქციები: სახელმწიფოს მთლიანი კაპიტალის % | საწყისი ფასი ერთი აქცია $-ის კურსით |
|---|---|---|---|
| ხაშურის მინის ტარა | 400.00 | 18,59% | 0.250 |
| სამტრედიის ჩაის კომბინატი | 18.776 | 3,65% | 0.250 |
| სვირი (ზესტაფონის ღვინის ქარხანა) | 15.419 | 28,18% | 0.365 |
| აირი (გაზის საექსპლუატაციო საწარმო გორი-გაზი) | 76.884 | 37,07% | 0.250 |
| ორპირი ჩაი (ტყიბულის ორპირის ჩაის ფაბრიკა) | 3.019 | 4.52% | 0.250 |
| მარტინ ბაუერი — ტყიბული | 3.336 | 2,44% | 0.500 |
| ვაჭრობტრანსი | 18.016 | 16,72% | 0.250 |
| ქუთგაზი | 231.744 | 42,95% | 0.250 |
| ენერგომშენი | 45.846 | 8,33% | 0.250 |
| ვერე | 3.825 | 6,17% | 0.192 |
| AES-თელასი | 1.000.000 | 1,23% | 0.769 |
| ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა | 1.446.880 | 15,0% | 0.192 |
| ტოპო გეოდეზია | 33.700 | 39,06% | 0.127 |
| საქპრესა | 33.000 | 14,94% | 0.532 |
| სპეცმშენი (ხონი) | 2.846 | 9,11% | 0.140 |
| არქი 2000 | 333.533 | 24,91% | 0.192 |
| იმედა (მარნეული) | 43.377 | 33,97% | 0.126 |
| თეკო | 291.070 | 90,10% | 0.115 |

STREAMLINE ENGLISH
პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტთან არსებული ინგლისური ენის შემსწავლელი აუდიო-ვიდეო კურსი გიწვევთ სასწავლებლად ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით, ყოველდღიური მეცადინეობით. გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა ინსტიტუტის სერტიფიკატი შესაბამისი დონის მიხედვით.
მის: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართ, ოთ. 530
☎ 55-20-63 (75-60-73)

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1650 |
| ევრო | 2,1695 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4075 |
| რუსული რუბლი | 0,0680 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3968 |

(დასაწყისი იხ. გვ.13)

# „სამშობლო ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რო გიყვარდეს შიგ და ქერქი არა...“

## აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში მოსმენილი მძიმე დიალოგები

ბოლოს ლოგინში შეთრევაც დამიპირა მაგ გათახსირებულმა და მაშინ იყო კაი პასუხი რომ გავეცი, მაგრამ მეც რას ვიზამდი — „ნე აფიციალნა“ ვიყავი უცხო ქვეყანაში და საემიგრაციო სამსახური ხელათე გამომაპანღურებდა ქვეყნიდან.

იქვე გვერდზე სამი გოგონა ჩამომჯდარიყო.

— ნინი, ხომ არ მივაფურთხოთ ეშმაკს, დავაბრუნოთ ბილეთები და წავიდეთ შინ. გოგო, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს. ვერაფრით შევეგუე იმ აზრს, რომ სტრიპტიზბარში თითქმის შიშველმა უნდა ვიცეკვო.

— კარგი რა, ეკა, ნუ ხარ ურწმუნო თომასავით. მალხაზი კარგი ბიჭია და არ მოგვატყუებს. თვეში 1.500 დოლარს გვპირდება. ამდენი ფულისთვის გინდა ტიტველი ვიცეკვებ და გინდა — სამასკარადო კოსტიუმში გამოწყობილი. ხომ იცი, ამდენ ფულს ანსამბლში ორი წლის განმავლობაში ვერ ავიღებთ. სცენაზე, ფერხულის ცეკვის დროს გული რომ შეგიწუხდა, ის ამბავიც გაიხსენე.





— ცეკვის გარდა სხვა რამე რომ მოგვთხოვონ?

— ნუ გეშინია, მალხაზი მაგის გარანტიას გვაძლევს...

ამ დროს მოსაცდელ დარბაზში (როგორც შემდეგ გაირკვა) მთელი ჯალაბი შემოვიდა — ოთხსულიანი ოჯახი, ცოლ-ქმარი ორი მცირეწლოვანი ბავშვით უცხოეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ მიემგზავრებოდა. ოჯახს რამდენიმე კაცი აცილებდა. ჩვენს შორიახლოს გაჩერდნენ. გამცილებლებს შორის თეთრი წვერ-ულვაშით დამშვენებული ახოვანი მოხუცი იქცევდა ყურადღებას, იგი უკმაყოფილო სახით რაღაცას ელაპარაკებოდა ოჯახის უფროსს. როგორც შემდეგ გავიგეთ, მოხუცი ოჯახის უფროსის მამა ყოფილა.

— სამჯერ იყავი, ბიჭო, იმ საზღვარგარეთ, მაგრამ შენი ჩამოტანილი კაპიკი არც მე მინახავს და არც შენს ოჯახს. ორი წელიწადი მე ვინახავდი შენს ცოლ-შვილს. ხომ დაინახე, რომ არ გაგიმართლა... ახლა ადექი და ოჯახიანად აიყარე საქართველოდან და „გრეკების“ ქვეყანაში მიეთრევი. რისი იმედით, ვინ გყავს იქ პატრონი და გულშემატკივარი, რომ გაგიჭირდეს, კაცი წყალს არ დაგალევინებს. ან ეს ბავშვები რომ მიგყავს, ნამუსი აღარ გაქვს? ვინ და როგორები გაიზრდებიან სამშობლოს მოწყვეტილები. ესენი მაინც დაგეტოვებინა და თუ წასვლაა, მარტო შენ და შენი ცოლი წასულიყავით.

— კარგი, მამი, აღარ გეყო ამდენი ნოტაციის კითხვა? ხომ გითხარი — უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. ჩემი ცოლი მომვლელად დაიწყებს მუშაობას იმ ფერმერის ოჯახში, სადაც მე მუშების ზედამხედველი უნდა ვიყო. ქალს თვეში 500 დოლარი ექნება, მე სამჯერ მეტი და თანაც კაპიკი არ დაგვეხარჯება არც საჭმელსა და არც ბინაში. ფერმერი იმასაც დამპირდა, ბავშვებს საბავშვო ბაღში მოგიწყობო, ოღონდ გვარი უნდა შევიცვალო და ბერძნულ გვარზე უნდა დავეწეროთ. როცა ჩამოვალ, ისევ ქართველად დავეწერები. ერთი სიტყვით, ტუზი დამეცა, შენ კი მეჯიჯღინები.

— ბიჭო, შენი ცოლი რისი მომვლელია, თანაც ვიღაც ბერძენი ფერმერის მიხრწნილი დედის! არ გახსოვს, დედაშენი ლოგინად რომ ჩავარდა, მისთვის ერთი ჭიქა წყალი არ მიუწოდებია და თეთრეული არ გამოუცვლია და ახლა ვიღაც გადამთიელის გულისთვის მოიკლავს თავს? ან შენ რომელი აგრონომი და მებაღე მყავხარ, რომ პლანტაციაში მუშებს ზედამხედველობა გაუწიო? ორიოდ კვირაში შეგატყობენ, რა ხვითოც ხარ და სულ წიხლის კვრით გამოგაგდებენ. ან ეროვნების შეცვლა რამ გაფიქრებინა? სად გამოვყო თავი, შვილი გამიბერძენდა და მათ გვარზეა ჩაწერილი-მეთქი. რას მეტყვის ხალხი?

— მარტო ქართველობაში შენც კარგად ხედავ, არაფერი ყრია. რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ქართველი ვიქნები თუ ინდოელი, მთავარია, კარგად ვიცხოვრო.

— ერთი ის კაცი დამაჭერინა, ვინც შენ ტვინი გადაგიბრუნა და ქართველობაზე უარი გათქმევინა. ამას როგორ ამბობ, ბიჭო, ქართველობა არ მინდაო? არ გრცხვენია? აა, შეხედე, ესენიც შენსავით აცუნდრუკებული ხალხია. პროცენტიანი ვალები დაიდეს და იმ ფულით მიემგზავრებიან უცხოეთში მილიონების გასაკეთებლად. ვაი ჩემს და თქვენს პატრონს უბედურს! რატომ არ ფიქრობთ, რომ საზღვარგარეთ დოლარები ხეზე არ იზრდება. თუნდაც იზრდებოდეს, შენ მოასწრებ იქაურებს? ესენიც შენსავით მონობის ნებაყოფლობით უღელს იდგამენ. შენგან ვიცი, ფორთოხლის და ზეთისხილის პლანტაციებში პაპანაქება სიცხეში 16-18 საათს ამუშავებენ საქართველოდან ჩასულებსო. ამდენი საქართველოში იმუშავეთ და მეტ ფულს გააკეთებთ.

— მამი, გადაწყვეტილია ყველაფერი და გამგზავრების წინ გუნებას ნუ გამიფუჭებ. საქართველოში ცხენზე რომ დავჯდე და ვენახში გავიდე, ბიჭებს როგორ დავენახვო. სიცილით დაწყდებიან.

— დავით აღმაშენებელი და ერეკლე მეფე ცხენზე არ იჯდა და ისე არ უვლიდნენ საქართველოს? საქართველოში შრომა სამარცხვინოდ მიგაჩნიათ და უცხოეთში კი თურმე ნაგვის გატანაც შეიძლება იმიტომ, რომ იქ ნაცნობი ვერ დაგინახავს...

როცა აეროპორტის რადიომ მგზავრებს რეგისტრაციის გასავლელად უხმო, მხოლოდ მაშინ გაჩუმდა მოხუცი. მგზავრებსა და გამცილებლებს შორის ხვევნა-კოცნა გაიმართა. ბაბუასთან პატარა შვილიშვილები მიბაჯბაჯდნენ გამოსამშვიდობებლად. ჩაიმუხლა, ორივე გულში ჩაიკრა, დიდხანს ეფერებოდა, თან ეჩურჩულებოდა, — „ბაბუებო, „დედაენა“ რომ გაჩუქეთ, არ დაკარგოთ, ის იქნება თქვენი საქართველო. დედას სთხოვეთ და იმ წიგნებიდან გასწავლით კითხვას. იქნებ ამ წიგნებმა არ მოგწყვიტონ იმ ფესვებს, საიდანაც მოვდივართ.“

— ბაბუ, ბაბუ, ჩვენთან წამოდი რა...

— არა, ბაბუ, ვერ წამოვალ. აქ თქვენი ბებიკოს საფლავია და იმას ვერ მივატოვებ. რომ ჩამოხვალთ, მეც იმ საფლავზე მომძებნეთ, — მოხუცს თვალებიდან ცრემლი ღვარად გადმოსდიოდა. მე და ჩემმა მეგობარმა ერთმანეთს გადავხედეთ. ყელში ბურთივით გაგვეჩხირა რაღაც. თვითმფრინავის გაფრენამდე ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. თითქოს ჩვენი ბრალი ყოფილიყოს ყოველივე ის, რაც რამდენიმე წუთის წინ მოვისმინეთ.

აეროპორტიდან გამოსულმა მთვარით განათებულ ცას შევხედე. ქარს ღრუბელი გადაეყარა. ცა მოსარკულიყო. სიჩუმე თვითმფრინავის ძრავების ხმამ გაკვეთა — ქართველები ევროპისკენ უკეთესი საცხოვრებელი პირობების გამო მიფრინავდნენ. ტაქსის გაჩერებაზე ის მოხუცი შევამჩნიე, მარტო იდგა, რაღაცნაირად დაპატარავებული მეჩვენა, მაღლა იყურებოდა და რაღაცას ჩურჩულებდა, აშკარა იყო, ლოცულობდა.

P. S. „სამშობლო ხაჭაპური არ არის, მარტო ყველი რო გიყვარდეს შიგ და ქერქი არა, არც ქიშმიშიანი ნამცხვარია სამშობლო, ქიშმიში რომ ამოარჩიო შიგ და დანარჩენი გადაყარო. სამშობლო ყველაფრიანად უნდა გიყვარდეს — ქერქიანად, ნახშირიანად, ნაცრიანად, მტვრიანად, ნაკლითა და უნაკლოდ, ყველიანად და ქიშმიშიანად... ყველანაირი, ცუდი, კარგი, მახინჯი, ლამაზი, მშიერი, მაძღარი, შიშველი და შემოსილი, ბედნიერი და უბედური, ყოველნაირი...“ — ამბობდა ცხონებული ნოდარ დუმბაძე. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ სამშობლოს სიყვარული მისი გვერდზე დგომაა ჭირშიც და ლხინშიც და არა მისი განსაცდელში მიტოვება.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

„ტოპსერვისი“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპული მ/მ ტანსაცმლის ფართო არჩევანი
საბითუმო ფასები
ფუთები სხვადასხვა წონით

☎ 38-84-24
899-10-02-81
899-97-08-81

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი Zeus
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
- ქიები 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- 21 GEL
- 47 GEL
- 19 GEL
- 1.31 GEL

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46 თბილისი, ზუბალაშვილის ქ. 2

სათამაშოების მაღაზია

ათონელის ქ. 18
☎ 899-97-08-81
რატომ იყო ჩევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა...
შეიძინეთ ბავშვისთვის სათამაშო!

# ცხოვრებისეული კურიოზები

## პოლი – პოლიციელი



ერთი მეგობარი მყავს. ბავშვობიდან მოყოლებული მეტსახელად პოლის ვეძახით. თანაც დიდობაში პოლიციელი გახდა და შერჩა და შერჩა პოლი, მგონი თვითონაც არ ახსოვს, ნამდვილი სახელი რა ჰქვია.

ერთხელ ვიღაც დაიჭირა, იარაღის უკანონო შენახვისათვის და ჩამოართვა კიდევაც უკანონო თოფი თუ ავტომატი, ზუსტად ვერ გეტყვით. იარაღის პატრონმა ბევრი ეხვეწა, გამიშვი, გამიშვიო და ფულიც შესთავაზა. პოლიმაც გაუშვა, იარაღიც გაატანა და... თავისი კუთვნილიც აიღო(!).

გავიდა არცთუ ისე დიდი ხანი და ისევ დაიჭირა ისევ ის კაცი, ისევ იარაღის უკანონო შენახვისათვის.

— ცხვარს ერთხელ ატყავებენ, ძმაო!.. — დაიწუწუნა იმ კაცმა.

— სწორია! — დაუკრა კვერი პოლიმ. — ერთხელ ატყავებენ, მაგრამ რამდენჯერმე პარსავენ!..

***თამარ კობაიძე, ქუთაისი***

## „ლენცეხი-მესცის"...

ერთხელ, ქუთაისში ყოფნისას, ერთ-ერთ მინიმარკეტში შევიარე საყიდლებზე. ფეხდაფეხ ერთი შუახნის კაცი შემოვიდა, რომელმაც ერთად თავმოყრილ და ერთმანეთთან საუბრით გართულ გამყიდველებს მიმართა:

— გამარჯობათ, გოგოებო! რომელი ხართ აქ სიგარეტის სექციაში?.. — საუბრის კილოზე შეეტყო, რომ სვანია, ისე მძიმე-მძიმედ და დაძაბულად წარმოთქვამდა სიტყვებს.

ქალებმა საჩქაროდ დაიკავეს თავ-თავიანთი ადგილები. მოსულმა გამყიდველს ფული მიაწოდა და ეუბნება:

— ერთი ლენტეხი-მესტია მომეცი!..

გოგონამ ვერაფერი გაიგო.

— მასეთი სიგარეტი არა გვაქვს, ბატონო!.. — მიუგო დაბნეულმა როდის-როდის.

— როგორ არა გაქვთ, აგერ შეხედეთ, ამ სიგარეტის მეტი რა გიწყვიათ მანდ?! — მიანიშნა თაროზე უხვად ჩამომწკრივებულ „LM"-ზე.



გამყიდველმა ახლა კი უცბად გაიაზრა ნათქვამი, თაროდან ერთი კოლოფი „LM" გადმოიღო და კლიენტს მიაწოდა.

თავისივე ხუმრობით კმაყოფილმა სვანმა გაბადრული სახით დატოვა მინიმარკეტი.

***რეზო მუხიანელი, თბილისი***

## რა ღირს კარტოფილი? ტესტი

### პაროდიის კუთხე




**1. ქუჩაში შეამჩნიეთ ხალხმრავლობა. თქვენ:**

ა) კითხულობთ: „რა მოხდა?" (1 კგ).

ბ) კითხულობთ: „რა მოხდა-მეთქი?!" (1,5 კგ).

გ) კითხულობთ: „რა ღირს კარტოფილი?" (1,8 კგ).

**2. ბაზარში ყიდულობთ ხახვს. თქვენ:**

ა) იყიდით 10 კგ ხახვს და შინ წახვალთ (1 კგ).

ბ) იყიდით 5 კგ ხახვს და შინ წახვალთ ტაქსით (1,5 კგ).

გ) იყიდით 5 კგ ხახვს, დარჩენილი ფულით კი კარტოფილს, რამდენიც მოგივათ (1,8 კგ).

**3. მეგობარმა დაგპატიჟათ შემწვარ კარტოფილზე. თქვენ:**

ა) ჰკითხავთ: „როგორ შეწვი ასე გემრიელად?" (1 კგ).

ბ) ჰკითხავთ: „ვინ შეგიწვა ასე გემრიელად?" (1,5 კგ).

გ) ჰკითხავთ: „რა მიეცი კარტოფილში?" (1,8 კგ).

**4. შინ მიიტანეთ 2 კგ კარტოფილი, აწონეთ და 200 გრამი აკლია. თქვენ:**

ა) არ შეიმჩნევთ და შეწვავთ 800 გრამს (1 კგ).

ბ) გაიქცევით ბაზარში და მიუბრუნებთ კარტოფილს მატყუარა გამყიდველს (1,5 კგ).

გ) გაიქცევით ბაზარში და უბრალოდ ეტყვით გამყიდველს: „რატომ დამაკელით წონაში, ეს ნამდვილად არ უნდა გეკადრებინათ!" და უკანვე წამოხვალთ (1 კგ და 800 გრამია და კიდევ დავამატო?).

**5. ბაზარში გაძვირდა კარტოფილი. თქვენ:**

ა) სხვაგან იყიდით კარტოფილს (1 კგ).

ბ) აღარ იყიდით კარტოფილს (1,5 კგ).

გ) სულაც დათესავთ კარტოფილს (1,8 კგ).

**6. რომელია თქვენთვის იდეალური კარტოფილი?**

ა) ახალციხის კარტოფილი (1 კგ).

ბ) მარნეულის კარტოფილი (1,5 კგ).

გ) სვანური კარტოფილი (1,8 კგ).

### დაითვალეთ კილოგრამები:

**თუ თქვენ დააგროვეთ 7,5 კგ-მდე კარტოფილი, მაშინ კარტოფილი ღირს 60 თეთრი, სამაგიეროდ, კარგია! ნახე, თითო ცალი ლამის 300-400 გრამს იწონის! იაფიანი რომ იყიდო, ნახევარი არ ვარგა და სჯობს ისევ ეს იყიდო. რა ვქნა, ვერ დავაკლებ, ცოტა მეც ხო უნდა დამრჩეს რამე...**

**თუ დააგროვეთ 7,5-დან 9,5 კგ-მდე კარტოფილი, მაშინ კარტოფილი ღირს 50 თეთრი. ამასაც არა უშავს, მშვენიერი კარტოფილია, გადაგირჩევ კარგებს. თუ გინდა, შენი ხელით აარჩიე, რამდენი გინდა? 2 კილო და 700 გრამი? კაი რა, გავხადოთ ბარემ 3 კილო და ეგ იქნება!**

**ხოლო თუ 9,5 კგ-ზე მეტი კარტოფილი დააგროვეთ, მაშინ კარტოფილი ღირს 40 თეთრი. თუ ბევრს წაიღებ, მაშინ 35 თეთრად მოგცემ. კაი, თუ გინდა 3 კილოს ლარად მოგცემ... არა? ეეე! შენ არ გდომებია კარტოფილი და...**

***პირდაპირი რეპორტაჟი დეზერტირის ბაზრის კარტოფილის სექციიდან მიჰყავდა ზაქრო ინწკირველს***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტები



— ჭიჭიკია, რას აჭმევ, ბიჯო, ამ ბატებს?

— რას ვაჭმევ და „კორმას"!

— მერე აჭამე შენ ნაზიკიასაც, გახდება პატარა!

***„სიხარა", თბილისი***



მოშეს თავისი 6 წლის ბიჭი ეუბნება:

— მამი, შენთან ორი შეკითხვა მაქვს.

— აბა, მკითხე!

— პირველი, შეიძლება მომცე ერთი ლარი ბატიბუტის საყიდლად? და მეორე — რატომ არ მაძლევ ერთ ლარს ბატიბუტის საყიდლად?

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***



პოლიტიკურ თემაზე:

ასაფლავებენ მოხუც პოლიტიკოსს. წარმოთქვამენ გამოსათხოვარ სიტყვას:

— დღეს ჩვენ ვემშვიდობებით გამოჩენილ პოლიტიკოსსა და კრისტალურად სუფთა ადამიანს...

ჭიჭიკია ბიჭიკიას:

— ბიჯო, ვერ მითხარი, ორ კაცს თუ მარხავდენ ერთი კუბოთი?!

***ვანო შავდათაშვილი, თბილისი***



სვანი შევა მაღაზიაში ცოლისთვის კოლგოტის საყიდლად. იყიდის და გამოსვლისას ხედავს, კოლგოტს აწერია „25 DEN".

— შეხედე ამათ, იშოვეს ფული ვაჭრობით — 25-საათიანი დღეი აქვთ!

***თამუნა ჭონქაძე, თბილისი***

— მიხო, სადა ხარ, აღარა ჩანხარ!

— შინა ვარ მიტუა, ვზივარ ჩემს მაროსთან და გარეთ ცხვირ არა ვყოფ!

— რათა, რათ ჩაკეტილხართ, რომელი თაფლობითვე თქვენა გაქთ, თქვენი ხნისა ქვა აღარა გდია ალაზნიპირასა!

— მოტაცებისა გვეშინიან!

— რომელი მზეთუნახავი შენა გყავ მანდა!

— იი, ბრიყვო! პიტერ შოუ მზეთუნახავი იყო, რო მაიტაცეს?!

***დ.მ., თბილისი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***


## სიცილი ჯანმრთელობაა!



*როცა ცხოვრება მძიმდება, — სიცილი უფრო გვიხდება...*

**გაიღიმეთ ჩვენთან ერთად!**

# მამულ-დედული

## შერეული თესვა — სიუხვის საწინდარი

### კომბოსტო და კიტრი ვერ იტანენ კარტოფილს

დიდი ხნის გამოცდილებით ცხადი გახდა, რომ ბოსტნეულისა და ბაღჩეულის შერეული ანუ ერთ კვალში რიგრიგობით სხვადასხვა მცენარის თესვა გაცილებით მეტ მოსავალს



იძლევა, ვიდრე მათი მოყვანა ცალკე კვალში.

აქ საქმე გვაქვს მცენარეთა ურთიერთდამოკიდებულებასთან, რომლის ცოდნაშიც დევს უხვმოსავლიანობის საიდუმლო. ყოველი მცენარე თავის გარშემო ქმნის ქიმიურ გარემოს, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მეორე მცენარის გარემოზე. მაგ. კომბოსტო ეთვისება კიტრს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იტანს კარტოფილს და სუნელებს. სამაგიეროდ, კარტოფილი ვერ იტანს „მეზობლობას" პომიდორთან, კიტრთან, გოგრასთან და ა.შ. მცენარეთა ურთიერთკეთილგანწყობა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე ერთი მცენარის „მტრული" განწყობით მეორე მცენარის მავნებლებისადმი. მაგ. ნიახურის სუნს ვერ იტანს კომბოსტოს ბუზი, ნიორსა და აბზინდას ვერ იტანს ლოკოკინა. ბუგრებისა და ტკიპების წინააღმდეგ იყენებენ ხახვისა და ნივრის ნარგავებს. ამიტომაა საჭირო იმის ცოდნა, თუ რომელი მცენარე რომელთან მეგობრობს, რათა პირიქით არ მოვიქცეთ და არ მივიღოთ ცუდი მოსავალი „ანტაგონისტურად" განწყობილი მცენარეების ერთად თესვით ან რგვით.

შემოგთავაზებთ რამდენიმე შედარებით მიზანშეწონილ ვარიანტს. მაგ. მიღებულია, კვალში ერთ რიგში დაირგოს პომიდორი, შემდეგ ისპანახი, შემდეგ პრასი, კამა და ბოლოს ოხრახუში. მეორეში — სტაფილო, ხახვი, ბოლოკი. მესამეში — სტაფილო, ხახვი, ისპანახი, პომიდორი. შესანიშნავად ხარობენ ერთად კამა და კიტრი, თუ დათესავთ მწკრივში ერთმანეთთან 30 სმ-ის დაშორებით.

გთავაზობთ მცენარეთა ურთიერთშეთავსების სქემას შერეული თესვა-რგვის შემთხვევაში.

| მცენარე | რომელ კულტურასან „მეგობრობს" | რომელ კულტურასთან „არ მეგობრობს" |
|---|---|---|
| ლობიო | კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, კიტრი, კარტოფილი, სიმინდი, პომიდორი, ხენდრო, ბადრიჯანი, გოგრა, საზამთრო, ნესვი. | ხახვი, ნიორი |
| სიმინდი | ლობიო, ბარდა, ყაბაყი, კიტრი, გოგრა, კარტოფილი. | — |
| კომბოსტო | ნიახური, კამა, ხახვი, სალათა, კარტოფილი. | ხენდრო, პომიდორი, სარის ლობიო. |
| სტაფილო | ხახვი, პრასი, სალბი, სალათა, პომიდორი. | — |
| კიტრი | ლობიო, ბოლოკი, პომიდორი, კომბოსტო, ბარდა, კამა. | კარტოფილი, სუნელები. |
| ჭარხალი | ლობიო, ხახვი, სალათები, კომბოსტო. | მდოგვი, სარის ლობიო. |
| ყვავილოვანი კომბოსტო | ნიახური. | პომიდორი, ხენდრო |
| ნიორი | პომიდორი, ხენდრო. | ლობიო, ბარდა |
| პრასი | ნიახური, ხახვი, სტაფილო. | — |
| ხახვი | კომბოსტო, ჭარხალი, პომიდორი, სალათა, ხენდრო. | ლობიო, ბარდა. |
| ბოლოკი | ჭარხალი, ისპანახი, სტაფილო, კიტრი, გოგრა, ნესვი, პომიდორი. | — |
| ისპანახი | ხენდრო. | — |
| პომიდორი | კომბოსტო, ხახვი, ლობიო, მწვანილი. | კამა |
| ბადრიჯანი | მწვანილი, ხახვი, ლობიო. | — |
| ნესვი | სიმინდი. | კარტოფილი |
| საზამთრო | კარტოფილი. | — |
| ხენდრო | ნიორი, დაბალი ლობიო, სალათა, ისპანახი. | — |

## როგორი ზამთარი გველის

ზამთარი რომ დადგა, დეკემბრის დასაწყისში აცივებამ და თოვლმა შეგვახსენა, თუმცა შემდგომ სიცივე კარგმა ამინდმა შეცვალა. დეკემბრის მეორე დეკადაში აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე ნალექი, ზამთრის პირობაზე სითბო იქნება დაბლობში — 6-10 გრადუსი, მთიან ზონებში 0-3 გრადუსი. დეკადის ბოლოს ისევ დათბება, მოსალოდნელია ნალექი. მესამე დეკადაში თბილ, ღრუბლიან ამინდს ელოდეთ. დასავლეთ საქართველოშიც ცვალებადი ამინდი იქნება, მოიმატებს ნალექი, უფრო წვიმის სახით. თვის მესამე დეკადა მცირე ნალექით აღინიშნება. იანვრის დასაწყისში მთელ საქართველოში თბილი ამინდია მოსალოდნელი, ხშირად გამოერევა მცირენალექიანი დღეები. ასეთი ამინდები გაგრძელდება იანვრის მეორე დეკადაშიც. საშუალო ტემპერატურა ბარში 10-12 გრადუსია, მთაში 6-8, იანვარში ნალექები მხოლოდ მესამე დეკადაშია მოსალოდნელი. იანვრის შუა რიცხვებში ტემპერატურის მკვეთრი აწევაცაა მოსალოდნელი.

ძირითადად, წლევანდელი ზამთარი არ იქნება გამორჩეული დაბალი ტემპერატურით.

## კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

### (10–22 დეკემბერი)

**10-11-12/XII** — ადამიანის ორგანიზმი ხდება მეტად მგრძნობიარე, მოერიდეთ გაცივებას. საძინებელი ოთახი გაანიავეთ მცირე ხნით. მიუღებელია ლეიბის, საბნისა და ტანსაცმლის გაფენა. აუცილებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დეკორატიული და ოთახის მცენარეების რწყვა. ნუ შეეხებით ხეხილს და ბუჩქოვან მცენარეებს. მოსალოდნელია ფიზიკური და გონებრივი უნარის დაქვეითება. სამაგიეროდ, ემოციური ენერგია მაქსიმუმს აღწევს, რისთვისაც აუცილებელია ემოციების მოთოკვა, თქვენი მოქმედების კონტროლი. მიუღებელია კანისთვის საჭირო აბაზანები, მეჭეჭების პროფილაქტიკა. ყურადღება მიაქციეთ ნერვულ და სისხლის მიმოქცევის სისტემას. ამ დღეებში სჯობს ერთკვირიანი შიმშილის დაწყება. კარგია კუჭისა და მსხვილი ნაწლავის გაწმენდა. ნუ მიიღებთ ხორცს, კვერცხს, ცხიმოვან და ცხარე საკვებს, აგრეთვე ალკოჰოლს. ძირითადად იკვებეთ წიწიბურათი, ჰერკულესით, ხაჭოთი და ხილით.

**13-14/XII** — აუცილებელია დილით სუფთა ჰაერზე ყოფნა. ადგომისთანავე გაანიავეთ საძინებელი ოთახი. ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიშები. აუცილებელია ლოგინის განიავება. მეტი დრო დაყავით ბუნებაში. კარგია ნიადაგის განოყიერება, დამუშავება, ხოლო სათბურში პომიდვრის, კიტრისა და მწვანილის თესვა. სამედიცინო თვალსაზრისით გაუფრთხილდით თავის არეს, მხედველობის და სმენის ორგანოებს. ამ დღეებში შეიძლება იგრძნოთ ენერგიის მოზღვავება, ხარჯეთ იგი ეკონომიურად, რადგანაც გადაღლამ დღის მეორე ნახევარში შეიძლება გამოიწვიოს თავის ტკივილი, სტრესი და ნერვიული დაძაბულობა. ასეთი შეგრძნებები შეიძლება მოიხსნათ სუფთა ჰაერზე გასეირნებით. კარგია საუნა და თბილი აბაზანების მიღება. დასაშვებია მკურნალობა თირკმელსა და შარდის ბუშტზე. ეცადეთ მიიღოთ მცენარეული საკვები, ხაჭო, ხილი, თაფლი. გამორიცხეთ ალკოჰოლი და ყავა.

**15-16-17/XII** — მიზანშეწონილია ნიადაგის დამუშავება, გვალვის პერიოდში საშემოდგომო ნათესების რწყვა. ხეხილისა და ბუჩქოვან მცენარეთა რგვა. ბინის მცირე ხნით განიავება. აუცილებლად გაიწმინდეთ ზედა სასუნთქი გზები სუნთქვითი ვარჯიშებით და სუფთა ჰაერზე ყოფნით. ამ დღეებში ორგანიზმი კარგად ითვისებს სამკურნალო საშუალებებს და კოსმეტიკურ პროცედურებს. ნუ გადატვირთავთ კისრის არეს, ყბას და სმენის ორგანოებს. დასაშვებია მკურნალობა შარდ-



მდენ სისტემასა და სასქესო ორგანოებზე. მოერიდეთ გულის გადატვირთვას, ტრავმებს, კონფლიქტებს, ემოციებს. ნუ მიიღებთ ძლიერმოქმედ მედიკამენტებს, უმჯობესია ფიტოთერაპიული მკურნალობა. მოსალოდნელია თავის ტკივილი ან თავბრუს ხვევა. ამ დღეების შესაბამისი საკვებია პარკოსნები, წიწიბურა, კვერცხი, ხილი, თაფლი, რუხი პური, ასევე მიირთვით მცენარეული ჩაი.

**18-19/XII** — ნიადაგის განოყიერება ნაკელით და კომპოსტით. საბოსტნე კვლების დამუშავება. ნიადაგის შემობარვა ხეხილის გარშემო. ბინის განიავება. აუცილებელია სუნთქვითი და ზედა კიდურების ვარჯიში. ამ დღეებში მწვავდება რევმატიული დაავადება. გაუფრთხილდით ფილტვებს და მხრების არეს. მოსალოდნელია სისხლძარღვთა სისტემის, თირკმლის დაავადებათა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გამწვავება. ამ დღეებში კარგია მშრალი საკვების მიღება, ვინაიდან სითხეს ორგანიზმში შეაქვს წიდები. ნუ გადახარჯავთ ენერგიას, მოერიდეთ აბაზანის მიღებას. კარგია ახალი საქმის წამოწყება. მოერიდეთ მწარე და ტკბილ საკვებს, მიირთვით სამარხვო კერძები, პარკოსნები, რძის პროდუქტები და ხილის წვენები.

**20-21-22/XII** — ოთახის მცენარეებისა და საშემოდგომო ნათესების რწყვა. სალათების თესვა სათბურში. ნიადაგის მომზადება დასამუშავებლად. ბინის განიავება მცირე ხნით. ჩაიტარეთ მსუბუქი გამამხნევებელი ვარჯიში, რაც მოგიხსნით ამ დღეების მოუსვენრობას. ყურადღება მიაქციეთ გულმკერდის არეს, ღვიძლს და ნაღვლის ბუშტს. მათი გადატვირთვა იწვევს კოშმარულ ძილს. ასევე ნუ გადატვირთავთ თვალებს ტელეეკრანის ყურებით და მძაფრი სიუჟეტებით. კარგია მხიარული ურთიერთობები. დასაშვებია ოპერაციები და მკურნალობა ქვედა კიდურებზე, მასაჟები, აბაზანა და ნაკლები ძილი, რათა არ მოითენთოთ. მოერიდეთ ხორციან კერძებს და ალკოჰოლს. სჯობს მიიღოთ რძის ნაწარმი, კომბოსტო, პარკოსნები, თევზი, ხილი და სხვადასხვა მცენარეული ჩაი.

## იცით თუ არა, რომ

**ქამელეონი** საერთოდ არ იცვლის ფერს იმ მცენარის ფერისა თუ იმ ქვის მიხედვით, რომელზეც წევს. ფერის ცვლის რეაქცია მას აქვს სითბოზე, სიცივესა და შიშზე. ღამით ქამელეონი ღია ფერისაა.

**თეთრი დათვის ტყავი** — შავი ფერისაა, თეთრია ბეწვი.

**ჟირაფი** უნიკალური ცხოველია თუნდაც იმით, რომ მისი ორივე სქესის წარმომადგენელი იბადება რქებით.

**ფრინველები** თვალებს ხუჭავენ ქვედა ქუთუთოთი, გამონაკლისია ბუ, რომელიც თვალს ადამიანივით ხუჭავს.

**ყველაზე დიდი ცხოველის,** ცისფერი ვეშაპის გულის ცემა წუთში უდრის... 9-ს (შედარებისთვის: ადამიანის გული წუთში საშუალოდ 72-ჯერ ცემს).

**ჭიანჭველას** არასოდეს არ სძინავს.

## კითხვა–პასუხი

***— გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელი გამოთქმაა მართებული — შინაური კურდღელი თუ ბოცვერი?***

***პატივისცემით,***
***გ. ბეროზაშვილი***

— ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ.4. გვ. 1435) ასეა განმარტებული:



კურდღელი — შინაური კურდღელი ანუ ბოცვერი (ე.წ. „კროლიკი"). იმავე ლექსიკონში (ტ.1. გვ. 2116) განმარტებულია „ბოცვერი — ბაჭია შინაური კურდღლისა". დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში (აკ. შანიძის წინასიტყვაობით. 1984წ. გვ.635) განმარტებულია კურდღელი — ცხოველი „ზაიაც"; „კროლიკ". სიტყვა ბოცვერი ლექსიკონში არ არის ნახსენები. 1959წ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში (შემდგენლები ა. და ე. ტოროტაძე, რედ. პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი) განმარტებულია: „ზაიაც" — კურდღელი; „კროლიკ" — ბოცვერი, რაც არა მგონია, იყოს მართებული, ვინაიდან ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ.6, გვ. 80) განმარტებულია — „კურდღლისებრნი, სსრკ-ში ბინადრობს 5 სახეობის კურდღელი: ბოცვერი, მანჯურიის, თეთრი, რუხი და კურდღელი ტოლპი". სიტყვა ბოცვერი ენციკლოპედიაში განმარტებული საერთოდ არ არის, ვინაიდან ის მოშინაურებული კურდღელია, როგორც ნებისმიერი მოშინაურებული ცხოველი.

***— გამიგია, თითქოს ფუტკრის ოჯახების ყოლა და მოვლა მრავალკორპუსიან სკებში უფრო იოლიც არის და ნაყოფიერიც. მიპასუხეთ, როგორ გადავიყვანო ფუტკარი ქართული სკიდან მრავალკორპუსიანში.***

***თქვენი მუდმივი მკითხველი***
***ა. კაპანაძე***

— როგორც ასეთი, ქართული სკა არ არსებობს. ჩვენთან გავრცელებულ დადანბლატის სკას რატომღაც უწოდებენ ქართულს, რაც შეცდომაა. რაც შეეხება მრავალ-



კორპუსიან ანუ ლანგსტროტ-რუტის სკას, მასში ფუტკრის მოვლა გაცილებით იოლია. ამ სკაში ფუტკარი უფრო მოკლე დროში ავსებს ჩარჩოებს თაფლით, ოჯახის გაყოფას 4-5 წუთი უნდა, დადანის სკაში კი ეს პროცესი 40-50 წუთს გრძელდება და ა.შ. აშშ-ში თვით დადანის მთლიანი ფირმა ლანგსტროდ-რუტის სკებზეა გადასული. რაც შეეხება სხვა სკიდან ამ სისტემის სკებში ფუტკრის გადაყვანის ტექნოლოგიას, მას გაეცნობით სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ საქართველოს მემამულეთა კავშირში. აკ. წერეთლის გამზ. 142. ტ: 34-07-97.

***— გთხოვთ გვიპასუხოთ, რა განსხვავებაა შემოდგომასა და გაზაფხულზე ხეხილის რგვას შორის?***

***თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვანო ჯაფარიძე***

— საერთოდ, ხეხილი უნდა ირგვებოდეს შემოდგომით (როდესაც ნერგს ფოთოლი გასცვივა), წინასწარ დამუშავებულ და მომზადებულ ორმოში. რგვა ხდება ყინვების დაწყებამდე 10-15 დღით ადრე და დაღმავალი მთვარის (სავსემთვარეობიდან ახალმთვარეობამდე) პერიოდში. ამ შემთხვევაში ნერგს წელიწადი არ უცდება და უკეთ ხარობს. გაზაფხულზე რგვა უნდა მოხდეს მანამ, სანამ ნერგს კვირტები დაებერება. რგვა ამ შემთხვევაში სჯობს აღმავალ მთვარეზე. სამწუხაროდ, საქართველოში ვერ დამკვიდრდა ხეხილის შემოდგომაზე რგვის კულტურა. გაზაფხულზე მიზანშეწონილია მხოლოდ ვაზის რგვა.

***გვერდი მოამზადა***
***დურმიშხან ყიფიანმა***

# დაიენ ლეინს ბარბრა სტრაიზანდის გერი შეუყვარდა

დაიენ ლეინი 15 წლის იყო, ვარსკვლავი რომ გახდა. დიდი ლოურენს ოლივიე პატარა მსახიობს ლეგენდარულ გრეის კელის ადარებდა. 19 წლის ასაკში დაიენს უკვე 14 ფილმში ჰქონდა ნათამაშები და ერთი მილიონის მფლობელიც გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად გადაღება შეწყვიტა...

თუმცა, მაყურებელთა გასახარად, დაიენი ორი წლის წინ დაბრუნდა ნებაყოფლობითი განმარტოებიდან — მთავარი როლი ითამაშა სუპერჰიტში „იდეალური შტურმი“. შარშან კი გადასაღებ მოედანზე კვლავ შეხვდა თავის ძველ პარტნიორს რიჩარდ გირს და ფილმში „ულირსი“ გირის ცოლის განსახიერებით კვლავ მოხიბლა მაყურებელი. დაიენ ლეინმა, 20 წლის შესვენების შემდეგ, კვლავ დაიკავა კუთვნილი ადგილი ჰოლივუდის ოლიმპზე.

## პირველი ბუნტი

დაიენ ლეინის მამა სამსახიობო ხელოვნების პედაგოგი იყო და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი ლამაზი, ოქროსკულულებიანი, ცისფერთვალება გოგონა ვარსკვლავად ექცია. დაიენი ერთთავად თეატრში იყო, მამასთან ერთად გასტროლებზეც დადიოდა და ამიტომ სკოლას ხშირად აცდენდა. ბოლოს, გოგონას მოჰბეზრდა ყოველ საღამოს თეატრში პატარა როლების თამაში, დღისით კი დაღლილს გაკვეთილების სწავლა და მამას გამოუცხადა: — თავი დამანებე, არ მინდა მსახიობობა, უფოლოგობა მინდაო. ეს პირველი ბუნტი იყო. მამა გაოცდა, მაგრამ უფრო მეტად გააოგნა პროტესტის შეუვალმა ტონმა. მამამ უხმოდ მიაწოდა რაღაც ფურცელი და უთხრა, „ახლა კი ვხედავ, რომ ნამდვილი მსახიობი დადექი და მზად ხარ სერიოზული როლებისათვის, შენ შანსი გაქვს, ითამაშო კინოში დიდ ლოურენს ოლივიესთან ერთად. მგონი, ჩემს ქალიშვილს ეყოფა ჭკუა, ოლივიეს უარი არ უთხრას.“

## უნებური მილიონერი

ფილმს „უბრალოდ სიყვარული“ ვენეციაში იღებდნენ. სეირნობა გონდოლებით, რომანტიკული საღამოები, სოლიდური და ცნობილი მსახიობები... სერ ლოურენს ოლივიე სხვადასხვა ამბითართობდა გოგონას და ყველას მის ნიჭზე ელაპარაკებოდა. დაიენს კი კამერასთან მუშაობა თამაშად მიაჩნდა — მას ხომ უკვე ჰქონდა მაყურებლის წინაშე თამაშის გამოცდილება.

უფოლოგობაზე ოცნება წარსულს ჩაჰბარდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ერთ წუთში გახდე ვარსკვლავი, მილიონი მოზარდის კერპი.

14 ფილმიდან, რომელშიც დაიენი მონაწილეობდა, სამის რეჟისორი ფრენსის კოპოლა იყო — „მებრძოლი თევზი“, „გარიყულნი“ და „კოტონ კლუბი“. სწორედ კოპოლამ შეიყვანა იგი ჰოლივუდის უმაღლეს საზოგადოებაში და თავისი უსაყვარლესი მსახიობი უწოდა. ფაქტობრივად მამის მაგივრობას უწევდა უკვე ლამაზ ქალად ქცეულ დაიენს, რომ იგი ჰოლივუდის



კრისტოფერ ლამბერტთან ერთად

ორომტრიალში არ ათქვეფილიყო. დაიენსაც უყვარდა კოპოლა, მაგრამ ძალიან აგონებდა მამას, რომელიც მასში მხოლოდ მსახიობს ხედავდა და არა პიროვნებას. „შენი სექსუალური ენერგია მხოლოდ ჩემს გადასაღებ მოედანზე უნდა გამოაჩინო, დანარჩენი მერე...“ — ეუბნებოდა რეჟისორი.

დაიენ ლეინს საწუწუნო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი ზღაპრის სიუჟეტს ჰგავდა. თხუპნია მდიდარ პრინცესად იქცა... მაგრამ 1984 წელს, ლოს-ანჯელესში მომხდარი საშინელი მიწისძვრის შემდეგ დაიენმა გადაწყვიტა: ეს ზეციური ნიშანია, არასწორად ვცხოვრობ, უნდა დავისვენო და მომავალი განვსაზღვროო. დაიენმა გადაღებებზე უარი განაცხადა. გაბრაზებულმა მამამ გიჟიც უწოდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა: „გამუდმებით კამერის წინ რაღაც გრძნობებს ვთამაშობ, თავად კი არც კი ვიცი, რა არის ნამდვილი სიყვარული“, — განაცხადა 19 წლის მსახიობმა და ჰოლივუდი დატოვა.

## სიყვარული ფაციფუცს ვერ იტანს

ნამდვილი სიყვარული არ ვიციო, თორემ პირველად 15 წლის იყო, კრისტოფერ ეტკინსი რომ შეუყვარდა, რომელიც ფილმ „ცისფერი ლაგუნას“ სინჯებზე გაიცნო და მიუხედავად იმისა, რომ როლი ბრუკ შილდსმა მიიღო, სიმპათიური ყმაწვილი დაიენს ერგო. გამოუცდელმა გოგონამ დაიჯერა, კრისტოფერის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლიაო და მასთან ერთად შინიდან გაიპარა. მამამ ორი კვირა არაფერი იცოდა, მე-15 დღეს გაქცეული დაბრუნდა — შეყვარებულებმა იჩხუბეს... გოგონამ ბინა იქირავა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. კრისტოფერის შემდეგ, მიუხედავად კოპოლას მკაცრი მეთვალყურეობისა, ხანმოკლე რომანები მაინც ჰქონდა...

## ტანგო პარიზში

ნამდვილ სიყვარულს 1984 წელს შეხვდა პარიზში, ფილმ „კოტონ კლუბის“ სარეკლამო რგოლში გადაღებისას. როცა გაიგო, თუ ვისთან მოუწევდა ცეცხლოვანი ტანგოს ცეკვა, სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. მას რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი „ტარზანი, მაიმუნთა მბრძანებელი“ კრისტოფერ ლამბერტის მონაწილეობით და დიდი ხანია მის გაცნობაზე ოცნებობდა. დაიენმა გაიგო კრისტოფერის ტელეფონის ნომერი, დაურეკა და ავტომოპასუხეს უკარნახა, როგორი აღფრთოვანებული იყო მისი ნიჭით და დარეკვა სთხოვა. მაგრამ ვარსკვლავმა არ დაურეკა. გადაღებების წინ დაიენმა ათასი კაბა მოიზომა და სუნამო იპკურა, ძალიან ღელავდა, ყველაზე მეტად ეშინოდა, გულისნადებს არ მიმიხვდესო. ქალის სილამაზის დამფასებელი ლამბერტი მოხიბლა პარტნიორმა... ორი კვირის ცეცხლოვანი სიყვარულის შემდეგ კრისტოფერს გადაღებებზე გამგზავრება მოუხდა...

ბედმა ისინი ორი წლის შემდეგ რომში შეახვედრა. დაიენს სიცოცხლე არ შეეძლო ამ კაცის გარეშე. პარიზში ერთად გაემგზავრნენ. საიუველირო მაღაზიაში დაიენმა საქორწინო ბეჭედი მოიზომა და ღიმილით მიმართა შეყვარებულს, — ზუსტად ჩემი სარგოა, მოხსნაც არ მინდაო. ლამბერტმა იმავე საღამოს ხელი სთხოვა, მაგრამ მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაქორწინდნენ. ქრისტოფერი საოცარი საქმრო იყო. უნატიფეს საჩუქრებს უგზავნიდა, ხოლო მის მიერ მირთმეული ყვავილები ფაქიზი გემოვნების ეტალონი იყო. უქმეებს ლონდონში, პარიზსა და რომში ატარებდნენ. ეს ყველაზე ბედნიერი დრო იყო. ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ. დაიენი კვლავ უარს ამბობდა გადაღებებზე, ლამბერტს კი, პირიქით, ძალიან მოსწონდა თავისი საქმე. მასთან ერთად გადაღებებზე სიარული დაიენს დამამცირებლად ეჩვენებოდა. სულ უფრო ნაკლებად ხედავდნენ ერთმანეთს, მათ ოჯახურ ბედნიერებას კრახი ელოდა. ცოლ-ქმარმა ოჯახის გადასარჩენად ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა. გაჩნდა გოგონა ელინორ ჟასმინ ლამბერტი. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისინი მაინც გაშორდნენ ერთმანეთს.

დაიენი შინ ჩაიკეტა, განმარტოვდა, მთელ დროს კითხვას, ძველი ფილმების ყურებას და შვილის აღზრდას ანდომებდა. იშვიათად თანხმდებოდა გადაღებებზე. მაგრამ „იდეალურ შტორმში“ ჯორჯ კლუნთან თამაშის შემდეგ კვლავ „ტაიმსის“ გარეკანზე აღმოჩნდა.

თუმცა დაიენი კვლავ მონოზვნურ ცხოვრებას განაგრძობდა. მისთვის მთავარი შვილთან ყოფნა იყო.

## 20 წლის შემდეგ

ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც როლი მიიღო ფილმ „ულირსში“. თითქოს იგრძნო, რომ ეს როლი ჰაერივით სჭირდებოდა და, რაც მთავარია, კვლავ შეუყვარდა...

34 წლის მსახიობი ჯოშ ბროლინი ბარბრა სტრაიზანდის ამჟამინდელი მეუღლის შვილია. ჯოში მსახიობ მინი დაივერზე იყო დანიშნული, მაგრამ ბარბრას არ მოსწონდა სარძლო. ყველანაირად ცდილობდა მათ დაშორებას და საწადელსაც მიაღწია. შვილობილის გულის მოსაგებად ერთ-ერთ წვეულებაზე თავისი საყვარელი დაიენ ლეინი გააცნო. ჯოში მაშინვე მოხიბლა დაიენმა... მას შემდეგ ყველგან ერთად დადიან, ძალიან ბედნიერ წყვილს ჰგვანან და არც ასაკობრივი სხვაობაა თვალში საცემი. ძალზე საწყენი იქნება, თუ დაუცხრომელი ბარბრა მათ საქმეში ჩაერევა და დამოუკიდებელ დაიენს ჭკუის სწავლებას დაუწყებს, მაგრამ ალბათ არა, რადგან ძალიან აფასებს დაიენს.

*7 დღე №44*

# ბრიტნი კარიერას თავს ანებებს?



ტინეიჯერების საყვარელმა 20 წლის ვარსკვლავმა ბრიტნი სპირსმა საქვეყნოდ განაცხადა, — შოუბიზნესიდან წასვლას ვაპირებ, რადგან ბოლო პერიოდში გამოწურულ ლიმონს დავემსგავსე და სულიერადაც გამოვიფიტეო.

ვარსკვლავის პრესატაშეს თქმით, — ბრიტნი ნახევარი წლით მშობლებთან ბრუნდება დასასვენებლად. მას გადაწყვეტილი აქვს, მეგობრებთან და მშობლებთან ერთად იმოგზაუროს.

მასმედია ამტკიცებს, რომ ბრიტნის ნერვიული გადაღლის მიზეზი გახდა ჯასტინ ტიმბერ ლაიკთან ორწლიანი რომანის დასასრული. იგი მეგობარ მამაკაცს დიდი სკანდალით დაშორდა, ამას დაემთხვა მსოფლიო ტურნეში მისი კონცერტების ჩავარდნა...



# რატომ ჩხუბობენ დუგლასები?

დასავლეთის პრესა აჭრელებული იყო: კეტრინ ზეტა-ჯონსი და მაიკლ დუგლასი წარამარა ჩხუბობენ, ერთმანეთს ჭურჭელს ამსხვრევენ თავზე, ცოლი ქმარს გაყრითაც კი დაემუქრაო. მაინც რა მოხდა?

ასაკობრივი სხვაობა დიდი უბედურება სულაც არ არის. წარსულში დიდი მექალთანე მაიკლი ძველებურად ცოლის ერთგული, ყურადღებიანი და შეყვარებულია. კეტრინი ამბობს: — „მეც და მაიკლიც ძალიან ფიცხები ვართ. საკმარისია სულ პაწია მიზეზიც კი, რომ ცეცხლი გავაჩაღოთ. ჩვენს ჩხუბს შესწრებიან მეგობრები, მეზობლები, ჟურნალისტები და თავს უფლებას აძლევენ, უტაქტო დასკვნები გააკეთონ: რახან ჩხუბობენ, ე.ი. ოჯახი ენგრევათო. ღმერთო ჩემო, რა სისულელეა!“

რა ვერ გაიყვეს კეტრინმა და მაიკლმა? ქმარი უკმაყოფილოა ცოლის სამუშაო გრაფიკით — კეტრინი ამჟამად ჰოლივუდში მუხლჩაუხრელად მუშაობს. მათ პაწია ვაჟს ხუთი ძიძა დასტრიალებს თავს, ხოლო კეტრინი იშვიათად ახერხებს მასთან სეირნობას და ძილის წინ ზღაპრების წაკითხვას. დუგლასს იმედი აქვს, რომ ამ ზაფხულს მთელი ოჯახი გაატარებს მაიორკაზე, სადაც მას უზარმაზარი მამული აქვს.

„ყველაზე მთავარი უთანხმოება ჩვენ შორის — ჩვეულებრივი ეჭვიანობაა, — ამბობს კეტრინი, — ჩვენი უთანხმოების მიზეზი ის არის, რომ შინიდან ისე ვერ გავადგამ ფეხს, თუ მაიკლს არ ჩავაბარე ანგარიში — სად ვიქნები, ვისთან ერთად, როდის დავბრუნდები. თუ მეგობრებთან ვარ, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მათი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომ ნებისმიერ მომენტში დამირეკოს და შემომიაროს. ერთი მხრივ, ყველაფერი ეს ძალიან მსიამოვნებს. დიდხანს ვოცნებობდი ისეთ მამაკაცზე, რომელსაც ასე ვნებიანად, ასე ავადმყოფურად ვეყვარებოდი. მაგრამ მეორე მხრივ, ყველაფერი ეს ტყვეობას ჰგავს. მას შეუძლია ტელეფონთან არ დამიძახოს, თუ მამაკაცი მიკითხავს და მისი ხმა ეროტიკულად მოეჩვენება, შეუძლია ამიკრძალოს ფილმში თამაში, თუ ჩათვლის, რომ ჩემი პარტნიორი საკმაოდ მიმზიდველია. დღემდე არ მესმის, როგორ დამრთო ნება, მიუზიკლში რიჩარდ გირთან ერთად მეთამაშა. ხომ იცის, რომ ყმაწვილქალობაში მას ვეთაყვანებოდი“.



ახლახან ერთ-ერთი საპატიო ჟურნალის მკითხველებმა კეტრინ ზეტა-ჯონსი თანამედროვეობის ყველაზე ლამაზ ქალად აღიარეს. „ჩემი სილამაზის საიდუმლო მარტივია, — ამბობს 33 წლის კინომსახიობი, — შესანიშნავი განწყობა და ძალიან ბევრი მინერალური წყალი, გვარიშვილობაც კარგი მაქვს. ჩვენთან, უელსში, ამბობენ, რომ კელტური სისხლის გოგონები, თანაც ლათინური სისხლის ნარევით — ძალიან მაგარი კოქტეილია, რომლის დალევასაც ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად ვერც ერთი მამაკაცი ვერ შეძლებს. მართალია, მაიკლი ძალიან მაგარია, მაგრამ არც მას ჰყოფნის ძალა, გაუძლოს ველურ გამოსვლებს. მან იცის, რომ ამაყი ვარ. დიდი ხანი ვცხოვრობდი მარტო, ამიტომ მარტოობისა არ მეშინია, იცის, რომ ყველაფერს მე თვითონ მივაღწიე. ასე რომ, ჩემი შეშინება შეუძლებელია და ამიტომაც გამოდის წონასწორობიდან. მაგრამ, მერწმუნეთ, მე არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ჩვენს კინკლაობას, ვინაიდან მხოლოდ მოსიყვარულე ცოლ-ქმარში შეიძლება იყოს უთანხმოება. თანაც, ჩვენ ძალიან ბევრი გეგმა გვაქვს. მაგალითად, კიდევ ორი პატარა დუგლასის გაჩენა“.

კეტრინი ბედნიერია, რომ კიდევ ფეხმძიმედაა: „მიმაჩნია, რომ ფეხმძიმობა სილამაზის საუკეთესო ელექსირია...“

*ოტდოხნი! №47*

# მონიკა ბელუჩი და ვინსენ კოსელი კვლავ ქორწინდებიან

ვინსენ კოსელი და მონიკა ბელუჩი ვერ ასცდნენ შოუბიზნესის უძველეს კანონს: განქორწინება და დაქორწინება უსასრულოდ შეიძლება. კარგა ხნით ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგ, როცა საქმე განქორწინებამდე მივიდა, მოულოდნელად კვლავ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთმანეთისგან შორიშორს ყოფნამ სასწაული მოახდინა. სიკვდილის ტოლფასი იყო ვინსენისთვის საყვარელი ქალის თვალთვალი ჰავაის მზის ქვეშ და თანაც ბრუს უილისის მკლავებში. ყველა ჟურნალმა გამოაქვეყნა მათი ფოტოები. დაჰყურებდა ამ სურათებს ვინსენი და გული



უკვდებოდა. ვერც მონიკა იკავებდა ცრემლს, როცა საყვარელ მამაკაცს ეკრანზე მექსიკელ ლამაზმანებთან ხედავდა სასიყვარულო სცენებში.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს უთანხმოება, რომელიც ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო, რომ არა მათი შეხვედრა გადასაღებ მოედანზე...

დღეს ევროპის ყველაზე სექსუალური მსახიობური დუეტი კვლავ ვნებას მოუცავს. რამდენიმე დღის წინ შეყვარებულები პარიზში ნახეს — ოჯახური ბუდის მოსაწყობად ბინას ეძებდნენ და ყოველ კუთხე-კუნჭულში ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს.

*ოტდოხნი! №47*

# ასანიძე რევანშისთვის ემზადება

მუდმივად ჩემპიონობას ისე მიგვაჩვია გიორგი ასანიძემ, რომ ამას წინათ პოლონეთში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე გაოცებულნი დავრჩით, ამჯერად „მხოლოდ“ ვერცხლის მედალი ვერ ვიგუეთ, 85 კგ-ით წონით კატეგორიაში გიორგიმ პირველობა დათმო. საწყენი ის არის, რომ გამარჯვებული გახდა არა მისი ყველაზე მრისხანე კონკურენტი, არამედ, ზლატან ვასილიევი, რომელმაც ზუსტად იგივე „სტილით“ აჯობა ქართველ ძალოსანს, როგორითაც სიდნეის ოლიმპიადაზე — დიმასმა. ბულგარელი გიორგიზე რამდენიმე გრამით მსუბუქი აღმოჩნდა.



თუმცა, გიორგისგან ვერცხლის მედალი ამჯერად ოქროს ტოლფასი იყო. თუ რატომ, თავად გიორგისგან შეიტყობთ:

*— იცით, ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხანია, მხრის ქრონიკული ტრავმა მაწუხებს. ყველანაირად ვცდილობ მის მორჩენას, რამდენჯერმე ოპერაციაც გავიკეთე, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. პერიოდულად ისევ ძლიერად ამტკივდება ხოლმე მხარი. ახლაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ექიმები ჩემს გამოსვლას, რადგან შესაძლებელი იყო ეს გამოსვლა ნამდვილი კატასტროფით დასრულებულიყო და კარიერას ვინღა ჩივის, ინვალიდად ვიქცეოდი.*

... მართლაც, ვინც „ევროსპორტზე“ ქართველი ძალოსნის გამოსვლა ნახა, დარწმუნდებოდა, რომ გიორგის სიტყვები სიმართლეს შეეფერება. ყოველი გამოსვლის შემდეგ ტკივილისგან ცუდად ხდებოდა, ბოლოს კი კინაღამ გონება დაკარგა, მაგრამ საოცარი ნებისყოფის ხარჯზე ასწია „ვერცხლის“ სიმძიმე.

ამის მიუხედავადაც, გიორგიმ ბულგარელ მეტოქეს აკვრაში მთელი ათი კილოგრამით აჯობა, მაგრამ ამდენივე დათმო მისთვის სუსტ კატეგორიაში, ატაცში, თანაც სწორედ ამ პროგრამაში გამოსვლისას შეუტია განსაკუთრებულად ტკივილმა. ამასთან, გიორგი მსაჯებმაც გაწირეს:

*— საწყისი წონა რომ დავძლიე, რატომღაც მსაჯებმა პირველი ცდა არ ჩამითვალეს. დარბაზში მყოფი სპეციალისტების აბსოლუტური უმრავლესობა გაოგნებული დარჩა — რას მერჩოდნენ და ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ.*

მიუხედავად მეორე ადგილზე გასვლისა, გიორგი ასანიძე შედეგით მაინც უკმაყოფილო დარჩა:

*— მეტის გაკეთება ნამდვილად არ შემეძლო. რაც ავწიე, ისიც ნებისყოფის უდიდეს დაძაბვად დამიჯდა. ამის მიუხედავად, დღემდე მაინც ვერ შევეგუე დამარცხებას. როდესაც ჩემპიონი ხარ, დამარცხება მორალურად უაღრესად ცუდად მოქმედებს.*

... თუკი ექიმები გამოსვლას არ ურჩევდნენ, ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ გარისკა გიორგიმ? პასუხი არ გაგიკვირდებათ, რადგან ასანიძის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე უკვე ყველასათვის „გაშიფრულია“:

*— სპორტსმენი სირთულის წინაშე თავს რომ დახრის, ის ვერც წარმატებას მიაღწევს და ვერც კაცად დაფასდება. რა თქმა უნდა, სპორტული ჟინიც თავისას შვრება. რა ვქნა, ცუდად ვხდები მარტო მხრის ტკივილზე კი არა, დამარცხებაზეც. ახლა მხარი ორმაგად მტკივა და განვიცდი მომხდარს, მაგრამ წინასწარ ვიცოდი, რომ საქართველოში ელოდნენ ჩემს გამოსვლას და წარმატებას... რაღაცნაირად ჩავთვალე, რომ ღალატი იქნებოდა შეჯიბრების მიტოვება და ექიმის ნაცვლად, გულისთქმას დავუჯერე.*

*ახლა ტრავმის გამო, მინიმუმ ერთი თვე, ვარჯიშის საშუალებაც წამერთვა, მაგრამ ხომ მაინც დავუბრუნდები ფიცარნაგს? ვასილიევსაც უნდა მოვუგო, უნდა დავიბრუნო ტიტული, რაც მთავარია, კვლავ ოცნებად მრჩება ოლიმპიური ოქროს მედალი და ღირს ვარჯიში ამ მიზნის მისაღწევად.*

დაბოლოს: გადაწყდა, რომ გიორგი ასანიძის მწვრთნელი, ვანო გრიქუროვი მოღვაწეობას თბილისში გააგრძელებს. საქმე ისაა, რომ უკვე წლების მანძილზე ცნობილი სპეციალისტი საქართველოს ფარგლებს გარეთ (ძირითადად პოლონეთში) მოღვაწეობდა. გრიქუროვმა დააოსტატა არა მარტო ასანიძე, არამედ ოლიმპიადის სამგზის გამარჯვებული კახიაშვილიც. გარდა წმინდა სპორტული საქმიანობისა, იგი გიორგის საორგანიზაციო პრობლემების მოგვარებაშიც ეხმარებოდა, პოლონეთში თვეობით ავარჯიშებდა და თავისთან აცხოვრებდა. მოკლედ, თუკი ასანიძის წარმატებების ანატომიას გამოვიკვლევთ, აღმოვაჩენთ, რომ აქ გრიქუროვის წვლილი შეუფასებელია. ძალოსნობის სამყარო მეტად სპეციფიკურია. გარდა ძალისა და ოსტატობისა, აქ წარმატების მიღწევა მრავალი „წყალქვეშა ფაქტორის“ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. გრიქუროვი კი ამ „ფრონტზეც“ ისეთივე ძლიერია, როგორიც მწვრთნელობაში. არადა, „წყალქვეშა მძლავრი დინებები“ სპორტის სხვა სახეობის კულისებში გაუთვითცნობიერებელი მრავალი ქართველი სპორტსმენის წარუმატებლობის მიზეზი გამხდარა.

პოლონელები ხედავდნენ, რომ გრიქუროვი მათივე ცხვირწინ, ქართველს უფრო ახეირებდა, ვიდრე ამ ქვეყნის ძალოსანს. ამიტომაც კატეგორიული ულტიმატუმი წაუყენეს — ან გიორგის ავარჯიშებ და პოლონეთს დატოვებ, ან ძველებურად ავარჯიშებ ჩვენიანებს და თანამემამულეს დაშორდებიო.

ბუნებრივია, ეს ულტიმატუმი ქართული სპორტის მესვეურებმაც შეიტყვეს. გიორგისა და გრიქუროვის დაშორება ასანიძის ოლიმპიურ პერსპექტივას ნამდვილად ვერ წაადგებოდა და ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ მწვრთნელს საქართველოში შესთავაზონ მაქსიმალურად უკეთესი პირობები. ამ კუთხით ოლიმპიური ფონდის საქმიანობა მისასალმებელია. წლეულს ამ ფონდის ეგიდით 300 ათასი დოლარი დაიხარჯა, 2003 წელს კი გაცილებით მეტი დაფინანსებაა გათვალისწინებული და ალბათ, ამ სიკეთით გრიქუროვიც ისარგებლებს.

# გაუშვით აქციის გარეშე!




პანამაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში და ტრადიციულად წარმატებით დაგვიბრუნდნენ ქართველი სპორტსმენები. ოლეგ იაძის გაწვრთნილებმა ერთი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი ჩამოგვიტანეს. ბრინჯაოთი დაიმშვენეს მკერდი ბადრი ჯანიაშვილმა, არჩილ ჩოხელმა და მირიან პავლიაშვილმა. ჩემპიონობა იზეიმა გორელმა აკაკი ხანიშვილმა, რომელმაც შარშან ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

არადა, დელეგაცია ამერიკის კონტინენტს რომ სწვეოდა, გუნდის მწვრთნელმა, ოლეგ იაძემ სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია მოაწყო. ეს კაცი ნამდვილი ენთუზიასტია, სამბისტების ტურნირებზე გასამგზავრებლად ვალებს იღებს უკვე წლების მანძილზე, მაგრამ მისი შრომისა და ღვაწლის დაფასებას ვინ ჩივის, ელემენტარულ საარსებო წყაროსაც კი უკეტავენ.

ასე რომ, მომავალი ჩემპიონების მოვლენამდე ბატონი ოლეგისგან მორიგ აქციას უნდა ველოდოთ.

***გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

# შოთა არველაძე თბილისის „დინამოში“ დაბრუნებას აპირებს



თუ გაინტერესებთ, რეალურად რომელ ქართველ ფეხბურთელს გააჩნია მაღალი რეიტინგი ევროპულ ფეხბურთში, „შეირბინეთ“ ინტერნეტში და საუკეთესო პასუხს მიიღებთ. საკმარისია, სარჩევში ამა თუ იმ ფეხბურთელზე ინფორმაციით დაინტერესდეთ და აღმოაჩენთ, რომ ორიოდე კაცის გარდა მსოფლიო მხოლოდ სტატისტიკურად თუ აღრიცხავს „შინდისფერებს“.

ორიოდე დაფასებულს შორის კი ლიდერები უდავოდ შოთა არველაძე და კახა კალაძე არიან, რაც სავსებით ბუნებრივია. კახა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდში გამოდის, შოთა კი კონტინენტზე მეტად დაფასებულ შოტლანდიურ გუნდში.

სამწუხაროდ, 29 წლის ქართველი ფორვარდი იმ დროს შეუერთდა გლაზგოელ „რეინჯერებს“, როდესაც მას „სელტიკმა“ ქვეყნის ჩემპიონობა ჩამოართვა. ახლა პროტესტანტები პოზიციის დაბრუნებას ცდილობენ, რაშიც მათ თითქმის ყველა ტურში გატანილი ბურთით შოთა არველაძეც ეხმარება. თუმცა, მასაც აეჭვებს, თავის ტიტულებს შოტლანდიურ ოქროს მიუმატებს თუ არა...

**— შოთა, წელს „რეინჯერსი“ შარშანდელთან შედარებით, უკეთ ათამაშდა. შენი აზრით, ეს ჩემპიონობის დასაბრუნებლად საკმარისი იქნება?**

— ძნელი სათქმელია. „რეინჯერსი“ კი ათამაშდა, მაგრამ „სელტიკი“ ძლიერი და შეთამაშებული გუნდია. ჩვენ კი ტრავმირებულთა მომრავლებამ გვარიანი პრობლემები შეგვიქმნა. მეტოქე კი ამით სარგებლობს და გადაგვისწრო. ასეთ ვითარებაში ჩემპიონობის მოპოვებაზე საუბარი ქადილი იქნება და მეტი არაფერი. თუმცა, სხვა მიზანი არც გვაქვს და რაც მთავარია, ფინიშამდე დიდი დროა დარჩენილი, რაც იმედს გვიძლიერებს.

**— შოტლანდიის პრემიერ-ლიგაში შარშან ისე წარმატებით ჩაერთე, ვიფიქრეთ, ლარსონის ბომბარდირობას წარსულს ჩააბარებსო, მაგრამ ტრავმებმა შანსი მოგისპო. ტრავმებმა ახლაც გაგამწარა და ხომ არ ვიფიქროთ, რომ ეს მიზანი დაივიწყე?**

— მე რომ ლარსონს ვერ ვუტოლდები, ამის მიზეზი ისიც არის, რომ „რეინჯერსში“ პენალტებს აღარ ვასრულებ. ჩვენი პენალტისტი ფერგიუსონია, რომელმაც უკვე ამგვარად შვიდი ბურთი გაიტანა.

**— გუნდში ჩარიცხვისას ხომ შენ გახდი პენალტისტი?**

— ვიყავი, მაგრამ ჩემი დაშავების შემდეგ ფერგიუსონმა შემცვალა, თანაც წარმატებით. თოთხმეტი პენალტიდან მხოლოდ ერთი, უეფას თასზე ჩეხებთან — გააფუჭა. ასეთებს კი არ ცვლიან. მოკლედ, მის ნაცვლად მე რომ დამერტყა, მინიმუმ ათი ბურთი ჩამეწერებოდა ანგარიშზე.

შოთა არველაძეს ბრიტანეთში ჰოლანდიიდან უსიამოვნო მოგონებები გაჰყვა. რა თქმა უნდა, მის სათამაშო კარიერას არ ვგულისხმობთ. ამ თვალსაზრისით ქართველ მოთამაშეს პრობლემა რომ ჰქონოდა, „აიაქსის“ მწვრთნელი, კო ადრიანსე მის დასატოვებლად ათასგვარ ხერხს არ მიმართავდა. საქმე ამსტერდამული კლუბის გაშავებულ-არეული ბუღალტერიის გამო აღიძრა. ჰოლანდიური საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით მთელ მსოფლიოში ჩვენთვის უსიამოვნო ამბავი გავრცელდა.

აი, რას გვაუწყებს ერთ-ერთი ჰოლანდიური გაზეთი: „ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბ „აიაქსს“ დაუმტკიცეს, რომ მაქინაციების წყალობით კლუბმა სახელმწიფოს ორი ფეხბურთელის (შოთა არველაძისა და მიქაელ ლაუდრუპის) ტრანსფერიდან უკანონო შემოსავლები მიითვისა. 1997 წლის ზაფხულში „ბარსელონადან“ „აიაქსში“ დანიელი ლაუდრუპი გადავიდა. ზუსტად იმ პერიოდში ამსტერდამელებმა თურქეთიდან შოთა არველაძეც შეიძინეს. კლუბის ხელმძღვანელებმა კი ფეხბურთელებისათვის გადახდილი თანხა სატრანსფერო კომპენსაციად გააფორმეს, რაც არ იბეგრება. ჰოლანდიური საგადასახადო პოლიციის ანგარიშით „აიაქსმა“ აღნიშნული მაქინაციით სახელმწიფო ბიუჯეტი 2,3 მილიონი ევროთი აზარალა. გუნდი საკუთარი სალაროდან ჯარიმის სახით 2,9 მილიონ ევროს გადაიხდის.

საქმეში ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებიც გაებნენ. მათ ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ დათანხმდნენ ამსტერდამელებს უკანონო დოკუმენტაციის გაფორმებაზე.

სხვათა შორის, ამ საქმის გამოძიება შარშან დაიწყო და შოთა არველაძე საგადასახადო პოლიციაში დაიბარეს. შოთა არ ნერვიულობს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს:

— ეს ამბავი „რეინჯერსში“ მოთამაშე ჰოლანდიელებისგან ჩემამდეც მოვიდა, თუმცა ყველა ხვდება, რომ მე იმდენად ვარ დამნაშავე, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში. ახლა „აიაქსი“ და საგადასახადო სამსახური ერთმანეთში არკვევენ საქმეს.

**— ჰოლანდიის პოლიციაში კიდევ ხომ არ გამოგიძახეს?**

— მე რატომ უნდა დამიბარონ? გაზეთების ინფორმაციიდანაც ჩანს, რომ შოთა არველაძე კი არა, „აიაქსია“ დადანაშაულებული. ფულს გუნდი იხდიდა და არა მე. ამ სკანდალის აგორებიდან ერთი კვირა გავიდა. არავინ დამკავშირებია. გამოდის, რომ ჩემთან საქმე არც აქვთ. თუმცა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ჰოლანდიაში აღარ გამომიძახებენ-მეთქი. არ ვიცი, რა დასჭირდებათ. საერთოდ, რა თქმა უნდა, სკანდალში ირიბად ჩარევაც არასასიამოვნოა.

**— მით უფრო, რომ რუსებმა ფაქტი საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენეს.**

— ეს აღარ მიკვირს და მივეჩვიე კიდეც. კრიტიკა და უსაფუძვლო ბრალდება, სხვათა შორის, არც ქართველებისგან მაკლია.

**— ბოლო დროს ამბობენ, თითქოს ზურაბ ხიზანიშვილი მალე „რეინჯერსში“ ჩაირიცხება. ალბათ ამის შესახებ თქვენც გეცოდინებათ.**

— მე არ ვიცი, ზუსტად ტრანსფერი როდის მოხერხდება. ალექს მაკლიში დაინტერესებულია, თუმცა ზურას ტრავმამ ხელი შეუშალა და არ ვიცი, ეს ამბავი ზამთარში მოგვარდება, თუ მასზე დაკვირვებას გააგრძელებენ.

**— აქტიურად საუბრობდნენ „რეინჯერსში“ ასათიანის ჩარიცხვაზე, რაც შენი ინიციატივა ყოფილა. ალბათ, ეს შანსი ტორპედოელმა უკვე დაკარგა.**

— შოტლანდიელებს ველაპარაკე და გადაწყვეტილი იყო მალხაზის გასინჯვა. ვადაც შეთანხმებული გვქონდა — ოქტომბრის შუა რიცხვებში ათი დღე „რეინჯერსთან“ ივარჯიშებდა და თუკი მოიწონებდნენ, შოტლანდიაშივე დარჩებოდა.

სამწუხაროდ, მალხაზს უსიამოვნება შეემთხვა „ტორპედოს“ მწვრთნელთან, რაც მისი ნაკრებიდან დათხოვის მიზეზი გახდა და ასათიანის გასინჯვაზე საუბარიც შეწყდა. არც შოტლანდიელებს უთქვამთ რაიმე და არც მე შემიწუხებია. ეტყობა, ამ ეტაპზე მალხაზის ჩამოყვანა არც ღირს.

**— ნაკრების პრობლემებზე საუბარი შესაძლოა ყველას მოგვბეზრდა, მაგრამ შენი აზრი მაინც საინტერესოა.**

— ყველამ, ფეხბურთელმა და მწვრთნელმა საქმე ნორმალურად რომ გააკეთოს, უკეთესი სურათი იქნება. არ შეიძლება დამნაშავის მხოლოდ ფეხბურთელებში ძებნა.

**— „სანდი გეილთან“ ინტერვიუში გითქვამს, რომ 2005 წელს „დინამოში“ გადავალ და იქვე დავამთავრებ კარიერასო. უცნაური განცხადებაა იმის ფონზე, რომ 34 წლის ქეცბაიაც ერიდება საქართველოში დაბრუნებას. 2005 წელს კი 32 წლის იქნები.**

— მე ჟურნალისტს სხვაგვარად ვუთხარი და ეტყობა, ვერ გამიგო. სინამდვილეში ვთქვი, რომ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი 2005 წელს მიმთავრდება, ღმერთმა ინებოს, რომ იმ დროისათვის საქართველოში ვითარება შეიცვალოს, ჩვენი ჩემპიონატი მოფერიანდეს და „დინამოში“ თამაში ბედნიერება იქნება-მეთქი. ეს მართლაც ჩემი ოცნებაა.

თქვენ ქეცბაია ახსენეთ. მე მისი მშვენივრად მესმის. არც ერთი ქართველი ლეგიონერი არ მეგულება, რომელიც საქართველოს უკეთეს ჩემპიონატზე არ ოცნებობდეს. ყველანი ქართველები ვართ და რაც არ უნდა ცნობილ გუნდში ვირიცხებოდეთ, მაინც ჩვენი ქვეყანა და ფეხბურთი გვტკივა. აბა, შექმნან საქართველოშიც თუნდაც „ანორთოსისის“ მსგავსი პირობები, არაფერს ვამბობ „აიაქსისა“ და „რეინჯერსის“ პირობებზე — თქვენ ნახავთ, საქართველოს პირველობას რამდენი ლეგიონერი დაუბრუნდება. საწყენია, რომ ეს ჩვენი ოცნება ოცნებადვე რჩება.

P.S. გასულ შაბათს „რეინჯერსმა“ 3:2 დაამარცხა „სელტიკი“ და სატურნირო ცხრილში კვლავ პირველ ადგილზე მოექცა.

# მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №48 (322) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№48-ე რეიტინგის საპრიზო თანხა 200 ლარს შეადგენდა. კითხვას — **„რომელია დღეს ყველაზე აქტუალური პრობლემა?“** — 775 რესპონდენტი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად შევსებული აღმოჩნდა. საკონკურსო იყო 278 ქალისა და 493 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათები.

შედეგებმა მეტად საინტერესო სურათი დახატა: თუ აქამდე ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში ყველაზე აქტუალური პრობლემა წლების მანძილზე დაკარგული ტერიტორიები იყო, დღეს, როგორც ვხედავთ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებს აქტუალობა შემცირებიათ, რადგან, როგორც ჩანს, უმუშევრობასა და კორუფციას უკვე საშინლად შეუწუხებია ჩვენი მკითხველები.

რესპონდენტების აზრით, დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა „ენერგოკრიზისია“. მკითხველთა 30-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. **5,74** საშუალო ქულით „ენერგოკრიზისი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „კორუფციაა“, საშუალო ქულაა 5,62. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (1,4) სწორედ კორუფციას ხვდა წილად. „დაკარგული ტერიტორიები“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,46. მაქსიმალური — 8 ქულით ეს პრობლემა მკითხველთა 27-მა შეაფასა.

ადამიანთა უფლებების დარღვევა, რუსეთთან ურთიერთობა და შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები, ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ პრობლემებთან შედარებით ნაკლებად აქტუალურად გამოიყურება. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (38) „შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებებს“ ხვდა წილად და რეიტინგშიც 2,68 საშუალო ქულით ბოლო ადგილზეა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 28 წლის თბილისელი **გოჩა ლობჟანიძეა.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „რუსეთთან ურთიერთობას“ ორის ნაცვლად — ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებებს“ — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7–8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №49 (323) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლეიცინეში.*

**№49 (323) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 11 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 12 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №49 (323) — პოსტისთვის შესაფერისნი

**თქვენი აზრით, რომელი პიროვნება შეეფერება თავის პოსტს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№49(323) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სულხან მოლაშვილი — კონტროლის პალატის თავმჯდომარე | |
| 2 | კობა ნარჩემაშვილი — შს მინისტრი | |
| 3 | ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის თავმჯდომარე | |
| 4 | ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს პრეზიდენტი | |
| 5 | ვალერი ხაბურძანია — უშიშროების მინისტრი | |
| 6 | მირიან გოგიაშვილი — ფინანსთა მინისტრი | |
| 7 | დავით თევზაძე — თავდაცვის მინისტრი | |
| 8 | ავთანდილ ჯორბენაძე — სახელმწიფო მინისტრი | |
| 9 | ლადო ჭანტურია — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე | |

*მკითხველის ლეიცინეი*

დაასახელეთ საყვარელი ქართული ხალხური სიმღერა

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### დამატებითი კითხვის შედეგები

## ქართველები მაინც ოპტიმისტები ვართ!




აღსანიშნავია, რომ ასაკის მიუხედავად მკითხველები ერთნაირად ოპტიმისტურად არიან მომავლისადმი განწყობილნი. ერთი საგულისხმო განსხვავება დაფიქსირდა — ქართველი მამაკაცები (62%) უფრო ოპტიმისტები ყოფილან, ვიდრე მანდილოსნები (48%).

*დამატებით კითხვას 741-მა რესპონდენტმა უპასუხა.*

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ინგა ჯაყელი — „ჩემი დათოიე კარა, პაატას დამიწუნებენ, შევარდნაძეს, სინზე დადებულს...“ — 125 ხმა
2. ვაჟა გავაშელი — „სიკვდილი ქალის სანაცვლოდ“ — 119
3. დაჩი გრძელიშვილი, რუსუდან ხუბულავა — „ბორჯომის ხეობა გადარჩება...“ — 65
4. ლელა კოდალაშვილი — „გემუდარებით, ნუ გამოცდით მთებს, რადგან ისინი წყვეტენ, ვინ დააბრუნონ და ვინ არა...“ — 59
5. ზვიად ჩაკვეტაძე — „დასნებოვნებული კვების პროდუქტები საქართველოში(?!)“ — 58

თქვენი პრემიის — 50 ლარის მფლობელი ამჯერად ჟურნალისტი **ინგა ჯაყელია.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 603-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას ლაპარაკობდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ავთანდილ იოსელიანი, ვალერი ხაბურძანია

**„ფოტოანტიკვარის“ რესპონდენტთაგან 38%-მა სწორად ამოიცნო ამ პატარა, „თვალცქრიალა“ გოგონაში ყველასათვის საყვარელი ქალბატონი მედეა ჩახავა.**

**მკითხველთა 14%-მა ირმა სოხაძე დაასახელა, 6-6%-მა კი — ჯულიეტა ვაშაყმაძე და ლეილა აბაშიძე. დასახელდნენ ასევე მანანა გიგინეიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე...**

**მიუხედავად მინიშნებისა, სადაც აშკარად გატყობინებდით, რომ ეს გოგონა ახლა მაინცდამაინც ახალგაზრდა არ გახლავთ, მკითხველებმა მასში მაინც „ამოიცნეს“ ეკა ხოფერია, მაკა ასათიანი, ნათია ლაზაშვილი.**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



მედეა ჩახავა, 10 წლის

## ფოტო განწყობისთვის



— „შორჯომის" აბაზანეში დამინიშნეს...

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



11/XII პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღე:
12/XII — 13-დან 15 სთ-მდე



თავისი ფილმების გადასაღებად, სტივენ სპილბერგმა ნახევარი მსოფლიო მოიარა, მისი შორეული კუთხე-კუნჭულებიც კი, მაგრამ კაცის ბუნება გაუმაძღარია, არც სტივენმა იკმარა უკვე ნანახი და როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, აიღებს მსუბუქ ჩანთას და როგორც უბრალო ტურისტი, გაუყვება ახალ გზებს. ბოლოს 55 წლის რეჟისორმა თავისუფლების კუნძული — კუბა ირჩია. აქ ტურისტის ამპლუას გასცდა მისი ვიზიტი — იგი თავად ფიდელ კასტრომ მიიღო, რადგან თურმე სპილბერგის ფილმი — „განსაკუთრებული აზრი" ჰქონია ნანახი და მოსწონებია კიდეც.



თარაზულად: 1. კვლუცი; 4. ყველაზე ცნობილი ბორცვი იერუსალიმის ახლოს; 6. წვნიანი ხორცის „ბურთებისაგან"; 7. ბგერათა გამეორება ლექსის სხვადასხვა სტრიქონის ბოლოში. 8. ცალკეული უჯრედი ნაქსოვში; 9. გზის საფარი, რომლის ნაკლებობასაც განიცდის ჩვენი ქალაქები; 12. საბანაო „ოთახი"; 15. სუსტი ქარი; 17. წოდება, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა შონ კონერი; 18. ნაშიერი; 19. უარის აღმნიშვნელი სიტყვა; 21. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი; 23. კლავიშებიანი საკრავი; 25. წინასწარ დადებული თანხა; 26. სხვისი ნების მორჩილად შემსრულებელი; 27. ის, რის გარეშეც შამპანურს ვერ „შესწვდები"; 28. მეცნიერება, რომლის ფუძემდებელი ჰეროდოტე იყო; 29. ჰარისონ ფორდის ყველაზე დასამახსოვრებელი კინოროლი.

შვეულად: 1. ფეხსაცმლის ლანჩაც და ბაქანიც; 2. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 3. ადგილები მაყურებელთა დარბაზში; 4. ენათმეცნიერების ნაწილი; 5. მოხსენების მსმენელთა ერთობლიობა; 10. დაკეპილი და შეზავებული ხორცი; 11. ლატვიელი მომღერალი ქალის განუმეორებელი სახელი; 13. ნაომი კემპბელის მეტსახელი — „შავი ..."; 14. ამხანაგი, ტოლი, თანამესუფრე (არაბულად); 15. ჩამონათვალი; 16. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი; 20. რეფორმიზმის მიმდევარი; 21. მეთაურთან დანიშნული ოფიცერი, რომელიც სხვადასხვა დავალებას ასრულებს; 22. უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი; 23. განუვითარებელი, მარტივი მოვლენა იმავე რიგის შემდეგდროინდელ მოვლენებთან შედარებით; 24. მსოფლიოს უდიდესი სპორტული შეჯიბრება.

შეადგინა რამაზ ალანიამ


ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *

ორი „გამოსული" სვანი თეატრშია: დირიჟორი ორკესტრს დირიჟორობს. ერთი სვანი ეკითხება მეორეს, ცდილობს, თავისი ერუდიცია გამოაჩინოს:

— ბეთჰოვენია?

აბა, ზურგიდან როგორ გავარჩიო?..








ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(49) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________

________

________

________

________

________

სიტყვა და საქმე

ვთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№49 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 12 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — ყოველ დღე, 10 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32, 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი კ518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში"